ᲐᲜᲡᲐᲮᲙᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜ.-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი

# სახალხო განათლების შესახებ

ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი 1942

რედაქტორ-შემდგენელი გ. თავზიშვილი

Гос. публичная библиотека Грузинской ССР
им. Н. Г. Чернышевского
198582

ПРОВЕРЕНО
1941 г.

## რედაქტორისაგან

წინამდებარე კრებულის მიზანია ხელი შეუწყოს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობის ადვილად შესწავლისა და გამოყენების საქმეს. იგი შეიცავს კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მრავალრიცხოვანი შრომებიდან, სიტყვებიდან და კერძო წერილებიდან ამოღებულ ადგილებს სახალხო განათლების სხვადასხვა საკითხზე.

კრებული შედგენილია თემატიკური გეგმით. მთელი მასალა, შესავალი ნაწილის შემდეგ, შეიცავს ხუთ ძირითად ნაკვეთს: 1. აღზრდა-განათლების ზოგადი საკითხები, 2. პოლიტექნიკური სწავლა-განათლება, 3. სკოლა და მასწავლებელი, 4. დიდაქტიკის საკითხები და 5. პედაგოგიკის ისტორიიდან. ამა თუ იმ მასალის შეტანა რომელიმე ამ ნაკვეთში ხდებოდა იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანთან უფრო იყო იგი დაკავშირებული თავისი ხასიათით და ძირითადი აზრით; მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ეს მასალა სხვა ნაკვეთის საკითხებს არ ეხებოდეს.

ჩვენ ვცდილობდით მარქს-ენგელსის ნაწარმოებიდან მხოლოდ ის ადგილები ამოგვეღო, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ სახალხო განათლების საკითხებთან და ამიტომ ვკმაყოფილდებოდით შედარებით მოკლე ტექსტებით, ზოგჯერ კი თითო-ოროლა წინადადებით, როცა მათი გაგება სავსებით შეიძლებოდა ვრცელი კონტექსტის გარეშეც.

როგორც აღნიშნული ხუთი ნაკვეთის დასათაურება, ისე მათში შეტანილი ტექსტების სათაურები ჩვენ გვეკუთვნის. ყველა სათაურის სახელწოდება ტექსტის შინაარსიდან გამომდინარეობს და საგრძნობლად უადვილებს მკითხველს ამა თუ იმ ცალკეულ საკითხზე მარქს-ენგელსის შეხედულებათა მოძებნას.

კრებულის ზოგიერთი ადგილი მოტანილია კურსივით. ეს კურსივი უმეტეს შემთხვევაში რედაქტორს ეკუთვნის, იმ შემთხვევაში კი, როცა ის ავტორებს ეკუთვნის, მას სქოლიოში ვუკეთებთ სათანადო შენიშვნას.

კრებულის მასალის წყაროების შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მასალა ამოღებულია კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ნაწარმოებთა ქართული და რუსული თარგმანებიდან. ქართული თარგმანებიდან ამოღებულ ტექსტს, რასაკვირველია, უცვლელად ვტოვებდით და მათი სიზუსტე და ორიგინალისადმი სრული შესატყვისობა გარანტირებულია ამ თარგმანების ოფიციალურ გამომცემლობათა მიერ. რუსულ თარგმანებს მივმართავდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენი კრებულისათვის საჭირო მასალა ქართულად არ არსებობდა და არც ორიგინალის შოვნა იყო მოსახერხებელი.

ამ კრებულში რამდენიმე ალაგას გვხვდება ტექსტის გამეორება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ერთ შემთხვევაში იგი მთავარია სათანადო თემის გაშუქებისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში მის დატოვებას მოითხოვდა აზრის საერთო განვითარება. ასეთი გამეორებანი იმდენად მცირეა, რომ მთელს წიგნში ორ- სამ გვერდს არ აღემატება იმ დროს, როცა მათი დანიშნულებაა გაუადვილოს მკითხველს კრებულით სარგებლობა.

ყველა ტექსტის ბოლოში აღნიშნულია ავტორი და წყარო. ქართული წყაროები (თარგმანები) მითითებულია ქართულ ენაზე, რუსული—რუსულზე. რუსული გამოცემებიდან გამოყენებულია მარქსისა და ენგელსის თხზულებათა საერთაშორისო გამოცემა: К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. т. I—XXVIII, 1928—1940, Москва. ქართული თარგმანები მოტანილია მათ უკანასკნელ გამოცემათა მიხედვით.

გ. თ.

*10/I-1942 წ.*
თბილისი

# 1

შესავალი:

# შრომის როლი ადამიანის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში

# შრომის როლი ადამიანის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში

## 1. შრომის პროცესი

*შრომა*, პირველ ყოვლისა, *არის პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის*, პროცესი, რომელშიაც ადამიანი თავისი მოქმედებით განსაზღვრავს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერების ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირდაპირდება, როგორც *ბუნების ძალა*. მას მოძრაობაში მოყავს თავისი ორგანიზმის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს. ამ მოძრაობის საშუალებით *იგი მოქმედობს გარეშე ბუნებაზე, შეაქვს მასში ცვლილება და ამავე დროს შეაქვს ცვლილება თავის საკუთარ ბუნებაშიაც*. იგი ავითარებს ამ უკანასკნელში მთვლემარე სხვადასხვა ნიჭს და მათ ამოქმედებას თავის საკუთარ ძალას უმორჩილებს. ჩვენ აქ შრომის ცხოველისებურ პირველ ინსტინქტურ ფორმებს არ ვეხებით. შედარებით საზოგადოების იმ მდგომარეობასთან, როდესაც მუშა თავისი სამუშაო ძალის გამყიდველად გამოდის საქონლის ბაზარზე, პირველყოფილ ხანას წარმოადგენს ის პერიოდი, როდესაც ადამიანის შრომას მოცილებული არა აქვს თავისი პირველი ინსტინქტური ფორმები. *შრომას ჩვენ ვგულისხმობთ* იმ *ფორმით, რომლითაც იგი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კუთვნილებას შეადგენს*. ობობა ისეთ ოპერაციებს ასრულებს, რომელიც ფეიქრისას წააგავს და ფუტკარი ისეთ ფიჭის უჯრედებს აკეთებს, რომელიც არაერთ ხუროთმოძღვარს შეშურდება. მაგრამ არის ისეთი გარემოება, რომელიც იმთავითვე უმდარეს ხუროთმოძღვარს საუკეთესო ფუტკარზე მაღლა აყენებს: ესაა ის, რომ ადამიანი, ვიდრე ფიჭის უჯრედს გააკეთებდეს, *ჯერ თავის თავში გააკეთებს მას*. შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც მის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, ე. ი. *იდეალურად, უკვე არსებობდა*. იმაში, რაც ბუნებით არის მოცემული, ადამიანს მარტო ფორმის ცვლილება კი არ შეაქვს, არამედ ამასთანავე მასში იგი ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისი მოქმედების წესს და ხასიათს განსაზღვრავს და რომელ კანონსაც მან თავისი ნებისყოფა უნდა დაუქვემდებაროს. და ეს დაქვემდებარება განცალკევებულ აქტს როდი წარმოადგენს. გარდა მომუშავე ორგანოთა დაძაბვისა, მთელი ამ შრომის განმავლობაში აუცილებელია მიზანშეწონილი ნებისყოფა, რომელიც ყურადღების სახით აშკარავდება,

და ეს—მით უფრო, რაც უფრო ნაკლებ იტაცებს შრომა მუშას თავისი შინაარსით და განხორციელების წესითა და ხასიათით, რაც უფრო ნაკლებ ტკბება მუშა თავისი ფიზიკური და სულიერი ძალების ლაღი მოძრაობით.

შრომის პროცესის მარტივი მომენტებია: 1) მიზანშეწონილი მოქმედება ანუ თვით შრომა, 2) საგანი, რომელზედაც შრომა მოქმედებს და 3) საშუალება, რომლითაც იგი მოქმედებს*.

მიწა (ეკონომიური თვალსაზრისით წყალიც მას მიეკუთვნება), რომელიც დასაბამიდან ადამიანს აძლევს საზრდოს, არსებობის მზა საშუალებას*ა, არსებობს სრულიად მის დაუხმარებლად, როგორც ადამიანის შრომის საყოველთაო საგანი. ყველა ნივთი, რომელსაც შრომა მარტოოდენ გამოაცალკევებს დედამიწასთან უშუალო დაკავშირებიდან, ბუნების მიერ მოცემული შრომის საგანია, მაგალითად, თევზი, რომელსაც იჭერენ, მისი საარსებო სტიქიიდან—წყლიდან—გამოითიშება, ხე, რომელიც ულრან ტყეში მოიჭრება, მადანი, რომელიც მისი ბუდობიდან ამოიღება. პირიქით, თუ თვით შრომის საგანი, ასე ვთქვათ, წინანდელი შრომით არის უკვე დაწმენდილი, მაშინ ჩვენ მას ნედლ მასალას ვუწოდებთ. მაგალითად, ამოღებული მადანი, რომელიც შემდეგ გაირეცხება. ყოველი ნედლი მასალა შრომის საგანია, მაგრამ ყოველი შრომის საგანი ნედლი მასალა არ არის, შრომის საგანი მხოლოდ მაშინაა ნედლი მასალა. თუ მას შრომის მეოხებით ცვლილება განუცდია.

შრომის საშუალება არის ნივთი ანუ კომპლექსი ნივთთა, რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელნიც ამ საგანზე მისი მოქმედების გადამტანის როლს ასრულებენ. მუშა სარგებლობს ნივთთა მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებებით, რათა ისინი გამოიყენოს როგორც ძალა თავისი მიზნის მიხედვით სხვა ნივთებზე სამოქმედოდ**. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მზამზარეულ საარსებო საშუალებათა მოპოვებას, მაგალითად, ნაყოფის მოგროვებას, როდესაც მარტოოდენ მუშის საკუთარი სხეულის ორგანოები ასრულებენ შრომის საშუალებათა როლს, რომელსაც მუშა უშუალოდ ხელს სჰიდებს, არის არა შრომის საგანი, არამედ შრომის საშუალება. და ასე,

---

* ფრანგულ გამოცემაშა სიტყვებს „შრომის პროცესი" მარქსი შემდეგ შენიშვნებს უკეთებს: სიტყვა „პროცესი", რომელიც ნიშნავს განვითარებას, მისი რეალური პირობების მთლიანობაში განხილულს, უკვე დიდი ხანია მთელ ევროპაში მეცნიერული ენის ტერმინად არის გადაქცეული. საფრანგეთში ეს სიტყვა, ჯერ მორცხვად, ლათინური—processus—ფორმით შემოიღეს. შემდეგ იგი, ამ პედანტურ სამოსელს მოკლებული, შეიპარა ქიმიის, ფიზიოლოგიის და მსგავს წიგნებში, აგრეთვე ზოგიერთ მეტაფიზიკურ თხზულებაში. დაბოლოს მან სრული ნატურალიზაცია მიიღო. შევნიშნავთ გაკვრით, რომ სიტყვას „პროცესი" როგორც გერმანელები, ისე ფრანგები, ჩვეულებრივად იურიდიული მნიშვნელობით ხმარობენ.—კ.

*ა „დედამიწის თვითმოსული ნაყოფი მცირეა რაოდენობით და ადამიანისაგან დამოუკიდებელი; იგი თითქოს იმგვარადვე ეძლევა ადამიანს ბუნების მიერ, როგორც ახალგაზრდა კაცს—მცირე თანხა, რათა ამ თანხით მან საქმიანობის გზა გაიკვლიოს და ქონება შეიძინოს" (James Steuart „Principles of Political Economy. Ed. Dublin 1770", vol I, p. 116).

** „გონება როგორც ძალოვანია, ისევე მოხერხებულია. მოხერხება საერთოდ მდგომარეობს მის მეშველ მოქმედებაში, რომლის მეოხებითაც იგი, ამოქმედებს რა ობიექტებს ერთი მეორეზე მათი ბუნების მიხედვით და აწარმოებინებს რა მათ ურთიერთის დამუშავებას ისე, რომ თვითონ უშუალოდ ამ პროცესში არ ერევა,—აღწევს მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზანს, რომელიც მას აქვს დასახული" (H e g e l: „Encyklopädie Erster Teil. Die Logik. Berlin 1840", S. 382).

გარეშე ბუნების ნივთს იგი აქცევს თავის მოქმედების ორგანოდ, რომელსაც თავისი საკუთარი სხეულის ორგანოებს უმატებს და ამით, წინააღმდეგ ბიბლიისა, თავის ბუნებრივ სხეულს აგრძელებს. დედამიწა ადამიანის საზრდოს თავდაპირველი საკუჭნაოც არის და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენალიც. დედამიწა მას აძლევს, მაგალითად, ქვას, რომელსაც იგი იყენებს სასროლად, სახეხად, საწნევად, საჭრელად და სხვ. თვით დედამიწაც შრომის საშუალებად ხდება, მაგრამ მისი, როგორც შრომის საშუალების, გამოყენება მიწათმოქმედებაში თავის მხრივ გულისხმობს შრომის მთელ რიგ სხვა საშუალებათა არსებობას და სამუშაო ძალის შედარებით მაღალ განვითარებას *. თუ შრომის პროცესი საზოგადოდ რამდენადმე მაინც განვითარებულია, იგი საჭიროებს უკვე დამუშავებულ შრომის საშუალებებს. უძველესი დროის ადამიანთა გამოქვაბულებში ჩვენ ვპოულობთ ქვის სამუშაო იარაღებსა და ქვის საჭურველს. კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში დამუშავებულ ქვასა, ხესა, ძვლებსა და ნიჟარასთან ერთად შრომის საშუალების მთავარ როლს ასრულებს მოშინაურებული, ამრიგად, შრომის მეოხებით გარდაქმნილი, დამორჩილებული ცხოველი **. შრომის საშუალებათა მოხმარება და შექმნა, თუმცა მათი ჩანასახი ზოგი გვარის ცხოველებსაც უკვე მოეპოვებათ, სპეციფიკურად ადამიანის შრომის პროცესს ახასიათებს. ამიტომ ფრანკლინი ადამიანს განსაზღვრავს როგორც „a toolmaking animal“-ს, იარაღის მკეთებელ ცხოველს. რა მნიშვნელობაც დაშთენილი ძვლების აგებულებას აქვს ცხოველთა მოსპობილი ჯიშების ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს მოსპობილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად. ეკონომიურ ეპოქებს განასხვავებს ერთმანეთისაგან არა ის, თუ რა იწარმოება, არამედ როგორ, შრომის რა საშუალებებით იწარმოება ***. შრომის საშუალებები არა მარტო საზომია ადამიანის სამუშაო ძალის განვითარებისა, არამედ არის მაჩვენებელიც საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელშიაც შრომა სწარმოებს. თვით შრომის საშუალებებს შორის მექანიკური შრომის საშუალებანი, რომელთაც ერთობლივ შეიძლება ეწოდოს ძვლების და კუნთების სისტემა წარმოებისა, ამა თუ იმ საზოგადოებრივი წარმოების ეპოქისათვის გაცილებით უფრო ძირითად დამახასიათებელ ნიშნეულობას წარმოადგენენ, ვიდრე ისეთი შრომის საშუალებანი, რომელნიც მხოლოდ შრომის საგნის შენახვას ემსახურებიან და რომელთაც ერთობლივ საზოგადოდ წარმოების ჭურჭლეულობის სისტემა შეიძლება ეწოდოს, როგორც, მაგალითად, მილები, კასრები, კალათები, ქილები და

---

* თავის სხვა მხრივ უბადრუკ ნაწარმოებში: „Theorie de l'Economie Politique. Paris 1815“, Ganilh-ს ფიზიოკრატების საწინააღმდეგოდ ჩამოთვლილი აქვს სრული სისწორით მთელი რიგი შრომის პროცესებისა, რომელნიც საკუთრივ მიწათმოქმედების წინასწარ პირობას წარმოადგენენ.

** თავის თხზულებაში: „Réflexions sur la Formation et la Distribution des Richesses“ (1766) Oeuvres, éd. Daire vol. I. ტიურგო კარგად არკვევს მოშინაურებული ცხოვლის მნიშვნელობას კულტურის დასაწყისისათვის.

*** ყველა საქონელთა შორის საკუთრივ ფუფუნების საქონელთ ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წარმოების სხვადასხვა ეპოქათა ტექნოლოგიური შედარებისათვის.

სხვ. ეს უკანასკნელნი მხოლოდ ქიმიურ წარმოებაში ასრულებენ მნიშვნელოვან როლს *.

გარდა იმ ნივთებისა, რომელთა საშუალებით შრომის საგანზე შრომის ზემოქმედება ხორციელდება და რომელნიც, ამრიგად, ამა თუ იმ სახით შრომის მოქმედების გამტარებელნი არიან, შრომის პროცესის საშუალებებში, ფართო მნიშვნელობით, ჩაირიცხება ყველა საგნობრივი პირობა, რომელიც საერთოდ საჭიროა მის შესასრულებლად. ეს პირობები არ შედის უშუალოდ შრომის პროცესში, მაგრამ ეს უკანასკნელი უიმათოდ ან სრულიად ვერ იწარმოებს, ანდა იწარმოებს მხოლოდ ნაკლულოვანად. ამგვარ საყოველთაო შრომის საშუალებას კვლავ დედამიწა წარმოადგენს, ვინაიდან იგი მუშას აძლევს დასაყრდნობ საფუძველს (locus standi), ხოლო მის პროცესს—მოქმედების არეს (field of employment). ასეთი შრომის საშუალებებია, წინასწარი შრომის მეოხებით განხორციელებული, მაგალითად, მუშათა შენობები, არხები, გზები და სხვ.

ამრიგად, *შრომის პროცესის დროს ადამიანის მოქმედება შრომის საშუალებათა შემწეობით შრომის საგნის წინასწარ გათვალისწინებულ ცვლილებას ახდენს.* პროცესი პროდუქტში იფერფლება. მისი პროდუქტი სახმარი ღირებულებაა, ბუნების ნივთიერება, რომელიც ფორმათა ცვლილების გზით ადამიანის მოთხოვნილებასთან არის შეფერებული. შრომა შეუკავშირდა თავის საგანს. შრომა გასაგნობრივდა და საგანი გადამუშავდა. ის, რაც მუშის მხარეს მოძრაობის ფორმისა იყო, პროდუქტში ჩნდება ყოფნის სახით, როგორც მყარი თვისება. მუშამ დაართა და პროდუქტი ნართია.

თუ მთელ პროცესს მისი შედეგის, პროდუქტის, თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ორივე, შრომის საშუალება და შრომის საგანიც, საწარმოო საშუალებებს ** და თვით შრომა პროდუქტიულ შრომას წარმოადგენს ***.

როდესაც ერთი სახმარი ღირებულება გამოდის შრომის პროცესიდან პროდუქტის სახით, მეორე სახმარი ღირებულება, როგორც წინანდელი შრომის პროცესის პროდუქტი, შედის იქ საწარმოო საშუალების სახით. ერთი და იგივე სახმარი ღირებულება, რომელიც პროდუქტია ერთი შრომის პროცესისა, საწარმოო საშუალებას შეადგენს მეორე შრომის პროცესისათვის. ამიტომ პროდუქტი არა მარტო შედეგია შრომის პროცესისა, არამედ ამავე დროს მისი პირობაც არის.

ექსტრაქტულ (ნედლი მასალის მომპოვებელ) მრეწველობას გარდა,—რომელიც თავის შრომის საგანს ბუნებაში პოულობს, როგორც სამთამადნო საქმე,

---

* შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. თუმცა დღემდე ისტორიულ მეცნიერებას ძალიან ნაკლებ აქვს შესწავლილი მატერიალური წარმოების განვითარება, ე. ი. საფუძველი მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების და, ამიტომ, ნამდვილი ისტორიისაც, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, წინაისტორიული დრო მაინც, ბუნების მეცნიერებისა და არა ეგრეთწოდებული ისტორიული კვლევა-ძიების საფუძველზე, დაყოფილია სამუშაო იარაღებისა და საჭურველის მასალათა მიხედვით ქვის ხანად, ბრინჯაოს ხანად და რკინის ხანად.

** უცნაურად გვეჩვენება იმის თქმა, რომ, მაგალითად, თევზი, რომელიც ჯერ არ არის დაჭერილი, საწარმოო საშუალებაა თევზაობისათვის. მაგრამ ჯერ არავის გამოუგონია ისეთი ხერხი, რომ შეიძლებოდეს თევზის დაჭერა იმ წყალში, რომელშიც იგი არ მოიპოვება.

*** ეს შრომის მარტივი პროცესის თვალსაზრისით მიღებული განსაზღვრა პროდუქტიული შრომისა სრულიად არ არის საკმარისი კაპიტალისტური წარმოების პროცესისათვის.

ნადირობა, თევზაობა და სხვ. (მიწათმოქმედება იმდენად, რამდენადაც იგი მხოლოდ უყ მიწას ამუშავებს),—მრეწველობის ყველა დარგს საქმე აქვს ისეთ საგანთან, რომელიც ნედლი მასალაა, ე. ი. უკვე შრომით არის დაწმენდილი და თვით შრომის პროდუქტს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, თესლი მიწათმოქმედებაში. ცხოველი და მცენარეულობა, რომელსაც ჩვეულებრივ ბუნების პროდუქტად თვლიან, ნამდვილად შრომის პროდუქტია და ისიც არა მარტო წარსული წლის შრომისა, არამედ თავისი ახლანდელი სახით წარმოადგენს მრავალთაობათა მანძილზე ადამიანის კონტროლის ქვეშ, ადამიანის შრომის მეშვეობით განხორციელებულ განუწყვეტელ ცვლილებათა პროდუქტს. ხოლო რაც შეეხება საკუთრივ შრომის საშუალებებს, ზერელე დაკვირვებითაც კი დაინახება, რომ მათ დიდძალ უმრავლესობას წარსული შრომის კვალი აჩნია.

ნედლი მასალა შეიძლება პროდუქტის მთავარ სუბსტანციას შეადგენდეს ანდა, როგორც დამხმარე მასალა, მის შექმნაში მონაწილეობდეს. დამხმარე მასალა მოიხმარება შრომის საშუალების მიერ, როგორც, მაგალითად, ნახშირი—ორთქლის მანქანის მიერ, ზეთი—თვლების მიერ, თივა—მუშა ცხენის მიერ, ან უერთდება ნედლ მასალას, რათა გამოიწვიოს მასში ნივთიერი ცვლილება, როგორც, მაგალითად, ქლორი უერთდება გაუმურკნავ ტილოს, ნახშირი—რკინას, საღებავი—მატყლს, ანდა ხელს უწყობს თვით შრომის ოპერაციას, როგორც, მაგალითად, სამუშაო სადგომის გასანათებლად და გასათბობად გამოყენებული მასალა. განსხვავება მთავარსა და დამხმარე მასალას შორის წარხოცილია საკუთრივ ქიმიურ წარმოებაში, ვინაიდან არც ერთი აქ გამოყენებული ნედლი მასალა არ ჩნდება კვლავ პროდუქტის სუბსტანციის სახით *.

რადგან თითოეული ნივთი მრავალ თვისებას შეიცავს და ამის გამო შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გამოყენებული, ამიტომ შესაძლებელია ერთი და იგივე პროდუქტი ნედლ მასალას შეადგენდეს სულ სხვადასხვა შრომის პროცესისათვის. მაგალითად, ხორბალი ნედლი მასალაა მეწისქვილისათვის, სახამებლის მწარმოებლისათვის, სპირტის გამომხდელისათვის, საქონლის მომშენებლისათვის და სხვ. იგივე ხორბალი, თესლის სახით, ნედლი მასალაა თავისი საკუთარი წარმოებისათვის. სწორედ ასე ნახშირი სამადნო მრეწველობიდან მიიღება, როგორც პროდუქტი, და მასშივე შედის, როგორც საწარმოო საშუალება.

ერთი და იგივე ნაწარმოები ერთსა და იმავე შრომის პროცესში შეიძლება შრომის საშუალებაც იყოს და ნედლი მასალაც. მაგალითად, შინაური საქონლის გასუქებისას საქონელი არის ნედლი მასალა, რომელიც გადამუშავებას განიცდის, და იმავე დროს სასუქის დამზადების საშუალებაც.

მოხმარებისათვის მზა ფორმის მქონე პროდუქტი შეიძლება ისევ იქცეს ნედლ მასალად სხვა პროდუქტისთვის, როგორც, მაგალითად, ყურძენი ნედლ მასალად ხდება ღვინისთვის. ანდა შრომა თავის პროდუქტს ისეთი ფორმით იძლევა, რომლითაც იგი მხოლოდ ნედლ მასალადაა გამოსაყენებელი. ამგვარ მდგომარეობაში მყოფ ნედლ მასალას—მაგალითად, ბამბას, ძაფს, ნართს და სხვ.—ნახევარფაბრიკატი ეწოდება, თუმცა სახელწოდება დაუმთავრებელი ფაბრიკატი უფრო შესაფერისი იქნებოდა. პირვანდელი ნედლი მასალა, თუმცა

---

* შ ტ ო რ ხ ი განასხვავებს საკუთრივ ნედლ მასალას, რომელსაც „matiére"-ს უწოდებს, დამხმარე მასალისაგან, რომელსაც „materiaux"-ს სახელწოდებით აღნიშნავს; შ ე რ ბ ი უ ლ ი ე დამხმარე მასალას „matieres instrumentales"-ს უწოდებს.

თვით უკვე პროდუქტია, გაივლის ხოლმე მთელ რიგ პროცესის საფეხურებს, სადაც მუდამ შეცვლილი სახით ხელახლა ნედლი მასალის ფუნქციას ასრულებს, ვიდრე უკანასკნელი შრომის პროცესიდან გამოვა მზა საარსებო საშუალების ან შრომის მზა საშუალების სახით.

ამრიგად, წარმოადგენს თუ არ წარმოადგენს სახმარი ღირებულება ნედლ მასალას, შრომის საშუალებას თუ პროდუქტს, სავსებით იმაზეა დამოკიდებული, თუ რა განსაზღვრული ფუნქცია აქვს მას შრომის პროცესში, რა ადგილი უკავია მასში; ამ ადგილის ცვლასთან ერთად იცვლება მისი დანიშნულებაც.

ამიტომ პროდუქტი, შედის რა შრომის ახალ პროცესში საწარმოო მარაგის სახით, კარგავს პროდუქტის ხასიათს. ის აქ მოქმედებს მხოლოდღა როგორც ცოცხალი შრომის საგნობრივი ფაქტორი. მრთველისთვის თითისტარი მხოლოდ საშუალებაა და სელი—მხოლოდ საგანი რთვისა. რასაკვირველია, უმასალოდ და უთითისტაროდ რთვა არ შეიძლება. ამიტომ ამ პროდუქტთა არსებობა რთვის დასაწყისშივე იგულისხმება. მაგრამ თვით ამ პროცესისათვის ის გარემოება, რომ სელი და თითისტარი წარსული შრომის პროდუქტებია, ისევე სულ ერთია, როგორც კვების აქტისთვის ის, რომ პური გლეხის, მეწისქვილის, ხაბაზის და სხვათა წარსული შრომის პროდუქტია. პირიქით, შრომის პროცესში საწარმოო საშუალება მხოლოდ თავისი ნაკლით ამჟღავნებს იმ გარემოებას, რომ იგი წარსული შრომის პროდუქტი არის. დანა, რომელიც არ ჭრის, და ნართი, რომელიც მუდამ წყდება და სხვ., ცხოვლად მოგვაგონებს დანის გამკეთებელ A-ს და მრთველ B-ს. კარგ პროდუქტში სრულიად წარხოცილია კვალი წარსული შრომის მონაწილეობისა მის სახმარ თვისებათა შექმნაში.

მანქანა, რომელიც შრომის პროცესში მონაწილეობას არ იღებს, უსარგებლოა. გარდა ამისა იგი განიცდის ნივთიერებათა ბუნებრივი ცვლის გამანადგურებელი ძალის გავლენას. რკინა ჟანგდება, ხე ლპება, ნართი, რომელსაც ქსოვისთვის არ გამოიყენებენ, გაფუჭებული ბამბაა, ცოცხალმა შრომამ ამ ნივთებს ხელი უნდა ჩასჭიდოს, მკვდრეთით აღადგინოს და მათი მარტოოდენ შესაძლებელი სახმარი ღირებულება ნამდვილ და მოქმედ სახმარ ღირებულებად აქციოს. შრომის ალით მოცული და მის ორგანოებად გადაქცეული, შრომის პროცესში მოწოდებული იმ ფუნქციებისათვის, რომელნიც მათ იდეასა და დანიშნულებას შეესაბამებიან, ეს ნივთები თუმცა მოიხმარებიან, მაგრამ მოიხმარებიან მიზანშეწონილად, როგორც შემადგენელი ელემენტები ახალი სახმარი ღირებულების, ახალი პროდუქტისა, რომელიც მზად არის გადავიდეს ინდივიდუალურ მოხმარებაში, როგორც საარსებო საშუალება, ანდა—ახალ შრომის პროცესში, როგორც საწარმოო საშუალება.

ამრაგად, თუ არსებული პროდუქტი არა მარტო შედეგია შრომის პროცესის, არამედ მისი აუცილებელი პირობაც, მეორე მხრივ, მისი შესვლა შრომის პროცესში, მისი კონტაქტი ცოცხალ შრომასთან წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას იმისათვის, რომ წარსული შრომის პროდუქტი, როგორც სახმარი ღირებულება, შენახულ და განხორციელებულ იქნეს.

შრომა მოიხმარს თავის ნივთიერ ელემენტებს, თავის საგანსა და თავის საშუალებას, ჭამს მათ და ამიტომ მოხმარების პროცესს წარმოადგენს. ეს პროდუქტიული მოხმარება იმით განსხვავდება ინდივიდუალური მოხმარებისაგან, რომ უკანასკნელის დროს პროდუქტი მოიხმარება როგორც ცოცხალი ინდივი-

დუმის საარსებო საშუალება, ხოლო პირველის დროს—როგორც საარსებო საშუალება შრომისა, მოქმედი სამუშაო ძალისა. ამიტომ ინდივიდუალური მოხმარების პროდუქტი თვით მომხმარებელია, ხოლო პროდუქტიული მოხმარების შედეგი—მომხმარებლისაგან განსხვავებული პროდუქტი.

რამდენადაც შრომის საშუალება და საგანი თვით პროდუქტი არის, შრომა მოიხმარს პროდუქტს, რათა შექმნას პროდუქტი, ანუ პროდუქტის საწარმოო საშუალებად გამოიყენებს პროდუქტს. მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც პირვანდელი შრომის პროცესი წარმოებს მხოლოდ ადამიანსა და მის დაუხმარებლად არსებულ მიწას შორის, ახლაც შრომის პროცესში განაგრძობს მონაწილეობას ისეთი საწარმოო საშუალებაც, რომელიც ბუნების მიერ არის მოცემული და არ წარმოადგენს ბუნების ნივთიერების შეერთებას ადამიანის შრომასთან.

კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", I, 138—144.

## 2. შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში

შრომა წყაროა ყოველი სიმდიდრისაო, ამბობენ ეკონომისტები. ის, ბუნებასთან ერთად, მართლაც წარმოადგენს ასეთ წყაროს: ბუნება მას აძლევს მასალას, რომელსაც შრომა სიმდიდრედ აქცევს. მაგრამ მისი მნიშვნელობა ამაზე გაცილებით მეტია. შრომა წარმოადგენს ადამიანის არსებობის პირველ ძირითად პირობას და ეს იმდენად, რომ შეიძლება გარკვეული აზრით ვთქვათ: შრომამ შექმნა თვით ადამიანი.

მრავალ ასეულ ათასეული წლის წინათ, დედამიწის განვითარების იმ ხანაში, რომელიც ზუსტად ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული და რომელსაც გეოლოგები მესამე ფორმაციის ეპოქას უწოდებენ, ალბათ, ამ ეპოქის დასასრულს, სადმე ცხელ ჰავაში, შეიძლება ერთ-ერთ დიდ მატერიკზე, რომელიც ახლა ინდოეთის ოკეანის ქვეშაა მოქცეული ცხოვრობდა ადამიანის მსგავს მაიმუნთა ჯიში, რომელსაც მიეღწია განვითარების მეტად მაღალი საფეხურისათვის. დარვინმა ამ ჩვენი წინაპრების დაახლოებითი აღწერა მოგვცა. ისინი სრულებით დაფარული იყვნენ ბალნით, ჰქონდათ წვერები და წვეტიანი ყურები და ჯოგებად ხეებზე ცხოვრობდნენ.

პირველი შედეგი ასეთი ცხოვრებისა, როდესაც ხეებზე ძვრომა-ცოცვის დროს ხელები სულ სხვანაირ საქმეს უკეთებდნენ, ვიდრე ფეხები, იყო ის, რომ ეს მაიმუნები მიწაზე სიარულის დროს თანდათან გადაეჩვივნენ ხელების დახმარებას და შეეჩვივნენ გამართულ სიარულს. ამით იყო გადადგმული გადამჭრელი ნაბიჯი, რათა მაიმუნი ადამიანად ქცეულიყო*.

ყველა დღემდე არსებულ ადამიანის მსგავს მაიმუნს შეუძლია გამართული დგომა და მხოლოდ ფეხზე სიარული, მაგრამ ძლივძლივობით და უმწეოდ. მათი ბუნებრივი სიარული ხდება ნახევრად ამართული მდგომარეობით და მოითხოვს ხელების დახმარებას. უმრავლესობა ამ მაიმუნებისა მიწას ეყრდნობა მუშტად მოკეცილი თითებით და ამოძრავებს ტანს, მაღლა აწევდილი ფეხებით, გრძელ ხელებს შუა, როგორც ყავარჯნებით მოსიარულე კოჭლი. საზოგადოდ, ჩვენ ახლაც შეგვიძლია ვნახოთ მაიმუნებში ყველა გარდამავალი საფეხური — ოთხზე სიარულიდან ორ ფეხზე სიარულამდე. მაგრამ უკანასკნელი არც ერთი მათგანისათვის არ გადაქცეულა მოძრაობის ნორმალურ ფორმად. იმისათვის, რომ ჩვენ ბალნიან წინაპრებს გამართული სიარული ჯერ ჩვეულებად გადაქცეოდათ და შემდეგ კი აუცილებლობად, საჭირო იყო ხელები უფრო ადრე სხვა ფუნქციებზე დასპეციალებულიყვნენ. მაიმუნებშიც კი არსებობს ფუნქციების გარკვეული განაწილება ხელებსა და ფეხებს შორის. როგორც უკვე მოხსენებული

* ხაზი ავტორისაა. რედ.

გვქონდა, ხეებზე ცოცვის დროს ხელებს ხმარობენ სხვანაირად, ვიდრე ფეხებს. ხელებით უმთავრესად კრეფენ და იჭერენ საჭმელს, როგორც ამას დაბალი ჯიშის ძუძუმწოვარი ცხოველები შვრებიან. ხელების საშუალებით ზოგი მაიმუნი ხეზე ბუდეს იკეთებს ან, როგორც შიმპანზე, სახურავს იკეთებს ტოტებს შუა აედარში თავის შესაფარებლად. მტრისაგან თავის დასაცავად ხელებითვე ხმარობენ მაიმუნები კეტს ან უშენენ მას ქვებსა და ხეხილს. დატყვევებული მაიმუნები, *ადამიანის მიბაძვით*, ხელებით აკეთებენ მრავალ უბრალო ოპერაციას. მაგრამ სწორედ აქ აშკარა და თვალსაჩინო ხდება, თუ რა დიდი მანძილია ადამიანის ყველაზე უფრო მსგავსი მაიმუნის განუვითარებელ ხელსა და ადამიანის—ათასი წლების განმავლობაში შრომისაგან უმაღლესად განვითარებულ—ხელს შორის. რაოდენობა და ზოგადი აღნაგობა ძვლებისა და კუნთებისა ორივეს ერთნაირი აქვს, მაგრამ უმდაბლეს საფეხურზე მდგომ ველურის ხელს შეუძლია ათასი ისეთი რამ გააკეთოს, რაც არ არის მისაწვდომი არც ერთი მაიმუნისათვის. *არასოდეს არც ერთი მაიმუნის ხელს არ გაუკეთებია, თუგინდ, სულ უბრალო ქვის დანაც კი.*

ამიტომ ეს ოპერაციები, რომელთაც ჩვენი წინაპრები მაიმუნიდან ადამიანისაკენ განვითარების დროს ასი ათასი წლების განმავლობაში თანდათან აჩვევდნენ ხელს, თავდაპირველად შეიძლებოდა მხოლოდ მეტისმეტად უბრალო ყოფილიყო. განვითარების სულ უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ველურები და ამათგან ისინიც კი, რომელნიც ცხოველთა მდგომარეობას უბრუნდებიან ფიზიკურ გადაგვარებასთან ერთად, აი, ესენიც კი, იმ გარდამავალი დროის არსებებთან შედარებით, მაინც მაღლა დგანან. სანამ ადამიანის ხელი მოახერხებდა პირველი ქვის დანის გაკეთებას, უნდა გაევლო იმდენ დროს, რომელთან შედარებით უმნიშვნელოა მთელი ის ისტორიული ხანა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, მაგრამ გადამჭრელი ნაბიჯი გადადგმული იყო: *ხელი შეიქნა თავისუფალი* და მან შეიძინა ახალ-ახალი სიმარდე-მოხერხება, ამით შეძენილი დიდი მოქნილობა მემკვიდრეობით გადადიოდა და მატულობდა თაობიდან თაობამდე.

ამრიგად, *ხელი არა მარტო შრომის იარაღია, მისი პროდუქტიცაა**. მხოლოდ შრომის საშუალებით შეეგუა ხელი ახალ-ახალ ოპერაციებს და გადასცა მემკვიდრეობით ასეთი გზით შეძენილი განსაკუთრებული კონსტრუქცია კუნთების, ნასკვების და უფრო დიდი დროის განმავლობაში კი ძვლებისაც; ამ მემკვიდრეობით მიღებულ განვითარებას ხელი იყენებდა სულ უფრო და უფრო რთული ოპერაციებისათვის. ამ პროცესის წყალობით ადამიანის ხელმა ბოლოს მიაღწია სრულყოფის იმ მაღალ საფეხურს, როცა მას შეეძლო შეექმნა სურათები რაფაელისა, ქანდაკება ტორვალდსენისა და მუსიკა პაგანინისა.

მაგრამ ხელი არ წარმოადგენდა რაიმე განცალკევებულს. ის იყო მხოლოდ ერთი წევრი მთლიანი, ძლიერ რთული ორგანიზმისა. რაც სასარგებლო იყო ხელისათვის, ის სასარგებლო იყო მთელი ორგანიზმისათვის, რომელსაც ის ემსახურებოდა, და ამ სარგებლობას ორგანიზმი ღებულობდა ორნაირი გზით.

უწინარეს ყოვლისა, იმ კანონის ძალით, რომელსაც დარვინმა ზრდის შეფარდების კანონი უწოდა, ამ კანონის თანახმად ორგანული არსების ცალკე

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

ნაწილთა გარკვეული ფორმები მუდამ დაკავშირებულია სხვა ნაწილების სათანადო ფორმებთან, თუმცა თითქოს მათ შორის არავითარი კავშირი არ უნდა არსებობდეს, ასე, მაგალითად, ყველა იმ ცხოველს, რომელსაც აქვს სისხლის წითელი უგულო უჯრედები და რომელთა კეფის ძვალი დაკავშირებულია კისრის მძივებთან ორი სახსრით, ყველა ამ ცხოველს, გამონაკლისს გარეშე, აქვს აგრეთვე სარძევე თირკმლები შვილების საკვებად, ძუძუმწოვართა გაყოფილი ჩლიქები კი ჩვეულებრივად დაკავშირებულია რთული აგებულობის კუჭთან, რაც აუცილებელია ცოხნისათვის. სათანადო ფორმათა ცვლილება იწვევს ორგანიზმის სხვა ნაწილთა ფორმის შეცვლას, თუმცა მათი ურთიერთდამოკიდებულება ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია ავხსნათ. სავსებით თეთრი კატები ცისფერი თვალებით მუდამ ან თითქმის მუდამ ყრუები არიან.

თანდათანი განვითარება ადამიანის ხელისა და მის პარალელურად ფეხის შეჩვევა გამართული სიარულისათვის, ყოველ ეჭვს გარეშეა, გავლენას ახდენდა შეფარდების კანონით ორგანიზმის სხვა ნაწილებზე, მაგრამ ეს დამოკიდებულება ჯერ კიდევ ნაკლებად არის გამოკვლეული და ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ ფაქტის კონსტატირებით განვისაზღვროთ.

გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ხელის განვითარების პირდაპირს, შესამჩნევ გავლენას დანარჩენ ორგანიზმზე. როგორც თქმული იყო, უკვე ჩვენი წინაპრები, მაიმუნები, საზოგადოებრივი ცხოველები იყვნენ; ცხადია, *არ შეიძლება დავუშვათ, რომ ადამიანი*, რომელიც ყველა ცხოველზე უფრო საზოგადოებრივი ცხოველია, *წარმოიშვა არასაზოგადოებრივი უახლოესი წინაპრებიდან*. ხელისა და შრომის განვითარებით დაწყებული ბატონობა ბუნებაზე ყოველი ახალი წარმატებით აფართოებდა ადამიანის ჰორიზონტს. ბუნების საგნებში ის განუწყვეტლივ ახდენდა ახალ-ახალ, ჯერ უცნობ თვისებათა აღმოჩენას. მეორე მხრით, შრომის განვითარება აუცილებლობით უწყობდა ხელს ჯგუფის წევრების უფრო მჭიდროდ დაახლოებას, ახშირებდა ურთიერთის დახმარების შემთხვევებს და ცხადყოფდა ყოველი ინდივიდისათვის ამ ურთიერთობის სარგებლობას. ერთი სიტყვით, ეს ადამიანადქცეულები მივიდნენ იქამდე, რომ *იგრძნეს საჭიროება ეთქვათ რაიმე ერთიმეორისათვის**. საჭიროებამ შეიმუშავა თავისთვის შესაფერი ორგანო; მაიმუნის განუვითარებელი ყელი ნელა, მაგრამ სისწორით გადამუშავდა, გადადიოდა რა ერთი მოდულაციიდან მეორეზე, უფრო რთულზე, და მეტყველების ორგანოები თანდათან შეეჩვივნენ ნაწევროვან ბგერათა გამოთქმას ერთიმეორის მიყოლებით.

რომ ასეთი ახსნა, *შრომასთან დაკავშირებით და მისი შემწეობით, მეტყველების წარმოშობისა ერთადერთი სწორი ახსნაა*, ამას გვიჩვენებს ცხოველებთან შედარება. ის ცოტაოდენი რამ, რაც აქვთ გადასაცემი ერთიმეორისათვის ყველაზე უფრო განვითარებულ ცხოველებს, შეუძლიათ შეატყობინონ უსიტყვოდაც. ბუნებრივ მდგომარეობაში არც ერთი ცხოველი არ გრძნობს უხერხულობას იმის გამო, რომ არ შეუძლია ლაპარაკი, ან არ ესმის ადამიანის მეტყველება. სულ სხვა მდგომარეობაში ვარდება ადამიანის მიერ მოშინაურებული ცხოველი. ძაღლმა და ცხენმა ადამიანთან ურ-

---

* ხაზი ავტორისაა: *რედ*.

თიერთობაში ისე კარგად განავითარეს თავისი სმენა ლაპარაკისადმი, რომ სწავლობენ ყოველი ენის გაგებას, რამდენადაც ის შეეფერება მათ წარმოდგენათა სფეროს. შემდეგ მათში შემუშავდა ნიჭი ისეთი განცდებისა, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანისადმი სიყვარულის და მადლობის გრძნობა და სხვ., რაც უწინ მათთვის უცნობი იყო; ვისაც ჰქონია საქმე ამ ცხოველებთან, ის, ალბათ, ვერ უარყოფს, რომ ახლა ხშირია შემთხვევები, როცა ეს ცხოველები გრძნობენ მეტყველების უცოდინარობით გამოწვეულ დანაკლისს; სამწუხაროდ, მათი ხმების ორგანოებს აქვს განსაკუთრებული აგებულება, რომლის განვითარება ისე განსაზღვრული გზით წავიდა, რომ ამ უბედურებას არაფერი ეშველება. ხოლო იქ, სადაც შესაფერი ორგანო მოიპოვება, ეს განსაზღვრულობა ნაწილობრივად შეიძლება მოისპოს. ფრინველთა ხმის ორგანოები, უეჭველია, ძლიერ განსხვავდება ადამიანის ასეთივე ორგანოებისაგან; მიუხედავად ამისა, ყველა ცხოველთაგან მხოლოდ მარტო ფრინველებს შეუძლიათ ისწავლონ ლაპარაკი; და ყველაზე უფრო უშნო ხმის პატრონ ფრინველს—თუთიყუშს—ყველაზე მეტად აქვს ეს უნარი. ნურავინ იფიქრებს, ვითომც თუთიყუშს არ ესმოდეს, რასაც ლაპარაკობს. რასაკვირველია, მას შეუძლია მთელი საათები უაზროდ იმეორებდეს მთელი თავისი სიტყვების მარაგს მარტო იმიტომ, რომ უყვარს ლაპარაკი და ადამიანთა საზოგადოება, მაგრამ მას შეუძლია თავისი ნათქვამის გაგებაც, რამდენადაც ეს შეეფერება მის წარმოდგენათა სფეროს. შეასწავლეთ თუთიყუშს ლანძღვა ისე, რომ წარმოდგენა ჰქონდეს მის აზრზე (ამით ძალიან ერთობიან მეზღვაურები, რომლებიც ცხელი ქვეყნებიდან უკან ბრუნდებიან) და შემდეგ გააჯავრეთ იგი, მაშინ დარწმუნდებით, რომ ის ჩინებულად და შესაფერად გამოიყენებს სალანძღავ სიტყვებს ბერლინელი მეწვრილმანე დედაკაცივით. ასევე იქცევა ის საცუცნავის გამოტყუების დროს.

ჯერ შრომა, ხოლო მის შემდეგ და მასთან ერთად მეტყველება, — აი არსებითი სტიმულები, რომელთა გავლენით მაიმუნის ტვინი თანდათან გადაიქცა ადამიანის ტვინად, რომელიც ძირითად სტრუქტურულ მსგავსებასთან ერთად გაცილებით მეტი მოცულობისაა და უფრო განვითარებული. ტვინის თანდათან განვითარებასთან ერთად წარმოებდა განვითარება მისი უახლოესი იარაღებისა—გრძნობათა ორგანოებისა. როგორც მეტყველების თანდათან განვითარებას აუცილებლად მოჰყვებოდა მეტი განვითარება და გამახვილება სმენის ორგანოსი, ასევე ტვინის განვითარებას საერთოდ მოსდევდა ყველა გრძნობის განვითარება საერთოდ. არწივი ადამიანზე გაცილებით უფრო შორს ხედავს, მაგრამ ადამიანის თვალი გაცილებით მეტს ამჩნევს საგანში, ვინემ არწივისა. ძაღლს ადამიანზე გაცილებით უკეთესი ყნოსვა აქვს, მაგრამ ის ვერ ამჩნევს იმ სუნთა მეასედ ნაწილსაც კი, რომლებიც ადამიანისათვის წარმოადგენს სხვადასხვა ნივთის გარკვეულ ნიშნებს. შეხების გრძნობაც, რომელიც მაიმუნებს ძლიერ უხეში და განუვითარებელი აქვთ, ადამიანში შემუშავდა შრომის შედეგად, თვით ხელის განვითარებით. ტვინი და მისი ქვემდებარე გრძნობები, ცნობიერება, რომელიც სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, ნიჭი აბსტრაქციისა და მსჯელობისა,—ყველაფერი ეს უკუზეგავლენას ახდენდა შრომასა და მეტყველებაზე და აძლევდა ახალ ბიძგს შემდეგი განვითარებისაკენ; განვითარების ეს პროცესი არ შეჩერებულა მაიმუნის საბოლოოდ ადამიანად გადაქცევის მომენტიდან. არამედ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხში გა-

ნირჩეოდა ხარისხით და მიმართულებით, ხან კი, ადგილობრივი დროებითი რეგრესის გამო. წყდებოდა კიდეც, მაგრამ საერთოდ მძლავრად მიდიოდა წინ. ამას მიემატა კიდევ ადამიანის ჩამოყალიბებით წარმოშობილი — *საზოგადოება**, რომელიც ერთი მხრით ძალუმად მიაქანებდა წინ შრომისა და მეტყველების განვითარებას, მეორე მხრით კი აძლევდა მათ გარკვეულ მიმართულებას.

სანამ ხეებზე მცოცავი მაიმუნების ჯოგი ადამიანთა საზოგადოებად გადაიქცეოდა, ალბათ, ასი ათასი წლები გავიდოდა, რასაც დედამიწის ისტორიაში არა აქვს იმაზე მეტი მნიშვნელობა, ვიდრე წამს ადამიანის ცხოვრებაში**. მაგრამ ბოლოს მაინც წარმოიშვა ეს საზოგადოება. რა არის დამახასიათებელი განსხვავება მაიმუნის ჯოგსა და ადამიანთა საზოგადოებას შორის? — *შრომა**. მაიმუნთა ჯოგი კმაყოფილდებოდა მით, რომ სრულებით შთანთქავდა მზა საკვების მარაგს, რომლის ოდენობაც განსაზღვრული იყო გეოგრაფიული პირობებით ან სხვა ჯოგების წინააღმდეგობით; შემდეგ ის შეუდგებოდა გადასახლებას და იბრძოდა ახალი მდიდარი უბნის მოსაპოვებლად; მაგრამ ამ უბნიდან მაიმუნებს არ შეეძლოთ მიეღოთ იმაზე მეტი, რასაც ის იძლეოდა თვითონ, ბუნებრივად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ისინი შეუგნებლად ანაყოფიერებდნენ ნიადაგს თავისი ექსკრემენტებით. როგორც კი ყველა საკვებით მდიდარ უბნებს დაიპყრობდნენ, მაშინვე მაიმუნთა მოსახლეობის გამრავლება უნდა შეჩერებულიყო, უკეთეს შემთხვევაში მათი რიცხვი შეიძლება დარჩენილიყო ერთ დონეზე. მაგრამ ყველა ცხოველს ეტყობა დიდი ფლანგვა კვების საგნებისა და ამავე დროს ისინი ჩანასახშივე სპობენ მათ ბუნებრივ ნამატს. მგელი მონადირესავით არ დაინდობს დედა ნიამორს, რომელმაც უახლოეს წელს უნდა იმრავლოს; საბერძნეთში თხებმა, რომლებმაც გადაჭამეს ნორჩი ბუჩქნარები, სავსებით გაატიტვლეს ამ ქვეყნის მთები. ცხოველთა ასეთი „მტაცებლური მეურნეობა" საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათი ჯიშების თანდათანი შეცვლის დროს, ვინაიდან აიძულებს მათ მიეჩვიონ არაჩვეულებრივ საჭმელებს, რის გამოც მათი სისხლი ღებულობს სხვა ქიმიურ შედგენილობას და საზოგადოდ მთელი ფიზიკური კონსტიტუცია თანდათან იცვლება; ამავე დროს განვითარების ერთ წერტილზე გაყინული ჯიშები ისპობა.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ მტაცებლურმა მეურნეობამ ენერგიულად შეუწყო ხელი ჩვენ წინაპართა გაადამიანების პროცესს. მაიმუნის იმ მოდგმისათვის, რომელიც ჭკუითა და შეგუების ნიჭით სჯობდა ყველა დანარჩენთ, საჭმელ მცენარეთა რაოდენობა სულ მატულობდა; მატულობდა ამ მცენარეთა საჭმელად სახმარი ნაწილეჩი, ერთი სიტყვით, საჭმელი ხდებოდა მრავალნაირი და მასთან ერთად მრავალნაირი ხდებოდა ორგანიზმში შემავალი სხვადასხვა ელემენტები, რომლებიც ქმნიდნენ ქიმიურ წინამძღვრებს გაადამიანებისათვის. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ არის შრომა. *შრომის პროცესი იწყება მხოლოდ იარაღის გაკეთების მომენტიდან.* რას წარმოადგენენ უძვე-

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

** ამ საკითხში ერთმა პირველხარისხოვანმა ავტორიტეტთაგანმა — ვ. ტომსონმა — გამოიანგარიშა, რომ სულ ცოტა ასი მილიონი წელი მაინც უნდა გასულიყო, სანამ დედამიწა იმდენად გაგრილდებოდა, რომ შესაძლებელი გახდებოდა მასზე მცენარეთა და ცხოველთა წარმოშობა

ლესი იარაღები ისტორიის წინადროინდელი ადამიანის სამკაულის საგნების მიხედვით და იმის მიხედვით, თუ როგორ ცხოვრობდნენ ძველი ისტორიული ხალხები ან როგორ ცხოვრობენ უფრო პრიმიტიული თანამედროვე ველურები? ეს იარაღები წარმოადგენენ სანადირო და სათევზაო ხელსაწყოებს. პირველი მათგანი ამავე დროს საომარი იარაღიცაა. მაგრამ ნადირობა და თევზაობა გულისხმობენ წმინდა მცენარეულ საჭმელთან ერთად ხორცის ხმარებაზედაც გადასვლას, ხოლო ეს კი წარმოადგენს ახალ არსებით ნაბიჯს გაადამიანებისაკენ. ხორცეული საჭმელი* თითქმის მზამზარეულად შეიცავს ყველა მთავარ ნივთიერებას, რაც კი ესაჭიროება ორგანიზმს ნივთიერებათა ცვლისათვის. ხორცეულმა საჭმელმა შეამოკლა მონელების პროცესი, რის გამოც ორგანიზმში შემოკლდა სხვა პროცესების დროც, შედარებით იმ დროსთან, ამავე პროცესს რომ სჭირდებოდა მცენარეულობით საზრდოობის ხანაში; ასეთი გზით ადამიანმა მოიგო დრო, მასალა და ენერგია წმინდა ცხოველური სიცოცხლის გამოვლინებისათვის, და რაც უფრო შორდებოდა მცენარეს ადამიანი, მით უფრო მაღლდებოდა იგი ცხოველზე. როგორც გარეული კატები და ძაღლები ხორცთან ერთად მცენარეულობის ჭამამ აქცია ადამიანთა მომსახურეებად, ისე ამგვარმავე საზრდომ ხელი შეუწყო ადამიანის სხეულის ძალ-ღონისა და დამოუკიდებლობის გაძლიერებას. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ხორცეული საჭმლის გავლენა ტვინზე, რომელსაც ახლა უხვად მოსდიოდა მისი განვითარებისა და საზრდოობისათვის ყველა აუცილებელი ნივთიერება რის გამოც ტვინს შეეძლო თაობიდან თაობამდე, ჩქარა და უფრო სრულად განვითარებულიყო. თუ არ გამირისხდებიან პატივცემული ვეგეტარიანელები, უნდა აღვნიშნო, რომ ხორცეული საჭმელი იყო აუცილებელი წინამძღვარი ადამიანის განვითარებისა და თუ ხორცის ჭამას ყველა ხალხში ამა თუ იმ დროს თან მოსდევს კაცის ჭამაც (ბერლინელთა წინაპრები—ველატაბები, ანუ ვილცები—მეათე საუკუნეშიაც კი ჭამდნენ თავიანთ მშობლებს), ახლა ამასთან ჩვენ საქმე აღარა გვაქვს.

ხორცის ჭამას მოჰყვა შემდეგში ორი გაუმჯობესებული შედეგი დიდი მნიშვნელობისა: ცეცხლის ხმარება და ცხოველთა მოშინაურება. პირველმა კიდევ უფრო შეამოკლა საჭმლის მონელების პროცესი, ვინაიდან ცეცხლის წყალობით, ასე ვთქვათ, სანახევროდ მონელებული საჭმელი მოსდიოდა პირს, მეორემ კი გაამდიდრა ხორცის მარაგი და ნადირობასთან ერთად შექმნა ახალი, უფრო რეგულარული წყარო საზრდოს საშოვნელად; გარდა ამისა, რძისა და მისი პროდუქტების სახით მოიპოვა ახალი საკვები ნივთიერება, რომელიც შემადგენელი ელემენტებით ხორცს არ ჩამოუვარდებოდა. ამრიგად, ცეცხლმა და მოშინაურებულმა ცხოველებმა უშუალოდ ხელი შეუწყეს ადამიანის ემანსიპაციას. ჩვენ ერთობ შორს დაგვჭირდებოდა წასვლა, რომ შევუდგომოდით იმის გამორკვევას, თუ როგორი იყო სათითაოდ ცეცხლისა და მოშინაურებული ცხოველის არაპირდაპირი გავლენა ადამიანზე, რაც უნდა დიდი იყოს მათი როლი ადამიანისა და საზოგადოების განვითარების საქმეში.

მსგავსად იმისა, როგორც ადამიანი შეეჩვია ყველაფრის ჭამას, რაც კი იშოვებოდა, ის შეეჩვია ყოველნაირ ჰავაში ცხოვრებას. ის გაიფანტა და დასახლდა მთელ დედამიწაზე. ის იყო ერთადერთი ცხოველი, რომელსაც ეს შეეძლო. სხვა ცხოველებმა კი, რომელნიც შეეჩვივნენ სხვადასხვა ჰავაში ცხოვრებას, ჩაი-

---

* ხაზი ავტორისაა რ ე დ.

დინეს ეს არა საკუთარი თაოსნობით, არამედ ადამიანის წყალობით—ასეთებია შინაური ცხოველები და მწერები. პირვანდელი სამშობლოს ერთნაირი ცხელი ჰავიდან სხვა ადგილებში გადასელამ, სადაც წელიწადი ზამთრისა და ზაფხულისაგან შედგებოდა, წარმოშვა ახალი საჭიროებანი. საჭირო შეიქნა საცხოვრებელი ბინის და საჭმელების მომზადება სიცივისა და სისველისაგან თავის დასაფარავად; შეიქმნა, ამგვარად ახალი დარგები შრომისა და აქტივობის ახალი ფორმები, რომლებიც კიდევ უფრო აშორებს ადამიანს ცხოველისაგან.

ხელების, მეტყველების ორგანოებისა და ტვინის ერთობლივი მუშაობის წყალობით, როგორც ცალკე პიროვნულად, ისე მთელ საზოგადოებაში, ადამიანმა მოიპოვა შესაძლებლობა სულ უფრო რთული ოპერაციების შესასრულებლად, მას შეეძლო დაესახა და სისრულეში მოეყვანა უფრო მაღალი მიზნები. თვით შრომა თაობიდან თაობამდე ღებულობდა სხვა ხასიათს, უფრო სრულს და მრავალმხრივს. ნადირობასა და მესაქონლეობას დაემატა მიწის მუშაობა და ამას კიდევ რთვა და ქსოვა, ლითონების დამუშავება, მეჭურჭლეობა, ნაოსნობა. ვაჭრობა-მრეწველობასთან ერთად ადგილს იჭერს ხელოვნება და მეცნიერება; ტომებიდან განვითარდნენ ერები და სახელმწიფოები. განვითარდა სამართალი და პოლიტიკა და მასთან ერთად რელიგიაც—ეს ფანტასტიკური ასახვა ადამიანის თავში ადამიანთა მდგომარეობისა. ყოველივე ეს კაცს ეჩვენება, უწინარეს ყოვლისა, თავის (გონების) მოქმედების პროდუქტებად და ამიტომ უფრო უბრალო ნამოქმედარი ადამიანის ხელისა უკანა ადგილს იჭერს მათთან შედარებით, მით უფრო, რომ საზოგადოების განვითარების სულ ადრინდელ საფეხურზე (მაგ., პირველყოფილ ოჯახში) თავი, რომელიც ადგენდა მუშაობის გეგმას, ცდილობს შეასრულოს ეს სამუშაო სხვისი ხელებით. თავს, ტვინის განვითარებას და მოქმედებას მიაწერეს მთელი დამსახურება სწრაფად მიმდინარე ცივილიზაციისა: ხალხი შეეჩვია თავისი მოქმედების განმარტების დროს გამოსულიყო აზროვნებიდან და არა საჭიროებისაგან (რომელიც, რასაკვირველია, ცნობიერდება, აისახება თავში); ამრიგად, დროთა განმავლობაში წარმოიშვა ის იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომელმაც დაიპყრო ხალხთა გონება განსაკუთრებით ანტიკური ქვეყნის დაცემის შემდეგ, ის დღემდეც იმდენადაა გაბატონებული, რომ დარვინის სკოლის ბუნებისმეტყველი მატერიალისტებიც კი ვერ ახერხებენ იქონიონ ნათელი წარმოდგენა ადამიანის წარმატების შესახებ, იმიტომ, რომ იმყოფებიან ამ იდეალისტური გავლენის ქვეშ და არ ესმით, თუ რა როლი შეასრულა აქ შრომამ.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ცხოველებსაც შეაქვთ ცვლილება გარებუნებაში თავიანთი მოქმედებით, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც ადამიანებს; და ეს მათი მოქმედებით მომხდარი ცვლილებანი, როგორც ვნახეთ, გავლენას ახდენენ თვით მათზე. ბუნებაში არაფერი არ ხდება გამოცალკევებულად, ერთი მოვლენა გავლენას ახდენს დანარჩენებზე და პირიქით. ამ ყოველმხრივი მოძრაობისა და ურთიერთობის დავიწყებაა, ხელს რომ უშლის ჩვენს ბუნებისმეტყველებს ნათლად დაინახონ სულ უბრალო საგნები. ჩვენ ვნახეთ, როგორ აბრკოლებენ თხები ტყეების გაშენებას. წმ. ელენეს კუნძულზე თხებმა და ღორებმა, რომლებიც პირველად აქ მოსულმა მეზღვაურებმა მოიყვანეს, სავსებით მოსპეს კუნძულზე მთელი უწინდელი მცენარეულობა, და ამნაირად მომზადდა ნიადაგი, რომელზედაც გავრცელდა მეზღვაურებისა

და კოლონისტების მიერ შემდეგ მოტანილი მცენარეები. მაგრამ თუ ცხოველები ხანგრძლივ გავლენას ახდენენ მათ გარშემომცველ პირობებზე, ეს ხდება მათი მხრით რაიმე განზრახვის გარეშე და თვით ცხოველებისათვის წარმოადგენს რაღაც შემთხვევით მოვლენას. რაც უფრო შორდება ადამიანი ცხოველებს, მით უფრო ბუნებაზე მისი გავლენა იღებს ხასიათს *წინასწარ განზრახული, გეგმაშეწონილი* მოქმედებისა, რომელიც მიმართულია *წინდაწინ დასახული, გარკვეული მიზნების მიღწევისაკენ*. ცხოველი სპობს რომელიმე ადგილის მცენარეულობას ისე, რომ არ იცის, რას შვრება; ადამიანი კი სპობს იმისათვის, რომ განთავისუფლებულ ნიადაგზე დათესოს ხორბლეული, დარგოს ან გააშენოს ვენახი იმ რწმენით, რომ ისინი ასწილ აუნაზღაურებენ თავის შრომას. ადამიანს გადააქვს სასარგებლო მცენარეები და შინაური ცხოველები ერთი ქვეყნიდან მეორეში და ამრიგად სცვლის მსოფლიოს ნაწილების ფლორასა და ფაუნას, ამაზე მეტიც,—ხელოვნური შერჩევით მცენარეები და ცხოველები ადამიანის ხელში ისე იცვლებიან, რომ ვეღარ იცნობთ. დღემდის ვერ ნახეს ჩვენი პურეული მცენარეების გარეული წინაპრები. დღემდის სადაოა, რომელი გარეული მხეცისაგანაა წარმომდგარი ჩვენი ძაღლების ასეთი განსხვავებული ჯიშები ან და არა ნაკლებ მრავალრიცხოვანი ჯიშები ცხენებისა.

თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ აზრადაც არ მოგვდის უარყოფა იმისა, რომ ცხოველებს აქვთ უნარი გეგმაშეწონილი, წინდაწინ მოფიქრებული მოქმედებისა. პირიქით, გეგმიანი მოქმედების *ჩანასახი* არსებობს უკვე ყველგან, სადაც ადგილი აქვს პროტოპლაზმას, სადაც არსებობს ცოცხალი ცილა, რომელიც მოქმედებს რეაქციით, ე. ი. გარეშე გაღიზიანებას უპასუხებს მოძრაობით, თუმცა ეს მოძრაობა ზედმიწევნით მარტივია. ასეთ რეაქციას ვხედებით იქაც, სადაც უჯრედი ჯერ კიდევ არც კია,—ნერვების უჯრედებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ის საშუალება, რომლითაც მწერიჭამია მცენარეები იჭერენ თავიანთ მსხვერპლს, წარმოადგენს აგრეთვე რამოდენიმედ გეგმიან მოქმედებას, თუმცა სრულიად შეუგნებელს. შეგნებული გეგმიანი მოქმედების უნარი ცხოველებს ნერვთა სისტემის განვითარებასთან შეფარდებით უვითარდებათ და ძუძუმწოვრებში ეს ნიჭი უკვე მაღალ საფეხურს აღწევს. ინგლისში მელაზე ნადირობის დროს შეგიძლიათ საკუთარი თვალით ნახოთ, თუ რა შეუცდომლად იყენებს მელია ადგილმდებარეობის ცოდნას, რომ თავი დააღწიოს მდევრებს და რა კარგად იცის კვალის დამალვა, რისთვისაც ის სარგებლობს ადგილობრივი ნიადაგის ყველა თვისების ცოდნით. უფრო განვითარებულ შინაურ ცხოველებში, რომელთაც ადამიანებთან აქვთ ურთიერთობა, ჩვენ ყოველდღე შევხვდებით ისეთნაირ ეშმაკობის აქტებს, რომელიც ბავშვების ასეთივე აქტიობის დონეზე დგას. როგორც ადამიანის ჩანასახის განვითარება დედის საშოში წარმოადგენს შემოკლებულ გამეორებას ჩვენ ცხოველ წინაპართა ფიზიკური განვითარების მილიონიან წელთა ისტორიისა, ისე ბავშვის სულიერი განვითარება არის გამეორება, მხოლოდ უფრო შემოკლებული, იმავე წინაპრების — ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი წინაპრების ინტელექტუალური განვითარებისა. მაგრამ ყველა მხეცის ყველა გეგმიანმა მოქმედებამ ვერ მიაღწია იქამდე, რომ დედამიწას დაედებოდა ბეჭედი მათი ნებისა. ეს როლი წილად ხვდა ადამიანს.

ერთი სიტყვით, ცხოველი მხოლოდ *სარგებლობს** გარეშე ბუნებით და იწვევს მასში ცვლილებას მარტო იმით, რომ მასშივე არსებობს; ადამიანი

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

კი მის მიერ მოხდენილ ცვლილებათა საშუალებით აიძულებს ბუნებას ემსახუროს მის მიზნებს, ე. ი. ბ ა ტ ო ნ ო ბ ს  მ ა ს ზ ე*. სწორედ ამაშია უკანასკნელი და არსებითი განსხვავება ადამიანსა და ცხოველებს შორის; და ეს განსხვავებაც ისევ და ისევ შრომამ გამოიწვია (გაკეთილშობილება).

მაგრამ მეტისმეტად ნუ ვიამაყებთ ჩვენი გამარჯვებით ბუნებაზე. ყოველი ასეთი გამარჯვებისათვის ის შურს იძიებს. მართალია, პირველი ხაზით ყოველი გამარჯვება იძლევა იმ შედეგებს, რომლებსაც ვვარაუდობდით, მაგრამ მეორე და მესამე ხაზებით გამოდის სულ სხვა, გაუთვალისწინებელი შედეგები, რომელნიც ხშირად ისევ სპობენ პირველი შედეგების მნიშვნელობას. იმ ხალხებს, რომლებმაც მესოპოტამიაში, საბერძნეთში, მცირე აზიაში და სხვა ადგილებში მოსპეს ტყეები დასამუშავებელი ნიადაგის მოსაპოებლად, არც კი დასიზმრებიათ, რომ ამით მათ დასაწყისი მისცეს ხსენებული ქვეყნების უდაბნოდ გადაქცევას, მოუსპეს რა მათ ტყეების განადგურებასთან ერთად წყლის დასაგროვებელი ცენტრებიც. როცა ალპებში მცხოვრები იტალიელები ანადგურებდნენ სამხრეთ ფერდობზე ფიჭვნარის ტყეს, რომელსაც ასეთი ზრუნვით იცავდნენ ჩრდილო ფერდობებზე, მაშინ მათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ თავის რაიონში ძირს უთხრიდნენ მესაქონლეობას. კიდევ უფრო ნაკლებ ფიქრობდნენ იმაზე, რომ ამით ისინი წლის მეტი ნაწილის განმავლობაში წყალს ართმევდნენ თავიანთ მდინარეებს, რომელნიც ამის გამო წვიმების დროს დიდდებოდა და ნიაღვრებად ედებოდა დაბლობებს. ვინც კარტოფილი გაავრცელა ევროპაში, სრულიად არ ფიქრობდა, რომ მასთან ერთად ავრცელებდა სატკბურას. ამრიგად, ყოველ ნაბიჯზე უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ისე კი არ ვიპყრობთ ბუნებას, როგორც დამპყრობილი ეპატრონება სხვა, დამარცხებულ ხალხს, არა როგორც ვინმე ბუნების გარეშე მდგომი, არამედ ჩვენ ხორცით, სისხლით და ტვინით ვეკუთვნით მას, ვარსებობთ მასში და რომ ჩვენი ბატონობა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ უკეთ შეგვიძლია, ვინემ რომელიმე სხვა არსებათ, ივწვდეთ მის კანონებს და სისწორით გამოვიყენოთ ისინი.

მართლაც, ჩვენ ყოველდღე ვსწავლობთ მისი კანონების უფრო სისწორით გაგებას და გათვალისწინებას იმისა, თუ რა უახლოესი და შორეული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩვენს ჩარევას ბუნების მოვლენათა ჩვეულებრივ მიმდინარეობაში. სწორედ ჩვენ საუკუნეში**, ბუნებისმეტყველების ძლიერი პროგრესის დროს, სულ უფრო მეტი უნარი გვეძლევა გავითვალისწინოთ და ამით მოვაწესრიგოთ შორეული შედეგები, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი უფრო ჩვეულებრივი პროცესებისა. მაგრამ რაც უფრო მეტად იქცევა ეს ფაქტად, ხალხი მით უფრო იგრძნობს და მიხვდება თავის ერთიანობას ბუნებასთან; და მაშინ ადგილი აღარ ექნება იმ უაზრო და არაბუნებრივ წარმოდგენას სულისა და მატერიის, ადამიანისა და ბუნების, სულისა და სხეულის დაპირისპირებაზე, როგორც ეს ევროპაში წარმოიშვა ძველი კლასიკური ქვეყნების დაცემის შემდეგ და უმაღლეს წერტილსაც კი მიაღწია ქრისტიანობაში.

მაგრამ თუ ათასი წლები დასჭირდა მას, რომ რამოდენიმედ გვესწავლა გათვალისწინება წარმოებისაკენ მიმართულ მოქმედებათა შორეული ბ უ ნ ე ბ -

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

** XIX ს., რ ე დ.

რ ი ვ ი * შედეგისა, გაცილებით უფრო ძნელი იყო გამონგარიშება ამ მოქმედებათა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი * შედეგისა. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ კარტოფილი და მასთან დაკავშირებითი გავრცელება სატკბურასი. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს სატკბურას შედარებით იმ შედეგებთან, რაც მოჰყვა მუშების კვების კარტოფილზე გადატანას, მთელი ქვეყნების მუშათა მასების მდგომარეობისათვის, შედარებით შიმშილობასთან, რომელიც თავს დაატყდა 1847 წელს ირლანდიას კარტოფილის დაჭიანების გამო. ამ კატასტროფის შედეგად იმ ირლანდიელთაგან, რომლებიც მარტო კარტოფილით, ან თითქმის მარტო კარტოფილით იკვებებოდნენ, გაწყდა ერთი მილიონი და ორი კი გადატყორცნილ იქნა ოკეანეს იქით. როდესაც არაბებმა შეისწავლეს ალკოჰოლის დისტილაცია, მაშინ მათ არც კი ზმანებიათ, რომ შექმნეს ერთი მთავარი იარაღთაგანი, რომლის საშუალებითაც ალიხოცებოდნენ დედამიწის პირიდან ადგილობრივი მცხოვრებნი მაშინ ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ამერიკისა. როცა კოლუმბმა აღმოაჩინა ეს ამერიკა, მან არ იცოდა, რომ ამით ის ხელახლა გამოიწვევდა დიდი ხნით ადრე ევროპაში მოსპობილ მონობას და შექმნიდა ნიადაგს ზანგებით ვაჭრობისათვის. ის ხალხი, რომელიც XVII და XVIII სს ორთქლის მანქანის შესაქმნელად მუშაობდნენ, ვერ გრძნობდნენ, რომ ქმნიდნენ იარაღს, რომელსაც ყოველივე სხვაზე უკეთ შეუძლია მთელი ქვეყნის, კერძოდ ევროპის, საზოგადოებრივი მდგომარეობის რევოლუციონიზირება იმით, რომ უმცირესობის მხარეზე სიმდიდრის კონცენტრაციით და დიდი უმრავლესობის გაღატაკებით ის ჯერ ბურჟუაზიას მიანიჭებს სოციალურ და პოლიტიკურ ბატონობას, შემდეგ გამოიწვევს კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, რომელსაც შეუძლია დაბოლოვდეს მხოლოდ ბურჟუაზიის დაცემით და ყოველივე კლასობრივ წინააღმდეგობათა მოსპობით. მაგრამ ამ სფეროშიაც ხანგრძლივი და ხშირად მკაცრი გამოცდილებით და ისტორიული მასალის შეკრებისა და ანალიზის გზით თანდათან ვსწავლობთ ჩვენი საწარმოო მოღვაწეობის უფრო შორეული, არაპირდაპირი შედეგების გათვალისწინებას. ამნაირად გვეძლევა შესაძლებლობა მათი რეგულაციისა და დამორჩილებისა.

მაგრამ რეგულაციის პრაქტიკული განხორციელებისათვის როდი კმარა მარტო უბრალო შემეცნება. ამისათვის აუცილებელია სრული გადატრიალება წარმოების დღემდის არსებული წესისა და მასთან ერთად მთელი დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილებისა.

წარმოების დღემდის არსებული ყველა საშუალებანი მიისწრაფოდნენ, რომ მიეღოთ შრომისაგან უშუალო სასარგებლო ეფექტი. ის შედეგები კი, რომლებიც მომავალშია მოსალოდნელი და გადამწყვეტი მნიშვნელობის ხდება მხოლოდ თანდათანი გამეორებისა და დაგროვების მეოხებით, რჩება ყურადღების გარეშე. პირველყოფილი თემური საკუთრება მიწაზე შეეფერებოდა ერთი მხრით ადამიანთა განვითარების იმ საფეხურს, როცა მათი ჰორიზონტი შემოფარგლული იყო, საერთოდ, უახლოესი მოვლენებით, მეორე მხრით კი—დასამუშავებლად გამოსადეგი მიწის სიჭარბეს, რაც შესაძლებელს ხდიდა ასეთი პირველყოფილი მეურნეობის ცუდი შედეგების გამოსწორებას. ამ სიჭარბის მოსპობასთან ერთად ილუპება მიწის სათემო სარგებლობაც. წარმოების ყველა უმაღლესი

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

ფორმის შემდგომმა განვითარებამ მიგვიყვანა საზოგადოების კლასებად დაყოფამდე და ამასთანავე ანტაგონიზმამდე გაბატონებულ და დამონებულ კლასთა შორის. ამის გამო გაბატონებული კლასის ინტერესები გახდნენ ერთადერთ წამახალისებელად წარმოებისათვის, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ კმაყოფილდებოდა მარტო იმ პროდუქტების დამზადებით, რომლებიც აკმაყოფილებდა ჩაგრულთა ელემენტარულ მოთხოვნილებას. ყველაზე უფრო ნათლად ეს ჩანს ახლა ევროპაში გაბატონებულ კაპიტალისტური წარმოების წესში. კერძო კაპიტალისტებს, რომელნიც განაგებენ წარმოებას და გაცვლას, შეუძლიათ იზრუნონ თავიანთ მოქმედებათა მხოლოდ უშუალოდ სასარგებლო რეზულტატზე, და ეს სარგებლიანობის ეფექტიც, რამდენადაც საქმე ეხება დამზადებულ ან გაცვლილ საგანს, სრულიად უკანა რიგში გადადის და გაყიდვის დროს მიღებული სარგებელი ხდება ერთადერთ წამახალისებელ მოვლენად.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში“, К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, XIV, 452—464.

II

# აღზრდა-განათლების ზოგადი საკითხები

# ალზრდა-განათლების ზოგადი საკითხები

## 1. მეცნიერებასთან მისასვლელი გზა

მეცნიერებასთან მისასვლელად არ არსებობს ფართო სამხედრო გზა და მხოლოდ იმას აქვს შანსი მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა, რომელსაც მის კლდოვან ბილიკებზე ასვლა მოითხოვს.

კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", ფრანგ. გამოც. წინასიტყ. (I. გვ. XXXIII).

თქვენ არ უნდა გეშინოდეთ სულის მუშაობის, ვინაიდან ნამდვილია მხოლოდ ის ენთუზიაზმი, რომელიც არწივის მსგავსად არ უშინდება სპეკულაციის მოღუშული ღრუბლებისა და აბსტრაქციის მაღალი ფენების გაუხშოებულ ჰაერს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ჭეშმარიტების გზისკენ სრბოლას.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „იმერმანის მოგონებანი", К. Маркс и Фр. Энгельс, Сочинения, II, 88*.

## 2. ბრძოლა თეორიული მიმართულებით

...მას შემდეგ, რაც მუშათა მოძრაობა არსებობს, ბრძოლა შეთანხმებულად, მთლიანად და გეგმაშეწონილად სწარმოებს **სამი მიმართულებით**, სახელდობრ: **თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკულ-ეკონომიური** (წინააღმდეგობა კაპიტალისტებისადმი) მიმართულებით.

...საჭიროა გაორკეცებული ძალ-ღონით ვიმუშაოთ ბრძოლისა და აგიტაციის ყოველ დარგში. ეს განსაკუთრებით მეთაურების ვალია, თანდათან **გამოარკვიონ თეორიული საკითხები**, თანდათან განთავისუფლდნენ ძველი მსოფლმხედველობის მიერ ნაანდერძევი ფრაზებისაგან და მუდამ მხედველობაში იქონიონ, რომ **მას შემდეგ, რაც სოციალიზმი მეცნიერება გახდა, მას** ისე უნდა მოვექცეთ, როგორც **მეცნიერებას შეეფერება, ე. ი. შევისწავლოთ**. საჭიროა, რომ ამრიგად **შეთვისებული და თანდათანობით გამორკვეული მოძღვრება გაძლიერებული გულმოდგინებით გავავრცელოთ მუშათა მასებში** და როგორც პარტიის, ისე პროფკავშირების ორგანიზაცია უფრო და უფრო მჭიდროდ შევკრათ.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „გლეხთა ომი გერმანიაში", 18-19, 1932

---

* ეს გამოცემა ქვევით ყველგან მითითებული გვექნება შემოკლებით: М. Э. Соч. რ ე დ.

### 3. საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა და მისი ზედნაშენი

ყოველი განსაზღვრული დროის საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა წარმოადგენს რეალურ საძირკველს, რომლითაც საბოლოო ინსტანციაში აიხსნება საერთო ზედნაშენი თითოეული ეპოქის უფლებრივი და პოლიტიკური დაწესებულებებისა და აგრეთვე რელიგიური, ფილოსოფიური და სხვა წარმოდგენებისა.

ფრ. ენგელსი, „ანტიდიურინგი", 9,1933

ეკონომიურ პირობებს ჩვენ ვუცქერით როგორც ისტორიული განვითარების განმსაზღვრელს საბოლოო ინსტანციაში... მაგრამ აქ არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან ორი პუნქტი:

ა) პოლიტიკური, უფლებრივი, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურული, მხატვრული და სხვ. განვითარება ეყრდნობა ეკონომიურ საფუძველს. მაგრამ ყველა ესენი გავლენას ახდენენ ერთიმეორეზე და აგრეთვე ეკონომიურ საფუძველზე...

ფრ. ენგელსი, წერილი შტაკენბურგთან 25.1.1894 წ., კ. მარქსი, „რჩ. ნაწ." 348, 1932.

თუ ტექნიკა, როგორც თქვენ ამბობთ, უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია მეცნიერების მდგომარეობაზე, კიდევ უფრო მეტადაა მეცნიერება დამოკიდებული ტექნიკის მდგომარეობასა და მოთხოვნილებაზე*, თუ საზოგადოებას აქვს ტექნიკის მოთხოვნილება, ის უფრო შეუწყობს ხელს მეცნიერების განვითარებას, ვიდრე ათი უნივერსიტეტი.

ფრ. ენგელსი, იქვე.

* ხაზი ავტორისაა. რედ.

## 4. საზოგადოების გაბატონებული იდეები

თითოეულ ეპოქაში გაბატონებული კლასის აზრები არის საერთოდ გაბატონებული, ე. ი. კლასი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების გაბატონებულ მატერიალურ ძალას, არის ამავე დროს მისი გაბატონებული სულიერი ძალა.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგია", М. Э. Соч. IV, 36

აბა, რას ამტკიცებს იდეათა ისტორია, თუ არა იმას, რომ გონებრივი წარმოება გარდაიქმნება ხოლმე მატერიალურ წარმოებასთან ერთად? ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები ყოველთვის იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის იდეები.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „კომუნისტური მანიფ.", 49, 1940

## 5. ისტორია ადამიანის ბუნების გარდაქმნაა

ბ-მა პრუდონმა არ იცის, რომ მთელი ისტორია ადამიანის ბუნების განუწყვეტელ გარდაქმნას წარმოადგენს მხოლოდ.

კ. მარქსი, „ფილოსოფიის სიღატაკე", 220, 1931.

...აქამდე ჩვენ განვიხილავდით ადამიანის მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს: ადამიანის მიერ ბუნების დამუშავებას; მეორე მხარეს წარმოადგენს ადამიანის მიერ ადამიანის დამუშავება...

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგია", М. Э. Соч. IV. 26.

---

## ჩ. ისტორიზმის პრინციპი მეცნიერებაში

ეკონომიური კატეგორიები მხოლოდენ თეორიული გამოსახულებაა, აბსტრაქციებია წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა. ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსი, იღებს რა საგნებს უკუღმა, ხედავს მათში მხოლოდ იმ პრინციპების, იმ კატეგორიების განხორციელებას, რომლებიც, გვეუბნება კვლავ ფილოსოფოსი ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი, სთვლემდა „კაცობრიობის უპიროვნო გონების“ წიაღში.

ეკონომისტი ბ-ნი პ რ უ დ ო ნ ი კარგად მიხვდა, რომ ადამიანები მაუდის, ტილოს, აბრეშუმის ქსოვილებს ამზადებენ განსაზღვრულ წარმოების ურთიერთობათა პირობებში, მაგრამ რასაც იგი ვერ მიხვდა, ეს არის ის, რომ ეს განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობანიც ისევე ადამიანთა მიერ არიან წარმოებული, როგორც ტილო, სელი და სხვ. საზოგადოებრივი ურთიერთობანი მჭიდროდ არიან დაკავშირებული საწარმოო ძალებთან. ახალ საწარმოო ძალთა შეძენასთან ერთად ადამიანები სცვლიან თავიანთ წესს წარმოებისას, და წარმოების წესის, თავიანთი არსებობის საშუალებათა მოპოების წესის ცვლილებით ისინი სცვლიან თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობათ. ხელის წისქვილი იძლევა ფეოდალ-ბატონიან საზოგადოებას, ორთქლის წისქვილი—მრეწველ-კაპიტალისტიან საზოგადოებას.

იგივე ადამიანები, რომელნიც აწესებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათ თავიანთი წარმოების წესის შესაბამისად, ქ მ ნ ი ა ნ ა გ რ ე თ ვ ე პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ს, ი დ ე ე ბ ს, კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ს თ ა ვ ი ა ნ თ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ.

ამგვარად, ეს იდეები, ეს კატეგორიები ისევე ნაკლებ არის მარადიული, როგორც ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი გამოსახავენ. ი ს ი ნ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ დ ა გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ პ რ ო დ უ ქ ტ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ.

ადგილი აქვს შეუწყვეტელ მოძრაობას საწარმოო ძალთა ზრდისას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რღვევისას, იდეათა წარმოშობისას: უმოძრაოა მხოლოდ მოძრაობის აბსტრაქცია, mors imortalis (უკვდავი სიკვდილი).

კ. მ ა რ ქ ს ი, „ფილოსოფიის სიღატაკე“, 171-2

თეორიული აზროვნება ყოველი ეპოქისა და, მაშასადამე, ჩვენი ეპოქისაც, არის ისტორიული პროდუქტი; რომელიც სხვადასხვა დროს სრულიად სხვადასხვანაირ ფორმას ღებულობს და ამის გამო სრულიად სხვადასხვანაირ შინაარს იძენს. ამგვარად, მეცნიერება აზროვნების შესახებ, ისე როგორც ყოველი სხვა მეცნიერება, არის ისტორიული მეცნიერება, მეცნიერება ადამიანის აზროვნების ისტორიული განვითარების შესახებ.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „Анти—Дюринг“, 240, 1933.

## 7. აღზრდის განმარტება

მუშათა კლასის უფრო შეგნებულ ნაწილს კარგად ესმის, რომ მისი კლასის, მაშასადამე, *კაცობრიობის*, *მომავალი დამოკიდებულია მთლიანად მოზარდი თაობის აღზრდაზე*...

ალზრდის სახით ჩვენ გვესმის სამი რამ:

პირველი: *გონებრივი აღზრდა**,

მეორე: *ფიზიკური აღზრდა**, ისეთი, როგორსაც იძლევა ტანვარჯიშობის სკოლები და სამხედრო ვარჯიშობანი,

მესამე: *ტექნიკური სწავლება**, რომელიც აცნობს წარმოების ყველა პროცესის ძირითად პრინციპებს და ამავე დროს აძლევს ბავშესა და მოზარდს ყველა წარმოების უმარტივესი იარაღების გამოყენების ჩვევებს.

კ. *მარქსი*, „ინსტრუქცია დრ. ცენტრალური საბჭოს დელეგატებს“, М. Э. Соч. XIII, ნაწ. I, 199

*აღზრდას მხედველობაში აქვს ფიზიკური და სულიერი განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრება*

ფრ. *ენგელსი*, „უახლეს დროში აღმოცენებული კომენისტ. კოლონიების აღწერა“, М. Э. Соч., III, 266.

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

## 8. აღზრდის აქტიური როლი ადამიანისა და გარემოების ცვალებადობის პროცესში

მატერიალიზმის მთავარი ნაკლი დღემდე, ფეიერბახის ჩათვლით, ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობადი გამოცდილების სფეროს მხოლოდ *ობიექტის** ან *განჭვრეტის* ფორმაში იხილავს და არა *ადამიანის გრძნობადი მოქმედების* ფორმაში, არა პრაქტიკაში, არა სუბიექტურად. ამიტომ მოხდა, რომ *მოქმედ* მხარეს წინააღმდეგ მატერიალიზმისა იდეალიზმი ავითარებდა, მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგან იდეალიზმი, რასაკვირველია, ნამდვილ, გრძნობად მოქმედებას, როგორც ასეთს, არ იცნობს. ფეიერბახი აღიარებს გრძნობადს, აზროვნებითი ობიექტებისაგან ნამდვილად განსხვავებულ ობიექტებს; მაგრამ იგი თვით ადამიანის მოქმედებას არ უცქერის როგორც *საგნობრივ* მოქმედებას. ამიტომ „ქრისტიანობის არსებაში" იგი მხოლოდ თეორიულ მოქმედებას იხილავს როგორც ნამდვილ ადამიანურ მოქმედებას, მაშინ როცა პრაქტიკა იქ მხოლოდ ბილწ ჟურიულ ფორმაშია გაგებული და ჩამოყალიბებული. ამიტომ მას არ ესმის „რევოლუციური", პრაქტიკულ-კრიტიკული მოქმედების მნიშვნელობა.

2

საკითხი, მიეკუთვნება თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ჭეშმარიტება, თეორიის საკითხს კი არ წარმოადგენს, არამედ პრაქტიკულს. ადამიანმა პრაქტიკაში უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ჭეშმარიტება, ე. ი. სინამდვილე და ძალა, მისი გამოღმურობა. კამათი პრაქტიკიდან გამოთიშული აზროვნების რეალობისა და არარეალობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია.

3

მატერიალისტური მოძღვრება, რომ ადამიანები *გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები არიან*, მაშასადამე, *შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი პირობებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიან*, ივიწყებს, რომ *გარემოებას სწორედ ადამიანები ცვლიან და რომ აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს*. ამიტომ ამ მოძღვრებას აუცილებლად საზოგადოების ორ ნაწილად გათიშვისაკენ მიეყავართ, ერთი მათგანი საზოგადოებაზე მაღლა დგას (მაგ., რობერტ ოუენის მიხედვით).

გარემოებათა და ადამიანთა მოქმედების ცვლილებების თანამთხვევა შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ და რაციონალურად გავიგოთ როგორც რევოლუციური პრაქტიკა.

---

* ხაზი ყველგან, გარდა მე-3 თეზისისა, ავტორისაა. მე-3 თეზისის ხაზი ჩვენ გვეკუთვნის. რ ე დ.

## 4

ფეიერბახი გამოდის რელიგიური თვითგანსხვავების, ქვეყნიერების გაორებების ფაქტიდან; ერთი მხრით რელიგიური, წარმოსახვითი ქვეყანაა, მეორე მხრით—საერო. მისი მუშაობა იქითაა მიმართული, რომ რელიგიური ქვეყნიერება მის საერო საფუძველზე დაიყვანოს. ვერ ამჩნევს, რომ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ მთავარი საქმე მაინც გასაკეთებელი რჩება. სახელდობრ ის ფაქტი, რომ საერო საფუძველი თავის თავს შორდება და დამოუკიდებელი სამეფოს სახით ღრუბლებში მყარდება, შეიძლება სწორედ ამ საერო საფუძვლის თვითგათიშვითა და შინაგანი წინააღმდეგობით აიხსნას. ამრიგად, ეს უკანასკნელი, ერთი მხრით, თვით გაგებულ უნდა იქნას მისი წინააღმდეგობითურთ, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად გარევოლუციურებულ იქნას ამ წინააღმდეგობის აცილების გზით. მაშასადამე, რაკი, მაგალითად, წმინდა ოჯახის საიდუმლოება ამქვეყნიურ ოჯახში აღმოვაჩინეთ, ეს უკანასკნელი თეორიულად უნდა გავაკრიტიკოთ და პრაქტიკულად გარდავქმნათ.

## 5

ფეიერბახი არ კმაყოფილდება განყენებული აზროვნებით და გრძნობად განჭვრეტას მიმართავს; მაგრამ იგი გრძნობადობას არ იხილავს როგორც პრაქტიკულ, ადამიანურ გრძნობად მოქმედებას.

## 6

ფეიერბახს რელიგიური არსება ადამიანის არსებაზე დაჰყავს. მაგრამ ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. ნამდვილად იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა.

ამიტომ ფეიერბახი, რომელიც ამ ნამდვილი არსების კრიტიკას არ აწარმოებს, იძულებულია:

1) განყენდეს ისტორიული მსვლელობისაგან, ფიქსაცია უყოს რელიგიურ გრძნობას თავისთავად და ადამიანური ინდივიდი იგულისხმოს აბსტრაქტულად, განცალკევებულად;

2) ამიტომ ადამიანური არსება, მისი აზრით, შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ როგორც „მიდგომა", როგორც შინაგანი, მუნჯი ყოვლადობა, რომელიც მხოლოდ ბუნებრივად აკავშირებს მრავალ ინდივიდს.

## 7

ამიტომ ფეიერბახი ვერ ხედავს, რომ თვით „რელიგიური გრძნობა" საზოგადოებრივი პროდუქტია და რომ განყენებული პიროვნება, რომელსაც იგი ანალიზს უკეთებს, სინამდვილეში საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას ეკუთვნის.

## 8

საზოგადოების ცხოვრება არსებითად პრაქტიკულია. ყველა მისტერია, რომელსაც თეორია მისტიციზმისაკენ მიჰყავს, თავის რაციონალურ ახსნას პოულობს ადამიანის პრაქტიკასა და ამ პრაქტიკის გაგებაში.

## 9

უმაღლესი პუნქტი, რომელსაც მ ჭ ვ რ ე ტ ე ლ ო ბ ი თ ი მატერიალიზმი აღწევს, ე. ი. მატერიალიზმი, რომელსაც გრძნობადობა არ ესმის როგორც პრაქტიკული მოქმედება, ესაა ცალკე ინდივიდისა და „სამოქალაქო საზოგადოების“ * შეხედულება.

## 10

ძველი მატერიალიზმის თვალსაზრისით „სამოქალაქო“ საზოგადოებაა; ახალი მატერიალიზმის თვალსაზრისია ადამიანთა საზოგადოება, ანუ განსაზოგადოებული კაცობრიობა.

## 11

ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ დ ნ ე ნ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ სამყარო შ ე ც ვ ლ ი ლ ი ქ ნ ე ს.

კ. მ ა რ ქ ს ი, „თეზისები ფეიერბახის შესახებ“, რჩ. ნაწ., 422-424

---

* აქ „Bürgerliche Gesellschaft“ ნახმარია როგორც „სამოქალაქო საზოგადოება“, არა ბურჟუაზიული საზოგადოება, არამედ, როგორც ჰეგელი ხმარობს, საზოგადოება ეკონომიურ ურთიერთობათა ერთობლიობის აზრით, განსხვავებით პოლიტიკურ ორგანიზმისაგან—სახელმწიფოსაგან. „რ ჩ. ნ ა წ.“ რ ე დ.

## 9. ჩვენი მომავალი დამოკიდებულია მოზარდ თაობაზე

კიდევ ერთი შენიშვნა: იმერმანი ამბობს, რომ იმ ეპოქის ხასიათი, რომელსაც იგი აგვიწერს „მოგონებებში“, იყო უმთავრესად ჭაბუკური: ჭაბუკური მოტივები და ჭაბუკური განწყობილებები მეტყველებდნენ მაშინ. მაგრამ განა იგივე არ ეტყობა ჩვენ დროსაც? ძველი ლიტერატურული თაობა სამარეში ჩაესვენა. სიტყვის იარაღს ახალგაზრდობა დაეუფლა, *ჩვენი მომავალი*, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, *დამოკიდებულია მოზარდ თაობაზე*, ვინაიდან მას მოუხდება იმ წინააღმდეგობათა გადაჭრა, რომლებიც უფრო და უფრო ღრმავდება. მართალია, მოხუცები საშინლად ჩივიან ახალგაზრდობაზე, და, მართლაც, ის ძალიან გაუგონარია, მაგრამ დეე მოხუცები თავის გზით წაეიდნენ: ახალგაზრდობა გამოკეთდება და ისინი კი, ვისაც გზა დაებნევა, თვითონ იქნებიან ამაში დამნაშავენი. ახალგაზრდობის საცდელ ქვას წარმოადგენს ახალი ფილოსოფია. საჭიროა მისი გავლა, მით გამსჭვალვა და ამავე დროს ახალგაზრდული ენთუზიაზმის შენარჩუნება. ვისაც ეშინია იმ უღრანი ტყისა, რომელშიაც მდებარეობს იდეათა სასახლე, ვინც ხმალამოწვდილი არ მიჭკაფავს მას და თავისი ამბორით არ აღვიძებს მძინარე მეფის ასულს, ის არ არის არც მისი, არც მისი სამეფოს ღირსი. მას შეუძლია გახდეს სოფლის მღვდელი, ვაჭარი, ასესორი ან რომელიც მას სურს, მას შეუძლია ცოლი შეირთოს, წესიერად იყოლიოს ბავშვები, მაგრამ საუკუნე მას არ აღიარებს თავის შვილად. თქვენ ამისათვის არ გინდათ აუცილებლად გახდეთ ძველ-ჰეგელიანელნი, ატრიალოთ ტერმინები—„თავისთავად“, „თავისათვის“, „გაერთმთლიანება“, „მოღმური“ და სხვ. მაგრამ თქვენ არ უნდა გეშინოდეთ სულის მუშაობის, ვინაიდან ნამდვილია მხოლოდ ის ენთუზიაზმი, რომელიც არწივის მსგავსად არ უშინდება სპეკულაციის მოღუშული ღრუბლებისა და აბსტრაქციის მაღალი ფენების გაუხშოებულ ჰაერს მაშინ, როცა საქმე ეხება ჭეშმარიტების გზისაკენ სრბოლას. ამ აზრით თანამედროვე ახალგაზრდობამაც გაიარა ჰეგელის სკოლა; სისტემის გამოფიტული კოლოფიდან ახალგაზრდულ მკერდში ბრწყინვალედ ამოვიდა არა ერთი თესლი. სწორედ ეს აძლევს თანამედროვეობას განსაკუთრებულ რწმენას, რომ მისი ბედი დამოკიდებულია არა საქმისმოშიშარ კეთილგონებაზე, არა სიბერის ჩვეულებად ქცეულ ფილისტერობაზე, არამედ კეთილშობილ და დაუცხრომელ ახალგაზრდულ ცეცხლზე. ვიბრძოლოთ ამიტომ თავისუფლებისათვის, სანამ გვერჩის ახალგაზრდობა და სავსენი ვართ ცეცხლისებური ძალით; ვინ იცის, შეიძლება, აღარც კი გვექნეს ამის უნარი, როდესაც ჩვენ სიბერე შემოგვეპარება.

ფრ. ენგელსი, „იმერმანის მოგონებანი“, М. Э. Соч., II, 88.

## 10. აღზრდა-განათლების საზოგადოებრივ-ისტორიული ხასიათი

/...ამგვარად, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარსული ბატონობს აწმყოზე, კომუნისტურ საზოგადოებაში კი აწმყო ბატონობს წარსულზე./ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალი თავისთავადი და პიროვნულია, მაშინ როდესაც მოქმედი ინდივიდუმი არათავისთავადი და უპიროვნოა.

და ამ ურთიერთობის მოსპობას ბურჟუაზია უწოდებს პიროვნებისა და თავისუფლების მოსპობას! მართალიც არის. საქმე ნამდვილად ეხება ბურჟუაზიული პიროვნების, ბურჟუაზიული თავისთავადობისა და ბურჟუაზიული თავისუფლების მოსპობას...

თქვენ თავზარდაცემული ხართ იმის გამო, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ კერძო საკუთრება. მაგრამ თქვენს დღევანდელ საზოგადოებაში კერძო საკუთრება უკვე მოსპობილია მის წევრთა ცხრა მეათედისათვის; იგი არსებობს სწორედ იმის მეოხებით, რომ არ არსებობს ცხრა მეათედისათვის. მაშასადამე, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ ის საკუთრება, რომელიც აუცილებელ პირობად გულისხმობს საკუთრების არქონას საზოგადოების დიდძალი უმრავლესობის მიერ.

ერთი სიტყვით, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ თქვენი საკუთრება. მართალია: ჩვენ ეს გვსურს.

იმ წუთიდან, როდესაც შრომა ველარ გადაიქცევა კაპიტალად, ფულად, მიწის რენტად, მოკლედ—იმ საზოგადოებრივ ძალად, რომელიც შეიძლება მონოპოლიზებულ იქნეს, ე. ი. იმ წუთიდან, როდესაც პირადი საკუთრება ველარ გადაიქცევა ბურჟუაზიულ საკუთრებად,—აი ამ წუთიდან პიროვნება მოსპობილიაო, აცხადებთ თქვენ.

მაშასადამე, თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ პიროვნებად სხვას არავის სცნობთ, გარდა ბურჟუასი, ბურჟუაზიული მესაკუთრისა. ეს პიროვნება მართლა უნდა მოისპოს.

კომუნიზმი არავის არ ართმევს საზოგადოებრივი პროდუქტების მისაკუთრების შესაძლებლობას, იგი მხოლოდ იმის შესაძლებლობას ართმევს, რომ ამ მისაკუთრების შემწეობით მონად გაიხადონ სხვისი შრომა.

გვეუბნებიან, კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად მოისპობა ყოველივე საქმიანობა და საყოველთაო ზარმაცობა გამეფდებაო.

ეს რომ ასე იყოს, ბურჟუაზიული საზოგადოება დიდი ხანია უნდა დაღუპულიყო ზარმაცობის გამო, ვინაიდან აქ ის, ვინც მუშაობს, არაფერს იძენს, ხოლო ვინც იძენს, არ მუშაობს. ყველა ამგვარი შიში იმ ტავტოლოგიის გამომთქმელია, რომ აღარ იქნება დაქირავებული შრომა, რაკი აღარ იქნება კაპიტალი.

ყველა ის შენიშვნა, რომლებიც მიმართულია მატერიალური პროდუქტების მისაკუთრებისა და წარმოების კომუნისტური წესის წინააღმდეგ, ვრცელ-

დება აგრეთვე გონებრივი შრომის პროდუქტების მისაკუთრებასა და წარმოებაზე. როგორც კლასობრივი საკუთრების მოსპობა ბურჟუას თვით წარმოების მოსპობად მიაჩნია, ისევე კლასობრივი განათლების მოსპობა მის წარმოდგენაში საერთოდ განათლების მოსპობას ნიშნავს.

განათლება, რომლის დაღუპვას ის დასტირის, დიდძალი უმრავლესობისათვის მანქანად გადაქცევის განათლებაა.

მაშ, ნუ გვედავებით, რამდენადაც თქვენ ბურჟუაზიული საკუთრების მოსპობას ზომავთ თანახმად თქვენი ბურჟუაზიული შეხედულებისა თავისუფლების, განათლების, უფლების და სხვ. შესახებ. თვით თქვენი იდეები ბურჟუაზიული საკუთრების ურთიერთობის ნაყოფი არის, ისე როგორც თქვენი უფლება არის მხოლოდ კანონად გამოცხადებული ნება-სურვილი თქვენი კლასისა, ნება-სურვილი, რომლის შინაარსი თქვენი კლასის ცხოვრების მატერიალური პირობებითაა განსაზღვრული.

თქვენი მიკერძებული წარმოდგენის ზეგავლენით თქვენს საწარმოო და საკუთრების ურთიერთობათ, რომელნიც არიან ისტორიულად წარმოშობილნი და წარმოების განვითარების მსვლელობაში წარმავალნი, თქვენ აცხადებთ ბუნებისა და გონების მუდმივ კანონებად, და ამით თქვენ გავხართ ყველა უწინ გაბატონებულ და დაღუპულ კლასს. რასაც თქვენ მიმხვდარი ხართ ანტიკური საკუთრების შესახებ ან ფეოდალური საკუთრების შესახებ, იმას თქვენ ვერ ბედავთ მიხვდეთ ბურჟუაზიული საკუთრების შესახებ.

ოჯახის მოსპობა! თვით უკიდურესი რადიკალებიც კი აღშფოთებული არიან კომუნისტების ამ საზიზღარი განზრახვის გამო.

რაზეა დამყარებული თანამედროვე, ბურჟუაზიული ოჯახი? კაპიტალზე, კერძო შეძენაზე. სავსებით განვითარებულად იგი მხოლოდ ბურჟუაზიისათვის არსებობს; მაგრამ იგი თავის დამატებას პოულობს პროლეტართა იძულებითს უოჯახიანობასა და საჯარო პროსტიტუციაში.

ბუნებრივია, რომ ბურჟუას ოჯახი მოისპობა ამ მისი დამატების მოსპობასთან ერთად და ორივენი გაქრებიან კაპიტალის გაქრობასთან ერთად.

ან იმას ხომ არ გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ ბავშვების ექსპლოატაცია მშობლების მიერ? ჩვენ ვაღიარებთ ამ დანაშაულს.

მაგრამ თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენ ვსპობთ ადამიანისათვის უუძვირფასეს ურთიერთობას, როდესაც *შინაური აღზრდის* ადგილას ვამყარებთ *საზოგადოებრივ აღზრდას*.

მაგრამ განა თქვენებური აღზრდა კი არ არის *საზოგადოების მიერ განსაზღვრული*? განა იგი არაა განსაზღვრული *იმ საზოგადოებრივი ურთიერთობით, რომელშიაც თქვენ იზრდებით*, არაა განსაზღვრული საზოგადოების პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევით სკოლის მეშვეობით და ა. შ.? *კომუნისტებს როდი შეუთხზავთ საზოგადოების გავლენა აღზრდაზე; ისინი მხოლოდ სცვლიან ამ აღზრდის ხასიათს, აცლიან მას გაბატონებული კლასის გავლენას.*

ბურჟუაზიული ყბედობა ოჯახსა და აღზრდაზე, მშობლებისა და შვილების გულითადს ურთიერთობაზე მით უფრო ზიზღის მომგვრელი ხდება, რაც უფრო ირღვევა პროლეტარებისათვის ყველა ოჯახური კავშირი, მსხვილი მრეწველობის განვითარების წყალობით, და შვილები უბრალო სავაჭრო საგნებად და სამუშაო იარაღებად იქცევიან.

მაგრამ თქვენ, კომუნისტებს, ხომ ცოლების ერთობის შემოღება გსურთ,— ერთხმად მოგვყვირის მთელი ბურჟუაზია.

ბურჟუა თავის ცოლს უცქერის როგორც უბრალო საწარმოო იარაღს. მას ესმის, რომ საწარმოო იარაღები საერთოდ უნდა იქნეს გამოყენებული და, რასაკვირველია, სხვანაირად არ შეუძლია იფიქროს, თუ ეს ერთობა ცოლების ხვედრადაც არ წარმოიდგინა.

მას აზრად არ მოსდის, რომ საქმე სწორედ იმას შეეხება, რომ მოსპობილ იქნეს ქალის ისეთი მდგომარეობა, როდესაც იგი წარმოების უბრალო იარაღს წარმოადგენს.

მართლაცდა მეტად სასაცილოა ჩვენი ბურჟუების მაღალზნეობრივი ძრწოლა ვითომ ცოლების ოფიციალური ერთობის გამო კომუნისტებში. კომუნისტებს არ სჭირდებათ ცოლების ერთობის შემოღება, იგი თითქმის მუდამ არსებობდა.

ჩვენი ბურჟუები, რომლებიც არ კმაყოფილდებიან მით, რომ მათ განკარგულებაში არიან მათი პროლეტარების ცოლები და ქალიშვილები, ოფიციალურ პროსტიტუციაზე რომ სულაც არაფერი ვთქვათ, უმთავრეს სიამოვნებას იმაში ჰპოვებენ, რომ ერთმანეთის ცოლებს შეაცდენენ ხოლმე.

ბურჟუაზიული ქორწინება სინამდვილეში ცოლების ერთობას წარმოადგენს. კომუნისტებისათვის დიდი-დიდი ის თუ შეიძლებოდა ესაყვედურათ, რომ ამ ფარისევლურად დამალული ცოლთა ერთობის ადგილას მათ სურთ შემოიღონ ოფიციალური, აშკარა ცოლთა ერთობა. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ დღევანდელი საწარმოო პირობების მოსპობასთან ერთად მოისპობა აგრეთვე იქიდან გამომდინარე ცოლთა ერთობა, ე. ი. გაქრება ოფიციალური და არაოფიციალური პროსტიტუცია...

ნუთუ ღრმააზრიანობაა საჭირო იმის გასაგებად, რომ **ადამიანთა ცხოვრების პირობების, მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის, მათი საზოგადოებრივი ყოფიერების ცვლილებასთან ერთად იცვლებიან აგრეთვე მათი წარმოდგენანი, შეხედულებანი, ცნებანი, ერთის სიტყვით—იცვლება მათი ცნობიერება.**

აბა, რას ამტკიცებს იდეათა ისტორია, თუ არა იმას, რომ გონებრივი წარმოება გარდაიქმნება ხოლმე მატერიალურ წარმოებასთან ერთად? **ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები ყოველთვის იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის იდეები.**

ლაპარაკობენ იდეებზე, რომელნიც მთელ საზოგადოებას არევოლუციურებენ; ამით გამოსთქვამენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ძველი საზოგადოების შიგნით დაიბადნენ ახალი საზოგადოების ელემენტები, რომ ძველი ცხოვრების პირობების დარღვევასთან ერთად იმავე ნაბიჯით მიდის ძველი იდეების დარღვევაც.

როცა ძველმა ქვეყანამ დაცემისაკენ იბრუნა პირი, ძველი რელიგიები ქრისტიანულმა რელიგიამ დაამარცხა. როდესაც მე-18 საუკუნეში ქრისტიანულ იდეებზე გაიმარჯვეს განმანათლებელთა იდეებმა, ფეოდალური საზოგადოება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა მაშინდელ რევოლუციურ ბურჟუაზიასთან. სინდისისა და რელიგიის თავისუფლების იდეები გამოხატავდნენ თავისუფალი კონკურენციის ბატონობას სინდისის სფეროში. „მაგრამ", გვეტყვიან, „რელიგიური, მორალური, ფილოსოფიური, პოლიტიკური, უფლებრივი და სხვ. იდეები, რასაკვირველია, იცვლებოდნენ ისტო-

რიული განვითარების მსვლელობაში. ხოლო ამ ცვლილებაში შენარჩუნებული რჩებოდა მუდამ რელიგია, მორალი, ფილოსოფია, პოლიტიკა, უფლება.

„გარდა ამისა, არსებობენ სამარადისო ჭეშმარიტებანი, როგორიც არის თავისუფლება, სამართლიანობა და სხვ., რომლებიც საერთოა ყველა საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის. კომუნიზმი კი სპობს სამარადისო ჭეშმარიტებას, იგი სპობს რელიგიას, მორალს, ნაცვლად იმისა, რომ განაახლოს ისინი; მაშასადამე, იგი ეწინააღმდეგება მთელ აქამომდელ ისტორიულ განვითარებას".

რას ამბობს ბოლოს და ბოლოს ეს ბრალდება? მთელი აქამომდელი საზოგადოების ისტორია მოძრაობდა კლასთა პირისპირობის ფარგალში, რაც სხვადასხვაგვარ სახეს იღებდა სხვადასხვა ეპოქებში.

მაგრამ რა ფორმაც კი უნდა მიეღო მას, საზოგადოების ერთი ნაწილის ექსპლოატაცია მეორის მიერ არის ფაქტი, რომელიც საერთოა ყველა წარსული საუკუნისათვის. ამიტომ არაა საკვირველი, რომ ყველა საუკუნის საზოგადოებრივი ცნობიერება, ყველა მრავალფეროვნებისა და ყველა განსხვავების მიუხედავად, განსაზღვრულ საერთო ფორმებში მოძრაობდა, ისეთ ფორმებში,—ცნობიერების ფორმებში,—რომელნიც მხოლოდ კლასობრივი პირისპირობის სრულ მოსპობასთან ერთად მოისპობიან სავსებით.

კომუნისტური რევოლუცია ნიშნავს უაღრეს რადიკალურად კავშირის გაწყვეტას ტრადიციულ საკუთრების ურთიერთობასთან; გასაკვირველი არაა, რომ იგი თავისი განვითარების მსვლელობაში უაღრეს რადიკალურად სწყვეტს კავშირს ტრადიციულ იდეებთან...

მაგრამ დავანებოთ თავი კომუნიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, ზემოთ, რომ პირველ ნაბიჯს მუშათა რევოლუციაში წარმოადგენს პროლეტარიატის გადაქცევა გაბატონებულ კლასად, დემოკრატიის დაპყრობა...

9) მიწათმოქმედების შეერთება მრეწველობასთან, ხელის შეწყობა ქალაქისა და სოფლის პირისპირობის თანდათანობით მოსპობისათვის.

10) ყველა ბავშვის საზოგადოებრივი და უსასყიდლო აღზრდა. ბავშვთა საფაბრიკო შრომის ახლანდელი ფორმის მოსპობა. აღზრდის შეერთება მატერიალურ წარმოებასთან და ა. შ. და ა. შ.

როდესაც განვითარების მსვლელობაში მოისპობა კლასთა განსხვავება და ყველა წარმოება ასოციაციებში გაერთიანებულ პიროვნებათა ხელში მოიყრის თავს, მაშინ საჯარო ხელისუფლება დაჰკარგავს თავის პოლიტიკურ ხასიათს. პოლიტიკური ხელისუფლება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის ერთი კლასის ორგანიზებული ძალა მეორე კლასის დასათრგუნავად. თუ პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებლად ერთიანდება კლასად, რევოლუციის გზით თავის თავს გაბატონებულ კლასად აქცევს და როგორც გაბატონებული კლასი ძალით სპობს ძველ საწარმოო ურთიერთობებს,—ცხადია, ამ საწარმოო ურთიერთობებთან ერთად იგი სპობს კლასობრივი პირისპირობის საარსებო პირობებს, აგრეთვე კლასებს საერთოდ და ამით თავის საკუთარ, როგორც კლასის, ბატონობასაც.

ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ადგილას მისი კლასებით და კლასობრივი პირისპირობითურთ დგება ასოციაცია, სადაც თითოეულის თავისუფალი განვითარება წარმოადგენს პირობას ყველას თავისუფალი განვითარებისას.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „კომუნისტ მანიფ", 44—52, 1940.

## 11. ბურჟუაზიული სახელმწიფო და სახალხო განათლება

### ა) ბურჟუაზია არ აძლევს ხალხს ნამდვილ განათლებას

ჩვენ არ შეუდგებით იმის განხილვას, რომ... განათლება საერთოდ დამოკიდებულია ცხოვრების პირობებზე, რომ ბურჟუაზია ზნეობრივი აღზრდის სახით გულისხმობს ბურჟუაზიული პრინციპების შთანერგვას და რომ ბურჟუაზიულ კლასს არ აქვს სახსრები მისცეს ხალხს ნამდვილი განათლება, ხოლო კიდეც რომ ჰქონოდა მას ეს სახსრები—მაინც არ გამოიყენებდა.

კ. მარქსი, „შრომის ხელფასი“, M. Э. Соч. V, 516—7

### ბ) ბერჟუაზიულ სახელმწიფოში შეუძლებელია თანასწორი სახალხო განათლება

„გერმანიის მუშათა პარტია მოითხოვს როგორც სახელმწიფოს სულიერ და ზნეობრივ საფუძველს:

1. საყოველთაო და თანასწორ სახალხო განათლებას* სახელმწიფოს მიერ. საყოველთაო სასკოლო ვალდებულებას, უსასყიდლო სწავლებას“.

(„გოთას პროგრამიდან“).

თანასწორი სახალხო აღზრდა-განათლება?* რას გულისხმობენ ამ სიტყვებით? განა ფიქრობენ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში (და საქმე მხოლოდ მასთან აქვთ) აღზრდა-განათლება შეიძლება თანასწორი* იყოს ყველა კლასისათვის? თუ მოითხოვენ, რომ უმაღლესი კლასებიც იძულებით დაყვანილი უნდა იქნენ დაბალ აღზრდა-განათლებაზე, სახალხო სკოლის დონეზე, რომელიც მარტოდმარტო შეეთავსება არა მხოლოდ დაქირავებული მუშების, არამედ აგრეთვე გლეხების ეკონომიურ პირობებს?

„საყოველთაო სასკოლო ვალდებულება. უსასყიდლო სწავლება“. პირველი ამათგანი უკვე არსებობს გერმანიაში, მეორე—შვეიცარიისა და შეერთებული შტატების სახალხო სკოლებში. თუ ზოგიერთ შტატში აგრეთვე უფრო მაღალი სასწავლებლებიც „უსასყიდლოა“, ფაქტიურად ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ უმაღლესი კლასები თავიანთი აღზრდა-განათლების ხარჯებს საყოველთაო სახარჯო ქისიდან ფარავენ. გაკვრით აღვნიშნავ, რომ იგივე შეეხება მუხლში A. 5 მოთხოვნილ „უსასყიდლო მართლმსაჯულებას“. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ყველგან უსასყიდლოა; სამოქალაქო მართლმსაჯულება თითქმის მხოლოდ საკუთრების კონფლიქტების გარშემო ბრუნავს, მაშასადამე, მხოლოდ

---

* ხაზი ავტორისაა. რედ.

შელობელ კლასებს ეხება. ამათაც სახალხო ქისის ხარჯზე უნდა აწარმოონ თავიანთი პროცესები?

პარაგრაფს სკოლების შესახებ, ყოველ შემთხვევაში, უნდა მოეთხოვა ტექნიკური სკოლები (თეორიული და პრაქტიკული) სახალხო სკოლასთან დაკავშირებით.

სრულიად უარსაყოფელია „სახალხო აღზრდა-განათლება სახელმწიფოს მიერ"*: საყოველთაო კანონის საშუალებით სახალხო სკოლების სახსართა, სამასწავლებლო პერსონალის კვალიფიკაციის, სწავლა-განათლების დარგების და სხვ. განსაზღვრა, და, როგორც ეს შეერთებულ შტატებშია, სახელმწიფო ინსპექტორების მეშვეობით ამ კანონის მიერ დადგენილ წესებზე მეთვალყურეობა, სულ სხვა რამ არის, ვიდრე სახელმწიფოს დანიშვნა ხალხის აღმზრდელად! პირიქით, მთავრობისა** და ეკლესიის ყოველგვარი გავლენა სკოლაზე თანაბრად გამოსარიცხავია. პრუსია-გერმანიის იმპერიაში (და აზაოა თავის მართლება ამით: „მომავლის სახელმწიფოზეა" ლაპარაკიო; ჩვენ დავინახეთ, თუ როგორაა საქმე ამ სახელმწიფოს შესახებ) სახელმწიფო, პირიქით, საჭიროებს მეტად მკაცრ აღზრდას ხალხის მიერ.

კ. მარქსი, „გოთას პროგრამის კრიტიკა", 35—36, 1932

### გ) მუშათა აღზრდა-განათლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში

მუშათა ცხოვრების ფიზიკური პირობებიდან გადავიდეთ მათ სულიერ მდგომარეობაზე. თუ ბურჟუაზია მათ აძლევს ცხოვრების საშუალებას იმდენად, რამდენადაც ეს მისთვის საჭიროა, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ის განათლებას აძლევს მათ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მის ინტერესებს შეიცავს. და ეს, მართლაც, არც ისე ბევრი რამაა. მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით ინგლისში ძალიან ცოტაა საგანმანათლებლო დაწესებულებანი. მცირერიცხოვან სკოლებში, რომლებიც მისაწვდომია მუშათა კლასისათვის, ძალიან ცოტას შეუძლია მოხვდეს. გარდა ამისა, ეს სკოლებიც ძალიან ცუდადაა დაყენებული: მასწავლებლები იქ ინვალიდებია ან სხვა საქმისათვის გამოუსადეგარი ხალხია, რომლებიც მასწავლებლად მიდიან იმისათვის, რომ ექნეთ რაიმე შემოსავალი (ხელფასი), და თვითონ უმეტეს ნაწილად მოკლებულნი არიან აუცილებელ და ყველაზე ელემენტარულ ცოდნას, არ აქვთ მასწავლებლისათვის საჭირო ზნეობრივი თვისებები და არ ექვემდებარებიან არავითარ საზოგადოებრივ კონტროლს. აქაც ბატონობს თავისუფალი კონკურენცია, და როგორც ყველგან, მდიდრები ამით მოგებულნი რჩებიან, ღარიბები კი, რომელთათვისაც სწორედ არაა თავისუფალი კონკურენცია, რომელთაც არა აქვთ საჭირო ცოდნა, რომ იმსჯელონ ამაზე, ზარალობენ. სავალდებულო სასკოლო სწავლება არსად არაა; ფაბრიკებში ეს სწავლება, როგორც ამას დავინახავთ, მხოლოდ სახელით არსებობს. როცა 1843 წლის სესიაში მთავრობა ცდილობდა ეს მოჩვენებითი ვალდებულება სწავლების სინამდვილედ ექცია, სამრეწველო ბურჟუაზია ებრძოდა ამას ყოველი ძალით, თუმცა მუშები გადაჭრით ებრძოდნენ სავალდებულო სასკოლო სწავლებას. გარდა ამისა, მეტად უამრავი ბავშვი მუშაობს მთელ კვირას ფაბრიკებსა და სახლში და ამიტომ არ ძალუძთ სკოლაში სია-

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

** მარქსს მხედველობაში აქვს ბურჟუაზიული მთავრობა. რ ე დ.

რული. ს ა ღ ა მ ო ს ს კ ო ლ ე ბ შ ი* კი, რომლებიც არსებობს დღისით მომუშავეთათვის, თითქმის არავინ დადის და მათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. მეტად ბევრის მოთხოვნა იქნება, რომ ახალგაზრდა მუშები, გაწვალებულნი თორმეტი საათის განმავლობაში, კიდევ დარჩნენ სკოლაში საღამოს რვიდან ათ საათამდე. ხოლო იმათ, ვინც დადის საღამოს სკოლაში, მეტწილად ეძინებათ მეცადინეობის დროს, როგორც ეს აღნიშნულია ასეული მოწმობებით Children's Fmployment Commission*-ის ანგარიშებში. მართალია, მოწყობილი იყო საკვირაო სკოლებიც, მაგრამ იქ ძალიან ცოტაა მასწავლებლები, და მათ შეუძლია რამდენადმე სარგებლობა მოუტანონ მხოლოდ იმათ, ვისაც რაიმე უკვე უსწავლია ჩვეულებრივ სკოლებში. ერთი კვირიდან მეორე კვირამდე გასული დრო ძალიან დიდია და ამიტომ ძნელია სავსებით განუვითარებელ ბავშვს მეორე გაკვეთილამდე ახსოვდეს, რაც ისწავლა პირველზე, ე. ი. ერთი კვირის წინათ. აღნიშნულ კომისიას მოჰყავს ათასობით მოწმობა თავისი აზრის დასასაბუთებლად და გადაჭრით გამოთქვამს იმ აზრს, რომ არც ჩვეულებრივი, არც საკვირაო სკოლები ოდნავადაც კი ვერ აკმაყოფილებს განათლებისადმი ხალხის მოთხოვნილებას.

ამ ანგარიშში მოყვანილია დასაბუთებანი ინგლისის მუშათა კლასის ისეთი უმეცრებისა, რაიც ძნელი მოსალოდნელია ისეთ ქვეყნებშიაც კი, როგორიცაა ესპანეთი და იტალია. მაგრამ განა შეიძლება სხვანაირი მდგომარეობა იყოს? მუშების განათლება ბურჟუაზიას კარგს არაფერს უქადის, ის მხოლოდ საფრთხეს უმზადებს მას. თავისი უდიდესი ბიუჯეტიდან, 55.000.000 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, მთავრობა სახალხო განათლებაზე ხარჯავს არა უმეტეს 40.000 გირვ. სტერლინგისა. და რომ არ არსებობდეს რელიგიური სექციების ფანატიზმი, რომელსაც არა ნაკლებ ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა, ხარჯები განათლებაზე კიდევ უფრო უმნიშვნელო იქნებოდა, მაგრამ სხვადასხვაგვარი სექტების სიმრავლის გამო ანგლიკანური ეკლესია აწყობს თავის ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ს კ ო ლ ე ბ ს (national schools)*, ხოლო ყოველი სექტა—თავის სკოლებს; ყოველივე ეს კეთდება მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ თავიანთ ეკლესიის წიაღში თავიანთი ერთმორწმუნენი და, თუ შესაძლო იქნება, წაართვან ამა თუ იმ ბავშვის სული სხვა სექტას. ამის შედეგად რელიგია, სახელდობრ მისი ყველაზე უფრო უნაყოფო დარგი—პოლემიკა, გადაიქცა სწავლების ყველაზე მნიშვნელოვან საგნად, და ბავშვების მეხსიერებას ტვირთავენ გაუგებარი დოგმებით და სხვადასხვაგვარი თეოლოგიური წვრილმანით. სექტანტური სული და ფანატიკური ფარისევლობა ვითარდება ადრევე, მცირე ასაკიდან, ხოლო გონიერი სულიერი და ზნეობრივი განვითარება სავსებით უკუგდებული რჩება. მუშებმა უკვე არა ერთხელ მოითხოვეს პარლამენტისაგან, რომ შემოღებულ იქნას წმინდა საერო საზოგადოებრივი აღზრდა, ხოლო რელიგიის სწავლება გადაიქცეს ყოველი სექტის სამღვდელოების საქმედ, მაგრამ დღემდე მათ ვერ მონახეს ისეთი სამინისტრო, რომელიც ამაზე დათანხმდება. ეს სავსებით გასაგებია: მინისტრი ბურჟუაზიის მორჩილი მონაა, ბურჟუაზია კი იყოფა მრავალ სექტად; ყოველი სექტა კი მხოლოდ მაშინაა თანახმა მისცეს მუშას სხვა მხრივ სახიფათო განათლება, როცა იგი (მუშა) განათ-

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ .

ლებასთან ერთად მიიღებს მის საწინააღმდეგო წამალს დოგმების სახით, რომლებიც ყოველი სექტის სპეციალურ კუთვნილებას შეადგენს. და რადგან ეს სექტები დღემდე კიდევ იბრძვიან პირველობისათვის, ამიტომ მუშათა კლასი ჯერ გაუნათლებლად რჩება. მართალია, ფაბრიკანტები იკვეხიან, რომ მათ წერა-კითხვა ასწავლეს მუშების უდიდეს უმრავლესობას, მაგრამ თუ რა ასწავლეს მათ, ეს ჩანს იმავე კომისიის ანგარიშიდან. ვინც ანბანი იცის, ის ამბობს, რომ კითხვა იცის, და ფაბრიკანტები ამით კმაყოფილდებიან. თუ მხედველობაში მიეიღებთ აბნეულ ინგლისურ ორთოგრაფიას, სადაც კითხვა წარმოადგენს ნამდვილ ოსტატობას და შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ხანგრძლივი შესწავლით, მაშინ მუშათა კლასის უმეცრება მეტად ბუნებრივი აღმოჩნდება. წერა სავსებით შეუძლია მხოლოდ ზოგიერთს, ხოლო ორთოგრაფიულად სწორად წერა არ შეუძლია ბევრ „განათლებულ“ პირსაც კი. მაღალი ეკლესიის, კვაკერების და კიდევ სხვა სექტების საკვირაო სკოლებში წერას სრულებით არ ასწავლიან. „რადგანაც ეს კვირისათვის მეტად საერო საქმედ მიაჩნიათ“.

ფ რ . ე ნ გ ე ლ ს ი. „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, М. Э. Соч., III, 402—404.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, თუ რა გააკეთეს ბურჟუაზიამ და სახელმწიფომ მუშათა კლასის აღზრდისა და განათლებისათვის. საბედნიეროდ, პირობები, რომლებშიაც ეს კლასი ცხოვრობს, ისეთია, რომ აძლევს მას პრაქტიკულ განათლებას, რომელიც არა მარტო ცვლის ამ სასკოლო ხარახურას, არამედ აგრეთვე უვნებელს ხდის მასთან დაკავშირებულ აბნეულ რელიგიურ წარმოდგენებს და მუშებს ინგლისის ნაციონალური მოძრაობის სათავეშიაც კი აყენებს. გაჭირვება ასწავლის ლოცვას და—რაც გაცილებით მნიშვნელოვანია—აზროვნებასა და მოქმედებას. ინგლისელმა მუშამ, რომელსაც ძლივს შეუძლია წერა და კიდევ უფრო ნაკლებად კითხვა, მიუხედავად ამისა, მშვენივრად იცის, თუ რაში მდგომარეობს მთელი ერის ინტერესები; მან იცის აგრეთვე, თუ როგორია ბურჟუაზიის სპეციალური ინტერესები და რას შეიძლება მოელოდეს იგი მისგან. თუ მან არ იცის წერა, სამაგიეროდ იცის ლაპარაკი, მაგრამ აშკარად ლაპარაკი საზოგადოებრივ ადგილებში; თუ მან არ იცის არითმეტიკა, სამაგიეროდ მაინც იმდენად შეუძლია გამოიყენოს პოლიტიკურ-ეკონომიური ცნობები, რამდენადაც ეს საჭიროა იმისათვის, რომ მთელი სიგრძე-სიგანით დაინახოს ბურჟუა, რომელიც ცდილობს პურზე ბაჟის გაუქმებას, და უკუაგდოს იგი; თუ, მიუხედავად ხუცების ყოველგვარი ზომებისა, ზეციური ხასიათის საკითხები სავსებით გაუგებარი რჩება მისთვის, სამაგიეროდ იგი მით უფრო უკეთესად ერკვევა მიწიერ, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში. ჩვენ ამას კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი დავახასიათოთ ინგლისელ მუშათა ზნეობრივი სახე.

მორალური აღზრდა ინგლისის ყველა სკოლაში განუყრელადაა დაკავშირებული რელიგიურ აღზრდასთან, ამიტომ სავსებით ცხადია, რომ პირველის შედეგები უკეთესი არ უნდა იყოს მეორის შედეგებზე. ელემენტარული პრინციპები, რომლებიც ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს* აწესრიგებს ერთი ადამიანის ურთიერთობას მეორესთან, არ შეიძლებოდა უაღრესად არ აბნეულიყო სოციალურ

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ .

პირობებში, რომლებსაც ახასიათებს ყველას ომი ყველას წინააღმდეგ; მაგრამ ეს პრინციპები მით უფრო უნდა დარჩენილიყო გაუგებარი და უცხო გაუნათლებელი მუშისათვის, რომ ისინი შერეულია მისთვის გაუგებარ რელიგიურ დოგმატებთან და გამოხატულია თვითნებურ და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ბრძანების ფორმით. როგორც ამას აღიარებს ყველა ავტორიტეტი და განსაკუთრებით Children's Fmployment Commission, სკოლებს არ აქვთ თითქმის არავითარი გავლენა მუშათა კლასის ზნეობაზე. ინგლისის ბურჟუაზია ისე უგნურია, ისე არა შორსმჭვრეტელია თავის ეგოიზმში, რომ ის არც კი ცდილობს ჩაუნერგოს მუშებს თანამედროვე მორალი,—ის მორალი, რომელიც ბურჟუაზიამ შეთითხნა საკუთარი ინტერესებისათვის და საკუთარი თავის დასაცავად. ეს ზრუნვაც კი თავის საკუთარ ინტერესებზე მეტად ძნელია ძაბუნი, ზარმაცი ბურჟუაზიისათვის, ესეც კი ზედმეტად ეჩვენება მას. დადგება, რასაკვირველია, დრო, როცა ის ინანებს ამას, მაგრამ უკვე გვიან იქნება. ყოველ შემთხვევაში, მას არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს, თუ მუშებმა არაფერი იციან ამ მორალის შესახებ და არ ხელმძღვანელობენ მით.

ამგვარად, ხელისუფლება, მქონებელთა კლასი, უყურადღებოდ სტოვებს მუშებს არა მარტო ფიზიკური და ინტელექტუალური (განვითარების) მხრით, არამედ მორალური მხრითაც. ერთადერთი არგუმენტი, რომელსაც ბურჟუაზია მიმართავს მათ წინააღმდეგ, როცა ისინი ძალიან დააჭერენ მას ფეხს, არის კანონი; მათ მიმართ, როგორც უგნური საქონლისადმი, იყენებენ მხოლოდ ერთ აღმზრდელ საშუალებას — მათრახს, უხეშს, არადამარწმუნებელს, მაგრამ შემაშინებელ ძალას. რა არის გასაკვირველი, თუ მუშები, რომლებსაც ეპყრობიან როგორც საქონელს, ან მართლაც ხდებიან საქონელი, ანდა თავისი ადამიანური ღირსების შეგნებასა და გრძნობას ინარჩუნებს მხოლოდ უაღრესი მძულვარების, განუწყვეტელი შინაგანი აღშფოთების მეოხებით მქონებელი ბურჟუაზიის ხელისუფლების წინააღმდეგ. ისინი ადამიანებად რჩებიან, მხოლოდ სანამ აღსავსენი არიან მრისხანებით გაბატონებული კლასის წინააღმდეგ; ისინი ხდებიან საქონელი, როგორც კი უდრტვინელად წაუშვერენ კისერს უღელს და უღელქვეშ ყოფნის პირობებში ცდილობენ მოაწყონ თავიანთი ცხოვრება და არ ფიქრობენ თვით უღლის გადაგდებაზე.

აი, ყოველივე ის, რაც ბურჟუაზიამ გააკეთა მუშათა კლასის განათლებისათვის. თუკი მხედველობაში მივიღებთ მთელ რიგ სხვა პირობებს, რომლებშიაც ის ცხოვრობს, მას არ შეიძლება დანაშაულად ჩაეუთვალოთ ის სიძულვილი, რომელიც აქვს გაბატონებული კლასისადმი. ზნეობრივი განათლება, რომელსაც მუშა არ იღებს სკოლაში, არ ეძლევა მას დანარჩენი ირგვლივ არსებული პირობებითაც,—ყოველ შემთხვევაში, ის ზნეობრივი განათლება, რომელსაც ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ბურჟუაზიის თვალში.

იქვე, 405—406.

მუშების ყველა ბიწიერება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი თავდაუჭერელი არიან სიამოვნებაში, მათ არ აქვთ შორსმჭვრეტელობა და მორჩილება არსებული სოციალური წყობილებისადმი, საერთოდ, არ ძალუძთ ახლანდელი მომენტის სიამოვნება მსხვერპლად მიიტანონ უფრო შორეული სარგებლიანობისათვის. მაგრამ რა არის ამაში საკვირველი? კლასი, რომელიც თითქმის არაფერს არ იღებს ჯილდოდ თავისი მძიმე მუშაობისათვის, ან იღებს მხოლოდ მეტად მდაბალ

სიამოვნებას, ბრმად და ხარბად უნდა დაეწაფოს ამ სიამოვნებას! თუ არავინ ზრუნავს ამ კლასის განათლებაზე, თუ მთელი მისი მდგომარეობა ისეთია, რომ ის დამოკიდებულია მრავალგვარ შემთხვევით მოვლენაზე და არ შეიძლება იყოს დარწმუნებული ხვალინდელ დღეში, მაშინ რა აზრი აქვს, რა ინტერესი აქვს მისთვის, რომ ის იყოს წინდახედული, ეწეოდეს „რიგიან" ცხოვრებას და ახლანდელი მომენტის სიამოვნება დათმოს მომავლის სიამოვნებისათვის,—სიამოვნებისათვის, რაიც სწორედ მ ი ს თ ვ ი ს *, რომელსაც სულ მუდამ არაუზრუნველყოფილი მდგომარეობა აქვს, ჯერ კიდევ მეტად საეჭვოა? იმ კლასისაგან, რომლის ხვედრია არსებული სოციალური წყობილების ყველა არასასარგებლო მხარე და რომელიც არ სარგებლობს არც ერთი მისი უპირატესობით, იმ კლასისაგან, რომლისათვისაც ეს სოციალური წყობილება მხოლოდ მტრულია, მოითხოვენ კიდევ, რომ ის ამ წყობილებას მოეპყროს პატივისცემით! ეს კი, მართლაც ნამეტანია! მაგრამ რამდენადაც ეს სოციალური წყობილება არსებობს, მუშათა კლასს არ შეუძლია მოშორდეს მას, და თუ ცალკე მუშა მის წინააღმდეგ აღშფოთებას ეძლევა, ამით ყველაზე უფრო თვითონ ის ზარალობს. არსებული სოციალური წყობილება თითქმის შეუძლებელს ხდის მუშის ოჯახურ ცხოვრებასაც. როგორი ოჯახური მყუდროება უნდა იყოს უსუფთაო, ჭუჭყიან ბინაში, რომელიც ძლივს გამოდგება ღამის სათევადაც კი, ისეთ ბინაში, რომელშიაც ცუდი ავეჯია და რომელიც ხშირად არაა დაცული წვიმისაგან და არ თბება, ბინაში, რომელშიაც მძიმე ჰაერია და რომელიც გაჭედილია ხალხით? ქმარი, ხშირად ცოლიც და უფროსი ბავშვებიც მუშაობენ მთელ დღეს, ყველანი სხვადასხვა ადგილას, ერთმანეთს ხედავენ მხოლოდ დილით და საღამოთი—ამას თან ერთვის მუდმივი მაცდურება გადაკვრისა. როგორი ოჯახური ცხოვრება უნდა არსებობდეს ასეთ პირობებში? მიუხედავად ამისა, მუშას არ შეუძლია წავიდეს ოჯახიდან, და ის უნდა დარჩეს იქ. აქედან წარმოიშობა განუწყვეტელი ოჯახური განხეთქილება და უსიამოვნება, რაიც დემორალიზებულ გავლენას ახდენს როგორც თვით ცოლ-ქმარზე, ისე განსაკუთრებით ბავშვებზე. უყურადღებობა ყველა ოჯახური ვალდებულებისადმი, განსაკუთრებით უყურადღებობა ბავშვებისადმი, მეტად ხშირი მოვლენაა ინგლისის მუშებს შორის, და ეს უმთავრესად გამოწვეულია საზოგადოების თანამედროვე წყობილებით. და აი, სურთ, რომ ბავშვები, რომლებიც უმეთვალყუროდ იზრდებიან დემორალიზებულ გარემოში, რომელსაც ხშირად ეკუთვნიან თვით მშობლები, ეს ბავშვები იყვნენ შემდეგში ზნეობრივი ადამიანები! მართლაც გულუბრყვილო მოთხოვნებს უყენებს მუშებს თვითკმაყოფილი ბურჟუა (იქვე, 419—420).

დიდი სიკვდილიანობა მუშათა ბავშვებს შორის, განსაკუთრებით ფაბრიკის მუშების ბავშვებს შორის, საკმაოდ ადასტურებს იმ ანტიჰიგიენურ პირობებს, რომლებშიაც ისინი ატარებენ თავიანთ ბავშვობას. ამ სიკვდილიანობის მიზეზები გავლენას ახდენს იმ ბავშვებზეც, რომლებიც ცოცხლები რჩებიან, თუმცა, რასაკვირველია, არა ისეთი ძალით, როგორითაც მოქმედებს იმ ბავშვებზე, რომლებსაც ხოცავს. უკეთეს შემთხვევაში მათი შედეგია მიდრეკილება რაიმე ავადმყოფობისადმი ან შეკავებული განვითარება, და ამიტომ ასეთი ბავშვები ნორმალურებზე სუსტნი არიან: ფაბრიკის მუშის ცხრა წლის ბავშვს, რო-

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ .

მელიც ყოველთვის ცუდად იყო ჩაცმული და ყოველთვის ცუდ ბინაში ცხოვრობდა, სრულებით არ აქვს ის შრომისუნარიანობა, როგორც აქვს სავსებით ჯანსაღ პირობებში აღზრდილს. ცხრა წლის ბავშვს გზავნიან ფაბრიკაში, სადაც ის მუშაობს ყოველდღე 6½ საათს (წინათ 8-ს, კიდევ უფრო წინათ 12—14, 16 საათსაც კი) ცამეტი წლის ასაკამდე, ხოლო ამ ასაკიდან 18 წლამდე—12 საათს. მიზეზები, რომლებიც ცუდად მოქმედებს მის ორგანოებზე, არ ისპობა, მუშაობა კი მატულობს. შეუძლებელია, რასაკვირველია, იმის უარყოფა, რომ ცხრი წლის ბავშვს, და განსაკუთრებით მუშის ბავშვს, შეუძლია აიტანოს ყოველდღე 6½ საათი მუშაობა ისე, რომ ზიანი ასეთი მუშაობისაგან ბავშვის ორგანიზმისათვის შესამჩნევი და საგრძნობი არ იყოს; მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ცხადია, დახუთულ, ფაბრიკის ხშირად ნესტიან და ცხელ ატმოსფეროში ყოფნა კეთილსასურველ გავლენას არ მოახდენს ჯანმრთელობაზე. როგორც უნდა იყოს, მიუტევებელია ის, რომ ბავშვების დრო, რომელიც უნდა ხმარდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ და სულიერ აღზრდას, მსხვერპლად ეწირება უგრძნობი ბურჟუაზიის სიხარბეს: ბავშვებსართმევენ სუფთა ჰაერს და სკოლას, რათა მოგება მიიღონ მათგან ბატონმა ფაბრიკანტებმა. მართალია, ბურჟუაზია გვიპასუხებს: მუშების ბავშვები მათი განვითარებისათვის არახელსაყრელ პირობებში დარჩებიან იმ შემთხვევაშიაც, თუ ფაბრიკებში არ იმუშავებენო. საერთოდ ეს მართალია, მაგრამ რას ნიშნავს ეს, თუ ჩავუფიქრდებით ამ სიტყვების რაობას? ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზია ჯერ ცუდ პირობებში აყენებს მუშათა ბავშვებს და შემდეგ თავის სასარგებლოდ იყენებს ამ მდგომარეობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბურჟუაზია აქ თავის გამართლებისათვის ემყარება იმას, რომ ეს იმდენადვეა მისი დანაშაული, რამდენადაც მთელი საფაბრიკო სისტემა, ე. ი. დღევანდელ დანაშაულს ის ამართლებს გუშინ ჩადენილი დანაშაულით. და რომ საფაბრიკო კანონები, ყოველ შემთხვევაში, რამდენადმე მაინც არ უბორკავდეს ხელ-ფეხს, მაშინ როგორღა დაიცავდნენ ამ მუშების ინტერესებს ეს „კეთილისმსურველი", „ჰუმანური" ბურჟუები, რომლებმაც თავიანთი ფაბრიკები ხომ მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კეთილდღეობისათვის ააგეს!

იქვე, 439.

## დ) დიდი ქალაქებისა და მრეწველობის გავლენა მუშათა განათლებისა და თვითშეგნების განვითარებაზე

ნახევრად ბურჟუა ალისონი შლის ჩვენს წინაშე, თუმცა ბეცი ფორმით, დიდი ქალაქების ცუდ გავლენას მუშების ზნეობრივ განვითარებაზე. მეორე, ნამდვილი ბურჟუა, კაცი, რომელიც სავსებით შეეფერება პურის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის სულსა და გულს, დ—რ ენდრიუ იური*, შლის ჩვენს წინაშე სხვა მხარეს. ის გვიამბობს, რომ დიდ ქალაქებში ცხოვრება უადვილებს მუშებს ყოველგვარი ვერაგობის მოწყობას და ძალას აძლევს მდაბიო ხალხსო, თუ მუშებს არ აღვზრდით სათანადოდ (ე. ი. არ აღვზრდით ბურჟუაზიის მორჩილებაში), ისინი საგნებს ხედავენ ცალმხრივად, გაბოროტებული ეგოიზმის თვალსაზრი-

* Philosophy of Manufactures", London, 1835,—ამ ძვირფასი წიგნის შესახებ კიდევ მეტი საუბარი მოგვიხდება.

სით, და ადვილად დაუჯერებენ მოხერხებული დემაგოგების ქადაგებას; მათ შეუძლიათ მტრულად უცქირონ თავის საუკეთესო კეთილისმყოფელებს*, თავშეკავებულ და უნარიან კაპიტალისტებს; აქ შეიძლება დაგვეხმაროს მხოლოდ ერთი რამ—კარგი აღზრდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიწყება ეროვნული გაკოტრება და სხვა საშინელებანი, რადგან მუშათა რევოლუცია აუცილებელიაო. და ჩვენი ბურჟუა სავსებით მართალია, თუ მოსახლეობის ცენტრალიზაცია ამგზნებ და განმავითარებელ მოქმედებას ახდენს მქონებელ კლასზე, მუშების განვითარებას ის კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს. მუშები თანდათან გრძნობენ თავს კლასად, ისინი იგნებენ, რომ ცალ-ცალკე სუსტნი არიან, ერთად კი ძალას წარმოადგენენ; ისინი სულ უფრო ეყოფიან ბურჟუაზიას და სულ უფრო და უფრო ვითარდება მათში საკუთარი კლასობრივი შეხედულებანი და იდეები, წარმოიშობა თავისი ჩაგვრის შეგნება, და მუშები ღებულობენ სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. დიდი ქალაქები მუშათა მოძრაობის კერებია: იქ მუშები პირველად ჩაუფიქრდნენ თავიანთ მდგომარეობას და იწყეს იმის წინააღმდეგ ბრძოლა, იქ პირველად გამოირკვა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესების წინააღმდეგობა, იქ ჩაისახა მუშათა კავშირები, ჩარტიზმი და სოციალიზმი. დიდმა ქალაქებმა მწვავე ფორმა მისცეს სოციალური სხეულის ავადმყოფობას, რაიც სოფლად ქრონიკულ ხასიათს ატარებდა, და ამით გამოააშკარავეს, როგორც მისი ნამდვილი არსება, ისე მისი განკურნების საშუალება. დიდი ქალაქების გარეშე და მუშათა განვითარების საერთო დონის აწევაზე მათი გაძლიერებული გავლენის გარეშე მუშები ვერ წავიდოდნენ ისე წინ, როგორც ახლა. ამასთანავე, მათ გაწყვიტეს უკანასკნელი ძაფი პატრიარქალური ურთიერთობისა მუშებსა და სამუშაოს მიმცემს შორის, რასაც ხელს უწყობდა აგრეთვე მსხვილი მრეწველობაც ერთი ბურჟუასაგან დამოკიდებული მუშების რიცხვის გადიდებით. ბურჟუაზია ამას მისტირის, რასაკვირველია, და ის მართალია, რადგან წინანდელი ურთიერთობის დროს ის უზრუნველყოფილი იყო მუშათა აღშფოთებისაგან. ბურჟუაზიას შეეძლო თავისი მუშების ექსპლოატაცია და მათზე ბატონობა როგორც სურდა და მას კიდევ მორჩილებით, მადლობითა და სიყვარულით ეგებებოდა რეგვენი ხალხი, თუ ის ქირის გარდა აჯილდოებდა ამ ხალხს ღიმილით, რაც არაფერი არ უღირდა მას, ან რაიმე მცირეოდენი დათმობებით უმასპინძლდებოდა, ამასთან ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ყოველივე ამას ჩადიოდა მხოლოდ და მხოლოდ არაჩვეულებრივი გულკეთილობის გამო, თუმცა ყოველივე ეს არ შეადგენდა მეათედ ნაწილს იმისა, რაც მას უნდა გაეკეთებინა. როგორც ერთეულ ბურჟუას, ჩაყენებულს პირობებში, რომელნიც მას თვითონ არ შეუქმნია, რასაკვირველია, შეეძლო, რამდენადმე მაინც შეესრულებინა თავისი ვალდებულებანი, მაგრამ როგორც მმართველი კლასის წევრი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მთელი ერის მდგომარეობისათვის და ვალდებული იყო დაეცვა საერთო ინტერესები, უკვე იმის გამო, რომ მის ხელშია სახელმწიფო ძალა-უფლება*, ის არაფერს აკეთებდა, რაც მას უნდა გაეკეთებინა თავისი მდგომარეობით, და კიდევ, გარდა ამისა, ძარცვავდა მთელ ერს თავისი საკუთარი კერძო ინტერესებისათვის. პატრიარქალური ურთიერთობის დროს, რომელიც თვალთმაქცურად ფარავდა მუშათა მონობას, მუშა რჩებოდა სულიერად მკვდარი, მას სავსებით არ ესმოდა თავისი საკუთარი ინტერესები, და ის ცხოვრობდა განცალკევებით, თა-

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

ვისთავად. მხოლოდ მაშინ, როცა მასა და სამუშაოს მიმცემს შორის დადგა განშორება, როცა ნათელი გახდა, რომ ყველა ურთიერთობა მათ შორის ამოიწურება კერძო ინტერესით, ფულით, როცა მოჩვენებითმა ზნეობრივმა კავშირმა ვერ გაუძლო მეტად უმნიშვნელო განსაცდელსაც კი და სავსებით მოისპო, მხოლოდ მაშინ იწყო მუშამ თავისი მდგომარეობის და თავისი ინტერესების შეგნება, იწყო დამოუკიდებელი განვითარება, მხოლოდ მაშინ დააღწია თავი ბურჟუაზიის მონობას თავის იდეებსა, გრძნობებსა და მოქმედებაშიც. ამას კი ხელს უწყობდა უმთავრესად მსხვილი მრეწველობა და დიდი ქალაქები...

ყოველივე ამის გამო სრულებით არაა გასაკვირველი, რომ ინგლისის მუშათა კლასი განსაზღვრულ დროის განმავლობაში გახდა სრულებით სხვა ხალხი, ვიდრე ინგლისის ბურჟუაზია. ბურჟუაზიას დედამიწის ყველა ერთან უფრო მეტი ნათესაობა აქვს, ვიდრე იმ მუშებთან, რომელთა გვერდითაც ის ცხოვრობს. მუშები სხვა დიალექტით ლაპარაკობენ, მათ აქვთ სხვანაირი იდეები, წარმოდგენები, სხვაგვარი ზნე და ზნეობრივი პრინციპები, სხვანაირი რელიგია და პოლიტიკა, ვიდრე ბურჟუაზიას. ეს ორი სავსებით განსხვავებული ხალხია, იმდენად განსხვავებული, რამდენადაც შეიძლება იყოს განსხვავებული მხოლოდ ორი რასა — ორი ხალხი, რომელთაგან ჩვენ კონტინენტზე დღემდე ვიცნობდით მხოლოდ ერთს—ბურჟუაზიას. ამავე დროს კი სწორედ მეორე ხალხს, რომელიც პროლეტარიატისაგან შედგება, გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ინგლისის მომავლისათვის.

ფრ. ენგელსი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“,
М. Э. Соч., III, 413—415.

## 12. პროლეტარული განათლება ბურჟუაზიული „სიბრძნის" გარეშე

მუშების ხან ერთნაირმა, ხან განსხვავებულმა ჯგუფმა—კავშირთა წევრებმა, ჩარტისტებმა და სოციალისტებმა—მრავალი სკოლა და სამკითხველოები მოაწყვეს მუშების სულიერი განვითარების დონის ასაწევად. ასეთი დაწესებულებანი აქვს ყოველ სოციალისტურ პარტიას, თითქმის ყოველ ჩარტისტულ ჯგუფს, ისევე როგორც მრავალ ცალკეულ პროფკავშირს. ბავშვები აქ იღებენ წმინდა პროლეტარულ აღზრდას, რომელიც თავისუფალია ბურჟუაზიის ყოველგვარი გავლენისაგან, სამკითხველოებში კი არის მხოლოდ და მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული ჟურნალები, გაზეთები და წიგნები. ეს დაწესებულებანი ძალიან სახიფათოა ბურჟუაზიისათვის, და მან უკვე მოახერხა ის, რომ ზოგიერთ მათგანში, სახელდობრ „Mechanic's intitutions"-ში, მოსპო პროლეტარული გავლენა და გადააქცია ისინი ბურჟუაზიისათვის სასარგებლო ცოდნის მუშებს შორის გამავრცელებელ ორგანოებად. აქ მათ ასწავლიან საბუნებისმეტყველო საგნებს, რომელთა შესწავლა აშორებს მუშებს ოპოზიციისაგან ბურჟუაზიის წინააღმდეგ და შეიძლება ზოგიერთი მათგანი წააწყდეს გამოგონებას, რომელიც გაადიდებს ბურჟუაზიის შემოსავალს, თვით მუშისათვის კი ბუნების შესწავლა ახლა სავსებით უსარგებლოა, იმიტომ, რომ დიდ ქალაქებში, სადაც ის ცხოვრობს, სამუშაო დღის დიდი ხანგრძლივობის გამო ის ბუნებას ვერასოდეს ვერ ხედავს. აქ ასწავლიან პოლიტიკურ ეკონომიას, რომლის კერპს წარმოადგენს თავისუფალი კონკურენცია; აქედან მუშას შეუძლია გააკეთოს მხოლოდ ის ერთადერთი დასკვნა, რომ ყველაზე გონიერი იქნება მისთვის მოკვდეს შიმშილით, ყოველივე არსებულთან წყნარად შერიგებული. აქ აღზრდა ასწავლის მორჩილებას, აქ ყველაფერი მოქნილი და შეგუებულია გაბატონებული პოლიტიკისა და რელიგიის საჭიროებებთან, ასე რომ მუშას ესმის მხოლოდ ქადაგება მორჩილების, პასიურობის და ბედის წინაშე ქედმოხრილობისა. ბუნებრივია, რომ მუშათა მასას ასეთი სკოლების არაფერი სწამს; ის მიდის პროლეტარულ სამკითხველოებში და იხილავს საკითხებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მის საკუთარ ინტერესებთან. და მაშინ თვითკმაყოფილი ბურჟუაზია ამბობს თავის „dixi et salvavi" და ზიზღით პირს იბრუნებს იმ კლასისაგან, რომელიც „რიგიან განათლებას არჩევს ბოროტგანმზრახველ დემოგოგთა მღელვარე და გაბოროტებულ მეტიჩრობას". სხვათა შორის, მუშები აფასებენ „რიგიან განათლებასაც", თუ ამას მათ არ აწვდიან ბურჟუაზიის სიბრძნესთან ერთად, რომელიც შეფარდებულია მის ინტერესებთან, რასაც ამტკიცებს მრავალი ლექცია საბუნებისმეტყველო—სამეცნიერო, ესთეტიკურ და პოლიტიკურ-ეკონომიურ თემებზე,—ლექციები, რომლებიც იკითხება ყველა პროლეტარულ დაწესებულებაში, განსაკუთრებით სოციალისტურ დაწესებულებებში, და რომ-

ლებსაც ბევრი მუშა ესწრება. მე მქონდა შემთხვევა შევხვედროდი დაფლეთილტანისამოსიან მუშებს, რომლებიც უფრო მეტ ცოდნას იჩენენ გეოლოგიაში, ასტრონომიაში და სხვ., ვიდრე განათლებული ბურჟუა გერმანიაში. თუ რამდენად მოახერხა ინგლისის პროლეტარიატმა დამოუკიდებელი განვითარების მიღწევა, ამას ამტკიცებს განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ უახლესი ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და პოეტური ლიტერატურის ყველაზე უფრო გამოჩენილ ნაწარმოებს კითხულობენ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მუშები. ბურჟუას—არსებული სოციალური წყობილების და მასთან დაკავშირებულ ცრუმორწმუნეობათა მონას—ეშინია ყოველივე იმის, რაც ნამდვილად ნიშნავს პროგრესს, და გულმოდგინედ გაურბის მას, პროლეტარი კი ყოველივე ახალს უყურებს ფხიზლად და შეისწავლის მას სიამოვნებით და წარმატებით. ამ მხრით სოციალისტებმა განსაკუთრებით ბევრი გააკეთეს პროლეტარიატის გასანათლებლად; მათ გადმოთარგმნეს ფრანგი მატერიალისტები ჰელვეციუსი, ჰოლბახი, დიდრო და სხ. და გაავრცელეს იაფ გამოცემებად ინგლისელ ავტორთა საუკეთესო ნაწარმოებთან ერთად. შტრაუსის „იესოს ცხოვრებაც“ და პრუდონის „საკუთრებაც“ მხოლოდ პროლეტარებს შორის ტრიალებს. შელის, გენიალურ წინასწარმეტყველს შელის, და ბაირონს თავისი გრძნობიერი აღტყინებით და მწარე სატირით თანამედროვე საზოგადოებაზე, ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავთ მუშებს შორის; ბურჟუა კითხულობს მხოლოდ ეგრეთწოდებულ „ოჯახურ გამოცემებს“, რომლებიც დასაჭურისებულია და შეგუებულია თანამედროვე პირმოთნე მორალთან. უკანასკნელი დროის ორთავე უდიდეს პრაქტიკულ ფილოსოფოსს, ბენტამს და გოდვინს, განსაკუთრებით უკანასკნელს, აგრეთვე თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატი კითხულობს. თუ რადიკალურ ბურჟუაზიას შორის არსებობს ბენტამის სკოლა, ეს ხომ მხოლოდ პროლეტარიატმა და სოციალისტებმა შეძლეს მისი მოძღვრების შემდგომი განვითარება. ამ საფუძველზე პროლეტარიატმა შექმნა თავისი საკუთარი ლიტერატურა, რომელიც უმეტეს წილად შედგება თანამედროვე გამოცემათა და ბროშურებისაგან და თავისი შინაარსით გაცილებით აღემატება, სჯობს ბურჟუაზიის მთელ ლიტერატურას.

ფრ. ენგელსი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, М. Э., Соч., III, 518—520.

## 13. მომავალი აღზრდის ზოგიერთი საკითხი

როგორც ბატონ დიურინგს წინათ წარმოდგენილი ჰქონდა, კაპიტალისტური წარმოების წესი ისე შეიძლება საზოგადოებრივით შეიცვალოს, რომ თვით წარმოება არ გარდაიქმნასო, ისე აქ მას წარმოდგენილი აქვს, თანამედროვე ბურჟუაზიული ოჯახი ისე შეიძლება მთელ მის ეკონომიურ საძირკველს მოესწყვიტოთ, რომ ამით მთელი მისი ფორმა არ შეიცვლებაო. ეს ფორმა მისი აზრით ისე მკვიდრია, რომ იგი ოჯახისათვის უკუნითი-უკუნისამდე გადამწყვეტ ძალად ხდის „ძველ რომაულ სამართალს“ ოდნავ „გაკეთილშობილებული“ სახით; ოჯახი მას წარმოუდგენია მხოლოდ როგორც „მემკვიდრეობის გადამცემი“, ე. ი. საკუთრების მფლობელი ერთეული. უტოპისტები აქ ბევრად მაღლა დგანან ბატონ დიურინგზე. იმათი აზრით ადამიანების თავისუფალ საზოგადოებრივ შეკავშირებასთან და ოჯახის კერძო მუშაობის საზოგადო მრეწველობად გადაქცევასთან ერთად, უშუალოდ ხდებოდა ახალგაზრდათა აღზრდის განსაზოგადოებაც და ნამდვილი თავისუფალი ურთიერთობის დამყარება ოჯახის წევრებს შორის. გარდა ამისა, მარქსმა უკვე დაამტკიცა („კაპიტალი“, გვ. 515 და შემდ.), რომ „მსხვილი მრეწველობა, რომელიც გადამწვეტ როლს აკუთვნებს ქალებს, მოზარდებს და ორივე სქესის ბავშვებს ოჯახის ფარგლებს გარეშე წარმოების საზოგადოებრივად მოწყობილ პროცესებში, ახალ ეკონომიურ საფუძველს ქმნის ოჯახსა და ორივე სქესს შორის ურთიერთობის უფრო მაღალი ფორმისათვის“.

„ყოველ სოციალ-რეფორმატორ ფანტაზიორს“,—ამბობს ბატონი დიურინგი—„რასაკვირველია, მზამზარეულად აქვს მისი ახალი სოციალური ცხოვრების შესაფერი პედაგოგიკა“. თუ ამ ფრაზით განვსჯით, თვით ბატონი დიურინგი „ნამდვილ მონსტრად“ გვეჩვენება სოციალ-რეფორმატორ ფანტაზიორებს შორის. მომავალ სკოლას იგი, ყოველ შემთხვევაში, იმდენსავე ყურადღებას აქცევს, რამდენსაც საავტორო უფლებას, ეს კი მართლაც ბევრს ნიშნავს. მას მზად აქვს სასკოლო და საუნივერსიტეტო გეგმა არა მარტო შორეული მომავლისათვის, არამედ გარდამავალი პერიოდისათვისაც. მაგრამ დავკმაყოფილდეთ იმის განხილვით, რა უნდა გადაეცეს ორივე სქესის ახალგაზრდობას საბოლოო ინსტანციის სრულქმნილ სოციალიტარობაში.

საყოველთაო სახალხო სკოლა თავის მოწაფეებს მისცემს „ყველაფერს რასაც თავისთავად და პრინციპიალურად შეიძლება მიმზიდველობა ჰქონდეს ადამიანისათვის“, მაშასადამე, განსაკუთრებით „იმ მეცნიერებათა საფუძვლებს და მთავარ შედეგებს, რომელნიც სამყაროსა და ცხოვრების გაგებას ეხებიან“. იგი, უწინარეს ყოვლისა, მათემატიკას ასწავლის ისე, რომ „სავსებით განვლილი“ იქნება ყველა პრინციპული ცნების და მეთოდის წრე, დაწყებული მარ-

ტივი დათელისა და მიმატებიდან და დასრულებული ინტეგრალური ანგარიშით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ სკოლაში მართლაც დიფერენციალურ და ინტეგრალურ ანგარიშს აწარმოებენ. პირიქით: იქ უფრო საერთო მათემატიკის სრულიად ახალ ელემენტს ასწავლიან, რომელიც ჩანასახში შეიცავს როგორც ჩვეულებრივ პირველდაწყებით, ისე უმაღლეს მათემატიკას. თუმცა ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი გვარწმუნებს „სქემატიურად, თავის ძირითად მოხაზულობაში თვალწინ მიდგას" ამ მომავალი სკოლის სახელმძღვანელოების შინაარსიო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შესძლო ამ „საერთო მათემატიკის ელემენტები" აღმოეჩინა; ხოლო რის შესრულებაც მის ძალებს აღემატება, „იმის გაკეთებას ნამდვილად მხოლოდ ახალი საზოგადოებრივი მდგომარეობის თავისუფალი და გაძლიერებული ძალებისაგან უნდა ველოდეთ". მაგრამ თუ მომავალი მათემატიკის მტევნები ჯერ კიდევ მკვახეა, სამაგიეროდ მომავალი ასტრონომია, მექანიკა და ფიზიკა ნაკლებ დაბრკოლებებს შექმნიან, ისინი „ყოველი სწავლა-განათლების ღერძს მოგვცემენ", ხოლო ზოოლოგია და ბოტანიკა, „რომელნიც, სხვადასხვა თეორიების მიუხედავად, ჯერჯერობით უმთავრესად აღწერით მეთოდს ხმარობენ... უფრო მსუბუქი საუბრის საგნები იქნებიან", ასეა ნათქვამი „ფილოსოფიაში", 417 გვერდზე. ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი დღემდე არავითარ ბოტანიკასა და ზოოლოგიას არ იცნობს, გარდა უმთავრესად აღწერითი ბოტანიკისა და ზოოლოგიისა. მან სახელიც კი არ იცის ორგანული მორფოლოგიისა, რომელიც ორგანული ქვეყნიერების შედარებითს ანატომიას, ემბრიოლოგიას და პალეონტოლოგიას მოიცავს. მაშინ, როცა მის ზურგს უკან ბიოლოგიის დარგში თითქმის ათი და ოცი ახალი მეცნიერება წარმოიშვა, მისი ბალღური გონება „ბუნებისმეცნიერების აზროვნების უაღრესად თანამედროვე სწავლა-განათლების ელემენტებს" რ ა ფ ი ს „საბავშვო ბუნებისმეცნიერებაში" პოულობს და ორგანული ქვეყნიერების ამ კონსტიტუციას მთელ „შორეულ მომავალსაც" ახვევს თავს. ქიმია, ჩვეულებისამებრ, აქ სრულიად დავიწყებულია.

რაც შეეხება აღზრდის ესთეტიკურ მხარეს, ბატონ დ ი უ რ ი ნ გ ს აქ ყველაფრის გარდაქმნა სურს. ამისათვის წინანდელი პოეზია აღარ გამოდგება. სადაც ყოველივე სარწმუნოებრივი საგანი აკრძალულია, იქ სკოლაში, რასაკვირველია, თავისთავად დაუშვებელია წინანდელი პოეტების მიერ მიღებული „მითოლოგიური ან სხვაგვარი რელიგიური ხასიათის საკაზმავი". დასაგმობია აგრეთვე „პოეტური მისტიციზმი, როგორც მას, მაგალითად, გ ო ე ტ ე ასაზრდოებდა". მაშასადამე, თვით ბატონმა დ ი უ რ ი ნ გ მ ა უნდა იკისროს ისეთი პოეტური შედევრების მოწოდება, რომელნიც შეეფერებიან „გონებასთან შეთანხმებული ფანტაზიის მაღალ მოთხოვნილებებს" და გადმოსცემენ ნამდვილ იდეალს, რაიცა „სამყაროს სრულქმნას ნიშნავს". დეე, ნუღარ დააყოვნებს ამ საქმის გაკეთებას. სამეურნეო კომუნა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს მსოფლიოს დაპყრობას, თუ იგი გაილაშქრებს ალექსანდრიული ლექსის ნაბიჯით, რომელიც შეთანხმებული იქნება გონებასთან.

მომავალი სახელმწიფოს მოზარდ მოქალაქეს ბევრი არაფერი ექნება თავსატეხი ფილოლოგიის დარგში. „მკვდარი ენების შესწავლა სრულიად უარყოფილი იქნება... ახალი უცხო ენების შესწავლა კი მეორეხარისხოვან საქმედ დარჩება". მხოლოდ იქ, სადაც ხალხთა ურთიერთობა თვით ხალხთა მასების მოძრაობაზე გავრცელდება, ახალი ენები ყველასათვის ადვილი მისაწდომი უნ-

და გახდეს მოთხოვნილებისამებრ. „ნამდვილი განათლებელი შედეგების მისაღწევად“ შემოღებული იქნება ერთგვარი საერთო გრამატიკა, რომლისთვისაც „მასალა და ფორმა განსაკუთრებით დედაენამ“ უნდა მოგვაწოდოს. თავისი ნაციონალური შეზღუდულობის მიუხედავად, თანამედროვე ადამიანი მაინც გადაჭარბებულ კოსმოპოლიტად ეჩვენება ბატონ დ ი უ რ ი ნ გ ს. მას სურს მოსპოს ორივე ბერკეტი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში ცოტაოდენ შესაძლებლობას მაინც იძლევა შეზღუდული ნაციონალური თვალსაზრისის გადასალახავად: ძველი ენების ცოდნა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ყველა ერის კლასიკურად განათლებულ ადამიანებს საერთო ჰორიზონტს უხსნის თვალწინ, და ახალი ენების ცოდნა, რის შემწეობითაც სხვადასხვა ერის წევრებს შეუძლიათ ერთმანეთს შეუთანხმდნენ და ის ამბები გაიგონ, რომლებიც მათი სამშობლოს გარეთ ხდება. სამაგიეროდ დედაენის გრამატიკა საფუძვლიანად უნდა გავიზეპიროთ. მაგრამ „დედაენის მასალა და ფორმა“ მხოლოდ იმ შემთხვევაშია გასაგები, თუ მათი წარმოშობა და თანდათანობითი განვითარება გავითვალისწინეთ, ეს კი შეუძლებელია, ერთი მხრით, დედაენის საკუთარი გარდაცვლილი ფორმების შეუსწავლელად, ხოლო მეორე მხრით მონათესავე ცოცხალი და მკვდარი ენების გაუცნობლად. მაგრამ ამ ასპარეზზე გადასვლაც გადაჭრით აკრძალულია დ ი უ რ ი ნ გ ი ს მიერ. იგი თავისი სკოლის გეგმიდან შლის მთელ თანამედროვე ისტორიულ გრამატიკას და ამრიგად ენის სწავლების დარგში აღარაფერი რჩება გარდა ძველი ფრანკული, სავსებით ძველი კლასიკური ფილოლოგიის სტილზე შეკოწიწებული ტექნიკური გრამატიკისა მთელი მისი კაზუისტიკითა და თვითნებობით, რომელიც ისტორიული საფუძვლის უქონლობიდან გამომდინარეობს. ძველი ფილოლოგიის სიძულვილი მასში იწვევს იმას, რომ იგი ენების შესწავლის მისაღწევად“ მთავარ საგნად სწორედ ძველი ფილოლოგიის უცუდეს პროდუქტს ხდის. აშკარად ჩანს, რომ აქ საქმე გვაქვს ენათმეცნიერთან, რომელსაც არაფერი გაუგონია ისტორიულ საენათმეცნიერო კვლევა-ძიებაზე, რაც ასე ძლიერ და ნაყოფიერად განვითარდა უკანასკნელი სამოცი წლის განმავლობაში, და რომელიც ამიტომ ენის სწავლების „უაღრესად თანამედროვე გამანათლებელ ელემენტებს“ ეძებს არა ბ ო პ ი ს, გ რ ი მ ი ს ა და დ ი ც ი ს, არამედ ნეტარხსენებული ჰ ე ი ზ ე ს და ბ ე კ ე რ ი ს ნაწერებში.

მაგრამ ყოველივე ამის შემდეგაც მომავალი სახელმწიფოს მოზარდი მოქალაქე ჯერ კიდევ „ვერ დადგებოდა საკუთარ ფეხებზე“. ამისათვის საჭიროა უფრო ღრმა საძირკვლის ჩაყრა, სახელდობრ „უკანასკნელი ფილოსოფიური საფუძვლების შეთვისების“ შემწეობით. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ბატონმა დ ი უ რ ი ნ გ მ ა გზა გაკაფა, „ასეთი ჩაღრმავება აღარ წარმოადგენს... ბუმბერაზულ ამოცანას“, მართლაც „საკმაოა ყალბი, სქოლასტიკური ხლართებიდან გავწმინდოთ ის მცირეოდენი სწორი ცოდნა, რომლითაც შეუძლია იამაყოს ყოფიერების საზოგადო სქემატიკამ, და საკმაოა ყველგან მხოლოდ“ ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი ს მიერ „შემოწმებული სინამდვილე ვაღიაროთ“, და ელემენტარული ფილოსოფია სავსებით მისაწვდომი გახდება მომავალი ახალგაზრდობისთვისაც. „გავიხსენოთ უ ა ღ რ ე ს ა დ მ ა რ ტ ი ვ ი ხერხები, რომლების შემწეობით დაუსრულებლობის ცნებებსა და მათს კრიტიკას დღემდე უცნობი მნიშვნელობა მივანიჭეთ“, და გასაკვირალი არ იქნება, თუ „იმედს გამოვთქვამთ, რომ თანამედროვე გაღრმავებისა და გამძაფრების წყალობით უნივერსალური სივრცისა და დროს

კონცეფციის ესოდენ მარტივად დადგენილი ელემენტები ბოლოს პირველდაწყებითი ცოდნის სფეროში გადავა"... და ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი ს „უსაფუძვლიანესი აზრები ახალი საზოგადოების უნივერსალური განათლების სქემატიკაში არა მეორეხარისხოვან როლს შეასრულებენ". პირიქით, მატერიის თავის თავისადმი თანასწორი მდგომარეობა და დათვლილი ურიცხვობა მოწოდებულია „არა მარტო საკუთარ ფეხებზე დააყენონ ადამიანი, არამედ მას შეაგნებინონ, რომ ეგრეთწოდებული ა ბ ს ო ლ უ ტ ი ფ ე ხ თ ქ ვ ე შ გ ა ქ ვ ს ო".

როგორც მკითხველი ხედავს, მომავლის სახალხო სკოლა ოდნავ „გაკეკეთილშობილებული" პრუსიული საშუალო სასწავლებელია, სადაც ბერძნულისა და ლათინურის ადგილას ოდნავ გაფართოებული წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა, განსაკუთრებით კი სინამდვილის ფილოსოფიის ელემენტებია შემოღებული, და სადაც გერმანული ენის სწავლება უბრუნდება ნეტარხსენებული ბ ე კ ე რ ი ს პროგრამას, მაშასადამე, დაახლოებით პროგიმნაზიის დონემდე ქვეითდება. მართლაც, საფუძველი „გვაქვს იმედი გამოვთქვათ", რომ ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი ს მიერ ყველა დარგში გამომჟღავნებული „ცოდნა", რომელიც მეტისმეტად მოწაფისებური აღმოჩნდა ახლო განხილვის შემდეგ, ანუ, უკეთ ვთქვათ, ის, რაც მისგან დარჩა წინათ მომდევნო საფუძვლიანი „გაწმენდის" შემდეგ, ერთიანად და ნაწილ-ნაწილ „საბოლოოდ გადავა ელემენტარული ცოდნის სფეროში", მით უმეტეს, რომ მას არასოდეს არ დაუტოვებია ეს სფერო...

აღარ შევეხებით მომავალი საზოგადოების უნივერსიტეტს, სადაც სინამდვილის ფილოსოფია ყოველი ცოდნის ცენტრს შეადგენს და სადაც მედიკური ფაკულტეტის გვერდით იურიდიული ფაკულტეტიც აყვავებული იქნება; აღარ შევეხებით აგრეთვე „სპეციალურ პროფესიონალურ სასწავლებელთ", რომელთა შესახებ მხოლოდ იმას ვტყობილობთ, რომ იქ მათ „ორიოდე საგნისთვის" ექნებათ მნიშვნელობა. წარმოვიდგინოთ, რომ მომავალი საზოგადოების ახალგაზრდა მოქალაქე სასკოლო კურსის დასრულების შემდეგ ბოლოს „იმდენად დაეყრდნო თავის თავს", რომ შეუძლია ცოლის შერთვაზე იფიქროს. რა სარბიელს უხსნის მას აქ ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი?

„რადგან გამრავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვისებათა განმტკიცებისა, აღმოფხვრისა და შერევისათვის, ისე მათი ახლად ჩამომყალიბებელი განვითარებისთვის, ადამიანობის და არაადამიანობის უკანასკნელი ფესვები, უმეტეს ნაწილად, უნდა ვეძებოთ სქესობრივ შეკავშირებასა და სქესობრივ შერჩევაში, ხოლო ამას გარდა მზრუნველობაში, რომ მშობიარობა განსაზღვრულად დამთავრდეს. იმ ველურობისა და უგუნურობის გასამართლება, რომელიც ამ დარგშია გაბატონებული, პრაქტიკულად შემდგომ ეპოქას დავუთმოთ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამთავითვე ცრუმორწმუნეობის სიმძიმის ქვეშ იმდენიკი უნდა შევიგნოთ, რომ ისე ახლად დაბადებულთა რიცხვს არა აქვს მნიშვნელობა, როგორც ბუნებისა ან ადამიანის მოსაზრების ზეგავლენით მიღწეულ ან არ მიღწეულ თვისებრივ ხასიათს. ყოველ ეპოქაში და ყოველ უფლებრივ წესწყობილებაში მახინჯ ბავშვებს ხოცავდნენ ხოლმე; მაგრამ კიბეს, რომელსაც ნორმალური ტიპიდან ადამიანურ სახეს მოკლებულ სიმახინჯემდე ჩავყევართ, მრავალი საფეხური აქვს... თუ წინასწარი ღონისძიება იქნება მიღებული ისეთი ადამიანის დაბადების წინააღმდეგ, რომელიც ცუდი ქმნილება იქნებოდა და მეტი არაფერი, ეს მხოლოდ აშკარა სარგებლობას მოგვიტანდა". სწორედ ასევე მეორე

ადგილას ნათქვამია: „ფილოსოფიურ განხილვას არ გაუძნელდება გაიგოს... რომ ჯერ კიდევ დაუბადებელ ქვეყანას უფლება აქვს, რაც შეიძლება, კარგი კომპოზიცია იქონიოს... ჩასახვისა და აგრეთვე დაბადების მომენტი საბაბს იძლევიან გამაფრთხილებელი ან, გამონაკლისის სახით, აგრეთვე გამცხრილველი ღონისძიებანი მივიღოთ ამ მიმართულებით". შემდეგ კიდევ იგი ამბობს: „ბერძნული ხელოვნება, რომელიც ადამიანის იდეალიზაციას ახდენდა მარმარილოში, ვეღარ შეინარჩუნებს ადრინდელ ისტორიულ მნიშვნელობას, როგორც კი დაისმება ნაკლებ მხატვრულად სათამაშო, მაგრამ სამაგიეროდ მასების ცხოვრებისათვის ბევრად უფრო სერიოზული ამოცანა—ხორცშესხმული ადამიანის გაუმჯობესება. ამგვარი ხელოვნება მარტოოდენ ქვის მასალაზე როდი მუშაობს, მისი ესთეტიკა მარტოოდენ მკვდარი ფორმების ცქერას როდი შეეხება" და სხვ.

ჩვენი ახალგაზრდა მომავალი მოქალაქე ბურანიდან ერკვევა. მან, რასა კვირველია, ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი ს დაუხმარებლადაც იცოდა, რომ დაქორწინების დროს საქმე ეხება არც მარტოოდენ ქვის ხელოვნებას, არც მკვდარი ფორმების ცქერას; მაგრამ ბატონმა დ ი უ რ ი ნ გ მ ა მას აღუთქვა, შეგიძლია თავისუფლად აირჩიო გზა, რომელსაც საგანთა მსვლელობა და შენივე საკუთარი არსება გაგიხსნის, რათა თანამგრძნობი ქალის გული და შესაფერი სხეული იპოვოო.—არა! შესძახის მას ახლა „უფრო ღრმა და მკაცრი ზნეობრიობა". უწინარეს ყოვლისა, უნდა მოისპოს ის ველურობა და უგუნურობა, რომელიც სქესობრივი შეკავშირების და სქესობრივი შერჩევის დარგშია გამეფებული, რათა ანგარიში გაეწიოს ახლად დაბადებული ქვეყნის უფლებას—რაც შეიძლება კარგი კომპოზიცია იქონიოს. დაქორწინების საზეიმო მომენტში პიროვნებას ევალება გააუმჯობესოს ხორცშესხმული ადამიანის ჯიში, ასე ეთქვათ, ფიდიასად იქცეს ამ დარგში. როგორ უნდა მიუდგეს ამ საქმეს? ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი ს ზემოთ მოყვანილ საიდუმლო სიტყვებში ამის შესახებ არაფერია ნანიშნები, თუმცა თვით იგი ამბობს, ეს „ხელოვნებააო". შეიძლება ბატონ დ ი უ რ ი ნ გ ს უკვე „სქემატურად თვალწინ" უდგას ამ ხელოვნების სახელმძღვანელო, რომლის შეკოწიწებული ნიმუშები ამჟამად უხვად მოიპოვება გერმანიის წიგნის ვაჭრობაში? მართლაც, ჩვენ აქ უკვე ვიმყოფებით არა სოციალიტარობაში, არამედ „ჯადოსნური ფლეიტის" სფეროში, მხოლოდ ისაა, რომ ღიპიანი ფრანკმასონელი ხუცესი ზ ა რ ა ს ტ რ ო ძლივს „მეორე კლასის ქურუმად" თუ ჩაითვლება ჩვენ ღრმა და მკაცრ მორალისტთან შედარებით. გამოცდა, რომელსაც ზ ა რ ა ს ტ რ ო თავისი მიმდევრების წრიდან შეყვარებულ ქალ-ვაჟთ უმზადებდა, ნამდვილ ბავშვურ თამაშობას წარმოადგენს იმ საშინელ განსაცდელთან შედარებით, რომელშიც ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი თავის ორ სუვერენულ ინდივიდს აგდებს, სანამ მათ „ზნეობრივი და თავისუფალი დაქორწინების" ნებას მისცემდეს. ამიტომ შეიძლება მოხდეს, რომ ამ ჩვენს „თავის თავზე დაყრდნობილ" მომავალ ტამინოს, მართალია, ეგრეთწოდებული აბსოლუტი ჰქონდეს ფეხთქვეშ, მაგრამ ერთერთი ფეხი ორიოდე საფეხურით ექნეს დაშორებული ნორმალურს, ისე რომ ბოროტმა ენებმა მას ხეხმონგრეული დაარქვან. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ მომავალი ტამინოს გულითადი საყვარელი მომავალი პამინა ოდნავ მარჯვენა მხრისკენ გადახრის გამო ზემოაღნიშნულ აბსოლუტზე არ იდგეს სავსებით პირდაპირ, რაიცა შურიან თვალს მსუბუქ კუზად ეჩვენოს. რა მოხდება? დაუშლის თუ არა მათ ჩვენი უფრო ღრმა და უფრო მკაცრი ზ ა რ ა ს ტ რ ო პრაქტიკულად აწარმოონ

ხორცშესხმული ადამიანის გაუმჯობესების ხელოვნება, გამოიყენებს თუ არა „გამაფრთხილებელ ღონისძიებათ“ „ჩასახვის“ დროს ან „გამცხრილავ ღონისძიებათ“ „დაბადების“ დროს? შეიძლება ნაძლევი დავდოთ, რომ საქმე სხვანაირად წავა: შეყვარებული ქალ-ვაჟი მიატოვებს *ზარასტრო-დიურინგს* და მოხელესთან წავა ქორწინების სარეგისტრაციოდ.

—შესდექ!—გაიძახის ბატონი *დიურინგი*.—ჩემი აზრი ვერ გაიგეთ, ნება მომეცით იგი გამოვთქვა. „კეთილისმყოფელი სქესობრივი შეკავშირების უმაღლესი, წმინდა ადამიანური მამოძრავებელი მოტივების არსებობის დროს... სქესობრივი აღელვების ადამიანურად გაკეთილშობილებული ფორმა, რომლის გამძაფრება მჟღავნდება როგორც *ვნებიანი სიყვარული**, თავის ორმაგობაში საუკეთესო თავმდებობას წარმოადგენს იმისათვის, რომ ცოლქმრობა დამაკმაყოფილებელი იქნება მისი ნაყოფის მხრითაც... ეს მეორე რიგის შედეგია, რომ ასეთი თავისთავად ჰარმონიული ურთიერთობიდან ნაყოფიც ჰარმონიული წარმოიშვას; აქედან აგრეთვე ჩანს, რომ ყოველივე იძულება მავნებელ გავლენას ახდენს“ და სხვ. და ამრიგად ყველაფერი საუკეთესოდ რიგდება საუკეთესო სოციალიტარობაში. ფეხმოწგრეული და კუზიანი ქალ-ვაჟი შეყვარებული არიან გაგიჟებით, ისინი თავიანთი ორმაგობით საუკეთესო თავმდებობას იძლევიან, რომ „მეორე რიგის შედეგიც“ ჰარმონიული იქნება, ყოველივე ისე მიმდინარეობს როგორც რომანში, მათ ერთმანეთი უყვართ, ისინი კავშირდებიან, და ყოველი ულრმესი და უმკაცრესი ზნეობრივობა, როგორც ყოველთვის, ჰარმონიული აბდაუბდით მთავრდება.

თუ რა კეთილშობილი შეხედულებები აქვს ბატონ *დიურინგს* საზოგადოდ მდედრობითი სქესის შესახებ, ჩანს შემდეგი მსჯავრიდან, რომელიც მას თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ გამოაქვს: „იმ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და გაყიდვაზე, პროსტიტუცია იძულებითი ქორწინების თავისთავად საგულისხმიერო დამატებად ითვლება მამაკაცების სასარგებლოდ, და ეს ფაქტი, *რომ შეუძლებელია ასეთი რამე ქალების სასარგებლოდ მოხდეს**, მეტისმეტად გასაგებ, მაგრამ აგრეთვე *უმნიშვნელოვანეს* ფაქტს წარმოადგენს“. დედამიწის ზურგზე არაფრის გულისთვის არ მოვისურვებდი იმ მადლობის მიღებას, რომელიც შეიძლება ქალებმა ბატონ *დიურინგს* მიუძღვნან ამ კომპლიმენტისთვის. გარდა ამისა, განა ბატონმა *დიურინგმა* სრულიად არაფერი იცის ამ საკმაოდ გავრცელებული შემოსავლის დარგზე, რომელსაც ქალის წინსაფარის სტიპენდია, ანუ სუტენიორის შემოსავალი ჰქვია? თვით ბატონი *დიურინგი* ხომ რეფერენდარადაა ნამყოფი და ბერლინში ცხოვრობს, სადაც ჩემ დროს, ოცდათექვსმეტი წლის წინათ, ლეიტენანტზე რომ არაფერი ვქვათ, ლექსებში რეფერენდარი ხშირად გვხვდებოდა წინსაფარის სტიპენდიატის გვერდით.

*ფრ. ენგელსი*. „ანტი-დიურინგი“. 271—278.

---

* ხაზი ავტორისაა. *რედ.*

## 14. კომუნისტური შეგნების მასობრივი წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციაში

...როგორც ამ კომუნისტური შეგნების მასობრივი წარმოშობისათვის, ისე თვით მიზნის მისაღწევად აუცილებელია ხალხის მასობრივი შეცვლა, რაც შესაძლებელია მხოლოდ პრაქტიკულ მოძრაობაში, რევოლუციაში; ამგვარად, რევოლუცია აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ არავითარი სხვა საშუალებით არ შეიძლება გაბატონებული კლასის ჩამოგდება, არამედ იმისათვისაც, რომ ჩამომგდებ კლასს მხოლოდ რევოლუციაში შეუძლია ჩამოიშოროს მთელი ძველი სიბილწე და შეიძინოს ახალი საზოგადოების შექმნის უნარი.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „გერმან. იდეოლოგია", M. Э. Соч. IV, 60.

...კომუნისტური რევოლუცია ნიშნავს უაღრეს რადიკალურად კავშირის გაწყვეტას ტრადიციულ საკუთრების ურთიერთობასთან; გასაკვირველი არაა, რომ იგი თავის განვითარების მსვლელობაში უაღრეს რადიკალურად სწყვეტს კავშირს ტრადიციულ იდეებთან.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „კომუნისტ. მანიფესტი", 50, 1940.

## 15. გავთავისუფლდეთ მკვდარ თაობათა ტრადიციებისაგან

ადამიანები თვით ქმნიან საკუთარ ისტორიას, მაგრამ ქმნიან არა ოვითნებურად, არა ნებაყოფლობით არჩეულ პირობებში, არამედ უშუალოდ არსებულს, მოცემულს და გადმოცემულს პირობებში. ყველა მკვდარი თაობის ტრადიცია მაჯლაჯუნასავით აწევს ცოცხალთა ტვინს. და როდესაც ადამიანები თითქოს იმით არიან გართულნი, რომ თავისი თავი და საგნები გარდაქმნან, ჯერ არ არსებული შექმნან, რევოლუციონური კრიზისების სწორედ ასეთ ეპოქებში ისინი მოკრძალებით იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს, გადმოიღებენ მათ სახელებს, საბრძოლო ლოზუნგებს, ტანსაცმელს, რათა ძველ-საპატიო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან. ასე, ლუთერი პავლე მოციქულის ნიღაბს იფარებდა, 1789-1814 წწ. რევოლუცია რიგრიგობით მოირთვებოდა როგორც რომის რესპუბლიკა და როგორც რომის იმპერია, და 1848 წლის რევოლუციამ უკეთესი ვერა ჰპოვა რა, თუ არა პაროდია ეყო ხან 1789 წლისთვის და ხან 1793-1795 წლების რევოლუციონური ტრადიციებისათვის.

ასე, ახალი ენის შესწავლის დამწყები ჯერ ყოველთვის თავის დედაენაზე თარგმნის იმ ენიდან, ხოლო ახალი ენის არსს ის მხოლოდ მაშინ შეითვისებს და მხოლოდ მაშინ შესძლებს იმ ენის საშუალებით თავისუფლად აზროვნებას, როდესაც მას თარგმნისათვის მიუმართავად გამოიყენებს და მასში დედაენას დაივიწყებს.

კ. მ ა რ ქ ს ი, „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა", 9. 1932

## 16. საყოველთაო სწავლება, როგორც ერთი საშუალებათაგანი კომუნიზმის თეორიის გატარებისათვის

— კომუნიზმი არამცთუ არ ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, გონებას და გულის ნადებს, არამედ იგი არ წარმოადგენს აგრეთვე არც ისეთ თეორიას, რომელიც ანგარიშს არ უწევდეს სინამდვილეს და მხოლოდ ოცნებით ცხოვრობდეს.

შეიძლება შემეკითხონ, როგორ გავატაროთ ეს თეორია ნამდვილ ცხოვრებაში, რა ღონისძიებანი შეგვიძლია წარმოვადგინოთ იმისათვის, რომ მოვამზადოთ მისი გატარება? არის სხვადასხვა გზა ამ მიზნის მისაღწევად...

პირველი მათგანი არის—ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს წ ა ვ ლ ე ბ ა; ყველა ბავშვი, უკლებლივ, ერთნაირად სწავლობს სახელმწიფო ხარჯზე იმ ასაკამდე, როცა მათ შეეძლებათ გამოვიდნენ როგორც საზოგადოების დამოუკიდებელი წევრები. ეს ღონისძიება იქნებოდა მხოლოდ სამართლიანობის აქტი ჩვენი ღარიბი ძმების მიმართ, რადგანაც, ცხადია, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისი ნიჭის სრული განვითარებისა, და სახელმწიფო ჩადის ორმაგ დანაშაულს პიროვნების წინაშე, თუ იგი (სახელმწიფო) უვიცობას ქმნის სიღარიბის აუცილებელ შედეგად. აშკარაა, საზოგადოება მეტ ნაყოფს ღებულობს განათლებული ხალხისაგან, ვიდრე უვიცი წევრებისაგან, და უკეთუ განათლებული პროლეტარიატი, როგორც ამას უნდა ველოდეთ, არ აპირებს დარჩეს დაჩაგრულ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფება ჩვენი დღევანდელი პროლეტარიატი, მეორეს მხრით მხოლოდ განათლებული მუშათა კლასისაგან შეიძლება ველოდოთ სიმშვიდეს და კეთილგონიერებას, რაც აუცილებელია საზოგადოების მშვიდობიანად გარდაქმნისათვის.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „ელბერფელდის სიტყვიდან", М. Э. Соч., III, 282.

## 17. ბავშვების აღზრდა უახლეს დროში აღმოცენებულ კომუნისტურ კოლონიებში

ბავშვები დადიან სკოლაში, რომელიც დაკავშირებულია საწარმოსთან, დაიზრდებიან იქ საზოგადო ხარჯზე. მშობლებს შეუძლიათ ნახონ ისინი, როცა უნდათ. *აღზრდას მხედველობაში აქვს ფიზიკური და სულიერი განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრება.* ბავშვებს არ ტანჯავენ რელიგიურ-სადვთისმეტყველო წვრილმანით, ლათინური და ბერძნული ენებით, მაგრამ მით უფრო მეტ დროს ანდომებენ ისინი ბუნების, თავისი საკუთარი სხეულის და სულიერი ნიჭის შესწავლას და მერხებზე თუნდაც არახანგრძლივი ჯდომის შემდეგ ისვენებენ მინდვრად; საქმე იმაშია, რომ სწავლება ისეევ ხშირად სწარმოებს ღია ცის ქვეშ, როგორც დახურულ შენობაში, და *მუშაობა ითვლება აღზრდის ნაწილად.* ზნეობრივი აღზრდისათვის დადებულია ერთი წესი: სხვებს ნუ უზამ იმას, რაც არ გინდა, რომ მათ შენ გიყონ ე. ი. ის (ზნეობრივი აღზრდა) დაყვანილია სრული თანასწორობისა და ძმური სიყვარულის გატარებამდე.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „უახლეს დროში აღმოცენებული კომუნისტ. კოლონიების აღწერა", М. Э. Соч., III, 266.

---

## 18. აღზრდა სოციალისტურ საზოგადოებაში

რაკი საწარმოო საშუალებანი საზოგადო საკუთრებად იქცევიან, ცალკეული ოჯახი აღარ იქნება საზოგადოების ეკონომიური ერთეული. კერძო საოჯახო მეურნეობა საზოგადოებრივ წარმოებად იქცევა. *ბავშვების პატრონობა და აღზრდა საზოგადოებრივი საქმე გახდება;* საზოგადოება ყველა ბავშვისთვის ერთნაირად იზრუნებს, სულერთია, კანონიერი იქნება იგი თუ უკანონო.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „ოჯახის, კერძო საკუთრ. და სახელმწ. წარმოშ", 85, 1933.

---

## 19. კომუნისტური საზოგადოება ქმნის ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანს

...იწყება თუ არა შრომის დანაწილება, თვითეული ადამიანი შედის თავისი მოღვაწეობის გარკვეულ, განსაკუთრებულ წრეში, რომელიც მას თავზე მოახვიეს და რომლისგანაც მას გამოსვლა არ შეუძლია: ის არის მონადირე, მეთევზე ან მწყემსი, ანდა კრიტიკული კრიტიკოსი და უნდა დარჩეს ასეთად, თუ არ სურს დაკარგოს ცხოვრების სახსრები. კომუნისტურ საზოგადოებაში კი, სადაც თვითეული არ არის შეზღუდული მოღვაწეობის განსაკუთრებული წრით და შეუძლია სრულყოფა ყოველ დარგში, საზოგადოება აწესრიგებს მთელ წარმოებას და სწორედ ამიტომ ქმნის ჩემთვის შესაძლებლობას დღეს ვაკეთო ერთი, ხვალ კი მეორე, დილით ვინადირო, ნაშუადღევს თევზი ვიჭირო, საღამოს ვაწარმოო მესაქონლეობა, სადილის შემდეგ მივეცე კრიტიკას,—როგორც მომესურვება,—მაგრამ ამით მე არ ვხდები მონადირე, მეთევზე, მწყემსი ან კრიტიკოსი.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „გერმან. იდეოლოგ.", М. Э. Соч. IV, 23.

...მხოლოდ კოლექტივში ღებულობს ინდივიდი იმ საშუალებებს, რომლებიც აძლევენ მას თავის მიდრეკილებათა ყოველმხრივ განვითარების შესაძლებლობას და, მაშასადამე, მხოლოდ კოლექტივში არის შესაძლებელი პირადი თავისუფლება.

იქვე, 65.

...კომუნისტური საზოგადოების ფარგლებში,—ერთადერთი საზოგადოებისა, რომელშიაც ინდივიდთა თვითარსი და თავისუფალი განვითარება არ არის უბრალო ფრაზა,—ეს განვითარება განპირობებულია სწორედ ინდივიდთა კავშირით, იმ კავშირით, რომელიც მდგომარეობს ნაწილობრივ ეკონომიურ წინამძღვრებში, ნაწილობრივ ყველას თავისუფალი განვითარების აუცილებელ სოლიდარობაში და, ბოლოს, ქონებული საწარმოო ძალების საფუძველზე ინდივიდთა მოღვაწეობის უნივერსალურ ხასიათში. ამგვარად, აქ საქმე ეხება ინდივიდებს განვითარების გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე და არა ყოველ შემთხვევით ინდივიდს,—რომ არაფერი ვთქვათ უკვე აუცილებელ კომუნისტურ რევოლუციაზე, რომელიც არის მათი თავისუფალი განვითარების საერთო პირობა. ინდივიდების მიერ თავისი ურთიერთდამოკიდებულების შეგნება, რასაკვირველია, აგრეთვე სრულებით სხვაგვარი გახდება და ამიტომ აღარ იქნება იგი არც „სიყვარულის პრინციპი" ან თვითგანწირვა, არც ეგოიზმი.

იქვე, 428.

ერთ ინდივიდუმში მხატვრული ნიჭის განსაკუთრებული კონცენტრაცია და ამასთან დაკავშირებით ასეთი ნიჭის დახშობა ფართო მასებში არის შედეგი შრომის დანაწილებისა. განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში თვითეული ინდივიდი კიდეც რომ წარჩინებული მხატვარი იყოს, ეს მაინც არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ ყველა იყოს აგრეთვე ორიგინალური მხატვარი, ისე, რომ განსხვავება „ადამიანურ" და „ერთადერთ" შრომას შორის აქაც უბრალო უაზრობამდეა დაყვანილი. ყოველ შემთხვევაში საზოგადოების კომუნისტური ორგანიზაციის დროს ისპობა მხატვრის დაქვემდებარება ადგილობრივი და ნაციონალური შეზღუდულობისადმი, რომელიც მთლიანად შრომის დანაწილებიდან გამომდინარეობს; ისპობა აგრეთვე მხატვრის ჩაკეტვა რომელიმე ხელოვნების ჩარჩოებში, რის გამოც ის არის მხოლოდ ფერმწერი, მოქანდაკე და ა. შ., ისე, რომ მისი მოღვაწეობის თუნდაც ეს სახელწოდება საკმაო სიცხადით გამოხატავს მისი პროფესიონალური განვითარების შეზღუდულობას და მის დამოკიდებულებას შრომის დანაწილებისადმი. კომუნისტურ საზოგადოებაში არ არსებობენ მხატვრები, არსებობენ მხოლოდ ადამიანები, რომლებიც სხვათა შორის მხატვრობასაც ეწევიან.

იქვე, 381.

როცა საზოგადოება ყველა საწარმოო საშუალებას დაეუფლება, რათა იგი საზოგადოებრივი მიზნებისათვის გეგმაშეწონილად გამოიყენოს, იგი მოსპობს ადამიანთა წინანდელ დამონებას მათივე საკუთარი საწარმოო საშუალებების მიერ. თავისთავად იგულისხმება, რომ საზოგადოება ვერ განთავისუფლდება ისე, რომ თითოეული მისი წევრი არ განთავისუფლდეს. მაშასადამე, ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს ძველი წარმოების წესი და განსაკუთრებით შრომის ძველი დანაწილება უნდა მოისპოს. მისი ადგილი უნდა დაიჭიროს წარმოების ორგანიზაციამ, რომელშიც არავის არ შეეძლება სხვებს დააკისროს თავისი წილი პროდუქტიულ შრომაში, რაიცა ადამიანის არსებობის ბუნებრივ პირობას წარმოადგენს; გარდა ამისა, პროდუქტიული შრომა ადამიანის დამონების საშუალების მაგივრად ადამიანის განთავისუფლების საშუალებად გადაიქცევა, რამდენადაც იგი თითოეულ პიროვნებას შესაძლებლობას მიანიჭებს სხვადასხვა მიმართულებით განავითაროს და აამოქმედოს ყოველი თავისი ნიჭი, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი; ამგვარად, შრომა მძიმე ტვირთიდან სიამოვნებად იქცევა.

ფრ. ენგელსი, „ანტიდიურინგი", 249.

საზოგადოებრივი კლასების მოსპობა გულისხმობს ისტორიული განვითარების საფეხურს, რომელზედაც არა მარტო ამა თუ იმ განსაზღვრული გაბატონებული კლასის, არამედ ყოველი გაბატონებული კლასის არსებობა, მაშასადამე, თვით კლასობრივი განსხვავებება ანაქრონიზმადაა ქცეული, დაძველებულია. მაშასადამე, იგი გულისხმობს წარმოების განვითარების ისეთ დონეს, რომელზედაც წარმოების საშუალებათა და ნაწარმოებთა და ამასთან ერთად პოლიტიკური ბატონობის, სწავლა-განათლების მონოპოლიის და სულიერი ხელმძღვანელობის მითვისება განსაკუთრებული საზოგადოებრივი კლასის მიერ არა მარტო ზედმეტი ხდება, არამედ ეკონომიურად, პოლიტიკურად და გონებრივად აფერხებს განვითარების მსვლელობას...

საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი შითვისება მოსპობს არა მარტო წარმოების ამჟამად არსებულ ხელოვნურ დაბრკოლებებს, არამედ აგრეთვე საწარმოო ძალთა და წარმოების ნამდვილ გაფლანგვასა და განიავებას, რაიცა დღეს წარმოების აუცილებელი თანამგზავრია და რაიცა თავის უმაღლეს წერტილს კრიზისების დროს აღწევს. ამას გარდა, იგი დიდძალ საწარმოო საშუალებებს და პროდუქტებს გაათავისუფლებს საზოგადოებისთვის იმით, რომ მოსპობს დღევანდელი გაბატონებული კლასების და მათი პოლიტიკური წარმომადგენლების უაზრო ფუფუნებასა და მფლანგველობას. ის შესაძლებლობა, რომ საზოგადოებრივი წარმოების შემწეობით საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილი იქნას არსებობა, რომელიც არა მარტო მატერიალურად სავსებით საკმაო იქნება და დღითი დღე უფრო **ბარაქიანი*** გახდება, არამედ აგრეთვე მათი **ფიზიკური და სულიერი ნიჭის სრულიად თავისუფალი განვითარებისა და მოქმედების გარანტიას მისცემს**, ეს შესაძლებლობა ახლა (იგულისხმება სოციალიზმი. **რედ.**) პირველადაა მიღწეული, მაგრამ **იგი მართლაც მიღწეულია***.

**ფრ. ენგელსი**, „ანტი-დიურინგი", 238—9

---

III

# პოლიტექნიკური სწავლება

# პოლიტექნიკური სწავლება

## 1. შრომის დანაწილება მანუფაქტურაში და მუშის სწავლა-განათლების შეზღუდვა

ისტორიის წინანდელ ეპოქებში ჩვენ თითქმის ყველგან ვპოულობთ საზოგადოების სრულ დანაწილებას სხვადასხვა წოდებად, საზოგადოებრივი მდგომარეობის სხვადასხვა საფეხურებს. ძველ რომში ჩვენ ვხედავთ პატრიციებს, მხედრებს, პლებეებს, მონებს; საშუალო საუკუნეებში—ფეოდალურ ბატონებს, ვასალებს, ამქრის ოსტატებს, ქარგლებს, ყმებს და ამასთან ერთად თითქმის თითოეულ ამ კლასში კიდევ განსაკუთრებულ საფეხურებს.

თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც ფეოდალური საზოგადოების ნანგრევებზე აღმოცენდა, როდი მოუსპია კლასობრივი წინააღმდეგობანი. მან ძველის ალაგას მხოლოდ ახალი კლასები, ჩაგვრის ახალი პირობები და ბრძოლის ახალი ფორმები დააყენა.

მაგრამ ჩვენი ეპოქა, ბურჟუაზიის ეპოქა, მით არის განსხვავებული, რომ მან გაამარტივა კლასობრივი წინააღმდეგობანი. მთელი საზოგადოება სულ უფრო და უფრო იყოფა ორ დიდ მტრულ ბანაკად, ორ დიდ ერთიმეორის პირისპირ მდგომ კლასად—ბურჟუაზიად და პროლეტარიატად.

საშუალო საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვნენ პირველ ქალაქთა მოქალაქენი; ამ მოქალაქეებიდან განვითარდნენ ბურჟუაზიის პირველი ელემენტები.

ამერიკის აღმოჩენამ და აფრიკის გარშემო საზღვაო გზამ ახალი ასპარეზი შეუქმნა აღმავალ ბურჟუაზიას. აღმოსავლეთ-ინდოეთის და ჩინეთის ბაზარმა, ამერიკის კოლონიზაციამ, კოლონიებთან გაცვლა-გამოცვლამ, გაცვლა-გამოცვლის საშუალებათა და საერთოდ საქონელთა გამრავლებამ მანამდე გაუგონარი აღორძინება მისცა ვაჭრობას, ნაოსნობას, მრეწველობას და მით სწრაფად განავითარა რევოლუციური ელემენტი დაშლის პროცესით მოცულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

მრეწველობის აქამდელ ფეოდალურ ან ამქრულ საწარმოო წესს აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა, რომელიც ახალ ბაზრებთან ერთად იზრდებოდა. მისი ადგილი მანუფაქტურამ დაიჭირა. ამქრის ოსტატები განდევნილ იქნენ სამრეწველო საშუალო წოდების მიერ; შრომის დანაწილება სხვადასხვა კორპორაციებს შორის გაქრა, მან ადგილი დაუთმო შრომის დანაწილებას თვით ცალკეულ სახელოსნოში.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „კომ. მანიფ.", 27.

მანუფაქტურის აღმოცენება, მისი წარმოშობა ხელოსნობიდან ორნაირი გზით ხდება. ერთი მხრით, იგი წარმოდგება სხვადასხვაგვარ დამოუკიდებელ ხელობათა კომბინაციიდან, რომლებიც დამოუკიდებლობას კარგავენ და ცალმხრივი ხდებიან იმ ზომამდე, რომ ერთი და იმავე საქონლის წარმოების პროცესში მხოლოდღა ერთიმეორის შემავსებელ ნაწილობრივ ოპერაციას წარმოადგენენ. მეორე მხრით, იგი წარმოდგება ერთგვაროვანი ხელოსნობის კოოპერაციიდან, ანაწილებს ერთსა და იმავე ინდივიდუალურ ხელობას მის სხვადასხვა განსაკუთრებულ ოპერაციებად, აცალკევებს და დამოუკიდებლად ხდის მათ იმ ზომამდე, რომ თითოეული მათგანი ამა თუ იმ განსაკუთრებული მუშის ერთადერთ ფუნქციად ხდება. ამიტომ მანუფაქტურას, ერთი მხრით, შეაქვს შრომის დანაწილება წარმოების პროცესში ანდა ავითარებს არსებულ შრომის დანაწილებას; მეორე მხრით, იგი აერთებს სხვადასხვა ხელობას, რომელიც უწინ დამოუკიდებელი იყო. მაგრამ როგორც უნდა იყოს მისი გამოსავალი წერტილი ყოველ კერძო შემთხვევაში, მისი საბოლოო ფორმა მუდამ ერთი და იგივეა,— ის საწარმოო მექანიზმია, რომლის ორგანოებს ადამიანები წარმოადგენენ.

რომ სწორად იქნეს გაგებული შრომის დანაწილება მანუფაქტურაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგი მუხლების აღნიშვნას. პირველყოვლისა, წარმოების პროცესის დაყოფა მის განსაკუთრებულ ფაზისებად აქ სავსებით ემთხვევა ხელოსნური საქმიანობის დაშლას მის სხვადასხვა ნაწილობრივ ოპერაციებად. რთულია ეს ოპერაცია თუ მარტივი, იგი ხელოსნურ ხასიათს ინარჩუნებს და ამიტომ დამოკიდებულია თითოეული მუშის მიერ თავის ინსტრუმენტის ხმარების დროს გამოჩენილ ძალასა, დახელოვნებასა, სისწრაფესა და სიმარჯვეზე. საფუძვლად ხელოსნობა რჩება. ეს **ვიწრო ტექნიკური საფუძველი უარყოფს წარმოების პროცესის ნამდვილი მეცნიერული ანალიზის შესაძლებლობას**, რადგანაც ყოველი ნაწილობრივი პროცესი, რომელსაც პროდუქტი გაივლის, ხელოსნური ნაწილობრივი შრომის სახით უნდა იქნეს შესრულებული. სწორედ იმიტომ, რომ ხელოსნური დახელოვნება აქ წარმოების პროცესის საფუძვლად რჩება, თითოეული მუშა მარტოდ მარტო ერთ ნაწილობრივ ფუნქციას ეგუება და მისი სამუშაო ძალა მთელ მის სიცოცხლეში ამ ნაწილობრივი ფუნქციის ორგანოდ ხდება. დაბოლოს, შრომის ასეთი დანაწილება კოოპერაციის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს, მრავალი მისი უპირატესობა კოოპერაციის საერთო ბუნებიდან გამომდინარეობს და არა მისი განსაკუთრებული ფორმიდან.

კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, I, 291—292.

ყოველ საზოგადოებაში, სადაც წარმოების განვითარება სტიქიურად ხდება (თანამედროვე საზოგადოება კი ასეთია), მწარმოებლები კი არ ბატონობენ საწარმოო საშუალებებზე, არამედ საწარმოო საშუალებანი ბატონობენ მწარმოებლებზე. ასეთ საზოგადოებაში წარმოების ყოველი ახალი ბერკეტი აუცილებლად იმ ახალ საშუალებად იქცევა, რომლის შემწეობით საწარმოო საშუალებანი მწარმოებლებს იმონებენ. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის წარმოების იმ ბერკეტზე, რომელიც უძლიერესად ითვლებოდა მსხვილი მრეწველობის შემოღებამდე—შრომის დანაწილებაზე. უკვე პირველმა შრომის დიდმა დანაწილებამ—ქალაქის და სოფლის განცალკევებამ—სოფლის მოსახლეობას ათასი წლების გან-

მაელობაში ხეედრად გონებრივი დაჩლუნგება არგუნა, ხოლო მოქალაქეებს ინდივიდუალური დამონება მისივე ხელობის მიერ. მან შეაფერხა პირველთა გონებრივი და მეორეთა ფიზიკური განვითარება. თუ გლეხი მიწას ისაკუთრებს, ხოლო ხელოსანი თავის ხელობას, მიწაც აგრეთვე გლეხს ეპატრონება, ხოლო ხელობა ხელოსანს. როცა შრომა ნაწილდება, ადამიანიც ნაწილდება. ერთი რომელიმე ფუნქციის განვითარებას მსხვერპლად ეწირება ყველა დანარჩენი ფიზიკური და სულიერი ნიჭი. ადამიანის ეს დაბეჩავება მატულობს იმდენად, რამდენადაც შრომის დანაწილება მატულობს, ამ უკანასკნელმა კი თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მანუფაქტურაში მიაღწია.ı მანუფაქტურა ხელოსნობას მის განცალკევებულ ნაწილობრივ ოპერაციებად შლის, თითოეულ ამ ოპერაციას განცალკევებულ მუშას აკისრებს ცხოვრების მოწოდების სახით და ამრიგად ამ მუშას მთელი მისი სიცოცხლის განმაელობაში განსაზღვრულ ნაწილობრივ ფუნქციას და განსაზღვრულ სამუშაო იარაღს აჯაჭვავს.

ფრ. ენგელსი, „ანტიდიურინგი", 246-7.

მანუფაქტურა წარმოშობს თითოეულ ხელოსნობაში, რომელსაც ის იპყრობს, ეგრეთწოდებულ დაუხელოვნებელ (ანუ უსწავლელ) მუშათა კლასს [unskilled, ისეთებს, რომელთაც არავითარი სპეციალური დახელოვნება არ მოეპოებათ], რომელთაც სასტიკად სდევნიდა ხელოსნური წარმოება. ამა თუ იმ სრულიად ცალმხრივი სპეციალობის უაღრესი განვითარებით, შრომის საერთო უნარის ხარჯზე. მანუფაქტურა განსაკუთრებულ სპეციალობად აქცევს ყოველი განვითარების თვით ნაკლსაც კი. იერარქიული საფეხურების გვერდით თავს იჩენს მუშების უბრალო დაყოფა დახელოვნებულ და დაუხელოვნებელ მუშებად.

კ. მარქსი, „კაპიტალი", I. 303.

ნამდვილი მანუფაქტურა არა მარტო უმორჩილებს კაპიტალის ბატონობას და დისციპლინას წინათ დამოუკიდებელ მუშას, არამედ, გარდა ამისა, ქმნის იერარქიულ დანაწილებას თვით მუშებს შორის. იმ დროს, როდესაც მარტივი კოოპერაცია ცალკე პიროვნების მუშაობის წესს საერთოდ უცვლელად ტოვებს, მანუფაქტურას შეაქვს მასში მთელი რევოლუცია და ძირიან ფესვიანად იმორჩილებს ინდივიდუალურ სამუშაო ძალას. იგი ამახინჯებს მუშას, რადგანაც ხელოვნურად ავითარებს მასში ერთ რომელიმე სპეციალურ უნარს და უხშობს მას მთელ დანარჩენ საწარმოთა მიდრეკილებას და ნიჭს...

ის ცოდნა, შეგნება და ნებისყოფა, რომელსაც, თუმცა მცირე მასშტაბით, ავითარებს დამოუკიდებელი გლეხი ან ხელოსანი, ისე როგორც ველური მთელ სამხედრო ხელოვნებას პირად მოხერხებაში იჩენს, ყველა ეს ახლა მხოლოდ მთელი სახელოსნოსთვის არის საჭირო. წარმოების სულიერი პოტენცია სწორედ იმიტომ აფართოებს თავის მასშტაბს ერთ მხარეზე, რომ სხვა მრავალ მხარეზე იგი სრულიად ქრება. რასაც ნაწილობრივი მუშები კარგავენ, ის პირის-

პირ თავს იყრის კაპიტალში *. შრომის მანუფაქტურული დანაწილების ნაყოფიაის, რომ ნივთიერი წარმოების პროცესის სულიერი პოტენცია უპირდაპირდება მუშას, როგორც სხვისი საკუთრება და მისი დამმონებელი ძალა. ეს დაშორების პროცესი იწყება მარტივ კოოპერაციაში, სადაც კაპიტალისტი ცალკე მუშის მიმართ საზოგადოებრივი შრომის ორგანიზმის მთლიანობას და ნებისყოფას წარმოადგენს. შემდეგ იგი ვითარდება მანუფაქტურაში, რომელიც მუშას ნაწილობრივ მუშად აქცევითებს. იგი მთავრდება მსხვილ მრეწველობაში, რომელიც მეცნიერებას, როგორც წარმოების დამოუკიდებელ ძალას, შრომისაგან აცალკევებს და აიძულებს კაპიტალს ემსახუროს **.

მანუფაქტურაში კოლექტიური მუშის და ამიტომ კაპიტალის გამდიდრება საზოგადოებრივი საწარმოო ძალებით გულისხმობს მუშის გაღარიბებას ინდივიდუალური საწარმოო ძალების მხრით. „უვიცობა დედაა მრეწველობისა, ისე როგორც ცრუმორწმუნეობისა. მსჯელობა და წარმოსახვა შეიძლება შეცდეს, მაგრამ ფეხის ან ხელის ამოძრავების ჩვეულება არც ერთზეა დამოკიდებული, არც მეორეზე. *ამიტომ მანუფაქტურა ყველაზე მეტად იქ ყვავის, სადაც ყველაზე მეტად არის ჩამქრალი ადამიანის სულიერი მხარე*,—ისე რომ სახელოსნო შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მანქანა, რომლის ნაწილებსაც ადამიანები შეადგენენ“ ***. და მართლაც, მე-18 საუკუნის ნახევარში ზოგიერთი მანუფაქტურა იმ მარტივი ოპერაციების შესრულების საქმეში, რომელიც ფაბრიკის საიდუმლოებას შეადგენდა, ნახევრადიდიოტებს აძლევდა უპირატესობას ****.

„ადამიანთა დიდი უმრავლესობის სულიერი განვითარება“,—ამბობს ა. *სმიტი*,—„აუცილებლად მისი ყოველდღიური საქმიანობით განისაზღვრება, ადამიანს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მცირეოდენი მარტივი ოპერაციების შესრულებას ანდომებს... არა აქვს შემთხვევა განავითაროს თავისი გონება... საერთოდ იგი იმდენად გონებაჩლუნგი და უვიცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია ადამიანისათვის“. ნაწილობრივი მუშის გონების სიჩლუნგის დახასიათების შემდეგ ა. *სმიტი* განაგრძობს: „მისი ცხოვრების ერთფეროვნება, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ცვლილებას, რასაკვირველია, ახშობს მის სულიერ ძალას. იგი სპობს თვით მისი სხეულის ენერგიას და უვარგისად ხდის მას ინტენსიური და ხანგრძლივი მუშაობისათვის, გარდა იმ სპეციალური საქმისა, რომელთანაც იგი შეზრდილია. ამნაირად, მისი დახელოვნება მის სპეციალურ ხელობაში წარმოებს, როგორც ჩანს, მისი ინტელექტუალური, სოციალური და

---

* A. Ferguson: „History of Civil Society“, Edinburgh, 1767 Part, IV, sect. 1 p. 281.

„პირველი [ფაბრიკის პატრონი, სახელმწიფოს მმართველი პირი, გენერალი] შეიძლება იძენდეს მას, რაც მეორემ [მუშამ, დაბალმა მოხელემ, ჯარისკაცმა] დაკარგა“.

** „მეცნიერული და პროდუქტიული მუშა დიდი მანძილით შორდება ერთმანეთს და მეცნიერება, იმის მაგიერ, რომ მუშის ხელში წარმოადგენდეს საშუალებას—გააძლიეროს მისსასარგებლოდ მისი საკუთარი საწარმოო ძალები, თითქმის ყველგან მის წინააღმდეგ გამოდის... ცოდნა ხდება იმ იარაღად, რომელსაც შეუძლია შრომას დაშორდეს და მის საწინააღმდეგოდ გამოვიდეს“ (W. Thompson: „An Inquiry into the Principles of the Distribution of Wealth. London 1824“ p. 274).

*** A. Ferguson: „History of Civil Society. Edindurgh 1767“, Part IV, Sect. 1. r. 284.

**** J. D. Tuckett: A. History of the Past and Present State of the Labouring. Popuelation. London 1745“, vol 1, p. 149.

ჯამხედრო უნარის ხარჯზე. მაგრამ ყოველ ინდუსტრიულ და განათლებულ საზოგადოებაში ეს ის მდგომარეობაა, რომელშიაც მშრომელი ღარიბი (the labouping poor), ე. ი. ხალხის ფართო მასა, აუცილებლად უნდა ჩავარდეს". *ხალხის მასების ასეთი სრული დამახინჯების თავიდან ასაცილებლად, რაც შრომის დანაწილებას მოსდევს შედეგად*, *ა. სმიტი* საჭიროდ სცნობს სახალხო განათლების შემოღებას სახელმწიფო ხარჯზე, თუმცა ძალიან ფრთხილი ჰომეოპათიური დოზებით. ლოგიკური თანამიმდევრობით ილაშქრებს ამის წინააღმდეგ *ა. სმიტის* ფრანგი მთარგმნელი და კომენტატორი *გარნიე*, რომელიც საფრანგეთის პირველი იმპერიის დროს ბუნებრივი გზით სენატორად გამოიჩეკა. სახალხო განათლება, მისი აზრით, შრომის დანაწილების კანონებს ეწინააღმდეგება და მისი დადასტურება „მთელი ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის განწირვას უდრის" *.

ერთგვარი სულიერი და ფიზიკური დამახინჯება განუყრელია თვით შრომის დანაწილებისაგან მთელ საზოგადოებაში. მაგრამ რადგანაც მანუფაქტურულ ხანას გაცილებით შორს მიჰყავს შრომის სხვადასხვა დარგის საზოგადოებრივი დაქუცმაცება და რადგანაც, მეორე მხრით, ეს ხანა მისთვის დამახასიათებელი დანაწილებით ინდივიდუმის სასიცოცხლო ძარღვს სწედება, ამიტომ სამრეწველო პათოლოგიის მასალას და სტიმულს პირველად იგი იძლევა.

„ადამიანის დანაწილება ნიშნავს სიკვდილით დასჯას, თუ მან დაიმსახურა სასიკვდილო განაჩენი, და მკვლელობას, თუ მას იგი არ დაუმსახურებია, შრომის დანაწილება ხალხის მკვლელობაა" **.

შრომის მანუფაქტურული დანაწილება ხელოსნური მოქმედების დაშლით, სამუშაო იარაღების სპეციალიზაციით, ნაწილობრივი მუშების შექმნით, მათი შეჯგუფებით და კომბინაციით ერთ მთლიან მექანიზმად, ქმნის წარმოების საზოგადოებრივ პროცესში თვისებრივ დაყოფას და რაოდენობრივ პროპორციულობას, ქმნის, ამნაირად, საზოგადოებრივი შრომის განსაზღვრულ ორგანიზაციას და მით ავითარებს შრომის ახალ საზოგადოებრივ საწარმოო ძალას. როგორც საზოგადოებრივი წარმოების პროცესის სპეციფიკური კაპიტალისტური ფორმა,—იმ ისტორიულ პირობებში კი, როდესაც ის აღმოცენდება, მას მხოლოდ კაპიტალისტური ფორმით შეუძლია განვითარება,—იგი მხოლოდ განსაკუთრებული მეთოდია იმისთვის, რომ წარმოებულ იქნეს შეფარდებით ზედმეტი ღირებულება, ანუ გადიდებულ იქნეს მუშების ხარჯზე კაპიტალის თვითზრდა, რასაც საზოგადოებრივ სიმდიდრეს, „Wealth of Nations" და სხვ. უწოდებენ. იგი არა მარტო ავითარებს შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალას კაპიტალისტისათვის, და არა მუშისათვის, არამედ ის ავითარებს მას ინდივიდუალური მუშის დამახინჯებით. იგი მუშაზე კაპიტალის ბატონობის ახალ პირობებს ქმნის, ამი-

---

* ფერგიუსონმა უკვე თქვა თავის „History of Civil Society-ში, part IV sect. I. p. 281. „*ამ შრომის დანაწილების ხანაში შესაძლოა თვით აზროვნებაც განსაკუთრებულ პროფესიად გადაიქცეს*".

** D. Urquart: „Familiar Words. London 1855", p. 119. ჰეგელს შრომის დანაწილებაზე ძლიან მწვალებლური შეხედულება ჰქონდა. „განათლებულ ადამიანად, პირველ ყოვლისა, ის მიმაჩნია, ვისაც შეუძლია ყველა ის გააკეთოს, რასაც სხვები აკეთებენ", ამბობს იგი თავის „სამართლის ფილოსოფიაში".

ტომ, თუ, ერთის მხრით, იგი საზოგადოების ეკონომიურად ჩამოყალიბების პროცესში ისტორიულ პროგრესს და განვითარების აუცილებელ მომენტს წარმოადგენს, მეორე მხრით, იგი განათლებული და გაქნილი ექსპლოატაციის საშუალებაა.

კ. მარქსი, „კაპიტალი", I, 313—317.

უტოპისტებს უკვე სავსებით შეგნებული ჰქონდათ, რა გავლენას ახდენს შრომის დანაწილება, ერთის მხრით, მუშის დაბეჩავებაზე, მეორე მხრით, თვით შრომის პროცესზე, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთი და იმავე მოქმედების ერთფეროვან, მექანიკურ განმეორებად იქცევა. როგორც ფურიე, ისე ოუენი მოითხოვენ ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობის მოსპობას, როგორც უპირველეს ძირითად პირობას ძველი შრომის დანაწილების მოსასპობად. ორივე ამ უტოპისტის შეხედულებით მოსახლეობა ჯგუფ-ჯგუფებად უნდა დასახლდეს ათას ექვსასიდან სამი ათას სულამდე; თითოეული ჯგუფი უზარმაზარ სასახლეში ცხოვრობს, თავისი ტერიტორიის ცენტრში, და მას საერთო საოჯახო მეურნეობა აქვს. მართალია, ფურიე აქა-იქ ქალაქების შესახებაც ლაპარაკობს, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ ოთხი-ხუთი ასეთი ერთიმეორის ახლო მდებარე სასახლიდან შედგება. ორი უტოპისტის მიხედვით საზოგადოების თითოეული წევრი მონაწილეობას იღებს როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში; ამ უკანასკნელში მთავარ როლს, ფურიეს მიხედვით, ხელოსნობა და მანუფაქტურა ასრულებს, ოუენის მიხედვით, პირიქით, უკვე მსხვილი მრეწველობა, იგი საოჯახო მეურნეობაშიც მოითხოვს ორთქლის ძალისა და მანქანების შემოღებას. მაგრამ ორივენი მოითხოვენ, რომ როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში შემოღებულ იქნას, რაც შეიძლება, მეტი ცვალებადობა თითოეული პიროვნების საქმიანობაში, და ამისდა მიხედვით ახალგაზრდობამ ყოველმხრივი აღზრდა მიიღოს, რაც შეიძლება უფრო ყოველმხრივი ტექნიკური მოღვაწეობისათვის. ორივე იმ აზრისაა, რომ ადამიანი უნივერსალურად უნდა განვითარდეს უნივერსალური პრაქტიკული მოღვაწეობის შემწეობით, შრომას ხელახლა უნდა დაუბრუნდეს დანაწილების წყალობით დაკარგული მიმზიდველობა, ეს უნდა მოხდეს, უწინარეს ყოვლისა, ამ ცვალებადობისა და თითოეული სამუშაოსადმი მიძღვნილი მოკლე „სეანსის" შემწეობით, ფურიეს გამოთქმა რომ ვიხმაროთ.

ფრ. ენგელსი, „ანტიდიურინგი", 248.

მატერიალური და ინტელექტუალური შრომის უფრო მეტ დანაწილებას წარმოადგენს ქალაქის ჩამოცილება სოფლიდან. წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის იწყება ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში, თემური წყობილებიდან სახელმწიფოში, ადგილობრივი შეზღუდულებიდან ნაციაში გადასვლასთან ერთად და გრძელდება ცივილიზაციის მთელი ისტორიის გასწვრივ ჩვენ დრომდე...

წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ კერძო საკუთრების ჩარჩოებში. ეს წინააღმდეგობა უფრო უხეშად გამოხატავს ინდივიდის დამორჩილებას შრომის დანაწილებისადმი და განსაზღვრული, მისთვის თავზემოხვეული მოღვაწეობისადმი,—დამორჩილებას, რომელიც ერთს აქცევს ქალაქის შეზღუდულ

ცხოველად, ხოლო მეორეს—სოფლის შეზღუდულ ცხოველად და ყოველდღე ახალად ბადებს წინააღმდეგობას მათ ინტერესებს შორის.

კ. მ ა რ ქ ს ი და ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „გერმანული იდეოლოგია", М. Э. Соч. IV 40—41.

...წვრილი მესაკუთრე გლეხები შეადგენენ ვეებერთელა მასას, რომლის წევრები ერთნაირ პირობებში ცხოვრობენ, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთთან სხვადასხვაგვარ ურთიერთდამოკიდებულებაში არ იმყოფებიან. წარმოების წესი მათ ერთმანეთისაგან აცალკევებს, იმის ნაცვლად, რომ მათ ურთიერთდამოკიდებულებაში აყენებდეს... მათი წარმოების არე, მიწის პატარა ნაკვეთი, არავითარ საშუალებას არ იძლევა, შრომა დანაწილდეს და მეცნიერების მიღწევები იქნეს მასზე გამოყენებული, მაშასადამე, მრავალმხრივი განვითარება, ნიჭთა სხვადასხვაობა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნება იქნეს მიღებული.

კ. მ ა რ ქ ს ი, „თერამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა", 132, 1932.

---

## Ვ. ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ

...თანამედროვე მრეწველობა სულ უფრო და უფრო აიძულებს ბავშვებს აწარმოონ სამანქანო შრომა შვიდი წლის ასაკიდან და აქცევს მათ შემოსავლის წყაროდ არა მარტო ბურჟუაზიული კლასისათვის, არამედ მათი საკუთარი მშობლებისათვის, პროლეტარებისათვის. საფაბრიკო სისტემა ხელს უშლიდა სასკოლო სწავლების შესახებ კანონის გატარებას, მაგ. პრუსიაში. ჩვენ არ შევუდგებით იმის განხილვას, რომ გონებრივი განათლება, რომ კიდეც მიეღო იგი მუშას, არაფრით არ იმოქმედებდა მის ხელფასზე, რომ განათლება საერთოდ დამოკიდებულია ცხოვრების პირობებზე, რომ ბურჟუაზია ზნეობრივ აღზრდაში გულისხმობს ბურჟუაზიული პრინციპების შთანერგვას, და რომ ბურჟუაზიულ კლასს არა აქვს სახსრები მისცეს ხალხს ნამდვილი განათლება, ხოლო კიდეც რომ ჰქონოდა მას ეს სახსრები — მაინც არ გამოიყენებდა.

კ. მარქსი, „შრომის ხელფასი", М. Э. Соч. V, 546-7.

იაფფასიანი და მოუმწიფებელი სამუშაო ძალების ექსპლოატაცია უფრო უსირცხვილოდ სწარმოებს თანამედროვე მანუფაქტურაში, ვიდრე ნამდვილ ფაბრიკაში, რადგანაც ამ უკანასკნელის ტექნიკურ საფუძველს, — კუნთებრივი ძალის შენაცვლებას მანქანებით და შრომის სიადვილეს, — მანუფაქტურა უმეტეს ნაწილად მოკლებულია და ამასთანავე აქ სწარმოებს ქალისა ანდა მცირეწლოვანის ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ორგანიზმის უსინდისოდ მოწამვლა სხვადასხვა მავნე ნივთიერებით. ეგრეთწოდებულ შინაწარმოებაში უფრო უსირცხვილო ექსპლოატაციაა, ვიდრე მანუფაქტურაში, რადგან მუშების მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარი შემცირებულია მათი დაქსაქსვის გამო; რადგან ნამდვილ სამუშაოს მიმცემსა და მუშას შორის შეჭრილია მძარცველ პარაზიტთა მთელი ხროვა; რადგან შინაწარმოება ყველგან ებრძვის იმავე დარგის მანქანურ ან, ყოველ შემთხვევაში, მანუფაქტურულ წარმოებას; რადგან სიღარიბის გამო მუშა მოკლებულია უსაჭიროეს შრომის პირობებს: ფართო სადგომს, სინათლეს, ვენტილაციას და სხვ., რადგან აქ უფრო და უფრო მეტად აქვს ადგილი მუშაობის არარეგულარობას და, ბოლოს, რადგან აქ თავშესაფარია ყველა იმათთვის, ვინც „ზედმეტად" აქცია მსხვილმა მრეწველობამ და მიწათმოქმედებამ, რის გამო აქ კონკურენცია მუშებს შორის ძალაუნებურად უმაღლეს წერტილს აღწევს...

მე მსურს ზემოაღნიშნული დებულებანი რამდენიმე მაგალითით განვმარტო. არსებითად მკითხველი მრავალ საბუთს უკვე გაეცნო იმ თავში, რომელიც სამუშაო დღეს შეეხება. ბირმინგამსა და მის მიდამოებში სალითონო მანუფაქტუ-

რები ხმარობენ მეტწილად ფრიად მძიმე სამუშაოსათვის 30.000 ბავშვსა და მოზარდს და 10.000 ქალს. ჩვენ აქ მათ ვხედავთ ანტიჰიგიენურ სპილენძის სადნობ ქარხნებში, ღილების ფაბრიკებში, მოჭიქვის, დაგალვანების და გალაქვის სამუშაოებზე *. მოზრდილთა და მცირეწლოვანთათვის დაკისრებული უზომო შრომის გამო ლონდონის სხვადასხვა წიგნების და გაზეთების მბეჭდავმა სტამბებმა მოიპოვეს „სასაკლაოს" საპატიო სახელი **. ასეთსავე უზომო შრომას, რომლის მსხვერპლნი აქ განსაკუთრებით დედაკაცები, ქალიშვილები და ბავშვები არიან, ვხედავთ წიგნების საკაზმავეებში. მცირეწლოვანთა მძიმე შრომაა თოკის დასამზადებელ ფაბრიკებში, ღამით მუშაობაა მარილის ქარხნებში, სანთლის და სხვადასხვა ქიმიურ მანუფაქტურებში; მოზარდთა გამანადგურებელი გამოყენებაა საქსოვი დაზგების სატრიალებლად აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებში, რომელნიც მექანიკურ მამოძრავებელ ძალას არ ხმარობენ ***. ერთ-ერთ საზიზღარ, ჭუჭყიან და იაფფასიან სამუშაოს წარმოადგენს ძონძების გადარჩევა, რისთვისაც უმთავრესად ახალგაზრდა ქალიშვილები და დედაკაცები გამოიყენებიან. ცნობილია, რომ დიდი ბრიტანეთი, გარდა უამრავი საკუთარი ძონძებისა, მთელი ქვეყნის ძონძებით ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენს. ძონძები მოდის აქ იაპონიიდან, სამხრეთ ამერიკის უშორესი შტატებიდან და კანარის კუნძულებიდან. მაგრამ ძონძების შემოზიდვის მთავარი წყაროებია: გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი, ეგვიპტე, ოსმალეთი, ბელგია და ჰოლანდია. ძონძებს ხმარობენ მიწის პატივად, ლეიბების სატენისა და ხელოვნური მატყლის დასამზადებლად და ქაღალდისათვის ნედლ მასალად. ძონძების გადამრჩევი ქალები შუამავალნი არიან ყვავილის და სხვა გადამდები სენის გასავრცელებლად, რომლის პირველი მსხვერპლი თვითონვე ხდებიან ****. როგორც კლასიკური მაგალითი უზომო, მძიმე და შეუფერებელი შრომის და, რაც ამის შედეგია, მუშების გატლანქებისა, რომელთა მოხმარება სწარმოებს ბავშვობიდანვე, შეიძლება დასახელებულ იქნეს, მადნებსა და ნახშირის მაღაროებს გარდა, კრამიტის და აგურის წარმოება, რომლისათვის ახლად გამოგონებული მანქანა ინგლისში ჯერ კიდევ (1867 წელს) მხოლოდ აქა-იქ იხმარება. მაისიდან სექტემბრამდე მუშაობა დილის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე გრძელდება, და თუ გაშრობა ღია ჰაერზე სწარმოებს,—ხშირად დილის 4 საათიდან საღამოს 9 საათამდე. სამუშაო დღე დილის 5 საათიდან საღამოს 7 საათამდე „შეკვეცილად", „ზომიერად" ითვლება. აქ ორივე სქესის ბავშვებს 6 წლიდან და ხან 4 წლიდანაც ამუშავებენ. ისინი იმდენსავე მუშაობენ, რამდენსაც მოზრდილნი, ხშირად მეტსაც. სამუშაო მძიმეა და ზაფხულის სიცხე კიდევ უფრო აძლიერებს დაქანცულობას. მაგალითად, აგურის ქარხანაში Mosley-ში ერთი 24 წლის ქალიშვილი დღეში 2.000 აგურს ამზადებდა 2 მცირეწლოვანი გოგოს დახმარებით, რომელნიც თიხას ზიდავდნენ

* და კლიბების გახეხვაზედაც კი ამუშავებენ ბავშვებს შეფილდში!

** „Children's Employment Commission. 5th Report 1866", p. 3. n. 24, p. 6, n. 55, 56, p. 7, n. 59, 60.

*** იქვე, გვ. 114, 115, N. 6, 7. კომისიის წევრი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თუ მანქანა საერთოდ ადამიანის ადგილს იჭერს, აქ მოზარდი, სიტყვა-სიტყვით, მანქანის ადგილს იჭერს.

**** იხ. ანგარიში ძონძებით ვაჭრობის შესახებ და მრავალი საილუსტრაციო ფაქტი: „Public Health-ში 8th Report. London 1866", Appendix, p. 196—208.

და აჯურებს აწყობდნენ. ეს გოგოები ყოველდღიურად 10 ტონა თიხას ეზიდებოდნენ ორმოს მოლიპულ ნაპირებზე 30 ფუტის სიღრმიდან და გადაჰქონდათ 210 ფუტის მანძილზე. „შეუძლებელია ბავშვმა ეს სალხინებელი გაიაროს ისე, რომ არ დაეცეს ზნეობრივად... უწმაწური სიტყვა-პასუხი, რომელიც მათ ესმით სიყრმიდანვე, უზრდელი და უსირცხვილო ზნეჩვეულება, რომლის შემხედვარე ისინი უვიცებად და ველურებად იზრდებიან,—ხდის მათ მთელი შემდგომი სიცოცხლისათვის ალვირახსნილ, უზნეო და გათახსირებულ ადამიანებად... დემორალიზაციის საშინელ წყაროს წარმოადგენს ბინადრობის წესი. თითოეული moulder-ი (ყალიბში გამომყვანი, რომელიც დახელოვნებული მუშაა და მუშათა ჯგუფის მეთაური) აძლევს თავის 7 კაცისაგან შემდგარ ჯგუფს ბინას და საჭმელს თავის ქოხში, ანუ cottage-ში. მამაკაცებს, ბიჭებს და გოგოებს ერთ ქოხში სძინავთ იმის მიუხედავად, ეკუთვნიან თუ არა ისინი მეყალიბის ოჯახს. ეს ქოხი ჩვეულებრივ შედგება 2 ოთახისაგან, მხოლოდ გამონაკლისის სახით—3-საგან, აგებულია ერთ სართულად და არასაკმაო ვენტილაციით. სხეული იმდენად დაქანცულია მთელ დღეს ძნელი მუშაობით, რომ აღარავინ ფიქრობს ჰიგიენის, სისუფთავის და ზრდილობის დაცვაზე. ბევრი ამ ქოხთაგანი უწესოების, სიბინძურის და მტვრის ნამდვილ ნიმუშს წარმოადგენს... ყველაზე დიდი ბოროტება ამ სისტემისა, რომელიც ახალგაზრდა ქალიშვილებს ასეთ სამუშაოს აძლევს, იმაში მდგომარეობს, რომ იგი მათ ჩვეულებრივ სიყრმიდანვე სამუდამოდ ყოვლად გათახსირებულ ნაძირალებს უკავშირებს. ვიდრე მათ ბუნება შთააგონებდეს, რომ ისინი ქალები არიან, ისინი უკვე გაუთლელ, ენაწარყვნილ ბიჭებად („rough, foul-mouthed boys") არიან გადაქცეულნი. ჭუჭყიან ძონძებში გახვეულნი, მუხლებს ზემოთდე გაშიშვლებულნი, ტალახში თმა და სახემოსვრილნი, ისინი ეჩვევიან ზიზღით უყურონ ზრდილობიანობისა და სირცხვილის ყოველგვარ გრძნობას. სადილობის დროს გაშოტილი არიან მინდორში, ანდა უცქერიან ბიჭებს, რომელნიც იქვე ახლო არხში ბანაობენ. დღიური მძიმე სამუშაოს დათავების შემდეგ იცვამენ უკეთეს ტანისამოსს და მამაკაცებს ლუდხანაში მისდევენ". რომ მთელ ამ კლასში ბავშვობიდანვე საშინელი ლოთობაა გავრცელებული, ეს სრულიად ბუნებრივია. „ყველაზე უარესი ისაა, რომ მეაგურეები თავიანთ თავზე იმედდაკარგულები არიან. თქვენ, ბატონო,—უთხრა ერთმა საუკეთესო მათგანმა Southallfield-ის მოძღვარს, ისევე წარმატებით შეგიძლიათ შეეცადოთ ეშმაკის მოქცევასა და გასწორებას, როგორც მეაგურისას!" (Yo might as well try to raise and improve the devil as a brickie, Sir!")*...

150.000 ადამიანიდან, რომელიც ინგლისის მაქმანის წარმოებაში მუშაობს, დაახლოვებით 10.000-ზე ვრცელდება 1861 წლის საფაბრიკო კანონის ძალა. დანარჩენ დიდძალ უმრავლესობას—140.000-ს—შეადგენენ დედაკაცები, მოზარდნი და ბავშვები ორივე სქესისა, თუმცა მამრობითი სქესი სუსტად არის წარმოდგენილი. ამ „იაფი" საექსპლოატაციო მასალის ჯანმრთელობის მდგომარეობას გვირკვევს ნოტინგამის General Dispensary-ს** ექიმის, Dr. Trueman-ის

* „Children's Employment Commission. 5th Report 1866", p. XVI, n. 96, 97, p. 130, n. 39, 61. შეად. აგრეთვე იქვე, 3rd Report 1864, p. 48. 56.

** პოლიკლინიკა, რომელიც საექიმო დახმარებას და წამალს უსასყიდლოდ აძლევს ღარიბებს. რ.

შემდეგი ცხრილი. 686, მეტწილად 17—24 წლის, მაქმანის მქსოველ ავადმყოფ ქალში ჭლექით დაავადებული იყო *:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1852 | წელს | 1 | 45-ში | 1857 | წელს | 1 | 13-ში |
| 1853 | „ | 1 | 28 „ | 1858 | „ | 1 | 15 „ |
| 1854 | „ | 1 | 17 „ | 1859 | „ | 1 | 9 „ |
| 1855 | „ | 1 | 18 „ | 1860 | „ | 1 | 8 „ |
| 1856 | „ | 1 | 15 „ | 1861 | „ | 1 | 8 „ |

ჭლექით დაავადებულთა რიცხვის ასეთმა პროგრესიულმა ზრდამ უნდა დააკმაყოფილოს ოპტიმისტი პროგრესისტები და თავისუფალი ვაჭრობის უსირცხვილო გერმანელი კომივოიაჟორები.

1861 წლის საფაბრიკო კანონი აწესრიგებს მაქმანის ქსოვას, რამდენადაც იგი მანქანების საშუალებით სწარმოებს, და ეს კი საერთო წესია ინგლისში. მრეწველობის ის დარგები, რომლებსაც ჩვენ აქ მოკლედ განვიხილავთ,—და განვიხილავთ არა იმათ, სადაც მუშები მანუფაქტურებში, მაღაზიებში და სხვაგან არიან თავმოყრილნი, არამედ—სადაც მუშები ე. წ. შინამომუშავენი არიან,— ეს დარგები განიყოფება ორ კატეგორიად: 1) lace finishing-ად (მანქანების საშუალებით დამზადებული მაქმანის საბოლოო გამოყვანა; ეს კატეგორია, თავის მხრივ, მრავალ დანაწილებას შეიცავს) და 2) მაქმანის ქსოვად.

Lace finishing-ი სრულდება შინაწარმოების წესით ეგრეთწოდებულ „mistresses houses“-ში [დიასახლისების სახლი] ან ქალების კერძო ბინებში; ეს ქალები მარტოკა ანდა თავიანთ ბავშვებთან ერთად მუშაობენ. „Mistresses houses“-ის დიასახლისები თვითონ ღარიბები არიან. სახელოსნოს მათი კერძო ბინის ნაწილი უკავია. ისინი იღებენ შეკვეთას ფაბრიკანტებისგან, მაღაზიების პატრონებისგან და სხვ. და ამუშავებენ დედაკაცებს, ქალიშვილებს და პატარა ბავშვებს იმ რაოდენობით, რომელიც შეესაბამება მათი ოთახების ზომას და რყევად მოთხოვნას ამ დარგში. მუშა-ქალების რიცხვი ზოგიერთ სახელოსნოებში 20—40-ს უდრის, ზოგან-კი—10—20-ს, საშუალო მინიმალური ჰასაკი, როდესაც ბავშვები მუშაობას იწყებენ, 6 წელიწადია, მაგრამ ზოგნი 5 წლიდან იწყებენ მუშაობას. ჩვეულებრივი სამუშაო დღე გრძელდება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, საათნახევარი დასვენებით საჭმლის მისაღებად; ეს უკანასკნელი რეგულარულად არ ხდება, ხშირად საჭმელს იმ მყრალ სოროებში სჭამენ, სადაც მუშაობა სწარმოებს. როდესაც საქმე კარგად მიდის, მუშაობა ხშირად დილის 8 საათიდან (ზოგჯერ 6 საათიდანაც) ღამის 10, 11 და 12 საათამდე გრძელდება.

ინგლისურ ყაზარმებში თითოეულ ჯარისკაცზე დაწესებულია 500—600 კუბ. ფუტი ჰაერი, სამხედრო ლაზარეთებში—1.200. იმ სამუშაო სოროებში თითოეულ სულზე 67—100 კუბ. ფუტი მოდის. ამავე დროს გაზის სინათლეს ჰაერის ჟანგბადი მიაქვს. მაქმანის სისუფთავის დასაცავად ბავშვებმა ზამთარშიაც ხშირად ფეხთ უნდა დაიხადონ, თუმცა იატაკი თლილი ქვის ან აგურისაა. „ნოტინგამში ჩვეულებრივი სანახავია, რომ 14—20 ბავშვი ერთ პატარა ოთახში, სივრცით იქნებ არა უმეტეს 12 კვად. ფუტისა, არის შეყრილი, სადაც ისინი

* „Children's Employment Commission. 2nd Report“, p. XXII, n. 166.

დღეში 15 საათს შრომობენ ისეთ სამუშაოზე, რომელიც თავისთავადაც დამქანცველი და თავმომაბეზრებელია თავისი ერთფეროვნობით და ამასთანავე სწარმოებს ისეთ საშინელ ანტიჰიგიენურ პირობებში, როგორიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ... სულ პატარა ბავშვებიც კი დაძაბული ყურადღებით და საოცარი სისწრაფით მუშაობენ, თითების მოძრაობის თითქმის სრულიად შეუჩერებლად ან შეუნელებლად. თუ მათ რაიმე კითხვით მიმართავთ, ისინი თვალს არ მოაშორებენ სამუშაოს, ერთი წუთის დაკარგვის შიშით". „გრძელი ჯოხი" ბავშვების გამოსაფხიზლებელი საშუალებაა „Mistresses"-ის ხელში და მით უფრო აუცილებელია, რაც უფრო გრძელია სამუშაო დრო. „ბავშვები თანდათან ილლებიან და ჩიტივით მოუსვენარი ხდებიან ხანგრძლივი მუშაობის დასასრულს, რომელიც ერთფეროვანია, დამსუსტებელია თვალების და დამქანცავი, რადგანაც მუშაობის დროს სხეული ერთ და იმავე მდგომარეობაში იმყოფება. ეს ნამდვილი მონური შრომაა" („Their work is like slavery")*. როდესაც დედაკაცები თავიანთ ბავშვებთან ერთად მუშაობენ შინ, ე. ი. ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით—ერთ ნაქირავებ ოთახში, ხშირად ჩარდახში სახლის სახურავს ქვეშ,—მდგომარეობა, თუ შეიძლება, კიდევ უარესია. ამგვარი სამუშაო დარიგებულია ნოტინგამის მიდამოებში 80 მილის მანძილზე. როდესაც მაღაზიაში მომუშავე ბავშვი საღამოს 9—10 საათზე სახლში მიდის, მას ხშირად კიდევ ერთ შეკვრა სამუშაოს ატანენ შინ გასაკეთებლად. ფარისეველი კაპიტალისტი თავისი დაქირავებული მსახურის პირით, რასაკვირველია, თან აყოლებს ამ ტრადიციულ ფრაზას: „ეს დედისთვისაა", თუმცა მან ძალიან კარგად იცის, რომ საბრალო ბავშვს მოუხდება შინ ჯდომა და დედისთვის შველა **.

სამაქმანო მრეწველობა სწარმოებს უმთავრესად ინგლისის ორ სამიწათმოქმედო ოლქში: Honiton-ის სამაქმანო ოლქში, რომელიც მდებარეობს დევონშირის სამხრეთ ნაპირის გასწვრივ 20—30 მილის მანძილზე და შეიცავს აგრეთვე ჩრდილო დევონის რამდენიმე ადგილს, და იმ ოლქში, რომელიც შეიცავს ბუკინგემის, ბედფორდის და ნორტჰემპტონის საგრაფოების დიდ ნაწილს და მეზობელ ოქსფორდშირის და ჰენტინგდონშირის ნაწილებს. სოფლის დღიური მუშების კოტეჯები იმავე დროს ჩვეულებრივ სახელოსნოებიცაა. ზოგი მანუფაქტურის პატრონი 3.000-ზე მეტ ასეთ მუშას ამუშავებს, უმთავრესად—ბავშვებსა და მოზარდებს, მხოლოდ და მხოლოდ მდედრობითი სქესისას. აქ მეორდება იგივე მდგომარეობა, რაც lace finishing-ის შესახებ აღვნიშნეთ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „Mistresses houses"-ის ნაცვლად აქ ეგრეთწოდებული „lace schools"-ია (სამაქმანო სკოლები), რომლებიც ღარიბ დედაკაცებს აქვთ გამართული თავიანთ ქოხებში. ამ სკოლებში ბავშვები მუშაობენ 5 წლის ასაკიდან, ხან უფრო ადრეც, 12—15 წლის ასაკამდე, პირველი წლის განმავლობაში სულ პატარები—დღეში 4—8 საათს, ხოლო შემდეგ—დილის 6 საათიდან საღამოს 8—10 საათამდე. „ოთახები საერთოდ პატარა კოტეჯების ჩვეულებრივი საბინაო ოთახებია. ბუხარი დაცობილია, რომ ჰაერმა თავისუფლად არ იმოძრაოს. ოთახში მყოფნი, ზოგჯერ ზამთარშიაც, მხოლოდ თავიანთი საკუთარი ცხოველური სითბოთი თბებიან. სხვა შემთხვევებში ეს ეგრეთწოდე-

---

* „Children's Employment Commission. 2nd Report 1854", p. XIX, XX, XXI.

** იქვე, გვ. XXI, XXVI.

ბული სასკოლო ოთახები პატარა და უღუმელო საკუჭნაოების მსგავს სადგომებს წარმოადგენს... ამ ხვრელების გაჭედვა ხალხით და ამის გამო ჰაერის გაფუჭება ხშირად უკიდურეს საზღვარს აღწევს. ამას ზედ ერთვის მავნებელი გავლენა ჩასადენების, ფეხისალაგების, აყროლებულ ნივთიერებათა და სხვა სიბინძურისა, რაც ჩვეულებრივ მოიპოვება პატარა კოტეჯების შესავალთან". სადგომების შესახებ: „ერთ სამაქმანო სკოლაში 18 ქალიშვილია და ერთი ოსტატი ქალი, თითოეულ სულზე 35 კუბ. ფუტი მოდის; მეორე სკოლაში, სადაც აუტანელი მყრალი სუნი დგას, 18 სულია, სულზე $24^1/_2$ კუბ. ფუტი მოდის. ამ მრეწველობაში ზოგჯერ $2-2^1/_2$ წლის ბავშვებსაც ამუშავებენ" *.

ბუკინგემისა და ბედფორდის სოფლის საგრაფოების იმ ადგილებში, სადაც მაქმანების ქსოვა ქრება, ჩალის წნვა იწყება. იგი ვრცელდება ჰერტფორდშირის დიდ ნაწილში და ესექსის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში. 1861 წელს ჩალის წნვას და ჩალის ქუდების წარმოებას მისდევდა 40.043 ადამიანი, აქედან მამრობითი სქესი ყველა ასაკისა—3.815, დანარჩენები იყვნენ მდედრობითი სქესისა, რომელთაგან 14.913 იყო 20 წელზე უფრო ახალგაზრდა და მათში 7.000-მდე ბავშვი ირიცხებოდა.

სამაქმანო სკოლების ნაცვლად აქ არის „straw plait school"-ები (ჩალის საწნავი სკოლები). ჩალის წნვის სწავლას აქ ბავშვები ჩვეულებრივ 4 წლიდან იწყებენ, ზოგჯერ 3-სა და 4 წელს შუაც. რასაკვირველია, არავითარი აღზრდა მათ არ ეძლევათ. თვითონ ბავშვები ელემენტარულ სკოლებს „natural school"-ებს (ბუნებრივ სკოლებს) უწოდებენ, წინაამდეგ იმ სისხლისმსმელ დაწესებულებათა, სადაც მათ მხოლოდ იმიტომ ამუშავებენ, რომ გააკეთებინონ მათი ნახევრადდამშეული დედების მიერ მიცემული სამუშაო, ჩვეულებრივ 30 იარდისა დღეში. ეს დედები ხშირად მათ კიდევ სახლში ამუშავებენ ღამის 10, 11 და 12 საათამდე, ჩალა მათ უჭრის თითებს, პირს, რომლითაც მუდამ ამ ჩალას ასველებენ. ლონდონის მოხელე ექიმების საერთო აზრით, რომელსაც გადმოგვცემს Dr. Ballard-ი, თითოეული ადამიანისათვის საწოლ ანდა სამუშაო ოთახში 300 კუბ. ფუტი მინიმალურ სივრცეს შეადგენს. ჩალის საწნავ სკოლებში კი ეს სივრცე უფრო ნაკლებია, ვიდრე მაქმანის საქსოვ სკოლებში, სახელდობრ: $12^1/_3$, 17, $18^1/_2$ კუბ. ფუტი და 22 კუბ. ფუტზე ნაკლები თითოეულ სულზე. „ამ რიცხვებში უმცირესი რიცხვები",—ამბობს კომისიის წევრი White-ი,—„იმ სივრცის ნახევარზე ნაკლებს წარმოადგენენ, რომელსაც დაიჭერდა ბავშვი, მოთავსებული ყველა განზომილობით 3-ფუტიან ყუთში". ასეთ ნეტარებაში არიან ბავშვები 12 თუ 14 წლამდე. დამშეული და გაველურებული მშობლები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, ბავშვების საშუალებით რაც შეიძლება მეტი გამორჩენა ნახონ. როდესაც ბავშვები წამოიზრდებიან, რასაკვირველია, ყურადღებას აღარ აქცევენ თავიანთ მშობლებს და სტოვებენ მათ. „საკვირველი არ არის, რომ ამგვარად აღზრდილ მოსახლეობაში უმეცრება და გარყვნილებაა გამეფებული... მისი ზნეობა უდაბლეს საფეხურზე დგას... ქალების დიდ რიცხვს უკანონო შვილები ჰყავს და ზოგიერთებს ისეთ მოუმწიფებელ ასაკში, რომ თვით კრიმინალური სტატისტიკის მცოდნენიც კი გაოცებაში მოდიან ამის გამო" **. და ამ სამაგალითო

* იქვე, გვ. XXIX, XXX.

** იქვე, გვ. XL, XLI.

ოჯახების სამშობლო არის ინგლისი, ეს ევროპის სამაგალითო ქრისტიანული ქვეყანა, როგორც ამბობს გრაფი მ ო ნ ტ ა ლ ა მ ბ ე რ ი, უეჭველად კომპეტენტური პიროვნება ქრისტიანობის საკითხებში!

შრომის ხელფასი, რომელიც საერთოდ სულ უმნიშვნელოა ზემოაღნიშნულ მრეწველობის დარგებში (ჩალის საწნავ სკოლებში ბავშვების მაქსიმალური ხელფასი, გამონაკლისის სახით, 3 შილინგს უდრის კვირაში), თავის ნომინალურ სიდიდეზე დაბლა იწევს truck-სისტემის [მუშებთან ფულის ნაცვლად საქონლით გასწორების სისტემის] გამო, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებულია განსაკუთრებით მაქმანის მწარმოებელ ოლქებში *...

თავის საბოლოო ანგარიშში (1866 წელს) „Children's Employment Commission"-ი წინადადებას იძლევა საფაბრიკო კანონს დაექვემდებაროს 1.400 000-ზე მეტი ბავშვი, მოზარდი და ქალი, რომელთაგან თითქმის ნახევარი ექსპლოატაციის საგანს წარმოადგენს წვრილ წარმოებასა და შინაწარმოებაში **. „უკეთუ", —ამბობს კომისია. — „პარლამენტი მიიღებს ჩვენს წინადადებას სავსებით, — ასეთი კანონმდებლობა, უეჭველია, ფრიად სასიკეთო გავლენას იქონიებს არა მარტო მცირეწლოვანებსა და სუსტებზე, რომლებსაც იგი, პირველყოვლისა, შეეხება, არამედ—მოზრდილი მუშების უდიდეს მასაზედაც, რომელნიც პირდაპირ (ქალები) და არაპირდაპირ (მამაკაცები) მოექცევიან მისი მოქმედების ფარგალში. იგი იძულებულყოფს მათ დაიცვან რეგულარული და შემცირებული სამუშაო დრო, იგი დაზოგავს და გაზრდის ფიზიკური ძალის იმ მარაგს, რომელზედაც ასე ძალიან არის დამოკიდებული როგორც მათი საკუთარი, ისე მთელი ქვეყნის კეთილდღეობა; იგი დაიცავს მოზარდ თაობას გადაჭარბებული მუშაობისაგან ადრეულ ასაკში, რაც შლის მის ორგანიზმს და იწვევს მის უდროოდ დაუძლურებას; დასასრულ, იგი მისცემს ბავშვებს, 13 წლამდე მაინც, პირველდაწყებითი სწავლის მიღების შესაძლებლობას და მით ბოლოს მოუღებს იმ წარმოუდგენელ უვიცობას, რომელიც ასე სისწორით არის აწერილი კომისიის მოხსენებებში და რომლის ცქერა არ შეიძლება უიმისოდ, რომ დიდი ტანჯვა და ნაციონალური დამცირების ღრმა გრძნობა არ განიცადოს ადამიანმა" ***.

უკვე 1840 წელს დანიშნული იყო საპარლამენტო კომისია ბავშვების შრომის გამოსაკვლევად. მისმა ანგარიშმა (1842 წელს), ნ. ვ. ს ე ნ ი ო რ ი ს სიტყვით, გადაშალა „უსაშინელესი სურათი კაპიტალისტების და მშობლების გაუ-

---

* „Children's Employmeyt Commission. 1st Report 1863", p. 185.

** მრეწველობის დარგები, რომლებზედაც გავრცელებული უნდა იქნეს საფაბრიკო კანონის მოქმედება, შემდეგია: მაქმანის მანუფაქტურა, წინდების ქსოვა, ჩალის წნა, ტანსაცმელის დამზადება მისი სხვადასხვა სახეებითურთ, ხელოვნური ყვავილების კეთება, ფეხსაცმელების ქუდების და ხელთათმანების წარმოება, მკერვალობა, ყველა სალითონო ქარხანა, დაწყებული ბრძმედებით და გათავებული ნემსის ფაბრიკებით და სხვ., ქაღალდის ფაბრიკები, შუშის მანუფაქტურა, თამბაქოს მანუფაქტურა, India Rubber-ის [რეზინის] წარმოება, დგიმის ფაბრიკაცია (საფეიქროებისთვის), ხალიჩების ხელით ქსოვა, საწვიმარი და სამზეური ქოლგების მანუფაქტურა, თითისტარების და მასრების ფაბრიკაცია, წიგნების ბეჭდვა, წიგნების კაზმვა, საწერი საგნებით ვაჭრობა (Stationery,—ამას ეკუთვნის დამზადება ქაღალდის კოლოფების, სათამაშო ქაღალდის, ფერადების და სხე.), ბაგირის წარმოება, ალატის წარმოება, აგურის ქარხნები, ხელით მომუშავე აბრეშუმის მანუფაქტურა, Coventry-ს საფეიქრო, მარილის, ქონის სანთლის და ცემენტის წარმოება, შაქრის წარმოება, ორცხობილის დამზადება, სხვადასხვაგვარი ხისა და სხვა შერეული წარმოებანი.

*** იქვე, გვ. XXV, N. 169.

მაძღრობის, ეგოიზმის და სიმკაცრისა,—სურათი ბავშვების და მოზარდების სილატაკის, გადაგვარების და განადგურებისა, რომლის მსგავსი ქვეყანას არასოდეს არ უხილავს... შეიძლებოდა ადამიანს ეფიქრა, ანგარიში წარსული დროის საშინელებას ასწერსო. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს თვალწინ ცნობები იმის შესახებ, რომ ეს საშინელება ახლაც ისევ ინტენსიურად განაგრძობს არსებობას, როგორც უწინ. ამ ორი წლის წინათ Hardvicke-ის მიერ გამოქვეყნებული პროშურა ადასტურებს, რომ 1842 წელს დაგმობილი ბოროტებანი დღესაც (1863 წელს) სრულს ძალაში არიან.·. ეს ანგარიში (1842 წლისა) მთელ 20 წელიწადს უყურადღებოდ იყო დატოვებული და ამ ხნის განმავლობაში იმ ბავშვებს, რომელნიც გაიზარდნენ სრულიად წარმოდგენის უქონლად იმაზე, რასაც ჩვენ მორალს ეუწოდებთ, წარმოდგენის უქონლად აგრეთვე სასკოლო განათლებაზე, სარწმუნოებაზე ანდა ბუნებრივ ოჯახურ სიყვარულზე,—ნება მისცეს ახლანდელი თაობის მშობლები გამხდარიყვნენ» *.

მაგრამ საზოგადოებრივი მდგომარეობა შეიცვალა. პარლამენტმა ვერ გაბედა უკუეგდო 1862 წლის კომისიის მოთხოვნა, როგორც მან თავის დროს უკუაგდო მოთხოვნა 1842 წლის კომისიისა. ამიტომ უკვე 1864 წელს, როდესაც კომისიამ თავისი ანგარიშების მხოლოდ ერთი ნაწილი გამოაქვეყნა, ტექსტილური მრეწველობისათვის არსებულ კანონს დაექვემდებარა: მიწურ ნაწარმოებთა მრეწველობა (აქ შედის მექურჭლეობაც), შპალერის, ასანთის, ვაზნის და ფისტონის ფაბრიკაცია, აგრეთვე ხავერდის კრეჭა. 1867 წელს, როდესაც კომისიას თავისი მუშაობა უკვე დამთავრებული ჰქონდა (1866 წელს), თებერვლის 5-ს მაშინდელმა ტორიულმა კაბინეტმა სეფე-სიტყვაში განაცხადა, რომ კომისიის დასკვნებზე დამყარებულ bills-ს [კანონპროექტებს] წარუდგენდა პარლამენტს.

1867 წლის აგვისტოს 15-ს Factory Acts Extension Act-ი და იმავე წლის აგვისტოს 21-ს Workshops' Regulation Act-ი დამტკიცებულ იქნა მეფის მიერ; პირველი კანონი წარმოების მსხვილ დარგებს აწესრიგებს და მეორე—წვრილ დარგებს.

Factory Acts Extension Act-ი აწესრიგებს შრომას ბრძმედებში, რკინის და სპილენძის ქარხნებში, ლითონის ჩამომსხმელ დაწესებულებებში, სამანქანო ფაბრიკებში, სალითონო სახელოსნოებში, გუტაპერჩის, ქაღალდის, შუშის და თამბაქოს ფაბრიკებში, შემდეგ—სტამბებსა და წიგნების საკაზმავეებში და საერთოდ ყველა ამგვარ სამრეწველო სახელოსნოში, სადაც 50 ანდა მეტი ადამიანი იმავდროულად წელიწადში არა ნაკლებ 100 დღისა მუშაობს **.

რომ რაოდენადმე წარმოდგენა ვიქონიოთ ამ კანონის მოქმედების სფეროს სიდიდეზე, მოვიყვანთ აქ ზოგიერთ მის დამყარებულ განსაზღვრას:

„ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა" *** (handicraft) ნიშნავს (ამ კანონში): ყოველნაირ ხელით შრომას, რომელიც პროფესიის ხასიათს ატარებს ან იწარმოება შეძენის მიზნით, რაიმე გასაყიდად დანიშნული საგნის ან მისი ნაწილის დასამზადებლად, შესაცვლელად, გასამშვენებლად, შესაკეთებლად ან დასამთავრებლად.

---

* „Senior": „Social Science Congress", p. 55, 56.

** ამ კანონებს, 1872 წლის ახალ Mining Act-ს და სხვ., მე კვლავ დავუბრუნდები მეორე ტომში.

*** ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

„ს ა ხ ე ლ ო ს ხ ო“ * ნიშნავს: ყველა ოთახს ან ადგილს, დახურულს ან ცის ქვეშ გაშლილს, სადაც „ხელოსნობა“ სწარმოებს ბავშვის, მოზარდის ან ქალის მიერ და სადაც შესვლისა და კონტროლის უფლება აქვს მას, ვისაც ეს ბავშვი, მოზარდი ან ქალი სამუშაოზე ჰყავს დაყენებული.

„ს ა მ უ შ ა ო ზ ე დ ა ყ ე ნ ე ბ უ ლ ი“ * ნიშნავს: „ხელოსნობაში“, ფასით ან უფასოდ, მომუშავეს ოსტატის ან ერთ-ერთი მშობლის გამგებლობის ქვეშ, როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ.

„მ შ ო ბ ე ლ ი“ * ეწოდება: მამას, დედას, მეურვეს ან სხვა პირს, რომელსაც აქვს მეურვეობის, ანუ ზედამხედველობის, უფლება ამა თუ იმ... ბავშვზე ან მოზარდ მუშაზე“.

მუხლი მე-7, რომელიც სასჯელს აწესებს ამ კანონის დებულებათა წინააღმდეგ ბავშვების, მოზარდთა და ქალების მუშაობისათვის, ფულად ჯარიმას აკისრებს არა მარტო სახელოსნოს პატრონს, იქნება იგი ერთ-ერთი მშობელი თუ სხვა ვინმე, არამედ — „მშობლებსა და სხვა პირებსაც, რომელნიც მეურვეობას უწევენ ბავშვს, მოზარდს ან ქალს, ანდა პირდაპირ სარგებლობას იღებენ მათი შრომისგან“.

Factory Acts Exstension Act-ი, რომელიც მსხვილ საწარმოებზე ვრცელდება, ძირითად საფაბრიკო აქტზე გაცილებით დაბლა დგას თავის მრავალ უბადრუკ გამონაკლისთა და კაპიტალისტებთან მხდალი კომპრომისების გამო.

Workshops' Regulation Act-ი, ეს მთელი თავისი დეტალებით უბადრუკი აქტი, მკვდარ კანონად დარჩა საქალაქო და ადგილობრივ მართველობათა ხელში, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ მისი ცხოვრებაში გატარება. როდესაც 1871 წელს პარლამენტმა გაათავისუფლა ისინი ამ დავალებისაგან და გადასცა იგი საფაბრიკო ინსპექტორებს, რომელთა კონტროლის სფერო ერთი დაკვრით 100.000-ზე მეტ, სახელოსნოთი (მათ შორის მარტო აგურის ქარხანა 300 იყო) გაფართოვდა, ამ დროს ინსპექციის პერსონალზე ისე დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს, რომ მას მხოლოდ 8 თანაშემწე მიუმატეს, თუმცა ეს პერსონალი მანამდეც ძალიან მცირერიცხოვანი იყო **.

ამგვარად, ინგლისის ამ 1867 წლის კანონმდებლობაში თვალში გვეცემა, ერთის მხრივ, ის გარემოება, რომ გაბატონებულ კლასთა პარლამენტი იძულებული გახდა პრინციპულად მიეღო ესოდენ არაჩვეულებრივი და ფართო ზომები კაპიტალისტური ექსპლოატაციის ექსცესების წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ,— ორპოფობა, უგულობა და არაკეთილსინდისიერება, რომლითაც პარლამენტმა ეს ზომები გაატარა ცხოვრებაში.

1862 წლის გამომკვლევმა კომისიამ წინადადება შეიტანა აგრეთვე სამთო მრეწველობის ახლად მოწესრიგების შესახებ; მრეწველობის ეს დარგი იმით გაირჩევა ყველა დანარჩენისაგან, რომ აქ მიწათმფლობელთა და სამრეწველო კაპიტალისტთა ინტერესები ხელიხელჩაკიდებულია. ამ ინტერესთა ანტაგო-

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

** საფაბრიკო ინსპექციის პერსონალს შეადგენდნენ: 2 ინსპექტორი, 2 ინსპექტორის თანაშემწე და 41 სუბ-ინსპექტორი. ახალი 8 სუბ-ინსპექტორი დანიშნეს 1871 წელს ინგლისში. შოტლანდიასა და ირლანდიაში საფაბრიკო კანონების ცხოვრებაში გატარების ხარჯები 1871—1872 წლებში მთლად შეადგენდა მხოლოდ 25.347 გირვანქა სტერლინგს. აქ შედის კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ წარმოებული პროცესის სასამართლოს ხარჯებიც.

ნიზმი ხელშემწყობი იყო საფაბრიკო კანონმდებლობისთვის; ამ ანტაგონიზმის არსებობა საკმარისია იმ გაჭიანურებისა და ხრიკების ასახსნელად, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამთამადნო მრეწველობის კანონმდებლობის დარგში.

1840 წლის გამომკვლევმა კომისიამ ისეთი საშინელი და აღმაშფოთებელი ფაქტები გამოააშკარავა და ისეთი სკანდალი გამოიწვია მთელ ევროპაში, რომ პარლამენტი იძულებული გახდა დაემშვიდებინა თავისი სინდისი 1842 წლის Mining Act-ით, რომელიც დაკმაყოფილდა იმით, რომ ბავშვებს 10 წლამდე და ქალებს მიწის ზედაპირის ქვეშ მუშაობა აუკრძალა.

შემდეგ — 1860 წელს — გამოქვეყნდა Mines' Inspection Act-ი, რომლის ძალით მაღაროები დაექვემდებარა საგანგებოდ დანიშნულ სახელმწიფო მოხელეებს და აკრძალული იქნა იქ 10—12 წლის ბავშვების სამუშაოზე აყვანა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ ჰქონდათ სკოლის მოწმობა, ანდა დადიოდნენ სკოლაში განსაზღვრული საათების განმავლობაში. დანიშნული ინსპექტორების კურიოზულად მცირე რიცხვისა, მათი უმნიშვნელო უფლებებისა და სხვა მიზეზთა გამო, რასაც ამ გამოკვლევის შემდგომი მსვლელობიდან დავინახავთ, ეს აქტი მკვდარ კანონად დარჩა.

„Report from the Select Committee on Mines, together with... Evidence, 23. Juli 1866" — ერთი უახლესი ლურჯ წიგნთაგანია სამთო მრეწველობის შესახებ. ესაა შრომა თემთა პალატის წევრებისაგან შემდგარი კომიტეტისა, რომელიც აღჭურვილი იყო უფლებით გამოეწვია და დაეკითხა მოწმეები; იგი წარმოადგენს სქელ ტომს in folio, სადაც თვით „Report"-ი [ანგარიში] მხოლოდ ხუთ სტრიქონს შეიცავს, სახელდობრ ამ შინაარსისას: რომ კომიტეტს არაფრის თქმა არ შეუძლია და რომ კიდევ მოწმეები უნდა იქნენ დაკითხული! დანარჩენი სულ მოწმეების ჩვენებებისაგან შედგება.

მოწმეთა დაკითხვის წესი მოგვაგონებს cross examinations-ს [ჯვარედინ დაკითხვას] ინგლისის სასამართლოს წინაშე, სადაც ვექილი, უსირცხვილო, თავბრუდამსხმელი, ყოველმხრივ მიმართული შეკითხვებით ცდილობს მოწმის დაბნევას და მისი სიტყვების გადამახინჯებას. ვექილების როლს აქ თვით პარლამენტის საგამომძიებლო კომიტეტის წევრები ასრულებენ, მათ შორის — მაღაროების მესაკუთრენი და მაღაროების ექსპლოატაციის მწარმოებელნი; მოწმეები არიან სამთამადნო მუშები, უმთავრესად ქვანახშირის მაღაროების მუშები. მთელი ეს კომედია ისე ძალიან ახასიათებს კაპიტალის სულს, რომ ჩვენ არ შეგვეძლია არ მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ამონაწერები. მიმოხილვის გასაადვილებლად გამოკვლევის შედეგები და სხვ. ცალკე რუბრიკებადაა დაყოფილი. მკითხველს მოვაგონებ, რომ შეკითხვები და სავალდებულო პასუხები ინგლისურ ლურჯ წიგნებში დანომრილია, და რომ ის მოწმეები, რომელთა ჩვენებაც აქ მოგვყავს, ნახშირის მაღაროების მუშები არიან.

1. მაღაროებში მუშაობა მცირეწლოვანთა 10 წლის ასაკიდან დაწყებული. მუშაობა აუცილებელი მისვლა-მოსვლით მაღაროებამდე და მაღაროებიდან ჩვეულებრივ 14—15 საათს გრძელდება, — განსაკუთრებულ შემთხვევებში მეტსაც, — დილის 3, 4, 5 საათიდან საღამოს 4 — 5 საათამდე (n. 6, 452, 83). სრულწლოვანი მუშები ორ წყებად მუშაობენ, რვა-რვა საათს, მაგრამ მცირეწლოვანთათვის ასეთი შენაცვლება არ არსებობს, — ხარ-

ჯების შემცირების მიზნით (п. 80, 203, 204). უფრო პატარა ბიჭებს უმთავრესად იყენებენ კარების გამღებ-დამხურავებად მაღაროების სხვადასხვა განყოფილებებში, უფრო მოზრდილებს კი—მძიმე სამუშაოზე: ნახშირის გადასაზიდად და სხვ. (п. 122, 739, 1747). გრძელი სამუშაო დღე მიწის ქვეშ არსებობს 18—22 წლის ასაკამდე, როდესაც ხდება გადასვლა ნამდვილ სამაღაროო მუშაობაზე (п. 161). ბავშვებს და მოზარდებს ახლა უფრო სტანჯავენ მუშაობით, ვიდრე რომელიმე უწინდელ პერიოდში (п. 1663—1667). მაღაროების მუშები თითქმის ერთხმად მოითხოვენ ისეთი საპარლამენტო აქტის გამოცემას, რომელიც აკრძალავს მაღაროებში მუშაობას 14 წლის ასაკამდე. და აი აქ Hussey Vivian-ი (თვითონ ქვანახშირის მაღაროების ექსპლოატაციის მაწარმოებელი) ასეთ კითხვას იძლევა: „ეს მოთხოვნა მშობლების მეტ ან ნაკლებ სიღარიბეზე ხომ არაა დამოკიდებული?"—და ამას Mr. Bruce-ი დასძენს: „განა სიმკაცრე არ იქნება ოჯახს, თუ მამა მკვდარია ან დასახიჩრებულია და სხვ., შემოსავლის ეს წყარო წაერთვას? და წესი ხომ საყოველთაო უნდა იყოს... თქვენ გინდათ განა, რომ 14 წლის ასაკამდე ბავშვების მუშაობა მიწის ქვეშ აკრძალული იყოს ყველა შემთხვევაში?"—პასუხი: „დიახ, ყველა შემთხვევაში" (п. 107—110). Vivian-ი: „თუ 14 წლამდე მუშაობა მაღაროებში აკრძალული იქნა, მშობლები განა არ დაიწყებენ თავიანთი შვილების გზავნას ფაბრიკებში და სხვაგან?—როგორც საერთო წესი,—არა" (п. 174). მუშა: „კარების გაღება და მიხურვა ადვილ საქმედ ეჩვენება კაცს. მაგრამ ეს მეტად დამტანჯველი მუშაობაა. ორპირ ქარს რომ თავი დავანებოთ, ბავშვი ტყვეობაშია, ნამდვილ ბნელ კარცერშია ჩაგდებული". ბურჟუა Vivian-ი: „განა არ შეუძლია ბავშვს კარს სდარაჯობდეს და წიგნიც იკითხოს, თუ სანთელი ექნება?—ჯერ ერთი, მან სანთელი უნდა იყიდოს; გარდა ამისა, მას ამის ნებას არ მისცემენ. იგი აქ იმიტომაა დაყენებული, რომ თავის საქმეს ყური უგდოს, მან განსაზღვრული მოვალეობა უნდა შეასრულოს. მე არასოდეს არ მინახავს, რომ რომელიმე ბავშვი მაღაროებში წიგნს კითხულობდეს" (п. 141—160).

2. ა ღ ზ რ დ ა. მაღაროების მუშები მოითხოვენ კანონს ბავშვების სავალდებულო სწავლებისათვის, როგორც ეს დაწესებულია ფაბრიკებში. ისინი აცხადებენ, რომ 1860 წლის კანონის მუხლი, რომელიც აწესებს სკოლის მოწმობას აუცილებელ პირობად 10—12 წლის ბავშვების მუშაობისათვის, სრულიად ილუზორულია. კაპიტალისტურ გამომძიებელთა მიერ წარმოებული „უხერხული" დაკითხვა აქ მართლა სასაცილო ხასიათს იღებს (п. 115). „ვის წინააღმდეგ უფრო საჭიროა კანონი,—მესარეწისა თუ მშობლების წინააღმდეგ?—ორივეს წინააღმდეგ" (п. 116). „უფრო პირველის წინააღმდეგ, ვიდრე მეორეთა წინააღმდეგ?—აბა, როგორ გიპასუხოთ ამაზე?" (п. 137). „ეტყობა თუ არა მესარეწეებს რაიმე სურვილი, რომ სამუშაო საათები შეუთანხმონ სკოლაში სიარულს?—არა; სამუშაო დროს ამ მიზნით არასოდეს არ ამოკლებენ" (п. 211). „აუმჯობესებენ თუ არა მაღაროს მუშები შემდეგ თავიანთ სწავლა-აღზრდას?—საერთოდ ისინი უარესდებიან; ითვისებენ ცუდ ზნე-ჩვეულებას; ეჩვევიან ლოთობას, თამაშობას და სხვ. და სრულიად დაბლა ეცემიან" (п. 109). „რატომ არ გზავნიან ბავშვებს საღამოს სკოლებში?—ქვანახშირის ოლქებში უმეტეს წილად ასეთი სკოლები სულ არ არსებობს, ხოლო სადაც არის, ზოგიერთი მოზარდები იყლიდნენ იქ, მაგრამ ისინი ისე დაქანცული არიან ზომასგადაცილე-

ბული ხანგრძლივი შრომით, რომ დაღლილობისაგან თვალები ეხუჭებათ". „მაშ", — დაასკვნის ბურჟუა,— „თქვენ სწავლა-განათლების წინააღმდეგი ხართ? — სრულიადაც არა, მაგრამ" და სხვ. (n. 443). „ვალდებულნი არიან თუ არა მაღაროების პატრონები 1860 წლის კანონით მოითხოვონ სკოლის მოწმობა, როდესაც ისინი 10 — 11 წლის ბავშვებს სამუშაოდ იყვანენ? — კანონით კი, მაგრამ მესარეწეები ამას არ ასრულებენ" (n. 444). „თქვენის აზრით, კანონის ეს მუხლი ყოველთვის არ სრულდება? — იგი არასოდეს არ სრულდება" (n. 717). „მაღაროს მუშები ძალიან არიან დაინტერესებულნი ამ (სწავლა-აღზრდის) საკითხით? — დიდი უმრავლესობა — დიახ" (n. 718). „ძალიან სურთ მათ კანონის ცხოვრებაში გატარება? — დიდ უმრავლესობას — დიახ" (n. 720). „რატომ იძულების გზით არ მიაღწევენ ისინი ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას? — ზოგიერთი მუშა სიამოვნებით დაიკისრებდა, რომ სკოლის უმოწმობოდ არ დაეყენებინა მოზარდი სამუშაოზე, მაგრამ ამისათვის იგი შემჩნეული კაცი (a marked man) გახდება" (n. 721). „ვის მიერ შემჩნეული? — თავისი დამქირავებლის მიერ" (n. 722). „ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ დამქირავებლები დევნას დაუწყებენ ადამიანს კანონისადმი მორჩილებისთვის? — მგონია, რომ ჰო, ისინი ამას იზამენ" (n. 723). „თქვენ გაგიგონიათ როდისმე, რომ მუშამ უარი სთქვა 10 — 12 წლის ბავშვი სამუშაოზე დაეყენებინა, თუ მან წერა-კითხვა არ იცოდა? — ეს გარჩევა მუშებს არ ეკითხება" (n. 1634). „თქვენ პარლამენტის ჩარევას მოითხოვთ? — თუ მაღაროს მუშათა ბავშვების სწავლა-აღზრდისათვის მნიშვნელოვანი რამ უნდა მოხდეს, ეს გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში საპარლამენტო აქტის იძულებითი წესით" (n. 1636). „ეს უნდა გავრცელდეს დიდი ბრიტანეთის ყველა მუშის ბავშვებზე, თუ მარტო მაღაროს მუშებზე? — მე აქ ვარ მოსული, რომ მაღაროს მუშების სახელით ვილაპარაკო" (n. 1638). „რად უნდა გავარჩიოთ მაღაროების მუშათა ბავშვები სხვებისაგან? — იმიტომ, რომ ისინი შეადგენენ გამონაკლისს საერთო წესიდან" (n. 1639). „რა მხრივ? — ფიზიკურად" (n. 1640). „რატომ მათთვის უფრო მნიშვნელოვანია სწავლა-აღზრდა, ვიდრე სხვა კლასთა ბავშვებისათვის? — მე არ ვამბობ, რომ იგი უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, მაგრამ რადგანაც ისინი გადაჭარბებულ მუშაობას ეწევიან მაღაროებში, მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ დღიურ და საკვირაო სკოლებში" (n. 1644). „მართალია ხომ, რომ ამგვარ საკითხებზე შეუძლებელია აბსოლუტურად მსჯელობა?" (n. 1646). „საკმაოდაა სკოლები ოლქებში? — არა" (n. 1647). „სახელმწიფომ რომ ყველა ბავშვის სკოლაში გაგზავნა მოითხოვოს, საიდან უნდა გაჩნდეს ამდენი სკოლა ყველა მათთვის? — მე მგონია, რომ თუ გარემოება მოითხოვს, სკოლებსაც მოაწყობენ. არა მარტო ბავშვების, არამედ მაღაროს სრულწლოვანი მუშების დიდმა უმრავლესობამ არც წერა იცის და არც კითხვა" (n. 705, 726).

კ. მარქსი, „კაპიტალი", I, 411—418; 439—445.

## 3. ინდუსტრიულ-მანქანური წარმოება და მისი გავლენა მუშის განვითარებაზე

მსხვილი მრეწველობის გამოსავალ წერტილს შრომის საშუალების რევოლუცია შეადგენს, ხოლო გარდაქმნილი შრომის საშუალება ფაბრიკის დასახსრულ მანქანურ სისტემაში იღებს თავის უაღრესად განვითარებულ გამოხატულებას...

სამუშაო იარაღთან ერთად, მუშიდან მანქანაზე გადადის ამ იარაღის ხმარების ვირტუოზობაც. სამუშაო იარაღის მოქმედების უნარი თავისუფლდება იმ ზღუდისაგან, რომელსაც მას უდებდა ადამიანის სამუშაო ძალის დაკავშირება მუშის პიროვნებასთან. ამგვარად, ისპობა ის ტექნიკური საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია შრომის დანაწილება მანუფაქტურაში. ამიტომ სპეციალისტ მუშების იერარქიის ნაცვლად, რაც ამ მანუფაქტურას ახასიათებს, ავტომატურ ფაბრიკაში თავს იჩენს ტენდენცია გათანასწორების, ანუ დანიველირებისა ყველა იმ სამუშაოსი, რომელიც მანქანების თანაშემწეთა მიერ უნდა იქნეს შესრულებული*; ნაწილობრივ მუშათა შორის ხელოვნურად წარმოშობილი განსხვავების ნაცვლად ჩნდება, უმთავრესად, ბუნებრივი განსხვავება ასაკისა და სქესის მიხედვით.

რამდენადაც ავტომატურ ფაბრიკაში შრომის დანაწილება ხელახლა გვევლინება, იგი პირველ ყოვლისა, წარმოადგენს მუშების განაწილებას სხვადასხვა სპეციალურ მანქანებს შორის და მუშათა მასების—თუმცა ეს მასები მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ჯგუფებს არ შეადგენენ—განაწილებას ფაბრიკის სხვადასხვა განყოფილებებში, სადაც ისინი ერთიმეორის გვერდით მოთავსებულ და ერთგვაროვან საოპერაციო მანქანებზე მუშაობენ, ე. ი. ერთმანეთთან მხოლოდ მარტივი კოოპერაციით არიან დაკავშირებულნი. მანუფაქტურაში დასახსრული ჯგუფის ადგილას აქ არის მთავარი მუშის დაკავშირება რამდენსამე თანაშემწესთან. არსებითი განსხვავება მუშებს შორის აქ იმაში გამოიხატება, რომ ერთნი ნამდვილად საოპერაციო მანქანებზე მუშაობენ (ამათ ჯგუფს ეკუთვნის ზოგი ის მუშაც, რომელნიც მამოძრავებელ მანქანას მეთვალყურეობენ და კვებავენ) და სხვები არიან ამ მანქანების მუშათა უბრალო დამხმარენი (თითქმის ყველა—ბავშვები). ამ დამხმარეთა ჯგუფს მიეკუთვნება მეტ-ნაკლებად ყველა „feeders"-ი (რომელნიც მანქანას სამუშაო ძალას აწვდიან). ამ მთავარ კლასებთან ერთად არსებობს კიდევ რიცხობრივად უმნიშვნელო პერსონალი, რომელიც თვალყურს ადევნებს საერთოდ მანქანებს და მათ მუდმივ შეკეთებას აწარ-

* შეად. Karl Marks: Misere de la Philosophie, Paris, 1847 p. 140—141.

ძოებს,—მაგ., ინჟინრები, მექანიკოსები, დურგლები და სხვ. ეს უმაღლესი, ნაწილობრივ მეცნიერულად განათლებული და ნაწილობრივ ხელოსნური ხასიათის მუშათა კლასი საფაბრიკო მუშების წრის გარეშე დგას და მარტოოდენ გარეგნულად უერთდება მას. ეს შრომის დანაწილება წმინდა ტექნიკურია.

ყოველი მუშაობა მანქანაზე მუშის წინასწარ მომზადებას მოითხოვს. მუშა ბავშვობაში უფრო ადვილად სწავლობს თავისი საკუთარი მოძრაობა შეუგუოს ავტომატის ერთფეროვნად განუწყვეტელ მოძრაობას. რამდენადაც თვით მანქანები ერთობლივ სხვადასხვაგვარი, იმავდროულად მოქმედი და კომბინირებული მანქანების სისტემას წარმოადგენს, ამ სისტემაზე დამყარებული კოოპერაცია მოითხოვს სხვადასხვაგვარ მუშათა ჯგუფების განაწილებას სხვადასხვაგვარ მანქანებს შორის. მაგრამ მანქანური წარმოება სპობს აუცილებლობას ეს განაწილება მანუფაქტურის მსგავსად იყოს განმტკიცებული ერთი და იმავე მუშის ერთსა და იმავე ფუნქციაზე მიჯაჭვით, რადგანაც ფაბრიკის საერთო მოძრაობა მუშისაგან კი არ მომდინარეობს, არამედ მანქანისაგან, ამიტომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს პერსონალის მუდმივ ცვლას შრომის პროცესის შეუწყვეტლად. ამის აშკარა დამამტკიცებელ საბუთს იძლევა სისტემა შენაცვლებისა (Relaissystem), რომელიც შემოღებული იყო ინგლისის ფაბრიკანტების აჯანყების დროს 1848—1850 წლებში. დაბოლოს, ის სისწრაფეც, რომლითაც ადამიანი სიყრმეში მანქანაზე მუშაობას სწავლობს, სპობს აუცილებლობას, რომ განსაკუთრებული კლასი მუშებისა აღზრდილ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მანქანაზე მომუშავეებად. ხოლო დამხმარე მუშათა საქმიანობა ფაბრიკაში შესაძლებელია ნაწილობრივ მანქანით იქნეს შენაცვლებული, ნაწილობრივაც იგივე საქმიანობა, თავისი სრული სიმარტივის გამო, შესაძლებლად ხდის ამ ჯაფით დატვირთულ პირთა სწრაფ და მუდმივ ცვლას.

თუმცა მანქანა ტექნიკურად აუქმებს შრომის დანაწილების ძველ სისტემას, მაგრამ ეს უკანასკნელი განაგრძობს არსებობას ფაბრიკაშიაც, ჯერ მანუფაქტურის ტრადიციის სახით, ჩვეულების გამო, და შემდეგ სისტემატურად აღიდგინება და განიმტკიცება კაპიტალის მიერ უფრო საზიზღარ ფორმაში, როგორც სამუშაო ძალის ექსპლოატაციის საშუალება. სპეციალობა, რომელიც წარმოადგენდა ნაწილობრივი სამუშაო იარაღის ხმარებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, იქცევა სპეციალობად, რომელიც წარმოადგენს ნაწილობრივი მანქანის მომსახურეობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მანქანის ბოროტად გამოყენება ხდება იმისათვის, რომ თვით მუშა ბავშვობიდანვე ნაწილობრივი მანქანის ნაწილად გადააქციონ. ამნაირად, არა მარტო საგრძნობლად მცირდება მუშის საკუთარი ძალის რეპროდუქციისათვის საჭირო ხარჯები, არამედ სავსებით ხორციელდება აგრეთვე მუშის უმწეო დამოკიდებულება მთლიანად ფაბრიკაზე, ე. ი. კაპიტალისტზე. აქ, როგორც ყველგან, უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან: ნაყოფიერების ზრდა, რომელიც შრომის საზოგადოებრივი პროცესის განვითარებით წარმოდგება, და ნაყოფიერების ზრდა, რომელიც ამ პროცესის კაპიტალისტური ექსპლოატაციით წარმოდგება.

მანუფაქტურასა და ხელოსნობაში მუშა სამუშაო იარაღს იმსახურებს, ფაბრიკაში კი თვით ემსახურება მანქანას. იქ შრომის იარაღის

მოძრაობა მისგან გამომდინარეობს, აქ იგი უნდა მიჰყვეს ამ მოძრაობას. მანუფაქტურაში მუშები ცოცხალი მექანიზმის ორგანოებს წარმოადგენენ, ფაბრიკაში მკვდარი მექანიზმი მათგან დამოუკიდებლად არსებობს და ისინი მასთან დაკავშირებული არიან, როგორც ცოცხალი დანართნი. „მოსაწყენი ერთფეროვნება ბოლომოუღებელი სატანჯავი შრომისა, რომელიც მუდამ ერთსა და იმავე მექანიკურ პროცესს ასრულებს, სიზიფის შრომას ჰგავს; შრომის ტვირთი, კლდის მსგავსად, ისევ და ისევ უბრუნდება დაქანცულ მუშას“ *. მანქანაზე მუშაობა, იპყრობს რა სრულიად ნერვულ სისტემას, ახშობს კუნთების მრავალმხრივ მოძრაობას და ართმევს ადამიანს ყოველ თავისუფალ ფიზიკურ და გონებრივ მოქმედებას**.

კ. მარქსი, „კაპიტალი“, I, 369—372.

---

* F. Engels: „Lage der arbeitenden Klasse in England. Leipzig 1845 S 217. ბატონი მოლინარი, ეს სრულიად ორდინალური, ოპტიმისტი ფრიტრედერიც კი შენიშნავს: „ის ადამიანი, რომელიც დღეში 15 საათს მექანიზმის ერთფეროვან მოძრაობას მეთვალყურეობს, უფრო მალე იცვითება, ვიდრე მაშინ, როდესაც იმავე დროის განმავლობაში თავის ფიზიკურ ძალას ამოქმედებს. ეს მეთვალყურეობითი შრომა, რომელიც შეიძლება გონების სასარგებლო ვარჯიშობად გამომდგარიყო, თუ იგი ნამეტანს არ გაგრძელდებოდა, ბოლოს და ბოლოს მეტისმეტობით ანადგურებს გონებასაც და თვით სხეულსაც“ (C. de Molinari: Etudes Ekonomigues. Paris, 1846“).

** F. Engels; „Lage“ etc. S. 216.

## 4. კაპიტალისტური წარმოება და მომავალი პოლიტექნიკური აღზრდის ჩანასახი

ინგლისის საფაბრიკო კანონის თანახმად, მშობლებს არ შეუძლიათ თავიანთი 14 წელზე ნაკლები ხნის ბავშვები „კონტროლის ქვეშ მყოფ", ე. ი. საფაბრიკო კანონების ქვემდებარე, ფაბრიკებში მისცენ, ისე რომ მათ იმავე დროს ელემენტარული სწავლა-განათლება არ მიაღებინონ. ფაბრიკანტი პასუხისმგებელია ამ კანონის დაცვისათვის. „საფაბრიკო ბავშვების სწავლება სავალდებულოა და ამ მუშაობის პირობაა". („Reports of Insp. of Fast. for 31 st Oct. 1863" p. 111)...

თუმცა საფაბრიკო კანონის დადგენილებას აღზრდის შესახებ ერთობ უბადრუკობის ბეჭედი აზის, მაგრამ მაინც პირველდაწყებითი სკოლა მის მიერ ბავშვთა შრომის სავალდებულო პირობადაა გამოცხადებული. მისმა წარმატებამ პირველად დაამტკიცა შესაძლებლობა სწავლების და ტანვარჯიშობის დაკავშირებისა ფიზიკურ შრომასთან, ამგვარად—ფიზიკური შრომის დაკავშირებისა სწავლებასა და ტანვარჯიშობასთან. მასწავლებელთა მიერ მიცემული ჩვენებიდან საფაბრიკო ინსპექტორებმა გაიგეს, რომ ფაბრიკის ბავშვები, თუმცა ორჯერ ნაკლებ დროს სწავლობენ, ვიდრე ჩვეულებრივი მოწაფეები, მაგრამ მაინც იმდენსავე და ხშირად მეტსაც ასწრებენ სწავლაში. „ამის მიზეზი სულ უბრალოა. ის, ვინც სკოლაში მხოლოდ ნახევარ დღეს ატარებს, ყოველთვის დანასვენებია და მას თითქმის მუდამ შეუძლია და აქვს სურვილი ისწავლოს. ნახევრად შრომისა და ნახევრად სწავლის სისტემა თითოეულ მათგანს დასვენების ხასიათს აძლევენ და ამიტომ უფრო სასარგებლოა ბავშვისთვის, ვიდრე შეუწყვეტლობა რომელიმე მათგანის. ბავშვი, რომელიც დილიდანვე, განსაკუთრებით ცხელ დღეს, სკოლაში ზის, ვერასოდეს ვერ შეეჯიბრება იმას, ვინც დასვენებული და მხიარული მოდის თავის სამუშაოდან" *. უფრო დწვრილებითი ცნობები ამ საგნის შესახებ მოიპოვება სენიორის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა 1863 წელს ედინბურგში

---

* „Reports of Insp. of Fact. for 31-st. Oct. 1865", d. 118. ერთმა გულუბრყვილო აბრეშუმისმწარმოებელმა ფაბრიკანტმა „Children's Employment Commission"-ის წევრებს განუცხადა: „მე სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ კარგ მუშათა წარმოშობის ნამდვილი საიდუმლოება ბავშვობის ასაკიდან დაწყებული შრომისა და სწავლების ერთიმეორესთან დაკავშირებაში მდგომარეობს. რასაკვირველია. შრომა არ უნდა იყოს არც ძნელი, არც უსიამოვნო და არც ჯანმრთელობისათვის მავნებელი. მე ვისურვებდი, რომ საკუთარ ბავშვებს ჰქონდეთ ისეთი სამუშაო და სათამაშო დასვენების სახით სკოლაში მეცადინეობის შემდეგ" („Children's Employment Commission. 5 th. Report", p. 82 n. 36).

სოციოლოგიურ კონგრესზე. იგი აქ, სხვათა შორის, აღნიშნავს, თუ როგორ უსარგებლოდ ადიდებს მასწავლებლების შრომას მაღალი და საშუალო კლასების მოწაფეებისათვის დაწესებული ცალმხრივი, უნაყოფო და გრძელი სასკოლო დღე, „ხოლო ბავშვებს აიძულებს დახარჯონ დრო, ჯანმრთელობა და ენერგია არა მარტო უნაყოფოდ, არამედ თავიანთთვის პირდაპირ საზიანოდ“. საფაბრიკო სისტემიდან, როგორც ეს დაწვრილებით შეგვიძლიათ გაიცნოთ რობერტ ოუენის წიგნებში, აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა, რომელიც განსაზღვრულ ასაკს ზევით ყველა ბავშვისათვის პროდუქტულ შრომას დაუკავშირებს სწავლებასა და ტანვარჯიშობას, და ეს იქნება არა მარტო მეთოდი საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ—ერთადერთი მეთოდიც ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შესაქმნელად.

ჩვენ დავინახეთ, რომ მსხვილი მრეწველობა ტექნიკურად სპობს შრომის მანუფაქტურულ დანაწილებას, რომელიც მთელ ადამიანს მისი სიცოცხლის განმავლობაში აჯაჭვავს ერთ რომელიმე ნაწილობრივ ოპერაციას; იმავე დროს მსხვილი მრეწველობის კაპიტალისტური ფორმა უფრო მახინჯი სახით აღადგენს ამ შრომის დანაწილებას: ნამდვილ ფაბრიკაში—მუშის გადაქცევით ნაწილობრივი მანქანის ცნობიერ დამატებად, ხოლო სხვაგან ყველგან—ნაწილობრივ მანქანისა და მანქანური შრომის სპორადიულად გამოყენებით და ნაწილობრივ—ქალების, ბავშვების და დაუხელოვნებელი შრომის, როგორც ახალი შრომის დანაწილების საფუძვლის, შემოღებით. შრომის მანუფაქტურულ დანაწილებასა და მსხვილი მრეწველობის ბუნებას შორის არსებული წინააღმდეგობა ძალით იკაფავს გზას. ის ცხადდება, სხვათა შორის, იმ საშინელ ფაქტში, რომ თანამედროვე ფაბრიკებსა და მანუფაქტურებში მომუშავე ბავშვთა დიდძალი ნაწილი, ქორფა ასაკიდან დაწყებული სრულიად ელემენტარულ სამუშაო ოპერაციებს მიჯაჭვული, მთელი წლების განმავლობაში ექსპლოატაციას განიცდის ისე, რომ არა აქვს არავითარი საშუალება შეისწავლოს რაიმე მუშაობა, რომელიც მას გახდის გამოსადეგად, თუნდაც მარტო იმავე მანუფაქტურასა და ფაბრიკაში.

ინგლისის სტამბებში, მაგალითად, უწინ ადგილი ჰქონდა ძველი მანუფაქტურული და ხელოსნური წარმოების სისტემის შესაფერისად შეგირდების გადასვლას ადვილი სამუშაოდან უფრო ძნელ სამუშაოზე. ისინი გადიოდნენ სწავლის კურსს, სანამ მცოდნე მესტამბეები არ გახდებოდნენ. წერა-კითხვის ცოდნა ხელობის აუცილებელი პირობა იყო ყველასთვის. ყველაფერი ეს შეიცვალა საბეჭდი მანქანის შემოღებით. ეს მანქანა ორგვარ მუშებს ამუშავებს: მოზრდილ მუშას, მანქანის მეთვალყურეს, და მოზარდებს, მეტწილად 11—17 წლისას, რომელთა საქმე მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მანქანას სუფთა ქაღალდის ფურცელი დაუდონ ან დაბეჭდილი გამოაცალონ. ამ გულის გამაწვრილებელ მუშაობას ისინი ეწევიან, განსაკუთრებით ლონდონში, 14, 15, 16 საათს განუწყვეტლად რამდენსამე დღეს კვირაში და ხშირად 36 საათსაც ზედიზედ, მხოლოდ 2 საათის დასვენებით ჭამისა და ძილისათვის! უმეტესობამ კითხვა არ იცის, და ისინი ერთობ გაველურებული და არანორმალური არსებანი არიან. „რომ მათ თავიანთი სამუშაო შეასრულონ, ამისათვის არავითარი

ინტელექტუალური აღზრდა არაა საჭირო; მათ ცოტა შემთხვევები აქვთ დახელოვნებისათვის და უფრო ნაკლები—გონების განვითარებისთვის; მათი ხელფასი თუმცა რაოდენადმე მაღალია მოზარდთათვის, მაგრამ შედარებით ისე არ მატულობს, როგორც თვით ისინი იზრდებიან, და მათ უმრავლესობას არავითარი შანსი არა აქვს მანქანის ზედამხედველის უფრო შემოსავლიანი და საპასუხისმგებლო ადგილი დაიჭიროს, რადგანაც თითოეულ მანქანაზე მხოლოდ ერთი მეთვალყურე და ხშირად 4 მოზარდი მოდის". როდესაც ისინი ხნიერი ხდებიან მათი საბავშვო შრომისათვის, ე. ი. აღწევენ დიდი-დიდი 17 წლის ასაკს, მათ სტამბიდან ითხოვენ. ისინი ბოროტმოქმედთა კანდიდატები ხდებიან. უცდიათ რამე სხვა სამუშაო მოეპოვებინათ მათთვის, მაგრამ ეს ცდა ყოველთვის უნაყოფო დარჩენილა მათი უვიცობის, მოუხეშაობის და ფიზიკური და ინტელექტუალური დეგრადაციის მიზეზით.

დამახასიათებელია, რომ მე-18 საუკუნემდე ხელობას მისტერია (mistère, საიდუმლოება) ეწოდებოდა, რომლის წყვდიადში მხოლოდ ემპირულად და პროფესიულად მომზადებულ ადამიანს შეეძლო შესვლა*. ე ტ ი ე ნ ბ უ ა ლ ო ს განთქმული წიგნი „Livre des métiers", სხვათა შორის, ასეთ მოთხოვნას შეიცავს: ოსტატად ჩარიცხვის დროს ქარგალმა ფიცი უნდა მისცეს, რომ „ძმურად შეიყვარებს თავის ძმებს, აღმოუჩენს მათ დახმარებას,—თითოეული თავის დარგში და ნებაყოფლობით არ გასცემს ხელობის საიდუმლოებას".

მსხვილმა მრეწველობამ დაფხრიწა ის ფარდა, რომელიც ადამიანთ უმალავდა მათ საკუთარ წარმოების საზოგადოებრივ პროცესს და ამოცანად ხდიდა სტიქიურად განცალკევებულ სხვადასხვა წარმოების დარგებს ერთიმეორისათვის და თითოეული დარგის მცოდნეებისთვისაც კი. მსხვილი მრეწველობის პრინციპმა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული წარმოების პროცესი, თავისდათავად და, პირველ ყოვლისა, ადამიანის ხელისგან დამოუკიდებლად, დანაწილებულ იქნეს მის შემადგენელ ელემენტებად, შექმნა სულ ახალი მეცნიერება ტექნოლოგიისა. საზოგადოებრივი წარმოების პროცესის ჭრელი, გარეგნულად შინაგან კავშირს მოკლებული და, ასე ვთქვათ, გაყინული ფორმები დანაწილდა ბუნების მეცნიერების სხვადასხვა შეგნებულ მიზანშეწონილ გამოყენებად, რომელიც სისტემატურად დაცალკევებულია დასახული სასარგებლო შედეგის მიხედვით.

ასევე ტექნოლოგიამ აღმოაჩინა მოძრაობის ის რამდენიმე დ ი დ ი ძ ი რ ი თ ა დ ი ფ ო რ მ ა, რ ო მ ე ლ შ ი ა ც ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს ხ ე უ ლ ი ს ყ ო ვ ე ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, მიუხედავად ხმარებული ინსტრუმენტების მრავალფეროვნობისა,—სწორედ ისე, როგორც მექანიკას, მიუხედავად მანქანების უაღრესი სირთულისა, ნათლად აქვს წარმოდგენილი მათში მარტივ მექანიკურ ძალთა მუდმივი განმეორება.

თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა ა რ ა ს ო დ ე ს ა რ გ ა ნ ი ხ ი ლ ა ვ ს დ ა ა რ ც თ ვ ლ ი ს ა მ ა თ უ ი მ ს ა წ ა რ მ ო ო პ რ ო ც ე ს ი ს ა რ ს ე ბ უ ლ ფ ო რ მ ა ს რ ო გ ო რ ც ს ა ბ ო ლ ო ო ფ ო რ მ ა ს. ა მ ი ტ ო მ მ ი ს ი ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ უ რ ი ა, მაშინ როდესაც ყველა უწინ-

* მას ფიცით კი უნდა დაედო, რომ მთელი კორპორაციის ინტერესის გულისთვის იგი არასოდეს არ მიაქცევდა მყიდველის ყურადღებას სხვისი ნამუშევრის ნაკლზე თავისი საკუთარი საქონლის მოსაწონებლად.

დელი წარმოების წესის საფუძველი კონსერვატიული იყო. მანქანების, ქიმიური პროცესების და სხვა მეთოდების საშვალებით იგი *მუდამ გადატრიალებას ახდენს, წარმოების ტექნიკურ საფუძველთან ერთად, მუშების ფუნქციებსა და შრომის პროცესის საზოგადოებრივ კომბინაციებში.* ამით იგი ასევე მუდამ რევოლუციას ახორციელებს შრომის დანაწილებაში საზოგადოების შიგნით და *განუწყვეტლად სტყორცნის კაპიტალსა და მუშათა მასებს წარმოების ერთი დარგიდან მეორეში.*

ამიტომ *მსხვილი მრეწველობის ბუნება განსაზღვრავს შრომის ცვალებადობას, ფუნქციების დენადობას და მუშის ყოველმხრივ ძვრადობას.* მეორე მხრით, იგი, თავის კაპიტალისტურ ფორმაში, აღადგენს შრომის ძველ დანაწილებას მისი სხვადასხვა გაქვავებული სპეციალობითურთ. ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ სპობს ეს აბსოლუტური წინააღმდეგობა ყოველნაირ მოსვენებას, სიმტკიცეს და უზრუნველყოფადობას მუშის მდგომარეობაში, მუდამ ემუქრება მას შრომის საშუალებებთან ერთად საარსებო საშუალებანიც ხელიდან გამოსტაცოს და მის ნაწილობრივ ფუნქციასთან ერთად თვით იგი ზედმეტად აქციოს; როგორ იწვევს ეს წინააღმდეგობა საშინელ ფაქტს,—წარმოშობას სამრეწველო სათადარიგო ჯარისა, რომელიც ღატაკად უნდა ცხოვრობდეს, რათა ყოველთვის კაპიტალისტური მოთხოვნის განკარგულებაში იმყოფებოდეს; როგორ პოულობს იგი თავის მკაცრ გამოხატულებას მუშათა კლასის პერიოდულ მასობრივ ჟლეტაში, სამუშაო ძალების უზომო გაფლანგვასა და იმ განადგურებაში, რომელიც დაკავშირებულია წარმოების საზოგადოებრივ ანარქიასთან, რაც საზოგადოებრივ უბედურებად გადამქცევია ყოველი ეკონომიური წინმსვლელობისა. ესაა უარყოფითი მხარე.

მაგრამ თუ შრომის ცვალებადობა ახლა გზას იკაფავს როგორც ბუნების გარდუვალი კანონი და მოქმედებს ბუნების კანონის ბრმა გამანადგურებელი ძალით, რომელიც ყველგან დაბრკოლებას აწყდება*, მეორეს მხრით მსხვილი მრეწველობა თვით თავისი კატასტროფებით ხდის თავისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად,—*შრომის ცვალებადობა და ამიტომ მუშების უაღრესი მრავალმხრივობა ცნობილი იქნეს საზოგადოებრივი წარმოების საყოველთაო კანონად*, რომლის ნორმალურ განხორციელებას უნდა შეეგუონ გარემოებანი. იგი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად ხდის ამას: ეს საშინელება, რომ საბრალო მუშა-მოსახლეობა სათადარიგოდ არის დატოვებული კაპიტალის ცვალებადი საექსპლოატაციო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, შეცვლილ იქნეს *ადამიანის აბსოლუტური გამოსა-*

---

* ერთი ფრანგი მუშა, სან-ფრანცისკოდან დაბრუნების შემდეგ, წერს: „მე არასოდეს არ ვიფიქრებდი, რომ შევძლებდი ყველა იმ საქმის გაკეთებას, რომელსაც ვაწარმოებდი კალიფორნიაში. მე მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ წიგნის საბეჭდავს გარდა სხვა არაფერში ვვარგოდი... მაგრამ როდესაც მე ამ ავანტურისტების ქვეყანაში მოვხვდი, სადაც თავიანთ ხელობას უფრო ადვილად იცვლიან, ვიდრე პერანგს,—უნდა აღვიარო,—მეც ისე მოვიქეცი, როგორც სხვები, რადგანაც მაღაროებში მუშაობა საკმაოდ ხელსაყრელი არ იყო, თავი გავანებე მას და გადავიბარგე ქალაქში, სადაც რიგ-რიგობით ვიყავი წიგნის მბეჭდავი, სახლის მხურავი, ტყვიის ჩამომსხმელი და სხვ. მას შემდეგ, რაც გამოცდილებით გავიგე, რომ ყოველგვარ სამუშაოსთვის ვარ გამოსადეგი, მე ჩემს თავს ნაკლებად ვგრძნობდი ქიად და უფრო მეტად — ადამიანად". (A. Corbon: „De Lenseignement professionel. 2ème éd.", p. 50).

დეგობით ცვალებადი შრომის მოთხოვნილებისათვის; ნაწილობრივი ინდივიდუუმი, მარტოოდენნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელი, შეცვლილ იქნეს ყოველმხრივად განვითარებული ინდივიდუუმით, რომლისთვისაც სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქციები შეადგენს რიგრიგობით ერთიმეორის შემცვლელ სახეებს საქმიანობისას.

ამ გადატრიალების პროცესის ერთ მომენტს, რომელიც ბუნებრივად განვითარდა მსხვილი მრეწველობის საფუძველზე, წარმოადგენს პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სკოლა, მეორეს—სამრეწველო სკოლა, სადაც მუშათა ბავშვები იძენენ ცოტაოდენ ცოდნას ტექნოლოგიაში და სხვადასხვა საწარმოო ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენების დარგში. თუ საფაბრიკო კანონმდებლობამ, ამ პირველმა უმნიშვნელო დათმობამ, რომელიც ძალით გამოჰგლიჯეს კაპიტალს, საფაბრიკო შრომას მხოლოდ ელემენტარული სწავლება დაუკავშირა, ეჭვს გარეშეა, რომ მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების აუცილებელი დაპყრობა სათანადო ადგილს დაუპყრობს მუშათა სკოლებში აგრეთვე ტექნოლოგიის სწავლებას, თეორიულს და პრაქტიკულსაც. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ წარმოების კაპიტალისტური ფორმა და მისი შესაბამისი ეკონომიური ურთიერთობა მუშათა, სრულს წინააღმდეგობაშია ასეთ გარდამქმნელ ფერმენტებთან და მათ მიზანთან, რომელიც ძველი შრომის დანაწილების გაუქმებაში მდგომარეობს. მაგრამ წარმოების განსაზღვრული ისტორიული ფორმის წინააღმდეგობათა განვითარება ერთადერთი ისტორიული გზაა მისი დაშლის და გარდაქმნისა: „Ne sutor sutra crepidam!“ [„ხარაზო, წუღას ნუ შორდები“]—ეს უაღრესი ხელოსნური სიბრძნე საშინელ სისულელედ გადაიქცა იმ მომენტიდან, როდესაც მესაათე უატმა გამოიგონა ორთქლის მანქანა, დალაქმა არკრაიტმა—სართავი მანქანა და მუშა-იუველირმა ფულტონმა—ორთქლის გემი *.

ვიდრე საფაბრიკო კანონმდებლობა ფაბრიკაში, მანუფაქტურაში და სხვ. აწესრიგებს შრომას, ეს თავდაპირველად გვეჩვენება მხოლოდ როგორც ჩარევა კაპიტალის ექსპლოატატორულ უფლებებში. პირიქით, ყოველი მოწესრიგება

---

* John Bellers-ი, ნამდვილი ფენომენი პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში, უკვე მე-17 საუკუნის დამლევს სრულიად ნათლად მიხვდა ახლანდელი აღზრდის და შრომის დანაწილების გაუქმების აუცილებლობას, რომელნიც საზოგადოების ორივე კიდურზე, თუმცა მოწინააღმდეგე მიმართულებით, წარმოშობენ ჰიპერტროფიას (ავადმყოფურ გადაჭარბებულ ზრდას) და ატროფიას (განლევას, მოსპობას). ლამაზად ამბობს იგი, სხვათა შორის: „უქმი სწავლა ცოტათია უკეთესი, ვიდრე უქმად ყოფნის სწავლა... ფიზიკური შრომა თავდაპირველი დაწესებულებაა ღვთისა... შრომა ისევე აუცილებელია სხეულის ჯანმრთელობისათვის, როგორც საჭმელი—მისი სიცოცხლისათვის: იმიტომ რომ ის შეწუხება, რომელსაც ადამიანი თავიდან იცილებს უქმად ყოფნით, თავს ატყდება ავადმყოფობის სახით... შრომა სიცოცხლის ჭრაქს ზეთს უმატებს, ხოლო აზრი მას ანთებს... უაზრო საბავშვო შრომა (ეს წინასწარმეტყველურად ნათქვამია ბაზედოვებისა და მათ თანამედროვე უგონო გამმეორებელთა წინააღმდეგ) სტოვებს ბავშვის გონებას უაზროდ“ („Proposals for raising a Colledge of Industry of all useful Trades and Husbandry. London, 1896“, p. 12, 14, 18).

ეგრეთწოდებულ შინაწარმოებისა * იმთავითვე წარმოგვიდგება როგორც პირდაპირი შეჭრა patria potestas-ში (მამის უფლებებში), ე. ი., თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მშობლების ავტორიტეტის სფეროში, და ეს კი ნაბიჯია, რომლის წინაშე ინგლისის გულჩვილი პარლამენტი დიდხანს ძრწოლით უკან იხევდა ფარისევლურად. მაგრამ ფაქტების ძალამ ბოლოს და ბოლოს ყველა აიძულა ეცნო, რომ მსხვილი მრეწველობა, ძველი ოჯახის და მისი შესაბამისი საოჯახო შრომის ეკონომიურ საფუძველთან ერთად, არღვევს თვით ძველ ოჯახურ ურთიერთობასაც. ბავშვების უფლება საჯაროდ უნდა აღიარებულიყო.

„საუბედუროდ", — ნათქვამია „Children's Employment Commission"-ის 1866 წლის საბოლოო ანგარიშში, — „ყველა მოწმის ჩვენებიდან ნათლად ჩანს, რომ ორივე სქესის ბავშვები არავისგან დაცვას ისე ძალიან არ საჭიროებენ, როგორც თავიანთი მშობლებისაგან". საზოგადოდ ბავშვების შრომის და განსაკუთრებით შინაწარმოებაში მათი შრომის უზომო ექსპლოატაციის სისტემას ხელს უწყობს ის გარემოება, „რომ მშობლები შეუზღუდველად და უკონტროლოდ სარგებლობენ თვითნებური და დაუზოგველი ძალა-უფლებებით თავიანთი ნორჩი და ქორფა შთამომავლობის მიმართ... მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ აბსოლუტური უფლება თავიანთი შვილები გადააქციონ უბრალო მანქანად, რომელმაც ყოველკვირეულად ამდენი და ამდენი ხელფასი უნდა აიღოს... ბავშვებს და მოზარდებს აქვთ უფლება კანონმდებლობის მიერ დაცვისა მშობელთა უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, რაც უდროოდ არღვევს მათ ფიზიკურ ძალას და დაბლა აყენებს მათ მორალურ და ინტელექტუალურ არსებას" **.

მაგრამ მშობლიური ძალა-უფლების ბოროტგამოყენებამ კი არ შექმნა მოუმწიფებელ სამუშაო ძალთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ექსპლოატაცია კაპიტალის მიერ, არამედ, პირიქით, ექსპლოატაციის კაპიტალისტურმა წესმა ამ ძალა-უფლების შესაბამისი ეკონომიური საფუძვლის განადგურებით გადააქცია იგი ბოროტგამოყენებად.

რაგინდ საშინელი და საზიზღარი იყოს ძველი ოჯახური წყობილების დარღვევა კაპიტალისტური სისტემის დროს, მაინც მსხვილი მრეწველობა, რომელიც გადამწყვეტ როლს აკუთვნებს ქალებს, მოზარდებს და ორივე სქესის ბავშვებს ოჯახის ფარგლებს გარეშე წარმოების საზოგადოებრივად მოწყობილ პროცესებში, ახალ ეკონომიურ საფუძველს ქმნის ოჯახსა და ორივე სქესს შორის ურთიერთობის უფრო მაღალი ფორმისათვის. რასაკვირველია, სიბრიყვე იქნება ოჯახის აბსოლუტურ ფორმად მივიჩნიოთ მისი ქრისტიანულ-გერმანული ფორმა, ან ძველი რომაული, ან ძველი ბერძნული, ანდა აღმოსავლეთური, რომელნიც — აღვენიშნავთ გაკვრით — ისტორიული განვითარების თანმიმდევრობით

---

* იგი მაინც მეტწილად წარმოებს აგრეთვე წვრილ სახელოსნოებში, როგორც ეს ჩვენ დავინახეთ მაქმანის მანუფაქტურისა და ჩალის წნვის მაგალითზე და რაც უფრო დეტალურად შეიძლებოდა დაგვენახვებინა სახელდობრ სალითონო მანუფაქტურების მაგალითზე შეფილდში, ბირმინგამში და სხვ.

** „Children's Employment Commission 5 th. Report", p. XXV, n. 162 და 2 nd Report, p. XXXVIII, n. 285, 289, p. XXXV, n. 191.

არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ასევე ცხადია, რომ კომბინირებული შრომის პერსონალში ორივე სქესის და სხვადასხვა ასაკის ადამიანთა გაერთიანება,—თუმცა იგი, ვიდრე უხეშ და სტიქიურად შექმნილ კაპიტალისტურ ფორმაშია, როდესაც მუშა წარმოების პროცესისთვის არსებობს და არა წარმოების პროცესი მუშისთვის, გარყვნილებისა და მონობის მოშხამულ წყაროს წარმოადგენს.

— ეს გაერთიანება, პირიქით, სათანადო პირობებში ადამიანური განვითარების წყაროდ უნდა გადაიქცეს.

კ. მარქსი, „კაპიტალი", I, 430—438.

ბატონ დიურინგს ყური მოუკრავს იმ ამბისთვის, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა და სწავლა-განათლება უნდა შეკავშირდეს და ამით უზრუნველყოფილი გახდეს როგორც ყოველმხრივი ტექნიკური მომზადება, ისე პრაქტიკული საფუძველი მეცნიერული აღზრდისთვისო; ამიტომ იგი ამ მუხლსაც თავისებურად იყენებს სოციალიტარობისათვის. მაგრამ რადგან, როგორც დავინახეთ, ძველი შრომის დანაწილება დიურინგისეულ მომავალ წარმოებაში არსებითად შენარჩუნებულია, ამ ტექნიკურ აღზრდას ერთმევა ყოველი შემდგომი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა, ყოველი მნიშვნელობა თვით წარმოებისთვის და მხოლოდ სასკოლო მიზნები რჩება: სახელდობრ, მან უნდა შეცვალოს გიმნასტიკა, რომლის სახელის გაგონებაც კი არ სურს ჩვენს საფუძვლიანს გადამტრიალებელს. ამიტომ იგი ამ საგანზე მხოლოდ ორიოდე ფრაზას გვთავაზობს, მაგალითად: „ახალგაზრდები და მოხუცები შრომას ეწევიან ამ სიტყვის სერიოზული მნიშვნელობით". ჭეშმარიტად უბადრუკად გვეჩვენება ეს უსაფუძვლო და უშინაარსო წყლის ნაყვა, თუ მას შევადარებთ „კაპიტალის" 508—515 გვერდებს, სადაც მარქსი იმ დებულებას ავითარებს, რომ „საფაბრიკო სისტემიდან, როგორც ეს დაწვრილებით შეგვიძლიათ გაიცნოთ რობერტ ოუენის წიგნებში, აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა, რომელიც განსაზღვრულ ასაკს ზევით ყველა ბავშვისათვის პროდუქტიულ შრომას დაუკავშირებს სწავლებას და ტანვარჯიშობას, და ეს იქნება არა მარტო მეთოდი საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ—ერთადერთი მეთოდიც ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შესაქმნელად" *.

ფრ. ენგელსი, „ანტიდიურინგი", 275.

...ბავშვთა შრომის საყოველთაო აკრძალვა არ ურიგდება მსხვილი მრეწველობის არსებას და რჩება, მაშასადამე, ფუჭ კეთილ სურვილად. ხოლო ეს ღონისძიება შესაძლებელიც რომ იყოს, მისი გატარება იქნებოდა რეაქციული, იმიტომ რომ ბავშვთა სამუშაო დროის ზუსტად მოწესრიგებით, მათი ასაკის შესაფერისად, და ბავშვთა დასაცავი სხვა საზედამხედველო ზომების მიღების დროს, პროდუქტიული შრომის ადრე შეერთება სწავლასთან არის ერთი უძლიერესი საშუალებათაგანი თანამედროვე საზოგადოების გარდასაქმნელად.

კ. მარქსი, „გოთას პროგრამის კრიტიკა", 38.

---

* ქართული გამოც. „კაპიტალი", I, 431—432.

...კაპიტალისტური წარმოების ჩარჩოებიდან განთავისუფლებულ საზოგადოებას შეუძლია კიდევ უფრო შორს წავიდეს. რამდენადაც იგი ყოველმხრივ განვითარებულ მწარმოებელთა თაობას აღზრდის, რომელსაც მთელი ინდუსტრიალური წარმოების მეცნიერული საფუძველი ესმის და რომლის წევრებს პრაქტიკულად ცალ-ცალკე წარმოების დარგების მთელი რიგი აქვს შესწავლილი თავიდან ბოლომდე, იმდენად იგი შექმნის ახალ საწარმოო ძალას, რომელიც უხვად აიწონის შორიდან მოტანილი ნედლი და საწვავი მასალის სატრანსპორტო შრომას.

ფრ. ენგელსი, „ანტიდიურინგი“, 251.

ადამიანის საერთო ბუნების იმგვარად გარდასაქმნელად, რომ მან შეიძინოს დახელოვნება და გამოცდილება შრომის განსაზღვრულ დარგში, გარდაიქცეს განვითარებულ და სპეციფიკურ სამუშაო ძალად, საჭიროა ერთგვარი მომზადება, ანუ აღზრდა, რომელიც, თავის მხრივ, საქონლის ეკვივალენტების ცოტა თუ ბევრი რაოდენობა ღირს. მომზადებაზე გაწეული ხარჯები იცვლება სამუშაო ძალის მეტი თუ ნაკლები სირთულის მიხედვით. ამნაირად, სწავლის ეს ხარჯები, რომლებიც ჩვეულებრივი სამუშაო ძალისათვის სრულიად უმნიშვნელოა, ამ ძალის წარმოებაზე დახარჯული ღირებულების საერთო რაოდენობაში შედის.

კ. მარქსი, „კაპიტალი“, I, 132.

მსგავსად იმისა, როგორც წარსულ საუკუნეში მუშებმა და გლეხებმა მანუფაქტურებში შეიცვალეს მთელი თავისი ცხოვრების სახე და გახდნენ სრულებით სხვა ადამიანებად. როდესაც მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულნი აღმოჩნდნენ, სწორედ ისევე წარმოების საერთო გამგებლობას მთელი საზოგადოების ძალებით და აქედან გამომდინარე წარმოების ახალ განვითარებას დასჭირდება სრულიად ახალი ადამიანები და შექმნის მათ. წარმოების საზოგადოებრივ მართველობას არ შეუძლია განხორციელება თანამედროვეთა მსგავსი ადამიანების მიერ, რომელთაგანაც თითოეული ემორჩილება წარმოების ერთ რომელიმე დარგს, მიჯაჭვულია მასზე, ექსპლოატირდება მისგან: სადაც თითოეული ავითარებს თავის ნიჭის მხოლოდ ერთ მხარეს ყველა სხვა მხარის ხარჯზე და იცის მთელი წარმოების ერთი დარგი ან რომელიმე დარგის ერთი ნაწილი. უკვე თანამედროვე მრეწველობა სულ უფრო და უფრო ნაკლებად სარგებლობს ასეთი ხალხით. ხოლო წარმოებას, რომელსაც მართავს მთელი საზოგადოება გეგმობრივად და საზოგადოებრივი ინტერესით, მით უმეტეს დასჭირდება ყოველმხრივ განვითარებული ნიჭის მქონე ადამიანები, რომელთაც ექნებათ უნარი წარმოების მთელ სისტემაში ორიენტირებისა. შრომის დანაწილება, რომელიც უკვე ახლაა შერყეული მანქანის მიერ და რომელიც ერთს გლეხად აქცევს, მეორეს მეჩექმედ, მესამეს ფაბრიკის მუშად და მეოთხეს—ბირჟის სპეკულიანტად, სრულებით გაქრება. აღზრდა ახალგაზრდობას მისცემს საშუალებას სწრაფად ეცნობოდნენ წარმოების მთელ სისტემას, ის მისცემს მათ ნებას მორიგეობით გადადიოდნენ წარმოების ერ-

თი დარგიდან მეორეზე საზოგადოების მოთხოვნილებათაგან ან მათ საკუთარ მიდრეკილებათაგან დამოკიდებულებით.

ამგვარად, აღზრდა გაათავისუფლებს მათ იმ ცალმხრივობისაგან, რომლისკენაც ამჟამად აიძულებს თითოეულს შრომის თანამედროვე დანაწილება. ამნაირად, საზოგადოება, ორგანიზებული კომუნისტურ საწყისებზე, თავის წევრებს მისცემს საშუალებას ყოველმხრივ გამოიყენონ მათი ყოველმხრივად განვითარებული ნიჭი. მაგრამ ამასთან ერთად აუცილებლად ქრებიან სხვადასხვა კლასებიც. ამგვარად, საზოგადოება, ორგანიზებული კომუნისტურ საწყისებზე, ერთი მხრით, არ ურიგდება კლასების შემდგომ არსებობას, ხოლო, მეორე მხრით, ამ საზოგადოების შექმნა თვითონ იძლევა კლასობრივი განსხვავების მოსპობის შესაძლებლობას.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ მოისპობა აგრეთვე წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის. ერთი და იგივე ადამიანები გასწევენ მიწათმოქმედებას და სამრეწველო შრომას იმის მაგივრად. რომ ამის გაკეთება მიანდონ ორ სხვადასხვა კლასს. ეს არის აუცილებელი პირობა კომუნისტური ასოციაციისა უკვე მატერიალური მიზეზების გამო· მიწათმოქმედი მოსახლეობის დაქუცმაცება სოფლად და შეჯგუფება სამრეწველო მოსახლეობისა დიდ ქალაქებში წარმოადგენს ისეთ მდგომარეობას. რომელიც შეეფერება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის არასაკმარისად მაღალ დონეს და არის შემფერხებელი შემდგომი განვითარებისა, რაც უკვე ძალიან იგრძნობა ამჟამად.

ფ. ენგელსი, „კომუნიზმის პრინციპები“, М. Э. Соч., V, 478.

### ნ. ვიწრო სპეციალობიდან ინტეგრალური განვითარებისაკენ

შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით ახასიათებს ის, რომ იგი წარმოშობს მრავალ სპეციალობას, სპეციალისტებს და მათთან ერთად პროფესიულ იდიოტიზმს.

...შრომის დანაწილებას ავტომატურ ფაბრიკაში ახასიათებს ის, რომ იქ შრომას სრულიად დაკარგული აქვს სპეციალობის ხასიათი. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც ყოველგვარი სპეციალური განვითარება ქრება, საგრძნობი ხდება მოთხოვნილება უნივერსალობისა, მისწრაფება ინდივიდუმის ინტეგრალურ განვითარებისადმი. ავტომატური ფაბრიკა სპობს სპეციალისტებსა და პროფესიულ იდიოტიზმს.

კ. მ ა რ ქ ს ი, „ფილოსოფიის სიღატაკე, 216.

### პოლიტექნიკური სწავლების განმარტება

თანამედროვე მრეწველობის ტენდენცია—ორივე სქესის ბავშვებისა და მოზარდი ახალგაზრდების საზოგადოებრივი წარმოების დიდ საქმეში ჩაბმა,—ჩვენ პროგრესიულ, ჯანსაღ და კანონიერ ტენდენციად მიგვაჩნია, თუმცა კაპიტალის ბატონობის დროს მან საზიზღარი ფორმები მიიღო.

რაციონალურად მოწყობილ საზოგადოებაში ყ ვ ე ლ ა ბ ა ვ შ ვ ი*, ცხრა წლის ასაკიდან დაწყებული, პროდუქტიულ შრომაში უნდა ღებულობდეს მონაწილეობას ისევე, როგორც ყოველი შრომის უნარის მქონე მოზრდილი უნდა ემორჩილებოდეს ბუნების იმ საერთო კანონს, რომ მან უნდა იმუშაოს არა მარტო თავით, არამედ ხელებითაც, რომ ჭამოს.

ამჟამად საჭიროა ორივე სქესის ბავშვები და მოზარდები გაყოფილ იქნან ს ა მ ჯ გ უ ფ ა დ*, რომლებიც სხვადასხვანაირ დამოკიდებულებას მოითხოვენ: პირველი ჯგუფი უნდა შეიცავდეს ბავშვებს 9—12 წლამდე, მეორე—1[illegible]—15 წლამდე, მესამე—16—17 წლისას. ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ პირველი ჯგუფის ბავშვების მუშაობა სახლში თუ სახელოსნოში კანონით განისაზღვროს ო რ ი* საათით მეორისა—ო თ ხ ი თ*, და მესამის—ე ქ ვ ს ი თ*; მესამე ჯგუფისათვის დაწესებული უნდა იქნას არა ნაკლებ ერთი საათისა საჭმელის მიღებისა ან დასვენებისათვის.

სასურველია, ელემენტარული სასკოლო აღზრდა 9 წლის ასაკამდე იწყებოდეს, მაგრამ დღევანდელ პირობებში იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

ისეთი შხამისსაწინააღმდეგო საშუალებებით, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია იმ საზოგადოებრივი წყობილების ტენდენციის წინააღმდეგ, რომელსაც მუშა დაჰყავს კაპიტალის დაგროვებისათვის საჭირო უბრალო იარაღის დონემდე და რომელიც გაჭირვებით შევიწროებულ მშობელს აქცევს საკუთარი შვილების გამყიდველად. ბავშვებისა და მოზარდთა უ ფ ლ ე ბ ა * დაცული უნდა იქნას. მათ საშუალება არა აქვთ თვითონ იზრუნონ თავის თავზე, ამიტომ საზოგადოების მოვალეობაა მათ დამცველად გამოვიდეს.

უკეთუ საშუალო და მაღალი კლასები გაურბიან თავის მოვალეობას საკუთარი შვილების მიმართ—ეს მათი შეცდომაა. ბავშვები სარგებლობენ ამ კლასების პრივილეგიებით, მაგრამ იტანჯებიან მათი ცრურწმენით.

მუშათა კლასის საქმე სხვაგვარია. მუშა არ არის თავისუფალი თავის მოქმედებაში. ბევრ შემთხვევაში მას სწორად არ ესმის თავისი შვილის ინტერესები ან ადამიანური განვითარების ნორმალური პირობები. როგორც არ უნდა იყოს, მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს უ ფ რ ო შ ე გ ნ ე ბ უ ლ ნ ა წ ი ლ ს კ ა რ გ ა დ ე ს მ ი ს, რ ო მ მ ი ს ი კ ლ ა ს ი ს, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს მ ო მ ა ვ ა ლ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ა მ ო ზ ა რ დ ი თ ა ო ბ ი ს ა ღ ზ რ დ ა ზ ე. ამ ნაწილს შეგნებული აქვს, რომ პირველყოვლისა, მომუშავე ბავშვები და მოზარდები გადარჩენილ იქნან წარმოების თანამედროვე სისტემის დამღუპველი გავლენისაგან. ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნას მაშინ, როდესაც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ა ზ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ძ ა ლ ა დ გ ა დ ა ი ქ ც ე ვ ა*, ხოლო თანამედროვე პირობებში ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ს ა ე რ თ ო კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს* საშუალებით, რომელთა დაცვასაც გვაიძულებს სახელმწიფოს ხელისუფლება. ასეთი კანონების მოთხოვნით მუშათა კლასი სრულებითაც არ აძლიერებს მთავრობის ძალა-უფლებას. პირიქით, იმ ძალას, რომელსაც ახლა მის წინააღმდეგ იყენებენ, ის აქცევს თავის იარაღად. მუშები საერთო კანონმდებლობითი აქტით აღწევენ იმას, რის მიღწევასაც ტყუილად უნდა ცდილიყვნენ. მრავალი დაცალკევებული ინდივიდუალური ღონისძიებით.

გამოვდივართ რა ამისაგან, ჩვენ ვამბობთ, რომ მშობლებსა და დამქირავებლებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს ნება გამოიყენონ ბავშვთა და მოზარდთა შრომა, უკეთუ იგი აღზრდასთან არ არის შეფარდებული.

ა ღ ზ რ დ ი ს ს ა ხ ი თ ჩ ვ ე ნ გ ვ ე ს მ ი ს ს ა მ ი რ ა მ:

პირველი:—გ ო ნ ე ბ რ ი ვ ი ა ღ ზ რ დ ა *;

მეორე—ფ ი ზ ი კ უ რ ი ა ღ ზ რ დ ა*, ისეთი, როგორსაც იძლევა ტანვარჯიშობის სკოლები და სამხედრო ვარჯიშობანი.

მესამე—ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ს წ ა ვ ლ ე ბ ა*, რომელიც აცნობს წარმოების ყველა პროცესის ძირითად პრინციპებს და ამავე დროს აძლევს ბავშვს და მოზარდს ყველა წარმოების უმარტივესი იარაღების გამოყენების ჩვევებს.

ბავშვებისა და მოზარდი მუშების განაწილებას ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უნდა შეეფერებოდეს გონებრივი და ფიზიკური აღზრდის და ტექნიკური სწავლების კურსი, რომელიც თანდათან უნდა რთულდებოდეს. ტექნიკური სკოლების ხარჯები ნაწილობრივად უნდა იფარებოდეს მათი პროდუქციის გაყიდვის გზით.

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

სანაზღაურო წარმოებითი შრომის, გონებრივი აღზრდის, ფიზიკური ვარჯიშისა და პოლიტექნიკური სწავლების შეთანხმება მუშათა კლასს აყენებს საშუალო და მაღალ კლასებზე უფრო მაღლა.

თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა პირს 9 წლიდან 17 წლამდე (ჩართვით) კანონით სასტიკად უნდა აეკრძალოს ღამით და ჯანმრთელობისათვის მავნე ყველა წარმოებაში მუშაობა.

კ. მარქსი, „ინსტრუქცია, დრ. ცენტრალური საბჭოს დელეგატებს", М. Э., Соч. XIII, ნაწ. I, 198—199.

## IV
## სკოლა, მასწავლებელი

# სკოლა, მასწავლებელი

## 1. ალმზრდელი თვით უნდა იყოს აღზრდილი

მატერიალისტური მოძღვრება, რომ ადამიანები გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები არიან, მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი პირობებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიანო, ივიწყებს, რომ გარემოებას სწორედ ადამიანები ცვლიან და რომ ალმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს.

კ. მარქსი, თეზისები ფეიერბახზე, „რჩ. ნაწერები", 422.

## 2. მასწავლებელი საზოგადო მოღვაწეა

მოძღვარი, მასწავლებელი ისევე ითვლება საზოგადო მოღვაწედ, როგორც მწერალი, და მისი საჯარო გამოსვლის აღწერა ხომ არ მიგაჩნიათ თქვენ პირად თავდასხმად?

ფ. ენგელსი, „წერილები ვუპერტალიდან", M. Э., Соч. II, 25

## 3. სკოლისა და მასწავლებლის მდგომარეობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში

### ა) ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მასწავლებელი არ ითვლება პროდუქტიულ მუშაკად

კაპიტალისტური წარმოება არის არა მარტო საქონლის წარმოება, არამედ არსებითად ზედმეტი ღირებულების წარმოება. მუშა თავისთვის კი არ აწარმოებს, არამედ კაპიტალისათვის ამიტომ საკმარისი არ არის, რომ იგი საერთოდ აწარმოებს, მან ზედმეტი ღირებულება უნდა აწარმოოს. პროდუქტიულია მხოლოდ ის მუშა, რომელიც აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტისათვის, ანუ ემსახურება კაპიტალის თვითზრდას. ასე, მაგალითად, სკოლის მასწავლებელი, თუ დასაშვებია მაგალითის აღება მატერიალური წარმოების სფეროს გარშემო, პროდუქტიული მუშა იქნება იმ შემთხვევაში, თუ იგი არა მარტო ბავშვების თავებს დაამუშავებს, არამედ დაამუშავებს თავის თავსაც მესარეწის გასამდიდრებლად.

კ. მარქსი, „კაპიტალი", I, 455, 1930 წ.

### ბ) მასწავლებელთა ხელფასი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში

კიდევ ერთი მაგალითი იდეების ბატონობისა ყოველდღიურ ცხოვრებაში. რამდენადაც მასწავლებლებს თავისი შრომის მცირე ანაზღაურების გამო შეუძლიანთ თავი ინუგეშონ იმ საქმის სიწმინდით, რომელსაც ისინი ემსახურებიან (რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ გერმანიაში), იმდენად Jacques le bonhomme-ს ნამდვილად სწამს, რომ ეს ფრაზეოლოგია არის მიზეზი მათი მცირე ჯამაგირისა (გვ. 100). მას სჯერა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროში „წმინდას" აქვს ნამდვილი ფულადი ღირებულება. მას სჯერა, რომ პრუსიის სახელმწიფოს მცირე სახსრები... გადიდდებოდნენ ამ „წმინდას" გაუქმებით იმდენად, რომ სოფლის თითოეულ მასწავლებელს უცბად შეეძლო მიეღო მინისტრის ჯამაგირი.

ეს უაზრობის იერარქიაა.

კ. მარქსი, „წმინდა მაქსი", М. Э., Соч., IV, 162.

## გ) ვუპერტალის სკოლები და მასწავლებლები

თაეისთავად ცხადია, რომ იმ ადგილებში, სადაც შეჭრილია პიეტიზმი, ეს უკანასკნელი ვრცელდება რა ყველა მხარეზე, ჟღენთავს და აფუჭებს ცხოვრების ყოველ ცალკე მიმართულებას. თავის მთავარ გავლენას ის ახდენს სასკოლო განათლებაზე, პირველ ყოვლისა — სახალხო სკოლებზე.

ამ სკოლების ერთი ნაწილი სავსებით მის ხელშია, ესაა—საეკლესიო სკოლები, თითო ყოველ თემში. სხვა სახალხო სკოლები, რომლებზეც დიდი გავლენა აქვთ სამოქალაქო სამმართველოებს, უფრო თაეისუფალი არიან, მაგრამ ჯერ კიდევ იმყოფებიან ეკლესიების სასკოლო საბჭოების მეთვალყურეობის ქვეშ. მისტიციზმის რეაქციული ზემოქმედება აქაც ცხადად ჩანს, ვინაიდან იმ დროს, როცა საეკლესიო სკოლები ჯერ კიდევ ისე, როგორც სულგრძელი კურფიურსტის კარლ—თეოდორეს დროს, წერა-კითხვისა და ანგარიშის გარდა თავს უქედავენ მოწაფეებს მხოლოდ კატეხიზისით, სხვა სკოლებში ასწავლიან ზოგიერთ მეცნიერებათა საწყისებს და ცოტაოდენ ფრანგულს, ისე, რომ ბევრი მოწაფე, ლებულობს რა სკოლაში ბიძგს, ცდილობს სკოლის დატოვების შემდეგ გააგრძელოს თავისი განათლება. ეს სკოლები სწრაფად ვითარდებიან და პრუსიის მთავრობის ხელში გადასვლის შემდეგ შორს გაუსწრეს საეკლესიო სკოლებს, რომლებსაც ისინი პირველად ძალიან ჩამორჩებოდნენ. მაგრამ საეკლესიო სკოლებში უფრო ბეჯითად დადიან, ვინაიდან ამ სკოლებში გაცილებით იაფად ასწავლიან და მრავალი მშობელი ჯერ კიდევ გზავნის იქ თავის შვილებს ნაწილობრივ (სარწმუნოებრიეი) მიმდევრობისათვის, ნაწილობრივ კი იმისათვის, რომ ბავშვთა სასულიერო განეითარებაში ხედავენ საერო სულისკვეთების გამარჯვებას.

მომაღლო ტიპის სასწავლებელთაგან ვუპერტალში არის სამი: საქალაქო სკოლა ბარმენში, რეალური სასწავლებელი ელბერფელდში და გიმნაზია იქვე.

ბარმენის საქალაქო სკოლა, რომელიც ცუდად ფინანსდება და ამის გამო ძალიან ცუდად არის უზრუნველყოფილი მასწავლებლებით, მაინც აკეთებს ყველაფერს, რაც შეუძლია. ის სავსებით ვიწროდ შემოფარგლული და ძუნწი სამზრუნველო საბჭოს ხელშია, იმ საბჭოს ხელში, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მასწავლებლებად ჯერ კიდევ პიეტისტებს ირჩევს. დირექტორს, რომელსაც არ ეუცხოვება ეს მიმართულება, მაგრად უჭირავს ხელში ძალა-უფლება და ყოველ მასწავლებელს მოხერხებულად უთითებს თაეის ადგილს. მას მისდევს ბ. იოგან იაკობ-ეეიხი, რომელსაც ეხერხება კარგად ასწავლოს კარგი სახელმძღვანელოთი და ისტორიის სწავლებაში ითვლება ნესელტის ანეგდოტური მეთოდის გულწრფელ მიმდევრად. ის არის ავტორი მრავალი პედაგოგიური შრომისა, რომელთაგანაც ყველაზე უფრო მსხეილს, მოცულობით, ეწოდება Numan, Wesel bei Bagel, ორ ტომად 40 ბეჭდვითი ფურცელი, ფასი 1 რეიხსტალერი. ყველა ისინი სავსე არიან მაღალი იდეებით, კეთილი სურვილებით და განუხორციელებელი პროექტებით. ამბობენ, რომ მისი პედაგოგიური პრაქტიკა ძალიან ჩამორჩება ლამაზ თეორიებს.

დ-რი ფილიპ შიფლეინი, მეორე უფროსი მასწავლებელი, ყველაზე უფრო საქმიანი მასწავლებელია ამ სკოლისა. გერმანიაში შეიძლება ისე ღრმად არავინ ჩასწვდომია თანამედროვე ფრანგული ენის გრამატიკულ სტრუქტურას, როგორც

ის. იგი არ გამოდიოდა ძველი რომახული ენიდან, მაგრამ აიღო გასული საუკუნის კლასიკური ენა, განსაკუთრებით ვოლტერისა, და მისგან გადავიდა უახლესი ავტორების სტილზე. ამ გამოკვლევათა რეზულტატები წარმოდგენილია მის „შესავალში ფრანგული ენის შესწავლისათვის სამ კურსად“, რომელთაგანაც პირველი და მეორე უკვე გამოვიდა რამდენიმე გამოცემით, მესამე კი გამოვიდა ახლა, სააღდგომოდ. ეს, კნებელის გვერდით, უეჭველად საუკეთესოა ფრანგული ენის სახელმძღვანელოთა შორის, რომლებიც კი ჩვენ გაგვაჩნია: ის, პირველი კურსის გამოსვლისთანავე, კარგად იქნა მიღებული და ახლა თითქმის უბადლოდ ვრცელდება მთელ გერმანიაში უნგრეთამდე და რუსეთის ბალტიელ პროვინციებამდე.

დანარჩენი მასწავლებლები არიან ახალგაზრდა სემინარიელები, რომელთაგანაც ზოგიერთებს საფუძვლიანად უსწავლიათ, ხოლო ზოგიერთები კი დადიან სხვადასხვა ცოდნით დამძიმებულნი. საუკეთესო ამ ახალგაზრდა მასწავლებელთაგან იყო ბ. კესტერი, ფრეილიგრატის მეგობარი. ერთ მის პროგრამაში არის პოეტიკის ნარკვევი, რომლიდანაც სავსებით გამორიცხა დიდაქტიკური პოეზია და ჩვეულებრივად ამ უკანასკნელისადმი მიკუთვნებული გვარები ეთიკასა და ლირიკას დაუქვემდებარა; სტატია ადასტურებდა შესმენილობასა და სიცხადეს. ის მიიწვიეს დიუსელდორფში, და რადგანაც სამზრუნველო საბჭოს წევრები მას იცნობდნენ როგორც ყოველგვარი პიეტიზმის მტერს, იგი სიამოვნებით გაუშვეს. მის წინააღმდეგობას წარმოადგენს მეორე მასწავლებელი, რომელმაც მოწაფის შეკითხვაზე: „ვინ იყო გოეთე?“ უპასუხა:—„ულმერთო“.

ელბერფელდის რეალური სასწავლებელი ფინანსდება ძალიან კარგად, ამის გამო მას შეუძლია შეარჩიოს კარგი მასწავლებლები და მოაწყოს უფრო სრული კურსი. სამწუხაროდ, *მასში ბატონობს რვეულში ჩაწერის საშინელი სისტემა, რომელსაც შეუძლია ნახევარ წელში მოწაფე დააჩლუნგოს.* უნდა ითქვას, რომ დირექცია ნაკლებად იგრძნობა: დირექტორი ნახევარი წლით მიდის ხოლმე, ხოლო როცა არის, ორმაგ სიმკაცრეს იჩენს.

რეალურ სასწავლებელთან არის სამრეწველო სკოლა, რომელშიც მოწაფეები ნახევარ სიცოცხლეს ხაზვას სწირავენ. მასწავლებელთაგან უნდა აღინიშნოს ბ-ნი დ-რი კრუზე. მან ექვს კვირას დაჰყო ინგლისში და დაწერა წიგნაკი ინგლისურ გამოთქმათა შესახებ, რომელიც გამოირჩევა სრული თავისი უვარგისობით. მოწაფეები სარგებლობენ ძალიან ცუდი რეპუტაციით და დინტერვეგს მისცეს საბაბი ელბერფელდის ახალგაზრდობაზე ჩივილისა.

გიმნაზია ელფელბერდში იმყოფება ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში, მაგრამ პრუსიაში იგი ერთ საუკეთესოთაგანად არის მიჩნეული. ის წარმოადგენს რეფორმატული თემის საკუთრებას, მაგრამ ნაკლებად არის დაავადებული მისი მისტიციზმით, ვინაიდან მოძღვრები არ არიან მით დაინტერესებული, ხოლო სამრეწველო საბჭოს წევრებს არაფერი გაეგებად გიმნაზიის საქმეებში. მიუხედავად ამისა, გიმნაზია იტანჯება მათი სიძუნწის გამო. ამ ვაჟბატონებს არავითარი წარმოდგენა არ აქვთ პრუსიული საგიმნაზიო განათლების უპირატესობათა შესახებ, ცდილობენ რეალურ სასწავლებელს მიაწოდონ ყოველივე, სახსრები და მოსწავლეები, გიმნაზიას კი მაინც უსაყვედურებენ, რომ მას არ შეუძლია თავისი ხარჯებიც კი დაფაროს სწავლის ქირით. ახლა წარმოებს მოლაპარაკება, რომ გიმნაზია გადაეცეს მთავრობას, რომელიც ძალიან არის

ამით დაინტერესებული. რომ ეს გადაცემა არ მომხდარიყო, გიმნაზია რამდენიმე წლის შემდეგ უნდა დახურულიყო სახსრების უქმარობის გამო. მასწავლებელთა არჩევაც სამზრუნველო საბჭოს წევრთა ხელშია, იმ ადამიანთა ხელში, რომლებმაც კარგად იციან ანგარიშების გადატანა მთავარ წიგნში, მაგრამ არაფერი გაეგებათ ბერძნულის, ლათინურის ან მათემატიკის შესახებ. არჩევის მთავარი პრინციპი მათ ასეთი აქვთ: უკეთესია არჩევა დავარდნილი რეფორმატორისა, ვიდრე საქმიანი ლიუთერანელისა ან, რაც კიდევ უფრო უარესია, კათოლიკისა. მაგრამ იმის გამო, რომ პრუსიელ ფილოლოგთა შორის ლიუთერანელები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე რეფორმატორები, მათ არასდროს არ შეუძლიათ მისდიონ თავის პრინციპს. დ-რი განტჩკე, სამეფო სკოლის პროფესორი და დროებითი დირექტორი, შთამომავლობით ლაუზიცის ლუკაუდან, წერს ციცერონისებური ლათინურით ლექსად და პროზად, არის ავტორი რამდენიმე ქადაგებისა, პედაგოგიური წერილებისა და ებრაული ენის სახელმძღვანელოსი. ის დიდი ხნის წინად იქნებოდა მუდმივი დირექტორი. რომ ლიუთერანელი არ ყოფილიყო, ხოლო მზრუნველთა საბჭოს კი ნაკლები სიძუნწე გამოეჩინა.

დ-რი ეიხგოფი, მეორე უფროსი მასწავლებელი; მან თავის უმცროს კოლეგებთან დ-რ ბელცთან ერთად დაწერა ლათინური გრამატიკა, რომლის შესახებაც „საყოველთაო ლიტერატურულ გაზეთში", რომელსაც ფ. გაზე სცემს, გამოქვეყნდა არა მაინცდამაინც სასიამოვნო რეცენზია. მისი მთავარი სპეციალობა ბერძნული ენაა.

დ-რი კლაუზენი, მესამე უფროსი მასწავლებელი, უეჭველია ყველაზე, უფრო საქმიანი კაცია მთელ სკოლაში, ყველა დარგში გამოცდილია, არის ისტორიისა და ლიტერატურის მცოდნე. მისი გაკვეთილები მომხიბლავია. ის ერთად ერთია ვისაც შეუძლია მოწაფეებში გააღვიძოს პოეზიის სული, რომელიც უმისოდ ფატალურად უნდა ჩამკვდარიყო ვუპერტალის ფილისტერთა შორის. როგორც მწერალი, იგი, რამდენადაც მე ვიცი, გამოვიდა მხოლოდ დისერტაციით თემაზე „პინდარი ლირიკოსი". ამან მას მოუხვეჭა დიდი სახელი გიმნაზიების მასწავლებელთა შორის პრუსიაში და მის გარეთაც. წიგნის ბაზარზე ეს ნაშრომი, რასაკვირველია, არ გასულა.

ეს სამი სკოლა დაარსებული იყო მხოლოდ 1821 წელს. წინათ ბარმენში და ელბერფელდში იყო მხოლოდ თითო სარექტორო სკოლა და მრავალი კერძო სკოლა, რომლებსაც არ შეეძლოთ მიეცათ საკმაო განათლება. მათი გავლენის ნაშთები ჯერ კიდევ ეტყობა ბარმენის უფროსი თაობის ვაჭრებს. განათლებისა კვალიც არა ჩანს. ბარმენსა და ელფერბელდში განათლებულ კაცად ითვლება ის, ვინც თამაშობს ვისტსა და ბილიარდს, შეუძლია ცოტაოდენი მსჯელობა პოლიტიკურ თემებზე და ამბობს მოსწრებულ კომპლიმენტებს. საშინელ ცხოვრებას ატარებს ეს ხალხი, მაგრამ ის ამით მაინც კმაყოფილია; დღისით ისინი ჩაფლული არიან თავის სავაჭრო ანგარიშებში არაჩვეულებრივი ენებიანობით და ინტერესით, საღამოს, განსაზღვრულ საათზე, ყველანი მიდიან საზოგადოებაში, სადაც დროს ატარებენ კარტის თამაშში, ყბედობენ პოლიტიკურ თემებზე, წევენ თამბაქოს რომ სწორად ცხრა საათზე შინ დაბრუნდნენ. ასე უცვლელად მიდის ყველა დღე და ვაი მას, ვინც იფიქრებს მათ ხელი შეუშალოს, ის შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ ყველა საუკე-

თესო ოჯახის შეუბრალებელ წყრომას დაიმსახურებს. მამები მხნედ ეწევიან თავის შვილთა განსწავლას და ეს უკანასკნელნიც ყველა იმედს იძლევიან, რომ გაჰყვებიან თავის მამათა კვალს.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „წერილები ვუპერტალიდან", M. Э., Соч. II, 14—17.

## დ) ბურჟუაზიული საზოგადოების საფაბრიკო სკოლები და მასწავლებლები

მორალური დამახინჯება, რომელიც ქალთა და ბავშვთა შრომის კაპიტალისტური ექსპლოატაციიდან გამომდინარეობს, ისე სავსებით ამომწურეელად არის ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს მიერ მის წიგნში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში" და სხვა მწერლების მიერ აწერილი, რომ მე აქ მხოლოდ ამის გახსენებით ვკმაყოფილდები. გონებრივმა გაველურებამ, ხელოვნურად გამოწვეულმა მოუმწიფებელი ადამიანის გადაქცევით ზედმეტი ღირებულების საწარმოებელ უბრალო მანქანად,—იგი ძალზე გასარჩევია ბუნებრივი უვიცობისაგან, რომელიც ხელუხლებლად სტოვებს ადამიანის გონებას ისე, რომ ზიანს არ აყენებს მის განვითარების უნარს და მის ბუნებრივ ნაყოფიერებას,—ამ გონებრივმა გაველურებამ ბოლოს თვით ინგლისის პარლამენტსაც კი აღიარებინა ელემენტარული სწავლა-განათლება აუცილებელ პირობად 14 წელზე ნაკლები ხნის ბავშვების „პროდუქტიული" მოხმარებისა ყველა იმ სამრეწველო დარგში, რომელიც საფაბრიკო კანონებს ექვემდებარება. კაპიტალისტური წარმოების სული აშკარად გამოსჭვივის საფაბრიკო კანონთა ეგრეთწოდებული აღზრდის შესახები მუხლების უხეირო რედაქციაში, ადმინისტრატიული მეთვალყურეობის დაუწესებლობაში, რაც ამ სავალდებულო სწავლა-განათლებას უმეტეს შემთხვევაში ფიქტიურად ხდის, ფაბრიკანტების ოპოზიციაში თვით ამ კანონის წინააღმდეგაც კი და იმ თაღლითობასა და ხრიკებში, რომელსაც ისინი მიმართავენ მისთვის გვერდის ასახვევად. „მარტო საკანონმდებლო ხელისუფლებაა დასაგმობი, რადგანაც მან გამოსცა ფიქტიური კანონი (delusive law), რომელიც, ზრუნავს რა გარეგნულად ბავშვების აღზრდისათვის, ნამდვილად არ შეიცავს არც ერთ ისეთ დადგენილებას, რომელიც უზრუნველყოფდეს ამ მიზნის მიღწევას. კანონი მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ბავშვები ყოველდღე განსაზღვრული საათების (3 საათის) განმავლობაში ო თ ხ კ ე დ ე ლ შ უ ა უ ნ დ ა ი ყ ვ ნ ე ნ ჩ ა კ ე ტ ი ლ შ ე ნ ო ბ ა-შ ი, რ ო მ ე ლ ს ა ც ს კ ო ლ ა ე წ ო დ ე ბ ა, და რომ ბავშვის მიმბარებელმა ყოველკვირეულად უნდა მიიღოს ამის შესახებ მოწმობა იმ პირისაგან, რომელიც მასწავლებელი კაცის ან ქალის სახელით ხელს მოაწერს მას" *. შესწორებული საფაბრიკო კანონის გამოცემამდე 1844 წელს იშვიათი არ იყო ისეთი მოწმობები, რომელთაც მასწავლებელი კაცისა თუ ქალის მიერ, რახან თვით წერა არ იცოდნენ, ხელმოწერის ნაცვლად ჯვარი ჰქონდა დასმული. „ერთი სკოლის დათვალიერებისას, სადაც ასეთ მოწმობებს იძლევიან, მე ისე განცვიფრებული დავრჩი მასწავლებლის უვიცობით, რომ მას შევეკითხე: „მითხარით, გეთაყვა, თქვენ კითხვა იცით?" „Ih ieh, Ebbes (summat) (საერთოდ კი)", მიპასუხა მან

* L e o n h a r d H o r n e r „Reports-ში of Insp. of Fact. for 30 th June 1857", p. 17.

და თავის გასამართლებლად დასძინა: „ყოველ შემთხვევაში, მე თვალყურს ვადევნებ ჩემს მოწაფეებს". 1844 წლის კანონის შემუშავების დროს საფაბრიკო ინსპექტორები კიცხავდნენ სკოლებად წოდებულ დაწესებულებათა სამარცხვინო მდგომარეობას, რომელთა მოწმობები კანონის მიხედვით მათ სრულიად დამაკმაყოფილებლად უნდა ეცნოთ. მაგრამ მთელი მათი მიღწევა იმაში გამოიხატა, რომ 1844 წლიდან „მასწავლებელს თავისი ხელით უნდა ჩაეწერა ციფრები სკოლის მოწმობაში და საკუთარი ხელითვე უნდა მოეწერა თავისი სახელი და გვარი" *. სერ John Kincaid-ი, შოტლანდიის საფაბრიკო ინსპექტორი, მოგვითხრობს იმასვე თავისი სამსახურის გამოცდილების მიხედვით. „პირველ სკოლას, რომელიც ჩვენ ვინახულეთ, განაგებდა ვინმე Mrs. Ann Killin-ი. როდესაც მე ამ ქალს წინადადება მივეცი დაეწერა თავისი გვარი, მან ხელად შეცთომა დაუშვა, დაიწყო იგი C-თი, მაგრამ მალე გაისწორა ეს შეცთომა და განაცხადა, ჩემი გვარი K-თი იწყებაო. მისი ხელმოწერის გასინჯვის დროს სასკოლო მოწმობების წიგნში მე მაინც შევამჩნიე, რომ იგი სხვადასხვანაირად აწერს ხელს, ხოლო მისი ხელნაწერი უეჭველად ამტკიცებს, რომ იგი მასწავლებლობის უნარს მოკლებულია. თვითონაც აღიარა, რომ არ შეუძლია ჟურნალის წარმოება... მეორე სკოლაში მე ვნახე, რომ სამოსწავლო ოთახს სიგრძე ჰქონდა 15 ფუტი, განი—10 ფუტი, და იქ მოთავსებული იყო 75 ბავშვი, რომელნიც რაღაც გაუგებარს ბუტბუტებდნენ" **. „მაგრამ არა მარტო ამგვარ უბადრუკ ჯურღმულებში იღებენ ბავშვები სკოლის მოწმობებს, თუმცა იქ არავითარ ცოდნას არ ითვისებენ: ბევრ სკოლაში, სადაც მასწავლებელი საკმაოდ მომზადებული არის, მისი შრომა თითქმის სრულიად უნაყოფოა, რადგან ყველა ასაკის ბავშვები, დაწყებული 3 წლიდან, უთავბოლოდ არიან ერთმანეთში არეული. მასწავლებლის შემოსავალი, რომელიც უკეთეს შემთხვევაში ღატაკურია, სავსებით დამოკიდებულია მოწაფეებისგან მიღებული პენსების რაოდენობაზე, და ამ პენსების რიცხვი მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტად იქნება ოთახი ბავშვებით გაჭედილი. ამას ზედ ერთვის კიდევ სკოლის არასაკმაო მოწყობილობა აეჯეულობით, წიგნების და სხვა სასწავლო მასალების ნაკლებობა და სულ-შემხუთავი, საზიზღარი ჰაერის შავნებელი მოქმედება თვით საწყალ ბავშვებზე. მე ვიყავი ბევრ ასეთ სკოლაში, სადაც ბავშვთა მრავალი რიგი ვნახე, რომელნიც სრულიად არაფერს არ აკეთებდნენ; და ამას სკოლაში სიარულს უწოდებენ მოწმობებში და ასეთი ბავშვები ოფიციალურ სტატისტიკაში სწავლამიღებულებად (educated) ირიცხებიან" ***. შოტლანდიაში ფაბრიკანტები ცდილობენ, რამდენადაც შეიძლება, არ იყოლიონ ისეთი ბავშვები, რომელნიც ვალდებულნი არიან სკოლაში იარონ. „ეს საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ფაბრიკანტები სავალდებულო სწავლა-განათლების მუხლებს სრულიად არ თანაუგრძნობენ" ****. მახინჯ-საზიზღარი ფორმით ცხადდება ეს ჩითის საბეჭდ და სხვა მსგავს საწარმოებში, რომელნიც განსაკუთრებულ საფაბრიკო კანონს

* იგივე „Reports-ში of Insp. of Fact. for 31 st October 1855", p. 18, 19.

** Sir John Kincaid Reports-ში of Insp. of. Fact. for 31st October 1858", p. 31, 32.

*** Leonhard Horner „Reports-ში etc. for 31st October 1857", p. 17, 18.

**** Sir J. Kinkaid Reports-ში etc. for 31st October 1856", p. 66.

ექვემდებარებიან. ამ კანონის დადგენილებათა ძალით „თითოეული ბავშვი ამგვარ საბეჭდ დაწესებულებაში შესვლამდი სკოლაში უნდა იყოს ნატარები სულ ცოტა 30 დღე და არა ნაკლებ 150 საათისა 6 თვის განმავლობაში, რომელიც წინ უძღვის მის საწარმოში შესვლის პირველ დღეს. ჩითეულობის საბეჭდავში მუშაობის დროს მან აგრეთვე უნდა იაროს სკოლაში 30, დღე ანუ 150 საათი სემესტრის გამოშვებით ყოველი 6 თვის განმავლობაში... სკოლაში სიარული უნდა ხდებოდეს დილის 8 საათსა და საღამოს 6 საათს შუა. სკოლაში ყოფნა ერთსა და იმავე დღეს $2^1/_2$ საათზე ნაკლები ანდა 5 საათზე მეტი არ ჩაითვლება ზემოაღნიშნული 150 საათის ანგარიშში. ჩვეულებრივ პირობებში ბავშვები სკოლაში დადიან დილით და საღამოთი, 30 დღის განმავლობაში, დღეში ხუთი საათი; 30 დღის შემდეგ, როდესაც კანონიერი საერთო ჯამი—150 საათი—მიღწეულია, როდესაც ბავშვები, თუ მათი საკუთარი ენით ვიტყვით, თავიანთ წიგნს ათავებენ, ისინი ისევ საბეჭდავში ბრუნდებიან, სადაც კვლავ 6 თვე რჩებიან, ვიდრე სკოლაში სიარულის სავალდებულო დრო არ დადგება, და მაშინ სკოლაში რჩებიან მანამდე, ვიდრე კვლავ თავიანთ წიგნს არ გაათავებენ... ბევრ ბავშვს, რომელთა კანონით დაწესებული 150 საათი გაუტარებიათ სკოლაში, 6 თვეს საბეჭდავში ყოფნის შემდეგ კვლავ სკოლაში დაბრუნებისას ხელახლა უხდება სწავლის თავიდან დაწყება... მათ, რასაკვირველია, ყველაფერი დავიწყებული აქვთ, რაც უწინ სკოლაში ყოფნის დროს შეუძენიათ. სხვა ჩითეულობის საბეჭდავებში ბავშვთა გაშვება სასკოლო მეცადინეობისთვის სრულიად დამოკიდებულია თვით ფაბრიკის საქმეთა მსვლელობაზე, მის საჭიროებაზე. სავალდებულო საათების რაოდენობა ყოველ 6 თვის განმავლობაში სრულდება სკოლაში ნასიარულევი 3—5 საათის ერთმანეთზე წაკოწიწებით, რომლებიც, შეიძლება, მთელი 6 თვის მანძილზეა გაბნეული. მაგალითად, ბავშვი ერთ დღეს სკოლაში არის დილის 8-დან 11 საათამდე, მეორე დღეს—ნაშუადღევის 1-დან 4-მდე; შემდეგ რამდენიმე დღე სრულიად არ დადის სკოლაში და უეცრად კვლავ ჩნდება იქ ნაშუადღევის 3-დან 6 საათამდე; ამის შემდეგ დადის ზედიზედ იქნებ 3 ან 4 დღე, ანდა მთელი კვირის განმავლობაში და მერე ისევ ქრება სამი კვირით ან მთელი თვით და ისევ ბრუნდება სკოლაში რამდენიმე საათით უსაქმობის დღეებში, როდესაც მესარეწე შემთხვევით მას არ საჭიროებს; ამნაირად, ბავშვს, ასე ვთქვათ, ბურთივით აქეთ-იქით ისვრიან (bulleted),—სკოლიდან ფაბრიკაში და ფაბრიკიდან სკოლაში, ვიდრე არ შეივსება 150 საათი" *.

* A. Redgrave „Reports-ში of Insp. of Fact. for 31st October 1857". p. 41, 42. ინგლისის მრეწველობის იმ დარგებში, რომელნიც დიდი ხანია ექვემდებარებიან საფაბრიკო კანონს (არა Printworks Act-ს, რომელიც უკანასკნელად მოყვანილია ტექსტში), სასწავლო დადგენილებათა დაბრკოლებები ამ უკანასკნელ წლებში რამდენადმე დაძლეულია. ხოლო საფაბრიკო კანონისადმი დაუქვემდებარებელ მრეწველობის დარგებში ჯერ კიდევ ძალიან გავრცელებულია შეხედულება, გამოთქმული მეშუშე ფაბრიკანტის J. Geddes-ის მიერ, რომელიც საგამომძიებლო კომისიის წევრს White-ს ასე ასწავლიდა: „რამდენადაც მე გამეგება, მეტი განათლება, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში მუშათა კლასის ერთი ნაწილი იღებს, ბოროტებას, წარმოადგენს. იგი სახიფათოა, ვინაიდან მუშას მეტისმეტად დამოუკიდებელს ხდის" (Children's Employment Commission. 4th Report. London 1865", p. 253).

კომბინიურ სამუშაო პერსონალისადმი უამრავი ბავშვისა და ქალების რიცხვის მიმატებით მანქანა წელში სტეხს იმ წინააღმდეგობას, რომელსაც მუშა-მამაკაცი უწევდა კაპიტალის მტარვალობას მანუფაქტურულ ხანაში *.

კ. მარქსი, „კაპიტალი", I, 349—352.

### ე) ბურჟუაზიული სკოლები ვერ აძლევენ ბავშვებს სათანადო განათლებას

...შოტლანდიელ ფაბრიკანტებს, როგორც ჩანს, მოწონებულ წესად აქვთ შემოღებული — თავისი ახალგაზრდა მუშებისათვის მიიღონ მოწმობები სკოლებიდან, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნით არიან შექმნილი, მაგრამ რომლებშიც სრულებით არ დადიან ბავშვები და თუ დადიან მაინც ვერ ღებულობენ რაიმე განათლებას.

კ. მარქსი, „ბრიტანეთის სფაბ. მრეწველობის მდგომარეობა".
М. Э. Соч. XI, ნაწ. II, 87

---

* „ერთმა ფაბრიკანტმა, ბ-მა E.-მ გადმომცა, რომ იგი მექანიკურ საქსოვ დაზგებთან მხოლოდ და მხოლოდ ქალებს ამუშავებს; უპირატესობას ვაძლევ გათხოვილ ქალებს, განსაკუთრებით ოჯახის პატრონებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ოჯახის არსებობაო; იმათ მეტი გულისყური და მორჩილება აქვთ, ვიდრე გაუთხოვრებს, და იძულებულნი არიან თავიანთი ძალ-ღონე უაღრესად დასძაბონ, რათა აუცილებელი საარსებო სახსარი მოიპოვონო. ამნაირად, სათნოება. ქალთა ხასიათის სპეციფიკური სათნოება, მათ საზარალოდ იქცევა, მათი ბუნების ზნეობრივობა და სისათუთე მათი დამონავების საშუალებად, მათი ტანჯვის წყაროდ ხდება" („Ten Hours, Factory Bill. The Speech of Lord Ashley, 15th March. London 1844", p. 20).

## 4. მასწავლებელი—გლეხობის სულიერი ბელადი, აღმზრდელი და იდეოლოგი

საფრანგეთის მთავრობის ღონისძიებანი და კანონები 1850 წ. იანვარ-თებერვლისა მიმართულია თითქმის მხოლოდ დეპარტამენტებისა და გლეხების* წინააღმდეგ.

კანონი სკოლის მასწავლებელთა წინააღმდეგ*, რომელიც მათ, როგორც გლეხთა კლასის სულიერ ბელადებს, აღმზრდელებს და იდეოლოგებს, აყენებდა პრეფექტის თვითნებობის მორჩილებაში, მაშინ როცა ეს პრეფექტი მათ, სწავლული კლასის პროლეტარებს, ერეკებოდა, როგორც მისეულ ნადირს, ერთი სოფლიდან მეორეში... კანონი სახალხო განათლების შესახებ*, რომლითაც წესრიგის პარტიამ საფრანგეთის უვიცობა და იძულებითი დაბნელება გამოაცხადა თავისი არსებობის აუცილებელ პირობად, საყოველთაო საარჩევნო უფლების დროს,—რას წარმოადგენდა ყველა ეს კანონი და ღონისძიებანი? წესრიგის პარტიის განწირულ ცდებს, კვლავ დაემორჩილებინა დეპარტამენტები და დეპარტამენტების გლეხობა.

კ. მარქსი, „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში“, М. Э., Соч. VIII, 77—78.

---

* ხაზი ავტორისაა. რედ

V

# დიდაქტიკის ზოგიერთი საკითხი

# დიალექტიკის ზოგიერთი საკითხი

## 1. გადმოცემისა და კვლევა-ძიების წესები

რასაკვირველია, გადმოცების წესი ფორმალურად უნდა განსხვავდებოდეს კვლევა-ძიების წესისაგან. კვლევა-ძიება უნდა ჩასწვდეს მასალას დეტალურად, გაუკეთოს ანალიზი მისი განვითარების სხვადასხვა ფორმას და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი. მხოლოდ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ შეიძლება სათანადო წესით გადმოცემულ იქნეს ნამდვილი მოძრაობა. როდესაც ეს მიღწეულია და მასალის ცხოვრებამ მიიღო თავისი იდეალური ასახულება, მაშინ ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ჩვენ აპრიორულ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე.

ჩემი დიალექტიკური მეთოდი არა მარტო ძირითადად განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ შეადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი აქცევს, დემიურგია (შემოქმედია) სინამდვილისა, რომელიც მხოლოდ მის გარეგან გამოაშკარავებას წარმოადგენს. ჩემთვის კი, პირიქით, იდეალური სხვა არა არის რა, თუ არა მატერიალური, მხოლოდ ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული...

კ. მარქსი, „კაპიტალი", I, გვ. LXIII

## 2. ინდუქცია და დედუქცია

ვერავითარი ინდუქცია ვერ გვიშველიდა ამ ქვეყანაზე გაგვერკვია ინდუქციის პროცესი. ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ ამ პროცესის ანალიზს. ინდუქცია და დედუქცია ისევე აუცილებლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც სინთეზი და ანალიზი. იმის მაგივრად, რომ ერთი მათგანი ცამდის ავიყვანოთ მეორის ანგარიშზე, უკეთესია ვეცადოთ თითოეული მათგანი თავის ალაგას გამოვიყენოთ, და ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ მხედველობაში გვექნება მათი ერთმანეთთან კავშირი, მათი ურთიერთდამატება.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ი ს. „ბუნების დიალექტიკა“, 40, 1930.

## 3. თეორიის შეთვისება მექანიკურად არ შეიძლება

ჩვენი თეორია არის თეორია განვითარებისა და არა დოგმა, რომელსაც უნდა იზეპირებდე და მექანიკურად იმეორებდე. რამდენადაც უფრო ნაკლებად ჩაუტენიან მას თავში ამერიკელებს გარედან და რამდენადაც გერმანელების დახმარებით უფრო მეტად გასინჯავენ ისინი ამ თეორიას თავის გამოცდილებაზე, იმდენად უფრო ღრმად შეიჭრება იგი მათ ხორცსა და სისხლში.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, წერილი ფ. კელი-ვიშნევეცკაიასთან,
М. Э. Соч., XXVII, 614

ადამიანმა პრაქტიკაში უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ჭეშმარიტება, ე. ი. სინამდვილე და ძალა, მისი გამოღმურობა. კამათი პრაქტიკიდან გამოთიშული აზროვნების რეალობის და არარეალობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია...

კ. მ ა რ ქ ს ი, თეზისები ფეიერბახის შესახებ, „რჩ. ნაწ“., 422.

## 4. ისტორიის სწავლების საძაგელი მეთოდი

...*კაუცკის* მიმართ შენ სწორად აღნიშნე ძირითადი ნაკლი. მისი ყმაწვილური მიდრეკილება ნაჩქარევი დასკვნებისაკენ კიდევ უფრო მეტად გაამაგრა უნივერსიტეტებში — განსაკუთრებით ავსტრიის უნივერსიტეტებში — ისტორიის სწავლების საძაგელმა მეთოდმა. იქ სისტემატურად აჩვევენ სტუდენტებს წერონ საისტორიო შრომები ისეთ მასალაზე, რომლის შესახებაც მათ წინასწარ იციან, რომ ის არ არის საკმარისი, მაგრამ რომელიც მათ უნდა *განიხილონ როგორც საკმარისი**, მაშასადამე, უნდა წერონ ისეთი რამეები, რომლებიც მათ არ შეუძლიათ არ ჩათვალონ არასწორად, მაგრამ ვალდებული კი არიან სწორად ჩათვალონ ისინი. ყოველივე ამას კაუცკი აკეთებდა განსაკუთრებული სიმარდით. თუმცა ლიტერატორის ცხოვრება მოითხოვს—წეროს ჰონორარისათვის და ბევრიც. ამგვარად, მას არ ჰქონია მცირედი წარმოდგენაც კი, თუ რას ნიშნავს ნამდვილად მეცნიერული მუშაობა. მან რამდენჯერმე საფუძვლიანად დაიწვა ხელი მოსახლეობის ისტორიაზე და შემდეგ სტატიებში პირველყოფილ ქორწინებაზე. მე მაშინ ის სავსებით მეგობრული ტონით დავტუქსე, როგორც საჭირო იყო. ამ მხრივ მე მას არ ვინდობ და ულმობლად ვაკრიტიკებ ამ* თვალსაზრისით ყოველივე იმას, რასაც კი ის წერს. საბედნიეროდ, მე შემიძლია ის ვანუგეშო იმით, რომ საყმაწვილის წლებში მეც სწორედ ასევე ვიქცეოდი და მხოლოდ მარქსისგან ვისწავლე, როგორ უნდა მუშაობა. ჩემ კრიტიკას უკვე მოაქვს კაუცკისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობა.

*ფრ. ენგელსი*, წერილი ა. ბებელთან, 1885 წ. 24 ივლისს
М. Э. Соч. XXVII, 481—482.

## 5. თეორიის მნიშვნელობა პროგრამისათვის

ჩვენ პარტიას *აბსოლუტურად არაფერი აქვს სასწავლი** ლასალიანებისაგან *თეორიული* მიმართულებით, ე. ი. იმ მიმართულებით, *რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოგრამისათვის*.

*ფრ. ენგელსი*, წერილი ავგუსტ ბებელთან, 1875წ. 18(—28) მარტს,
М. Э. Соч. XXVI, 383.

---

* ხაზი ავტორისაა. *რ ე დ.*

VI

# პედაგოგიკის ისტორიიდან

# პედაგოგიკის ისტორიიდან

## 1. სპარტანული და ათინური აღზრდა

...საბერძნეთის სხვა სახელმწიფოთაგან სპარტა იყო par excellence (უფრო მეტად) სამხედრო სახელმწიფო. უკეთუ ათინელთა საერთო ფიზიკური აღზრდა ავითარებდა სიმარდეს ფიზიკურ ძალასთან ერთად, სამაგიეროდ სპარტანელები თავის ყურადღებას უმთავრესად აპყრობდნენ ძალას, ამტანობას და გამბედაობას. ისინი უფრო მეტად აფასებდნენ რიგებში უდრეკად დგომას და სამხედრო სინდისის გრძნობას, ვიდრე საზრისიანობას. ათინელი იზრდებოდა ისე, თითქოს მას ბრძოლა მოუხდებოდა მჩატედ შეიარაღებულ ჯართა შორის, თუნდაც მტკიცედ განსაზღვრულ ალაგას, მაგრამ საესებით ვარგისი იყო იგი მძიმე ფალანგაშიც. სპარტანელი კი, წინააღმდეგ, იზრდებოდა მხოლოდ ფალანგაში სამსახურისათვის. აქედან ცხადია, რომ სანამ ფალანგა წყვეტდა ბრძოლის შედეგს, სპარტანელი იმარჯვებდა საბოლოო ანგარიშში.

ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, სტატიები „ახალი ამერიკული ენციკლოპედიიდან“. М. Э. Соч. XI, ნაწ. II, 373—374.

## 2. შუასაუკუნეთა სამღვდელოების მონოპოლია განათლებაზე

შუა საუკუნეები სრულიად პირველყოფილი მდგომარეობიდან განვითარდა. ძველი ცივილიზაცია, ძველი ფილოსოფია, პოლიტიკა და იურისპრუდენცია სავსებით მოისრნა, რათა ყოველივე ხელახლა დაწყებულიყო. ერთადერთი, რაც შუა საუკუნეებმა ჩაშთაგებული ძველი ქვეყნიდან ისესხა, იყო ქრისტიანობა და რამდენიმე ნახევრად დანგრეული, ცივილიზაციისაგან გაძარცული ქალაქი. ამის შედეგი იყო ის, რომ—როგორც ყოველ პირველყოფილ განვითარების საფეხურს შეეფერება—გონებრივი განათლების მონოპოლია ხუცებმა ჩაიგდეს ხელში და ამიტომ განათლებამ უაღრესად თეოლოგიური ხასიათი მიიღო. ხუცების ხელში პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ღვთისმეტყველების შტოდ იქცა და იმავე პრინციპებს დაექვემდებარა, რომლებიც ამ უკანასკნელში ბატონობდა. ეკლესიის დოგმები იმავე დროს პოლიტიკური აქსიომებიც იყო და ბიბლიის ტექსტებს ყოველ სასამართლოში კანონის ძალა ჰქონდა. თვით მას შემდეგ, რაც იურისტების სპეციალური წოდება წარმოიშვა, იურისპრუდენცია დიდხანს ღვთისმეტყველების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა და ღვთისმეტყველების ეს უზენაესი ბრძანებლობა გონებრივი მოქმედების მთელ ასპარეზზე აუცილებელი შედეგი იყო ეკლესიის მდგომარეობისა, როგორც არსებული ფეოდალური წესწყობილების საერთო განზოგადოებისა და სანქციისა.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, 45—46.

## კაპიტალიზმის დაწყებიდან სამღვდელოების მონოპოლიის მოსპობა განათლებაზე

არა ნაკლებ განიცდიდა ისტორიული ცვალებადობის გავლენას შუა საუკუნეების ფეოდალიზმის იდეოლოგიის წარმომადგენელი ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ე ბ ა *. წიგნის ბეჭდვისა და გაფართოებული ალებ-მიცემობის მოთხოვნილებათა წყალობით მას წაერთვა არა მარტო წერა-კითხვის, არამედ უმაღლესი განათლების მონოპოლიაც. შრომის დანაწილება ინტელექტუალურ დარგშიც მოხდა. იურისტების ახლად აღმოცენებულმა წოდებამ იგი გამოაძევა გავლენიან თანამდებობათა ძთელი რიგიდან. იგიც ზედმეტი ხდებოდა უმეტეს ნაწილად და ამას თვით ადასტურებდა თანდათან უფრო მეტი და მეტი სიზარმაცითა და უმეცრებით. მაგრამ რაც უფრო ზედმეტი ხდებოდა იგი, მით უფრო მატულობდა მისი რიცხვი უზარმაზარი სიმდიდრის შემწეობით, რომელსაც იგი განუწყვეტლივ უმატებდა ყოველგვარი ღონისძიებით.

ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, იქვე. 31.

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

## 3. ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ის, თუ რამდენად უპასუხებდა ფრანგული განათლების მოთხოვნილებებს ლ ო კ ი ს ნაწარმოებთა გამოსვლა. ლოკმა დაასაბუთა bon sens-ის, ჯანსაღი აზრის ფილოსოფია, ე. ი. არაპირდაპირი სახით აღნიშნა, რომ შეუძლებელია ფილოსოფია, განსხვავებული გონებისაგან, რომელიც ეყრდნობა ჯანსაღ ადამიანურ გრძნობათა ჩვენებებს.

ლოკის უ შ უ ა ლ ო * მოწაფემ და მისმა ფ რ ა ნ გ უ ლ მ ა * განმმარტებელმა კონდილიაკმა სასწრაფოდ მიმართა ლოკის სენსუალიზმი XVII საუკუნის მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ი ს * წინააღმდეგ. მან დაამტკიცა, რომ ფრანგებმა სრული უფლებით უარყვეს ეს მეტაფიზიკა, როგორც წარმოსახვისა და თეოლოგიურ ცრურწმენათა უბრალო და უხეირო ნაყოფი. მან გამოაქვეყნა შრომა, რომელშიც უარყოფდა დ ე კ ა რ ტ ე ს, ს პ ი ნ ო ზ ა ს, ლ ე ი ბ ნ ი ც ი ს და მ ა ლ ბ რ ა ნ შ ი ს სისტემებს.

ის თავის ნაწარმოებში Essai sur l'origine des connaissances humains „ანვითარებდა ლოკის თვალსაზრისს, ამტკიცებდა რა, რომ არა მარტო სული, არამედ გრძნობები, არა მარტო იდეათა შექმნის ხელოვნება, არამედ გრძნობადი აღქმის ხელოვნებაც შეადგენენ გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს ა და ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი ს * საქმეს. ამის გამო ადამიანის მთელი განვითარება დამოკიდებულია ა ღ ზ რ დ ა ს ა და გ ა რ ე შ ე გ ა რ ე მ ო ე ბ ა თ ა გ ა ნ *. მხოლოდ ე კ ლ ე ქ ტ ი კ უ რ მ ა * ფილოსოფიამ განდევნა კონდილიაკი ფრანგული სკოლებიდან.

განსხვავება ფ რ ა ნ გ უ ლ და ი ნ გ ლ ი ს უ რ * მატერიალიზმს შორის შეეფერება განსხვავებას ამ ერებს შორის. ფრანგებმა მისცეს ინგლისურ მატერიალიზმს გონებამახვილობა და მჭევრმეტყველება, შეასხეს ხორცი და ჩაუყენეს სისხლი. მათ მისცეს ამ მატერიალიზმს ტემპერამენტი და გრაცია, რაც ჯერ კიდევ აკლდათ. მათ მოახდინეს მისი გ ა ც ი ვ ი ლ ი ზ ე ბ ა *.

ჰელვეციუსთან, რომელიც აგრეთვე ლოკიდან გამოდის, მატერიალიზმი ღებულობს ნამდვილ ფრანგულ ხასიათს. ის უშუალოდ უფარდდება საზოგადოებრივ ცხოვრებას (Helvetius, „De l'omme“). გრძნობადი შთაბეჭდილებანი, თავმოთნეობა, განცხრომა და სწორედ გაგებული პირადი ინტერესი შეადგენენ მორალის საფუძველს. ადამიანის სულიერ ნიჭიერებათა ბუნებრივი თანასწორობა, გონების წარმატებათა ერთიანობა ინდუსტრიის წარმატებებთან, ადამიანის ბუნებრივი გულკეთილობა, აღზრდის ყოვლადშემძლეობა, — აი მისი სისტემის მთავარი მომენტები...

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

დიდი გონებამახვილობა არ არის საჭირო იმისათვის, რომ შეამჩნიო კავშირი, ერთი მხრით, მატერიალიზმის მოძღვრებასა — სიკეთისაკენ თანშობილი მიდრეკილების, ადამიანთა გონებრივი ნიჭის თანასწორობის, გამოცდილების, ჩვეულების, აღზრდის ყოვლადშემძლეობის, ადამიანზე გარეშე გარემოებათა გავლენის, ინდუსტრიის მაღალი მნიშვნელობის, განცხრომაზე ზნეობრივი უფლების და სხვ. შესახებ - და, მეორე მხრით, კომუნიზმსა და სოციალიზმს შორის. უკეთუ ადამიანი მთელ თავის ცოდნას, შეგრძნობებს და სხვ. იღებს გრძნობად სამყაროსა და გამოცდილებისაგან, რომელიც ამ სამყაროდან წარმოიშობა, მაშინ საჭიროა ისე იქნას მოწყობილი ჩვენს ირგვლივ არსებული სამყარო, რომ ადამიანმა მასში შეიცნოს ნამდვილ—ადამიანური, რომ იგი შეეჩვიოს აღზარდოს მასში თავისი ადამიანური თვისებები. უკეთუ სწორად გაგებული ინტერესი შეადგენს ყოველი მორალის პრინციპს, მაშინ საჭიროა მივილტვოდეთ იმისაკენ, რომ ცალკე ადამიანის კერძო ინტერესი ემთხვეოდეს საერთო საკაცობრიო ინტერესებს. უკეთუ ადამიანი არ არის თავისუფალი მატერიალისტური თვალსაზრისით, ე. ი. უკეთუ ის თავისუფალია არა ამა თუ იმისაგან მორიდების უარყოფითი ძალის შედეგად, არამედ თავისი ნამდვილი ინდივიდუალობის გამოვლინების დადებითი ძალის შედეგად, მაშინ საჭიროა დანაშაულისათვის არა დასჯა ცალკე პირებისა, არამედ მოსპობა დანაშაულის ანტისოციალური წყაროებისა და მიცემა თითოეულისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი ასპარეზისა, მისი არსებითი სასიცოცხლო ძალების გამოვლენისათვის. უკეთუ ადამიანის ხასიათი იქმნება გარემოებათა მიერ, მაშინ საჭიროა გარემოებანი გავხადოთ ადამიანური. უკეთუ ადამიანი თავისი ბუნებით საზოგადოებრივი არსია, მაშინ მას მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განავითაროს თავისი ნამდვილი ბუნება, და მისი ბუნების ძალის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ არა ცალკე პირების, არამედ მთელი საზოგადოების მიხედვით.

ეს და ამის მსგავსი დებულებები თქვენ შეგიძლიათ თითქმის სიტყვასიტყვით ნახოთ ყველაზე უფრო ძველ ფრანგ მატერიალისტებთანაც კი. აქ უადგილოა მათ შეფასებას შევუდგეთ. მატერიალიზმის სოციალისტური ტენდენციების საბუთად შეიძლება გამოდგეს „მანკიერებათა დაცვა" მანდევილისა, რომელიც არის ლოკის ერთ-ერთი ადრინდელი ინგლისელი მოწაფეთაგანი. ის ამტკიცებს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მანკიერებანი აუცილებელი და სასარგებლონი* არიან. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე საზოგადოების დაცვად...

ჰელვეციის თანახმად აღზრდა (რომელშიც ის გულისხმობს არა მარტო აღზრდას ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ ინდივიდუმის ცხოვრების ყველა პირობის ერთობლიობასაც) ქმნის ადამიანს; უკეთუ, ერთი მხრით საჭიროა ისეთი რეფორმა, რომელიც აუქმებს წინააღმდეგობას ცალკე ადამიანის ინტერესსა და მთელი საზოგადოების ინტერესებს შორის, მაშინ,

---

* ხაზი ავტორისაა. რე დ.

მეორე მხრით, ასეთი რეფორმის გატარებისათვის საჭიროა შეგნების ძირფესვიანად შეცვლა: „დიდი რეფორმები შეიძლება განხორციელდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც შესუსტებულია ხალხთა ბლაგვი პატივისცემა ძველი კანონებისა და ჩვეულებებისადმი" (De L'esprit p. 260, l. c.), ანდა, როგორც იგივე წერს მეორე ალაგას, როდესაც მოისპობა უვიცობა.

კ. მარქსი, „წმინდა ოჯახი", М. Э. Соч. III, 158—162.

### 4. ბონაპარტის კანონი სწავლა-განათლების შესახებ

მე აქ არ აღვწერ მისი საკანონმდებლო საქმიანობის ისტორიას: ის საქმიანობა ამ პერიოდში მოკლედ ორი კანონით გამოისახება: კანონით, რომლითაც *ღვინის ხარჯი* იქნა აღდგენილი, და *სწავლა-განათლების შესახები კანონით* *, რომელმაც ურწმუნოება გააუქმა. თუ ფრანგს ღვინის სმა გაუძნელეს, სამაგიეროდ უხვად მიართვეს წყალწყალა რჩევა-დარიგებები კეთილი ცხოვრების შესახებ. თუ ბურჟუაზიამ ღვინის შესახები კანონით საფრანგეთის ძველი საძულველი სახარკო სისტემა ხელშეუხებლად გამოაცხადა, *სწავლა-განათლების შესახები კანონის საშუალებით* ის *შეეცადა მასების ძველი სულიერი განწყობილება შეენარჩუნებინა*, რაც ამ სისტემას მათთვის ასატანად გახდიდა...

გლეხებმა, ყველაფერში იმედგაცრუებულებმა, წელში გაწყვეტილებმა, ისე როგორც არასოდეს, ერთის მხრით, ხორბლის დაბალი ფასებით, ხოლო მეორეს მხრით, მზარდი სახარკო ტვირთით და საჰიპოტეკო ვალებით, ზოგიერთ დეპარტამენტში ამოძრავება დაიწყეს. მათ უპასუხეს *მასწავლებლის დევნით*, რომელიც სასულიერო პირთ დაუმორჩილეს...

კ. მარქსი, „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა", 63—64.

---

* ხაზი ავტორისაა. რ ე დ.

## 5. აღზრდა-განათლება ავსტრიაში (XIX ს. ორმოციან წლებში)

აღზრდა იყო ყველგან სასულიერო წოდების ხელში, რომლის მეთაურებიც, მსხვილ მიწისმფლობელ ფეოდალთა მსგავსად, ღრმად იყვნენ დაინტერესებული არსებული წესწყობილების შენახვაში: უნივერსიტეტები ისე იყო მოწყობილი, რომ გამოეშვათ მხოლოდ სპეციალისტები, ხეირიანი თუ უხეირო თავის დარგში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოკლებულნი ზოგად თავისუფალ განათლებას, რომელსაც ჩვეულებრივად ელიან სხვა უნივერსიტეტებიდან.

კ. მარქსი, „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში"
М. Э. Соч., VI, 40.

## 6. საფაბრიკო სისტემიდან აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა

საფაბრიკო სისტემიდან, როგორც ეს დაწვრილებით შეგიძლიათ გაიცნოთ რობერტ ოუენის წიგნებში, აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა, რომელიც განსაზღვრულ ასაკს ზევით ყველა ბავშვისთვის პროდუქტიულ შრომას დაუკავშირებს სწავლებას და ტანვარჯიშობას, და ეს იქნება არა მარტო მეთოდი საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ ერთადერთი მეთოდიც ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შესაქმნელად.

კ. მარქსი, „კაპიტალი", I, 431—432.

## 7. რობერტ ოუენის საბავშვო ბაღი

ოუენმა ...ადამიანები ღირსეულ ადამიანურ პირობებში ჩააყენა და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა, რომ ნორჩი თაობა კარგად აღზრდილიყო. მან მოიგონა და პირველად აქ (ნიუ-ლენარკში. რ ე დ.) შემოიღო საბავშვო ბაღები. აქ ორი წლის ბავშვები მოდიოდნენ და ისე კარგად ერთობოდნენ, რომ ძნელი ხდებოდა მათი შინ წაყვანა.

ფრ. ენგელსი, ანტიდიურინგი, 220.

## 8. პარიზის კომუნის ღონისძიებანი განათლების შესახებ

ძველი მთავრობის მატერიალური ძალა-უფლების იარაღის—მუდმივი ჯარისა და პოლიციის—მოცილების შემდეგ, კომუნა დაუყოვნებლივ შეუდგა სულიერი დამონების იარაღის—„ხუცესთა ძალის"—დამსხვრევას სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის გზით და ყველა ეკლესიის ექსპროპრიაციით, რამდენადაც ისინი წარმოადგენდნენ ქონების მფლობელ კორპორაციებს. მღვდლები უნდა დაბრუნებოდნენ კერძო ადამიანთა უბრალო ცხოვრებას იმისათვის, რომ თავის წინამორბედ მოციქულთა მსგავსად მორწმუნეთა მოწყალებით ესაზრდოვათ. ყველა სასწავლებელი უფასო შეიქმნა ყველასათვის და განთავისუფლებულ იქნა ეკლესიისა და სახელმწიფოს გავლენისაგან. ამგვარად, არა მარტო სასკოლო განათლება შეიქმნა ყველასათვის ხელმისაწვდომი, არამედ მეცნიერებასაც მოეხსნა ის ბორკილები, რომლებიც მას ჰქონდა გაკეთებული კლასობრივი ცრუაზრობით და მთავრობის ძალა-უფლებით.

კ. მარქსი, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში", М. Э., Соч., XIII, ნაწ. II, 313.

მეორე დღეს გამოიცა დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისა და რელიგიური მიზნით სახელმწიფო ხარჯების გაუქმების შესახებ და აგრეთვე ყველა საეკლესიო ქონების ნაციონალიზაციის შესახებ. 8 აპრილს, ამასთან შესაფერისად, გაცემულ იქნა განკარგულება, რომელიც თანდათან კიდეც ტარდებოდა ცხოვრებაში—სკოლიდან რელიგიური სიმბოლოების, ხატების, დოგმატების, ლოცვების, ერთი სიტყვით, ყოველივე იმის აღკვეთისათვის, „რაც ცალკე პირთა სინდისს შეეხება".

ფრ. ენგელსი, შესავალი მარქსის წიგნისა: „სამოქ. ომი საფრანგეთში" М. Э. Соч. XVI, ნაწ. II, 88.

კომუნა გაათავისუფლებდა გლეხს... სოფლის პოლიციის, ჟანდარმისა და პრეფექტის თვითნებობისაგან; მის გამომტვინებელ მღვდელს ის შესცვლიდა მისი განმანათლებელი სკოლის მასწავლებლით.

კ. მარქსი, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში" М. Э. Соч., XIII, ნაწ. II, 319.

# დამატება

ვ. ლიბკნეხტი:

1. მარქსი, როგორც რევოლუციონერთა მასწავლებელი და აღმზრდელი
2. მარქსი და ბავშვები

ვ. ლიბკნეხტი

## 1. მარქსი, როგორც რევოლუციონერთა მასწავლებელი და აღმზრდელი

„მავრი" (მარქსი), რომელიც ჩვენზე მხოლოდ 5-6 წლით იყო უფროსი, ჩვენს, „ახალგაზრდების", მიმართ გრძნობდა მომწიფებული ასაკის ყველა უპირატესობას და სარგებლობდა ყოველი შემთხვევით, რომ კბილი გაესინჯა ჩვენთვის, განსაკუთრებით ჩემთვის; მისი უდიდესი ნაკითხობისა და საარაკო მეხსიერების წინაშე ბევრი ჩვენგანი სახტად რჩებოდა. როგორ უხაროდა მას ყოველთვის, როდესაც რომელიმე „პატარა სტუდენტს" რაიმე ახირებულ კითხვას მისცემდა და იქვე, მის მაგალითზე in corpore vili—ამტკიცებდა ჩვენი უნივერსიტეტების და აკადემიური განათლების მთელ არარაობას.

მაგრამ ის აგრეთვე გ ვ ზ რ დ ი დ ა, გვზრდიდა გეგმაშეწონილად. მე შემიძლია მასზე ვთქვა ორნაირად, უფრო ვიწრო აზრით და უფრო ფართო აზრით: ი ს ი ყ ო ჩ ე მ ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. მას უნდა დავმორჩილებოდით ყველა სფეროში. მე აღარ ელაპარაკობ პოლიტიკურ ეკონომიაზე. პაპის სასახლეში პაპზე არ ლაპარაკობენ. მისი ლექციების შესახებ პოლიტიკურ ეკონომიაზე კომუნისტურ კავშირში მე ქვევით ვიტყვი. ძველი და ახალი ენები მან შესანიშნავად იცოდა. მე ფილოლოგი ვიყავი, და მას უხაროდა, როგორც ბავშვს, როდესაც შემთხვევა მიეცემოდა—ეჩვენებინა ჩემთვის რომელიმე ძნელი ადგილი არისტოტელედან ან ესქილედან, რომელშიაც მე უცებ ვერ გავერკვეოდი. როგორ გამლანძღა ერთხელ იმისათვის, რომ მე ე ს პ ა ნ უ რ ი არ ვიცოდი! მყისვე ამოიღო გროვა წიგნებიდან „დონ-კიხოტი" და იქვე მომცა გაკვეთილი. დიცის რომანული ენების შედარებითი გრამატიკიდან მე უკვე ვიცოდი გრამატიკისა და სიტყვების სტრუქტურის საფუძვლები, და საქმე კარგად წავიდა „მავრის" საუცხოო ხელმძღვანელობით და მისი მზრუნველობითი დახმარებით იმ შემთხვევაში, როდესაც მე შევჩერდებოდი ან წავიბორძიკებდი. და როგორი მომთმენი იყო სწავლებაში ეს ადამიანი, ჩვეულებრივ ასე მღელვარედ-მოუთმენელი! მხოლოდ ვილაც სტუმარმა მოუღო ბოლო ჩვენს გაკვეთილს. ყოველდღე ამოწმებდა მარქსი ჩემს ცოდნას; უნდა მეთარგმნა რამე „დონ-კიხოტიდან" ან რომელიმე სხვა ესპანური წიგნიდან, სანამ ჩემი ცოდნა მას საკმაოდ არ ეჩვენა.

მარქსი შესანიშნავი ფილოლოგი იყო—მართალია, უფრო ახალი, ვიდრე ძველი ენების დარგში. გრიმის გერმანულ გრამატიკას ის დაწვრილებით იცნობდა, ხოლო ძმ. გრიმების გერმანულ ლექსიკონში, რამდენადაც ეს უკანასკნელი მზად იყო, უფრო ერკვეოდა, ვიდრე მე, ფილოლოგი. ინგლისურად და

ფრანგულად ის წერდა ისე, როგორც ინგლისელი და ფრანგი, თუმცა გამოთქმის მხრით საქმე ცოტა უფრო უარეს მდგომარეობაში იყო. მისი წერილები „ნიუ-იორკის ტრიბუნისათვის" დაწერილია კლასიკურ ინგლისურ ენაზე, მისი „ფილოსოფიის სიღატაკე", პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფიის" წინააღმდეგ მიმართული,—კლასიკურ ფრანგულზე; მისმა ერთმა ფრანგმა მეგობართაგანმა, რომელსაც დაბეჭდვამდე მან ხელნაწერი მისცა გადასათვალიერებლად, შიგ სულ მცირე შესწორებანი შეიტანა.

რადგან მარქსი ენის არსებას იცნობდა და მუშაობდა მის წარმოშობასა, განვითარებასა და სტრუქტურაზე, ენების შესწავლა მისთვის არ იყო ძნელი. ლონდონში ის სწავლობდა კიდევ რუსულს, ხოლო ყირიმის ომის დროს განზრახვა ჰქონდა შეესწავლა აგრეთვე არაბულიც და თურქულიც, რაც არ განხორციელდა. ყველა იმათ მსგავსად, ვისაც სურს მართლაც დაეუფლოს ენას, იგი მთავარ მნიშვნელობას კითხვას აკუთვნებდა. ვისაც კარგი მეხსიერება აქვს,—მარქსს კი იშვიათი მეხსიერება ჰქონდა, რომელიც არასოდეს არაფერს არ გაუშვებდა,—ის ბევრი კითხვით ჩქარა ითვისებს ამა თუ იმ ენის სიტყვების მარაგსა და გამოთქმებს. ამის შემდეგ პრაქტიკულად ენის დაუფლება უკვე ძნელი არაა.

1850 და 1851 წწ. მარქსმა წაიკითხა კურსი ლექციებისა პოლიტიკურ ეკონომიაზე. მას ეს დიდი სიამოვნებით არ უკისრია; მაგრამ მას შემდეგ, რაც მეგობართა ვიწრო წრეში რამდენიმე კერძო ლექცია წაიკითხა, იგი დათანხმდა, დაბოლოს, გამოსულიყო უფრო დიდი აუდიტორიის წინაშე. ამ ლექციებში, რომლებმაც უდიდესი სიამოვნება აგრძნობინა ყველას, ვისაც ბედნიერება ჰქონდა მოესმინა ისინი, მარქსმა ძირითად ხაზებში უკვე სავსებით განავითარა თავისი სისტემა, როგორც იგი „კაპიტალშია" მოცემული. კომუნისტთა კავშირის, ანუ „მუშათა განათლების კომუნისტური კავშირის" სავსე დარბაზში, რომელიც იმ დროს—ჯერ კიდევ უინდმილსტრიტზე იყო მოთავსებული,—იმავე დარბაზში, სადაც წელიწადნახევრის წინ მიღებულ იქნა „კომუნისტური მანიფესტი",—მარქსმა გამოიჩინა პოპულარიზატორის საოცარი ტალანტი. არავის მასზე მეტად არ ძაგდა მეცნიერების ვულგარიზაცია, ე. ი. მისი გაყალბება და გაუხეშება, მაგრამ არავის არ ჰქონდა მასზე მეტი ნათლად გამოთქმის უნარი. ნათელი ენა ნათელი აზროვნების შედეგია, ნათელი აზრი კი აუცილებელი პირობაა ნათელი ფორმისა.

მარქსის სწავლებას მეთოდური ხასიათი ჰქონდა. ის იტყოდა წინადადებას რაც შეიძლება მოკლედ, და შემდეგ განმარტავდა მას უფრო ვრცლად, ამასთანავე უკიდურესი მზრუნველობით ცდილობდა გვერდი აეხვია მუშებისათვის ყველა გაუგებარი გამოთქმისათვის. შემდეგ იგი მიმართავდა მსმენელებს წინადადებით—შეკითხვები მიეცათ მისთვის. თუ შეკითხვები არ იყო, ის იწყებდა გამოცდას და აწარმოებდა მას ისეთი პედაგოგიური დახელოვნებით, რომ არ გამოეპარებოდა არცერთი ნაკლი, არცერთი გაუგებრობა. როდესაც მე ერთხელ გაკვირვება გამოვთქვი ამ დახელოვნების შესახებ, გავიგე, მარქსი ბრიუსელის მუშათა კავშირშიც კითხულობდა ლექციებს პოლიტიკურ ეკონომიაზეო. ყოველ შემთხვევაში, მას ჰქონდა ყველა თვისება საუკეთესო მასწავლებლისა. მეცადინეობის დროს იგი მიმართავდა აგრეთვე შავ დაფას, რომელზედაც წერ-

და ფორმულებს, სხვათა შორის, ყეელა ჩვენთვის ცნობილ ფორმულას „კაპიტალის“ დასაწყისიდან.

ფრიად დასანანია, რომ მისი ლექციები გაგრძელდა მხოლოდ ნახევარი წელიწადი, კიდევ ნაკლები. კომუნისტურ კავშირში შეიჭრნენ ისეთი ელემენტები, რომლებიც მარქსს არ მოსწონდა. მას შემდეგ, რაც ემიგრაციის ტალღამ დაიწია, კავშირი შეიკვეცა და რამდენიმედ სექტანტური ხასიათი მიიღო,—ძველმა ვეიტლინგელებმა და კაბეტისტებმა ისევ აიშვეს თავი, და მარქსი, რომელსაც მოქმედების ასე ვიწრო წრე არ აკმაყოფილებდა და უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა საკეთებელი, ვიდრე ძველი ნაგავის გახვეტა, დაშორდა კომუნისტთა კავშირს...

მარქსის პურიზმი—ენის სიწმინდის დაცვა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ)—ზოგჯერ პედანტიზმამდის მიდიოდა. ჩემი ზემო-ჰესენური დიალექტი, რომელიც არ მომშორდა, თუ რომელსაც ვერ მოეშორდი, მე უთვალავი საყვედური დამიჯდა. თუ მე ამ წვრილმანს შევეხე, მხოლოდ იმისათვის, რომ ის გვიჩვენებს, რომ მარქსი ჩვენ—„ახალგაზრდების“—მიმართ თავს მასწავლებლად გრძნობდა.

ეს, რასაკვირველია, მჟღავნდებოდა აგრეთვე სხვანაირადაც. იგი ბევრს თხოულობდა. როდესაც ამჩნევდა რაიმე ნაკლს ცოდნაში, დაჟინებით მოითხოვდა მის შევსებას, რისთვისაც ყველა საჭირო რჩევას იძლეოდა. თუ მასთან მარტოდ ვიყავით, იგი ნამდვილ გამოცდას აწყობდა; და ეს გამოცდები ხუმრობა არ იყო. მარქსის მოტყუება არ შეიძლებოდა. თუ ის ამჩნევდა, რომ ყოველი მისი ცდა უნაყოფოა, მაშინ მეგობრობასაც ბოლო ელებოდა. ჩვენ საპატიოდ მიგვაჩნდა, რომ ის „გვწვრთნიდა“. არასოდეს მე მისგან არ წამოვსულვარ ისე, რომ რამე არ მესწავლა...

იმ დროს თვით მუშათა კლასის შიგნით სოციალიზმის შეგნებამდე მივიდა მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა, ხოლო სოციალისტებს შორის სოციალისტები—მარქსის მეცნიერული აზრით, „კომუნისტური მანიფესტის“ აზრით—უმცირესობა იყო. მუშების ძირითადი მასა, რამდენადაც იგი საერთოდ გამოღვიძებული იყო პოლიტიკური ცხოვრებისათვის, გაეხვია სანტიმენტალურ-დემოკრატიული სურვილებისა და ფრაზების ბურუსში, რომლებიც ასე დამახასიათებელი იყო 1848 წლის მოძრაობისათვის მისი პროლოგითა და ეპილოგით. ბრბოს მოწონება, პოპულარობა მარქსისათვის დამამტკიცებელი იყო იმისა, რომ ადამიანი შემცდარ გზას დასდგომია, და მისი საყვარელი გამოთქმა იყო დანტეს ამაყი სიტყვები:

„Segui il tuo corso e lascia dir le genti“.

იარე შენი გზით, და დეე ადამიანებმა რაც უნდათ, თქვან!

როგორ ხშირად მოჰყავდა მას ეს ტაეპი, რომლითაც მთავრდება აგრეთვე მისი წინასიტყვაობა „კაპიტალისადმი!“ არავის შეუძლია გულგრილად შეხვდეს შემოკვრას, წაბიძგებას, კილოსა და ბალღინჯოს კბენას, მაგრამ რა ხშირად მომხდარა, რომ მარქსი, ვინც ყოველი მხრიდან თავდასხმას ხვდებოდა თავის სავალ გზაზე, ვისაც ღრღნიდა ზრუნვა საარსებო პურზე, ვასაც ვერ იგებდა მშრომელთა მასა, რომლის განმანთავისუფლებელი ბრძოლისათვის იგი იარაღს ჭედდა ღამის მყუდროებაში, და არა თუ ვერ იგებდა, არამედ ზოგჯერ უხეშად ხელსაც ჰკრავდა მას და მისდევდა მოლაყბეებს, თვალთმაქც მოღალა-

ტეებს და თვით აშკარა მტრებსაც კი,—რა ხშირად მომხდარა, რომ იგი თავისი ღარიბული, ჭეშმარიტად პროლეტარული კაბინეტის განმარტოებაში იმხნევებდა თავს დიდი ფლორენციელის სიტყვებით, რომლებშიც ახალ ძალას ჰპოვებდა!

მას გზა არ დაუკარგავს. წინააღმდეგ პრინცისა „ათასი და ერთი ღამიდან", რომელმაც დაკარგა გამარჯვება და გამარჯვების ჯილდო მხოლოდ იმის გამო, რომ შეეშინდა განგაშისა და ლანდებისა თავის გარშემო და იწყო მხდალად აქეთ-იქით ცქერა და უკან ხედვა,—მარქსი მიდიოდა წინ და თვალები მიპყრობილი ჰქონდა წინ, ბრწყინვალე მიზნისაკენ. იგი ადამიანებს ხელს არ უშლიდა ელაყბათ, და „დედამიწაც რომ ნანგრევებად ქცეულიყო", ესეც ვერ შეაჩერებდა მას სავალ გზაზე. გამარჯვება ხვდა მას წილად, მაგრამ, რასაკვირველია, არა გამარჯვების ჯილდო.

სანამ ულმობელი სიკვდილი მას ბოლოს მოუღებდა, იგი მოესწრო კიდევ იმას, რომ მის მიერ დათესილი მშვენივრად გაიზარდა და მომწიფდა მოსამკელად. დიახ, მ ა ნ გაიმარჯვა, გამარჯვების ჯილდო კი ჩ ვ ე ნ გვხდა.

მას სძაგდა პოპულარობა, ხოლო პოპულარობის გამოკიდება პირდაპირ გულისწყრომას იწვევდა მასში. ყბედთა მიმართ იგი სიძულვილს გრძნობდა, და ვაი იმას, ვინც ფრაზებით აღწევდა თავს. აქ იგი ულმობელი იყო. „ფრაზიორი" მის წარმოთქმაში ყველაზე მწვავე სალანძღავი სიტყვა იყო, და ვისაც იგი ერთხელ „ფრაზიორს" უწოდებდა, მასთან სამუდამოდ წყვეტდა კავშირს. „ლოგიკურად აზროვნება და აზრების ნათლად გამოხატვა",—აი რას გვინერგავდა იგი ჩვენ, „ახალგაზრდებს", ყოველი შესაფერი შემთხვევის დროს, და გვაიძულებდა გვესწავლა.

იმ დროისთვის აგებულ იქნა ბრიტანეთის მუზეუმში საუცხოო სამკითხველო მისი დაუშრეტელი წიგნთსაგანძურით; მარქსი ჩვენც გვერეკებოდა იქით, სადაც თვითონ მთელ დღეებს ატარებდა. ს წ ა ვ ლ ა! ს წ ა ვ ლ ა!—ეს იყო კატეგორიული იმპერატივი, რომელსაც იგი ხშირად ჩაგვძახებდა ხმამაღლა და რომელიც მის პირად მაგალითში, თვით ამ მუდამ მძლავრად მომუშავე დიადი გონების მარტოოდენ დანახვაში იყო მოცემული.

მაშინ, როდესაც სხვა ემიგრანტები მსოფლიო გადატრიალების გეგმებს თხზავდნენ და ხაშხაშნასვამებივით თავს იბრუებდნენ სიტყვებით: „ხვალ დაიწყება!"—ჩვენ, „გოგირდის ბანდა", „ბანდიტები", „კაცობრიობის ნაძირალები", ვიჯექით ბრიტანეთის მუზეუმში და ვცდილობდით ცოდნის შეძენას და იარაღის მომზადებას მომავალი ბრძოლებისათვის.

ზოგჯერ ლუკმაპურიც არ გვქონდა, მაგრამ ეს არ გვიშლიდა ხელს გვევლო მუზეუმში—იქ ხომ იყო შესაფერი სკამები დასაჯდომად, ზამთარში კი სასიამოვნოდ თბილოდა, რაიც სახლში გვაკლდა,—თუკი საერთოდ ვინმეს ჩვენგანს „სახლი" ან „ოჯახის კერა" გააჩნდა.

მარქსი, როგორც მასწავლებელი, სასტიკი იყო; იგი არა მარტო გვაიძულებდა გვესწავლა, არამედ ამოწმებდა კიდეც, ვსწავლობდით თუ არა.

მარქსს, როგორც მასწავლებელს, ჰქონდა იშვიათი თვისება: იყო სასტიკი, მაგრამ გულს არ გაგვიტეხდა. კიდევ ერთი საუცხოო თვისება ჰქონდა მას: იგი გვაიძულებდა თ ვ ი თ კ რ ი ტ ი კ ა გვეწარმოებინა და არ ითმენდა დავკმაყოფილებულიყავით უკვე მიღწეულით. კმაყოფილ მჭერეტელობას იგი სასტიკად შოლტავდა თავისი ირონიის შოლტით.

## 2. მარქსი და ბავშვები

როგორც საზოგადოდ ყველა ძლიერ და ჯანსაღ ადამიანს, მარქსს განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები. ის იყო არა მარტო მოსიყვარულე მამა, რომელსაც შეეძლო მთელი საათები გაეტარებინა ბავშვივით თავის ბავშვებთან, არამედ მას ანდამატივით იზიდავდა სხვისი ბავშვებიც, რომლებიც მას ხვდებოდნენ, განსაკუთრებით, თუ ისინი უმწეო და ღატაკი იყვნენ. მრავალჯერ, ღარიბთა ბინების დავლის დროს, იგი უცებ თავს დაგვანებებდა, რათა კარების წინ ჩამომჯდარ, ძონძებში გახვეულ რომელიმე ბავშვს მიალერსებოდა და ხელში პენი ან ნახევარი პენი ჩაედო. მათხოვრებს კი ეჭვის თვალით უყურებდა, რადგან მათხოვრობა ლონდონში პირდაპირ ხელობად გადაიქცა, სახელდობრ, ოქროსძირიან ხელობად, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სპილენძი შემოაქვს. ამიტომ მათხოვრებმა, რომელთაც იგი წინათ არასოდეს უარს არ ეუბნებოდა მოწყალებაზე, — თუკი გააჩნდა რამე, — ხანგრძლივად ვერ შესძლეს მისი გაბრიყვება. ზოგიერთის მიმართ, რომელიც მოინდომებდა რაიმეს დატყუებას ცრუ ავადმყოფობით და მოგონილი გაჭირვებით, მარქსი განსაკუთრებულ აღშფოთებას გრძნობდა, რადგან ადამიანის თანაგრძნობის ექსპლოატაცია მას უდიდეს სიმდაბლედ მიაჩნდა, იმის მოპარვად, რაც მხოლოდ ჭეშმარიტ ღარიბებს უნდა მიეღოთ. მაგრამ თუ მას მათხოვარი მტირალი ბ ა ვ შ ვ ი თ შეხვდებოდა, იგი მაშინვე დაიბნეოდა, შუბლზე აღბეჭდილიც რომ ჰქონოდა მათხოვარს, რომ ატყუებდა. ბავშურ შემვედრე თვალებს მარქსი ველარ უძლებდა...

უნდა გენახათ მარქსი მისი ბავშვებით გარშემორტყმული, რათა სრული წარმოდგენა გქონოდათ იმაზე, თუ რა გულთბილობისა და ბავშური სისადავის პატრონი იყო მეცნიერების ეს ბუმბერაზი. თავისუფალ წუთებში ან სეირნობის დროს იგი დარბოდა მათთან, მონაწილეობას იღებდა ყველაზე შფოთიან და მხიარულ თამაშობაში, — მოკლედ, ბავშვთა შორის თვითონაც ბავშვი ხდებოდა. ჰემსტედ ჰისზე ჩვენ ზოგჯერ ცხენობანას ვთამაშობდით; მე მის ერთ გოგონას შევისვამდი მხრებზე, მარქსი — მეორეს და დავიწყებდით სირბილსა და ხტუნაობას სანაძლეოზე. ზოგჯერ პატარა საკავალერიო ბრძოლებსაც გავმართავდით, რადგან გოგონები ცელქობდნენ ბიჭებივით და არც კი ტიროდნენ, როდესაც ცოტათი მუშტი მოხვდებოდათ.

ბავშვთა წრეში ყოფნა მარქსისთვის მოთხოვნილება იყო, მათთან იგი ისვენებდა და ხალისდებოდა. მისი საკუთარი ბავშვები რომ წამოიზარდნენ, ან ზოგი მოუკვდა, მათი ადგილი შვილიშვილებმა დაიჭირეს. ჟენიმ, რომელიც სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კომუნის ემიგრანტ ლონგეზე გათხოვდა, მარქსის ოჯახს თავისი შვილები შემატა — გიჟი ბიჭები. ბაბუას განსაკუთრებით უყვარდა

უფროსი, ჟანი ანუ ჯონი, რომელმაც ამჟამად* საფრანგეთში ერთი წლის სამხედრო ბეგარა უნდა მოიხადოს. ჯონის შეეძლო მისთვის ყველაფერი ეყო, და ეს მან კარგად იცოდა. ერთხელ, როდესაც მე მათ ლონდონში ვეწვიე, ჯონის, რომელიც მშობლებს ლონდონში გამოეგზავნათ, რაც წელიწადში რამდენჯერმე ხდებოდა, აზრად მოუვიდა „მავრი“ ო მ ნ ი ბ უ ს ა დ გადაექცია, რომლის კოფოზეც, ე. ი. მავრის მხრებზე, ის წამოჯდა; მე და ენგელსი კი ცხენებად დავინიშნეთ. და როდესაც ჩვენ მართლაც შევებით, დაიწყო გიჟური ნავარდი — მე მინდოდა მეთქვა: რბენა პატარა ბაღში, რომელიც მარქსის კოტეჯს უკან ეკრა მეიტლენდ პარკ როდში. თუმცა, შესაძლებელია, ეს ენგელსის სახლშიაც მოხდა, რიჯენტს პარკში. ლონდონის ჩვეულებრივი სახლები ისე გვანან ერთმანეთს, რომ მათი ერთმანეთში არევა ძნელი არ არის, მით უმეტეს ეს ითქმის ბაღებზე. რამდენიმე კვადრატული მეტრი მიწა ხრეშითა და ბალახით, დაფარული ლონდონის „შავი თოვლის“, ანუ ქვარტლის, ისე სქელი ფენით, რომ შეუძლებელია გავარჩიოთ, სად იწყება ხ რ ე შ ი და სად თავდება ბ ა ლ ა ხ ი. — აი, რას წარმოადგენს ლონდონის „ბაღი“.

ჯონი გვარბენინებდა ყვირილით: ჰი, ჰოტ! და ინტერნაციონალური გერმანულ-ფრანგულ-ინგლისური მიძახილით: go on! plus vite! Hurra! მავრი ისე მირბოდა, რომ შუბლზე ოფლი ჩამოსდიოდა; და თუ ენგელსი ან მე ნაბიჯს ცოტა შევანელებდით, მაშინვე წამოვიდოდა ჩვენკენ შეუბრალებელი მეეტლის მათრახი: you naughty horse! — აი შენ, ჯაგლაგო ცხენო! En avant, გასწი წინ! ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ მარქსს ძალღონე არ გამოელია, მაშინ ჯონისთან მოლაპარაკება დავიწყეთ და დროებითი ზავი ჩამოვაგდეთ...

(იხ. კარლ მარქსი, „რჩ. ნაწ.“ I, 89—94; 102—104).

---

* ე. ი. 1896 წ. „რჩ. ნაწ.“ რ ე დ.

# საგნობრივი მაჩვენებელი

## ა


აბსტრაქცია—27, 30, 32, 33, 37
ადამიანის გარდაქმნა—29
ადამიანის ჩანასახი—21
ადამიანური თვისებები—121
ადამიანი აღზრდის პროდუქტი—32, 120, 121
ადამიანი და ბუნება—58
ადამიანის და ბუნების დაპირისპირ.—22
ავტორიტეტი მშობლებისა—92
ათინური აღზრდა—118
ალექსანდრიული ლექსი—52
ანატომია—52
არითმეტიკა—43
ასაკობრივი დანაწილება ბავშვებისა—96
ასტრანომია—50, 52
აღზრდა—31, 37, 43, 47, 49, 59, 94, 97, 105
აღზრდა ათინური—118
" გონებრივი—31, 42, 47, 59, 72, 97, 98
" ესთეტიკური—52
" ზნეობრივი—41, 43, 44, 45, 72
" მეცნიერული—93
" მორალური—იხ. აღზრ. ზნეობრივი
" მომავალი—51
" რელიგიური—43
" პოლიტექნიკური—31, 91, 94
აღზრდა სპარტანული—118
" საზოგადოებრივი—37, 39, 44, 51, 60
" საზოგადო ხარჯზე—59
" ტექნიკური—31, 93, 97
" უსასყიდლო—39
" ფიზიკური—31, 46, 59, 97, 98, 118
" ყოველმხრივი—70, 94 (იხ. ყოველმხრივი განვითარება)
აღზრდა შინაური—37
აღზრდა, როგორც მომზადება—94
აღზრდა-განათლება კლასობრივი—37, 40, 43, 44
აღზრდის დამოკიდებულება ცხოვრებისაგან—72
აღზრდის მიზანი (როლი)—31, 32, 47, 120
აღზრდის შეერთება წარმოებასთან—39
აღზრდის ყოვლადშემძლეობა—120, 121
აღმზრდელი—32
აღმზრდელის აღზრდა—32, 100
ახალგაზრდობის ჩაბმა წარმოებაში—96
ახალგაზრდული ცეცხლი—35
ახალი ენების შესწავლა—52, 53, 58
ახლანდელი აღზრდის გაუქმება—91


## ბ


ბავშვის სულიერი განვითარება—21
ბავშვთა ასაკობრივი დანაწილება—96
ბავშვების ექსპლოატაცია—37
ბავშვთა შრომა—42, 46
ბავშვთა შრომა და მისი ექსპლოატაცია—72-83, 89, 92, 93, 96, 97
ბავშვთა მორალური დამახინჯება—74, 106
ბავშვთა უფლება—97
ბავშვთა ყოფა-ცხოვ. პირობები ბურჟ. საწარმოში—74 87
ბაზისი და ზედნაშენი—28
ბგერათა გამოთქმა—16
ბერძნული ენა—54, 55, 105
ბერძნული ხელოვნება—55
ბიოლოგია—52
ბოტანიკა—52
ბუნებისმეტყველება—10, 20, 22, 49, 52, 89
ბურჟუა და მუშა ცოდნის მხრივ—49, 50


## გ


გაგება—16, 17, 22
გადმოცემის წესი—113
გაკვეთილი—42, 105 (მომხიბლავი)
გაკეთილშობილება—22
გამეორება—17, 23
გამოგონება—49
გამოცდილება—120
განათლება (ზოგადი)—37, 42, 44, 123
განათლება და ცხოვრება—40, 41, 43
განვითარება—17, 19, 48
" გონებრივი—31, 68, 89 (იხ. ინტელექტუალური, სულიერი)
" ზნეობრივი—42, 43, 44, 46, 72
" ინტელექტუალური—44, 62, 67
" სულიერი—21, 31, 42, 46, 49, 59, 68, 72

განვითარება ფიზიკური — 44, 62, 67
„ ყოველმხრივი—59, 60-62, 70, 71, 88, 91, 94, 95
განათლება—(იხ. განვითარება გონებრივი)
განათლება კლასობრივი —37, 43, 44
განათლების თეოლოგ. ხას.—43. 119
განათლების მონოპოლია—61, 119
განათლებული პროლეტარიატი—58
განათლებული კაცი (ელფერბელდში)—105
განმარტება—34
განცდა—17
განწყობილება (ქაბუკური)—35
განყენებული აზროვნება—33
გარემოების როლი ადამ. ჩამოყალიბება-ში—32, 120, 129
გარდამავალი კატეგორიები—30
გეგმიანი მოქმედება—21
გეგმაშეწყობილობა—7, 10, 21
გეოლოგია—50
გერმანული ენა—54
გიმნაზია—103, 104
გიმნასტიკა—93 (იხ. ტანვარჯიში)
გონებრივი აღზრდა-განათლება (იხ. აღზრ. და გონებრივი, განვითარება გონებრივი, სულიერი, ინტელექტუალური)
გონებრივი ნიჭის თანასწორობა—121
გონებრივი შრომა—37, 90
გონებრივი და ფიზიკური შრომის დანაწილება—70
გონიერი განვითარება—42, 49
გრამატიკა—53
გრძნობა, გრძნობადი შთაბეჭდილებანი—17, 120, 121

## დ

დაქორწინება—55
დეგრადაცია ინტელექტ. და ფიზიკ.—89
დედაენა—53, 58
დემორალიზებული გარემო (აღმზრდელ.)—45
დედუქცია—114
დიდაქტიკური პოეზია—104
დიალექტი—48
დისტერვეგის ჩივილი ახალგაზრდებზე—104
დოგმა—43, 44

## ე

ეთიკა—104
ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან—124
„ „ სკოლისაგან—124
ეკლესიის გავლენა სკოლაზე—41, 42
ელემენტარული ცოდნა—54, 107
ელემენტარული სასკ. აღზრდის ასაკი—96
ემბრიოლოგია—52
ენთუზიაზმი (ახალგაზრდული)—35
ესთეტიკა—49. 52, 55
ესთეტიკური აღზრდა—52

## ვ

ვარჯიში—31
ვიწრო სპეციალობა და ინტელ. შეზღუდვა—68

## ზ

ზედნაშენი (და ბაზისი)—28
ზოგადი განათლება—123
ზოოლოგია—52
ზნეობრივი აღზრდა-განათლება—40, 43, 44, 45, 59 (იხ. აღზრდა ზნეობრივი, განვითარება ზნეობრივი)
ზნეობრივი განვითარება—42-46, 72 (იხ. აღზრდა ზნეობრივი, ზნეობრივი აღზრდა-განათლება)
ზნეობრივი კავშირი—48
ზნეობრივი სახე მუშისა—43, 48
ზრუნვა ბავშვზე—97

## თ

თავისუფალი განვითარება—39, 61, 62
თანშობილი მიდრეკილებანი—121
თანასწორი სახალხო განათლება—40
თეოლოგია—42
თეოლოგიის ბატონობა მეცნიერებაზე—119
თეორია—27. 30, 32, 58, 114, 115
თეორიისა და პრაქტიკის კავშირი—114
თვალსაზრისი ნაციონალური—53

## ი

იდეა გაბატონებული—29, 38
იდეალური—7, 12
იდეათა ცვალებადობა—30, 38, 39
ინდუქცია—112
ინსტინქტი—7
ინტეგრალური განვითარება—96

ინტელექტუალური აღზრდა-განვითარება—21, 44, 89 (იხ. განვითარება გონებრივი)
ინტელექტ. უნარის შეზღუდვა—69
ინტელექტ. და ფიზიკ. დეგრადაცია—89
ისტორიული კვლევა-ძიება—10, 53
ისტორიული მეცნიერება—10, 30
ისტორიის სწავლების საძაგელი მეთოდი—115
იურიდიული ფაკულტეტი—54

## კ

კანონი ბავშვთა აღზრდისა (ფიქტიური)—106
კანონი სასკოლო სწავლების შესახებ—72
კვლევა-ძიება—10, 53, 113
კვლევა-ძიების მეთოდი (წესი)—113, 114
კერძო და საკაცობრიო ინტერესები—121
კლასობრივი აღზრდა-განათლება—37, 43, 44, 109
კოლექტივი, როგორც ყოველმხრივ. განვითარების საშუალება—60, 61
კომუნისტური ბავშვების მასობრივი წარმოშობა—57

## ლ

ლათინური ენა—54, 59, 105
ლექცია—49
ლირიკა—104
ლექსი ალექსანდრიული—52
ლიტერატურა—50

## მ

მათემატიკა—51, 52, 54, 105
მათრახი, როგორც აღზრდის საშუალება—43
მანუფაქტურა და ადამიანის სულიერი მდგომარეობა—70, 75, 92, 105
მანქანის ცნობიერი დამატება—88
მასწავლებელი—41, 42, 101-110
მასწავლებელი - გლეხების ბელადი, აღმზრდელი, იდეოლოგი—110
მასწავლებელი-საზოგადო მოღვაწე—101
მასწავლებელი-სწავლული კლასი, პროლეტარი—110
მასწავლებელი-ხალხის განმანათლებელი—128
მასწავლებლის არჩევა—105
„ დევნა—122
„ უვიცობა—106, 107
„ შრომა—102
„ შემოსავალი—107
„ ხელფასი—102
მედიკური ფაკულტეტი—54
მეთოდი, აღწერითი—52
მეთოდი სწავლებისა—51, 52, 103, 113, 115
მემკვიდრეობა—15, 54
მეტყველება—16, 17, 18, 19
მექანიკა—52
მეცადინობა—42
მეცნიერება—10, 20, 2', 28, 30
მეცნიერებათა საფუძვლები—51, 103
მეცნიერება და ტექნიკა—28
მეცნიერული მუშაობა—115
მეცნიერება, როგორც წარმოების დამოუკიდებელი ძალა—72
მეცნიერების განთავისუფლება—124
მეცნიერული აღზრდა—93
მეცნიერული საფუძვ. ინდუსტრიისა—94
მეხსიერება—42
მთაერობის გავლენა სკოლაზე—41
მიზანი—7, 8, 20, 21
მიზანშეწონილი—7, 8, 21
მითოლოგია—52
მიმბაძველობა 15, 16, 17
მისტერია—33
მისტიციზმი—52, 103
მკვდარი ენები—52, 53
მკვდარ თაობათა ტრადიციები - 57
მოზარდი—31, 35, 53, 55
მომავალი—35, 51
მომავალი დამოკიდებულია მოზარდ თაობაზე—101
მომავალი აღზრდა—51, 58, 59, 94
მორალი—39, 120 (იხ. ზნეობრივი განვითარება)
მორალი პირმოთნე - 50
მორალური აღზრდა—იხ. ზნეობრივი აღზრდა, აღზრდა ზნეობრივი
მორფოლოგია—52
მოწაფეები საშუალო კლასებისა—88
მოწაფეების ცუდი რეპუტაცია—104
მრავალმხრივობა მუშისა—94
მსჯელობა—72
მუშა, მანქანის ცნობიერი დამატება—88
მუშა და ბურჟუა ცოდნის მარივ—49, 50
მუშის განვითარების შეზღუდვა—67-69, 71
მუშის მრავალმხრივობა—90
მუშის ყოველმხრ. ძვრადობა—90
მშობიარობა—54
მშობლების ავტორიტეტი—92

## ნ


ნაციონალური თვალსაზრისი—53
ნაციონალური შეზღუდულობა—61
ნაწილობრივი ინდივიდუმი—95
ნებისყოფა—7, 67
ნერვული სისტემა—86
ნესელტის მეთოდი—103
ნიჭი—7
„ ამსტრაქციის—17
„ მსჯელობის—17
ნიჭის სრული განვითარება—58, 62
ნიჭის შეზღუდვა შრომის დანაწ.—61


## ო


ორთოგრაფია—43
ოუენის საფაბრიკო სისტემა—123
„ საბავშვო ბაღი—123
ოცნება—58
ოჯახი და ბავშვები—37, 45, 51
ოჯახური ურთიერთობა—92


## პ


პალეონტოლოგია—52
პარიზის კომუნის ღონისძიებანი განათლების დარგში—124
პედაგოგიკა სოციალური—50
პედაგოგიური პრაქტიკა და თეორია—103
პიეტიზმის გავლენა სკოლაზე—103
პირველდაწყებითი სკოლა—77, 78, 87
„ ცოდნა—54, 106
პიროვნება და საზოგადოება—60, 61, 119
პიროვნების თავისუფ. განვითარება—39, 61
პოეზია—52, 104
პოეტიკა—104
პოეტური ლიტერატურა—50
პოლემიკა (რელიგ.)—42
პოლიტექნიკური სკოლა—91
„ სწავლება—31, 91, 94, 97, 98
პრაქტიკული განათლება—43
პრინციპების ცვალებადობა - 30
პროდუქტული შრომის კავშირი სწავლებასა და ტანვარჯიშობასთან—88, 93
პროლეტარული აღზრდა—49
პროლეტარიატი განათლებული—58
პროგიმნაზია—54
პროგრამა—54, 115
პროფესიული განათლების შეზღუდულობა—61
პროფესიული იდიოტიზმი და მისი მოსპობა—96
პროფესიული სასწავლებელი—54


## რ


რაციონალურად მოწყობილი საზოგად.—96
რვეულში ჩაწერის სისტემა—104
რეალური სასწავლებელი—104
რელიგიურ-მორალური აღზრდა—43
რომანული ენა—104


## ს


საბავშვო ბაღი—123
სავალდებულო სწავლება—41, 86, 106, 107
საზოგადოების გავლენა აღზრდაზე—37
საზოგადოებრივი აზრი—პოლიტიკური ძალაა—97
საზოგადოებრივი აღზრდა—(იხ. აღზრდა საზოგადოებრივი)
საკვირაო სკოლები—42, 43
საკუთარი მიდრეკილებანი—95
სამასწავლებლო პერსონალი—41
სამრეწველო პათოლოგია—69
სამრეწველო სკოლა—91, 104
სამხედრო ვარჯიშობანი—31
სასკოლო დღე—88
სასოფლო-სამეურნეო სკოლა—91
სასულიერო და საერო განათლება—103
სასწავლო მასალა—107
საფაბრიკო სკოლების რეჟიმი—106, 107
საღამოს სკოლები—42, 43
სახალხო სკოლები—40, 41, 51, 54, 103
სახელმწიფოს აღზრდა—41
სახელმძღვანელოები—52, 55, 103, 104, 105
საყოველთაო სკოლა (სწავლება)—51, 58
სექტანტური განათლება—42, 43
სიკვდილიანობა ბავშვთა შორის—45
სკოლა—42, 43, 44, 49, 52, 59, 101-110
სკოლა და ეკლესია—41, 103
„ და მუშათა მორალი—44,
„ საკვირაო—42, 43
„ სამაქმანო—76
„ სამრეწველო—91, 103
„ სასოფლო-სამეურნეო—91
„ საფაბრიკო—106, 107
„ საღამოსი—42, 43

სკოლა საწარმოსთან—59
„ საყოველთაო—51, 58
„ ტანვარჯიშობის—31
„ ტექნიკური—41
სკოლის გამოყოფა ეკლესიისაგან—42
„ „ სახელმწიფოსაგან—124
სმენა—17
სპარტანული აღზრდა—118
სოციალური პედაგოგიკა—51
სულიერი ძალები—8
სქესობრივი შერჩევა—55
სქოლასტიკა—53
სწავლა—17, 27, 41
სწავლება—31, 41, 42, 59, 82, 91, 97, 103, 115, 123
სწავლება ბუნების წიაღში—59
სწავლების დაკავშირება ფიზიკურ შრომასთან—87, 88, 123
„ ტანვარჯიშობასთან—88, 123
სწავლების მეთოდები—იხ. მეთოდი სწავლებისა
სწავლა-განათლების მონოპოლია—61

## ტ

ტანვარჯიშობა—87, 88, 93
ტანვარჯიშობის სკოლა—31
ტანვარჯიშობის დაკავშირება სწავლასთან—88, 123
ტანვარჯიშობის დაკავშირება ფიზიკურ შრომასთან—87, 93
ტვინის განვითარ.—18, 19, 20
ტექნიკა და მეცნიერება—28
ტექნიკური მომზადება—93
ტექნიკური სკოლები—41, 93, 97
ტექნიკური სწავლება—97
ტექნოლოგია—89, 91
ტექნოლოგიის სწავლება—91
ტრადიციები—39, 57, 121

## უ

უმაღლესი სასწავლებლები—40
უნარი—35
უნივერსალური ხასიათი მოღვაწეობისა—60, 62
უნივერსიტეტი—28, 51, 54, 115, 123
უსასყიდლო აღზრდა—39, 40
უცხო ენები—52

## ფ

ფანტაზია—52
ფიზიკა—52
ფიზიკური აღზრდა-განვითარება—21, 31, 47, 49, 97, 98
ფიზიკური და გონებრივი შრომის დანაწ.—60, 67, 71
ფიზიკური და ინტელექტ. დეგრადაცია—93
ფიზიკური ვარჯიში—98
ფიზიკური შრომის დაკავშირება სწავლებასა და ტანვარჯიშობასთან—87
ფიზიოლოგია—8
ფილოლოგია—52, 105
ფილოსოფია (ახალგაზრდობის საცდელი ქვა)—35
ფრანგული მატერიალიზმის პედაგ. იდეები—120-122

## ქ

ქალაქის გავლენა მუშათა ზნეობრივ განვითარებაზე—46
ქალი ბურჟ. საზოგ-ში—38, 109
ქალის ხასიათი—109
ქიმია—8, 18, 52
ქორწინება ბურჟუაზიული—38

## ყ

ყურადღება—7, 76
ყოველმხრივი განვითარება—60-62, 70, 71, 91, 92, 94, 95
ყოველმხრივ განვითარებული ინდივიდუმი—59, 60-62, 91

## შ

შეგნება—67
შეთვისება—27
შეთვისების (შესწავლის) წესი—114
შესწავლა—9, 49, 51, 52, 53, 59
შეხების გრძნობა—17
შეხედულებათა ცვალებადობა—38
შრომის დანაწილება—65, 71, 90, 91, 94
შრომის დანაწ. გავლენა ადამიანის ნიჭზე—61, 67-71
შრომის ტექნიკ. დანაწილება—85

შრომის დანაწ. გაქრობა—94
შრომისა და ცოდნის წინააღმდეგობა—68, 70
შრომა და მეცნიერება—68, 70
შრომისა და სწავლის კავშირი—87, 88, 93
შრომის ცვალებადობა—90, 91
შრომის შეფარდება აღზრდასთან—97
შუასაუკუნეთა განათლება—119

## ჩ

ჩანასახი ადამიანისა—21
ჩანასახი მომავალი აღზრდისა—88

## ც

ცალმხრივი განვითარება—67
ცვლილებები საკუთარ ბუნებაში—7, 22
ცივილიზაცია—20
ცოდნა—41, 49, 53, 71
ცოლების ერთობა—38
ცოცხალი ენები—523
ცნობიერება—17, 20, 38, 39
ცნობიერი დამატება მანქანისა—92
ცრუმორწმუნეობა—50, 54

## წ

წარმოდგენა—7, 17, 29, 38, 43, 48
წარმოსახვა—68
წარმოების პროცესის მეცნიერ. ანალიზი—70
წინასწარგათვალისწინება—7, 10, 21, 22
წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფლის შუა—39, 74
წინააღმდეგობა ფიზიკურ და გონებრივ შრომათა შორის—70
წერა-კითხვის ცოდნა ხელობისათვის—88

## ძ

ძველი ენები—52, 53
ძველი დანაწილება შრომისა—93

## ჭ

ჭეშმარიტება—17, 27, 35, 41
ჭაბუკური ხასიათი (განწყობილება)—35

## ხ

ხასიათი—7, 8, 35, 109, 121
ხელოვნება—20, 55
ხორცეულის როლი განვითარებისათვის—19

## ჰ

ჰეგელის სკოლა—35
ჰორიზონტი განათლებისა—53
ჰელვეციუსის პედაგოგიური იდეები—121, 122

# ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

I. შესავალი—შრომის როლი ადამიანის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში:

1. შრომის პროცესი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7
2. შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში . . . . . . 14

II. აღზრდა—განათლების ზოგადი საკითხები

1. მეცნიერებასთან მისასვლელი გზა . . . . . . . . . . . . . 27
2. ბრძოლა თეორიული მიმართულებით . . . . . . . . . . . . 27
3. საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა და მისი ზედნაშენი . . 28
4. საზოგადოების გაბატონებული იდეები . . . . . . . . . . . 29
5. ისტორია—ადამიანის ბუნების გარდაქმნაა . . . . . . . . . 29
6. ისტორიზმის პრინციპი მეცნიერებაში . . . . . . . . . . . 30
7. აღზრდის განმარტება . . . . . . . . . . . . . . . . . 31
8. აღზრდის აქტიური როლი ადამიანისა და გარემოების ცვალებადობის პროცესში . . . . . . . . . . . . . . . . . . 32
9. ჩვენი მომავალი დამოკიდებულია მოზარდ თაობაზე . . . . . . 35
10. აღზრდა-განათლების საზოგადოებრივ-ისტორიული ხასიათი . 36
11. ბურჟუაზიული სახელმწიფო და სახალხო განათლება . . . . . 40

ა) ბურჟუაზია არ აძლევს ხალხს ნამდვილ განათლებას . . . . . . . . . 40
ბ) ბურჟუაზ. სახელმწიფოში შეუძლებ. თანასწორი სახალხო განათლება . . 40
გ) მუშათა აღზრდა-განათლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში . . . . . . . 41
დ) დიდი ქალაქებისა და მრეწველობის გავლენა მუშათა განათლებასა და თვითშეგნების განვითარებაზე . . . . . . . . . . . . . . . . . 46

12. პროლეტარული განათლება ბურჟუაზიული „სიბრძნის“ გარეშე. 47
13. მომავალი აღზრდის ზოგიერთი საკითხი . . . . . . . . . 51
14. კომუნისტური შეგნების მასობრივი წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციაში . . . . . . . . . . . . . . . . . 57
15. გაეთავისუფლდეთ მკვდარ თაობათა ტრადიციისაგან . . . . . 57
16. საყოველთაო სწავლება, როგორც ერთი საშუალებათაგანი თეორიის გატარებისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . 58
17. აღზრდა უახლეს დროში აღმოც. კომუნისტ. კოლონიებში . . 59
18. აღზრდა სოციალისტურ საზოგადოებაში . . . . . . . . . 59
19. კომუნისტ. საზოგად. ქმნის ყოველმხრივ განვით. ადამიანს . . 60

III. პოლიტექნიკური სწავლება
1. შრომის დანაწილება მანუფაქტურაში და მუშის სწავლა-განათლების შეზღუდვა . . . . . . . . . . . . . . . . . . 65
2. ბავშვთა შრომა და მისი ექსპლოატ. კაპიტ. წარმოებაში . . . 72
3. ინდუსტრ.-მანქანური წარმოების გავლენა მუშის განვითარებაზე 84
4. კაპიტალისტური წარმოება და მომავალი აღზრდის ჩანასახი . . 87
5) ვიწრო სპეციალობიდან ინტეგრალური განათლებისაკენ . . . . 96
6) პოლიტექნიკური აღზრდის განმარტება . . . . . . . . . . 96
IV. სკოლა, მასწავლებელი
1. აღმზრდელი თვით უნდა იყოს აღზრდილი . . . . . . . . . 101
2. მასწავლებელი—საზოგადო მოღვაწეა . . . . . . . . . . . 101
3. სკოლისა და მასწავლებლის მდგომარეობა ბურჟ. საზ-ში:
ა) მასწავლებელი არ ითვლება პროდუქტულ მუშაკად . . . . . . . . . 102
ბ) მასწავლებელთა ხელფასი . . . . . . . . . . . . . . . . 102
გ) ვუპერტალის სკოლები და მასწავლებლები . . . . . . . . . . 103
დ) საფაბრიკო სკოლები და მასწაელებლები . . . . . . . . . . 106
ე) სკოლები ვერ აძლევენ ბავშვებს სათანადო განათლებას . . . . . . . 109
4. მასწავლებელი — გლეხობის სულიერი ბელადი, აღმზრდელი და იდეოლოგი . . . . . . . . . . . . . . . . . . 110
V. დიდაქტიკის ზოგიერთი საკითხი
1. გადმოცემისა და კვლევა-ძიების წესები . . . . . . . . . 113
2. ინდუქცია და დედუქცია . . . . . . . . . . . . . . 114
3. თეორიის შეთვისება მექანიკურად არ შეიძლება . . . . . . 114
4. ისტორიის სწავლების საძაგელი მეთოდი . . . . . . . . 115
5. თეორიის მნიშვნელობა პროგრამისათვის . . . . . . . . 115
VI. პედაგოგიკის ისტორიიდან
1. სპარტანული და ათინური აღზრდა . . . . . . . . . . 118
2. შუასაუკუნეთა სამღვდელოების მონოპოლია განათლებაზე . . . 119
3. აღზრდის პრობლემა ფრანგული მატერიალიზმის მიხედვით . . 120
4. ბონაპარტეს კანონი სწავლა-განათლების შესახებ . . . . . . . 122
5. აღზრდა-განათლება ავსტრიაში (XIX ს. ორმოციან წლებში) . . 123
6. საფაბრიკო სისტ. აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა . . 123
7) რობერტ ოუენის საბავშვო ბაღი . . . . . . . . . . . 123
8. პარიზის კომუნის ღონისძიებანი განათლების დარგში . . . . . 124
დამატება კ. ლიბკნეხტი:
1. მარქსი—რევოლუციონერების მასწავლებელი და აღმზრდელი . . 127
2. მარქსი და ბავშვები . . . . . . . . . . . . . . . . 131
საგნობრივი მაჩვენებელი . . . . . . . . . . . . . . . . 133

პ/მ რედაქტორი შოთა ხიხარულიძე

გადაეცა წარმოებას 10/VI-42, ხელმოწ. დასაბეჭდათ 15/VIII-42.
უე 11114. ანაწყობ. ზ. 7×11½, ფორ. რაოდ. 9,75; შეკვ. № 556.

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.